ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ახალი და უახლესი ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ისტორიის სადოქტორო პროგრამა

ეთერ ბოკელავაძე

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობები XX საუკუნის 70-80-იან წლებში

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი ლეილა (ია) ხუბაშვილი

თბილისი

2025

აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირის რელიგიური ინსტიტუტებისა და მორწმუნე ადამიანების მდგომარეობა ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის არსებობის პერიოდში მოექცა მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, მისი თავისუფალი შესწავლის შესაძლებლობა „რკინის ფარდის“ მიღმა მყოფ, მეტწილად, აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის მკვლევრებს უფრო ჰქონდათ. რის შედეგადაც, დასავლურ სამეცნიერო სივრცეში დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა შესაბამისი მიმართულება. რაც შეეხება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სივრცეს, ამ მიმართულებით კვლევებს აქ ძირითადად, 80-იანი წლებიდან ვხვდებით. საბჭოთა ცენზურა, ბუნებრივია, არც რელიგიურ მოღვაწეებსა და არც მეცნიერების წარმომადგენლებს არ აძლევდა ობიექტურად შესწავლისა და მით უფრო, მისი მამხილებელი ნაშრომების გამოქვეყნების საშუალებას. შედეგად მივიღეთ ის გარემოება, რომ იმპერიის დაშლიდან 34 წლის შემდეგაც, საკითხის ბევრი ასპექტი საჭიროებს გამოკვლევას, იმისთვის, რომ მოხდეს რეალური ისტორიული სურათის რეკონსტრუირება.

წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის XX ს-ის 70-80-იანი წლების საგარეო ურთიერთობების შესწავლა, თუმცა, საკითხის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, პირველ რიგში, მოცემული პერიოდის საბჭოთა ხელისუფლების (ლ. ბრეჟნევის, ი. ანდროპოვის, კ. ჩერნენკოს და მ. გორბაჩოვის) რელიგიური პოლიტიკისა და ქართულ ეკლესიაზე მისი გავლენის კვლევა.

საქართველოს სამოციქული ეკლესიის საგარეო ურთიერთობების მთავარ ორიენტირად ავირჩიეთ ორი მიმართულება:

ა) საქართველოს ეკლესიის ურთიერთობები მართლმადიდებლურ სამყაროსთან, სადაც გამოვყავით რუსეთის, კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიის და იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული ეკლესიის მთავარი საზრუნავის - ავტოკეფალიის

საერთაშორისო აღიარების მოპოვებისა ქრისტიანულ სამყაროში რეინტეგრაციის პროცესში.

ბ) საქართველოს ეკლესიის ურთიერთობები კათოლიკურ და პროტესტანტულ სამყაროსთან, სადაც კვლევის ობიექტად შევარჩიეთ მისი კონტაქტები ვატიკანთან და ეკუმენური მოძრაობის წამყვან ორგანოსთან - ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, საბჭო მხოლოდ პროტესტანტებს არ წარმოადგენდა და იგი როგორც მართლმადიდებლებს, ისე კათოლიკებს, მოგვიანებით კი, სხვა რელიგიის აღმსარებლებსაც აერთიანებდა, თუმცა, საფუძვლები, ბირთვი და საქმიანობის ძირითადი ტენდენციები სწორედ პროტესტანტულ დასავლეთს უკავშირდებოდა და შესაბამისად, ის იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი, რომელიც ქართულ ეკლესიას დასავლურ წრეებთან დაახლოებაში ეხმარებოდა.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში, ქართული, დასავლური და რუსული საარქივო წყაროებზე, მემუარულ ნაშრომებზე, პერიოდულ პრესასა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია XX ს-ის 70-80-იანი წლების საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა და მისი განვითარების ტენდენციები; საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიისადმი და მის მიერ გატარებული ღონისძიებები; საქართველოს ეკლესიის საერთო მდგომარეობა და მისი საგარეო ურთიერთობები. ბრძოლა ისტორიული უფლებების და ავტოკეფალიის აღიარებისათვის და მისი შედეგები.

Abstract

The condition of religious institutions and believers in the Soviet Union appeared in the centre of attention of the world, even back then during the Soviet Empire. However, for obvious reasons, researchers from USA and Western Europe, being beyond the "Iron Curtain", had more chances to study freely this issue. As a result, a corresponding field was formed in the Western scientific circles already a long time ago. As for the Soviet Union and the socialist camp, corresponding researches became available mainly since the 80s. Obviously, Soviet censorship did not allow either religious figures or representatives of science to study the issue without bias, and even more - to publish disclosing works. As a result, we have the situation that even 34 years after the collapse of the empire, many aspects of the issue require research in order to reconstruct the real historical picture.

The main goal of the present work is to study the foreign relations of Georgian Orthodox Church, which was part of the Soviet Union, in the 70s-80s of the 20th century; However, due to the complex nature of the issue, we decided, initially to study the religious policy of the Soviet government (L. Brezhnev, I. Andropov, K. Chernenko and M. Gorbachev) of this period and its influence on Georgian Church. We have chosen two fields as the main reference point of the foreign relations of the Georgian Orthodox Church: a) the relations of Georgian Church with the Orthodox world, where we singled out the Orthodox Churches of Russia, Constantinople, Antioch, Alexandria and Jerusalem, which used to play an important role in the process of reintegration of Georgian Church into the Christian world and in international recognition of its autocephaly. b) The relations of Georgian Church with the Catholic and Protestant worlds, where we chose as the object of research its contacts with the Vatican and the leading body of the ecumenical movement - the World Council of Churches. Regarding the latter, it should be noted that the Council did not represent only Protestants and united both Orthodox and Catholics, and later, adherents of other religions, however, the basis, core and main trends of its activities were connected precisely with the Protestant West and, accordingly, it was one of the most important links that would have helped Georgian Church to approach Western circles.

The present thesis, based on Georgian, Western and Russian archival sources, memoirs, periodicals and scientific literature, analyzes the religious policy of the Soviet government in the 70s-80s of the 20th century and its development trends; the attitude of the local government of Georgia towards religion and taken measures; the general condition of Georgian Church and its foreign relations; struggle for recognition of historical rights and autocephaly and its results.

შინაარსი

შესავალი.....1

პირველი თავი. საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა XX საუკუნის 70-80-იან წლებში.....16

1.1. „დესტალინიზაცია“ და ნიკიტა ხრუშჩოვის „საეკლესიო რეფორმა“.....16

1.2. ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის ორმაგი რელიგიური სტანდარტი. ჰელსინკის დეკალოგი.....22

1.3. იური ანდროპოვის რელიგიური პოლიტიკა (1982-1984).....36

1.4. კონსტანტინე ჩერნენკოს რელიგიური რეპრესიები (1984-1985).....47

1.5. მიხეილ გორბაჩოვის „რელიგიური პერესტროიკა“ საბჭოთა სისტემის დემონტაჟი.....58

მეორე თავი. საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა რუსეთის, კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიის და იერუსალიმის მართლმადიდებელ ეკლესიებთან.....68

2.1. საქართველოს ეკლესია საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის პერიოდში.....68

2.2. საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან.....98

2.3. საქართველოსა და კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობა. ავტოკეფალიის აღიარების საკითხი.....110

2.4. საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიასთან.139

2.5. საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა ალექსანდრიის მართლმადიდებელ ეკლესიასთან.....160

2.6. საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა იერუსალიმის მართლმადიდებელ ეკლესიასთან.....171

მესამე თავი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა წმინდა საყდართან და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან.....180

3.1. ვატიკანისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობები ცივი ომის პერიოდში.....180

3.2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და წმინდა საყდრის ურთიერთობები.....190

3.3. ეკლესიათა მსოფლიო საბჭო და საქართველოს მართლმადიდებელი ელესია.....201

დასკვნა.....216

ბიბლიოგრაფია 227

შესავალი

რელიგიური დიპლომატია, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს როგორც ეკლესიათა და რელიგიათაშორის, ისე ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებსა და სახელმწიფო პოლიტიკის წარმოებას რელიგიური ინსტიტუტებისა და პირების მეშვეობით, უკვე დიდი ხანია, ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას წარმოადგენს მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში. ევროპის, აშშ-ის, რუსეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და რელიგიურ ინსტიტუტებში არსებობს შესაბამისი კვლევითი ცენტრები, სადაც იქმნება ნაშრომები, მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიასა და ეკლესიას შორის ურთიერთობების, სახელმწიფოთა რელიგიური პოლიტიკის, საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პროცესებში რელიგიის როლისა და ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების შესახებ.

რელიგიური დიპლომატიის ერთ-ერთ საინტერესო განმარტებას გვთავაზობენ ვაშინგტონის რელიგიისა და დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრის უფროსი ვიცე პრეზიდენტი დავების გადაწყვეტის საკითხებში და პეპერდინის უნივერსიტეტის (კალიფორნია) პროფესორი ბრაიან კოქსი და ნოტრ დამის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი დენიელ ფილპოტი, ნაშრომში "Faith-Based Diplomacy: An Ancient Idea Newly Emergent": „რელიგიური დიპლომატია ანუ „რწმენაზე დაფუძნებული დიპლომატია" არის „მეორე გზა", ანუ დიპლომატია, რომელსაც ახორციელებენ არასახელმწიფო აქტორები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რელიგიური ლიდერები და კერძო მოქალაქეები." მათი შეფასებით, მას ახასიათებს ორ ვექტორიანი ორიენტაცია:

პირველი - პოლიტიკის სათანადო, ჯეროვანი ორიენტირება ტრანსცენდენტურზე,

მეორე - ღვთაებრივის აქტიური როლი ადამიანურ ურთიერთობებში.

რწმენაზე დაფუძნებული დიპლომატიის პრაქტიკოსები, რა თქმა უნდა, გამოიყენებენ სეკულარულ გამოცდილებას კონფლიქტების გადაწყვეტასა და ანალიზში, პოლიტიკის მეცნიერებასა და ფილოსოფიაში, ეროვნულ უსაფრთხოებაში, დიპლომატიაში, საზოგადოების განვითარებაში და მსგავს საკითხებში. მაგრამ მათი მთავარი ორიენტირი მათი რწმენაა" (Cox & Philpott, 2003). უდავოა, რომ რელიგია

და რელიგიური აქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და რიგ შემთხვევებში, გავლენასაც ახდენენ არა მხოლოდ მოქალაქეების, არამედ ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე.

ცივი ომის ეპოქამ, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წარმოაჩინა რელიგიურ ორგანიზაციათა და მათ წარმომადგენელთა შესაძლებლობები ბიპოლარული სამყაროს სამშვიდობო პროცესებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში. სწორედ რელიგიის წარმომადგენლებმა შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი კომუნისტური რეჟიმის რღვევასა და საბჭოთა ათეისტური იმპერიის დამარცხებაში. აღნიშნულმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ამ კუთხით სამეცნიერო კვლევების წახალისებას და დღეისათვის იგი ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ მიმართულებად იქცა. მოცემული ეპოქის ირგვლივ შექმნილი გამოკვლევები, ძირითადად, საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკას, ეკუმენურ მოძრაობას, საერთაშორისო რელიგიურ და სამშვიდობო პროცესებში ვატიკანის, კონსტანტინეპოლისა და მოსკოვის საპატრიარქოების როლისა და ეკლესიათაშორისი ურთიერთობების შესწავლას ეძღვნება. გარკვეული ყურადღება აქვს დათმობილი სოციალისტური ბანაკის ადგილობრივი ეკლესიების მდგომარეობის კვლევასაც, ვინაიდან იგი პირდაპირ კავშირშია როგორც საბჭოთა ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკასთან, ისე საერთაშორისო რელიგიურ ასპარეზზე არსებულ გამოწვევებთან.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში რელიგიური დიპლომატიის თეორიის კვლევა, ჯერჯერობით, არ მიმდინარეობს. რაც შეეხება პრაქტიკას, არსებობს ნაშრომები სხვადასხვა ეპოქის ეკლესია-სახელმწიფოსა და ეკლესიათაშორის ურთიერთობებზე. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობს საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის შესწავლა, თუმცა, ქრონოლოგიური ჩარჩო საკმაოდ ვიწრო და შეზღუდულია (20-60-იანი წწ.). შეუსწავლელია საბჭოთა ლიდერების რელიგიური პოლიტიკა 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან 80-იანი წლების ჩათვლით. ასევე, შეუსწავლელია მოცემული პერიოდის ეკლესიათაშორისი ურთიერთობები და რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობები. ეს უკანასკნელი განპირობებულია ქართულ სინამდვილეში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული

და ფართოდ გავრცელებული წარმოდგენით, თითქოს საბჭოთა რეჟიმის პირობებში საქართველოს ეკლესიას საგარეო ურთიერთობები არ გააჩნდა. აღნიშნულ მოსაზრებას, ბუნებრივია, თავისი ობიექტური საფუძვლები გააჩნია. საბჭოთა ხელისუფლება მართლაც, არ აძლევდა ეკლესიებს დამოუკიდებელი ურთიერთობების წარმოების შესაძლებლობას, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ურთიერთობები არ არსებობდა და შეუძლებელი იყო თუნდაც, საბჭოთა უწყებების მიერ კონტროლირებადი კავშირების ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება. სწორედ ამიტომ, ჩვენი სადისერტაციო **კვლევის მთავარ ობიექტად** შევარჩიეთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობები XX ს-ის 70-80-იან წლებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ საკითხს თავის შრომებში ეხება თანამედროვე მეცნიერი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, რომელიც დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოსა და სხვადასხვა ეკლესიების წარმომადგენელთა შორის ვიზიტიების განხილვითა და საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცული დოკუმენტების გაცნობის კუთხით. თუმცა, მიგვაჩნია, რომ საკითხი კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ჩვენი **კვლევის მიზნად** დავისახეთ საბჭოთა საქართველოს რელიგიურ სფეროში არსებული შესაძლებლობების, ეკლესიის მდგომარეობის, მის წინაშე არსებული გამოწვევების, ხელისუფლებასთან და ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობისა და მათი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის სიღრმისეული ანალიზი და ისტორიული სურათის რეკონსტრუქცია. აღნიშნული, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის შექმნას ქართულ სამეცნიერო სივრცეში.

საკვლევი პრობლემის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, მისი რამდენიმე მიმართულებად დაყოფა და თითოეული მათგანის ცალკე შესწავლა. ასე, მაგალითად, საბჭოთა საქართველოში ეკლესიის მდგომარეობის ანალიზი წარმოუდგენლად მიგვაჩნია საბჭოთა კავშირის ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის შესწავლის გარეშე. როგორც აღვნიშნეთ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილი საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი XX ს-ის 60-იანი წლების პირველ ნახევარზე. ნ. ხრუშჩოვის მმართველობაზე მოდის. პრაქტიკულად არ არსებობს გამოკვლევები ლ. ბრეჟნევის, ი. ანდროპოვის, კ. ჩერნენკოსა და მ. გორბაჩოვის რელიგიურ პოლიტიკაზე.

შესაბამისად, პირველ რიგში, საჭიროდ მივიჩნიეთ ხსენებულ მმართველთა ოფიციალური თუ არაოფიციალური კურსის, საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებებზე მისი გავლენისა და შექმნილ პირობებში, ქართული ეკლესიის მდგომარეობის შესწავლა.

ნაშრომის მეორე მიმართულებას წარმოადგენს უშუალოდ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ურთიერთობები მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებთან. აღნიშნული, პრიორიტეტულ ხაზს წარმოადგენდა, ვინაიდან სწორედ მათთან ისტორიული ურთიერთობის აღდგენას შეეძლო ქართული ეკლესიის გამოყვანა ხანგრძლივი, იძულებითი საეკლესიო იზოლაციისგან და მისი მართლმადიდებლურ სამყაროში რეინტეგრაცია. აღსანიშნავია ის, რომ მოცემულ პერიოდში საქართველოს ეკლესია აქტიურ კონტაქტებს აწარმოებდა არა მხოლოდ ძველ, ავტოკეფალურ ეკლესიებთან, არამედ, შედარებით ახალგაზრდა, ავტონომიურ ეკლესიებთანაც. მათი სიმრავლისა და სადისერტაციო ნაშრომის ლიმიტირებული მოცულობის გამო, გადავწყვიტეთ, ამჯერად აქცენტი მხოლოდ იმ ეკლესიებზე გაგვეკეთებინა, რომლებმაც უაღრესად სერიოზული როლი შეასრულეს ქართული ეკლესიის ისტორიაში. ესენი გახლავთ რუსეთის, კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიები. გარდა ამისა, ხსენებულ ეკლესიებთან ურთიერთობას მოცემულ პერიოდში სხვა დატვირთვაც ჰქონდა. კერძოდ, საქართველოს საპატრიარქოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი და საგარეო ურთიერთობების ძირითადი ორიენტირი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების საერთაშორისო აღიარების საკითხი იყო, რომელიც პირდაპირ გადიოდა ზემოთ ხსენებულ სამ ეკლესიასთან კავშირზე. აქედან გამომდინარე, ნაშრომში ცალ-ცალკე განვიხილავთ თითეული მათგანის მდგომარეობას, მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს, ინტერესებს, საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობას და მის შედეგებს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან საერთაშორისო ასპარეზზე მრავალფეროვან და განვითარებულ სახეს იღებს ეკუმენური მოძრაობა, რომელმაც თავდაპირველად სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის, შემდგომში კი, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები მჭიდროდ

დააკავშირა ერთმანეთთან. პროტესტანტულ წიაღში ჩასახული გლობალური რელიგიური პროცესი მალე დასავლური ბანაკის პოლიტიკურ კურსს დაუკავშირდა, რამაც 60-იანი წლებიდან მის მმართველ ორგანოში - ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში სოციალისტური ბანაკის ეკლესიათა გაწევრიანება გამოიწვია. ცხადია, პროცესის მიღმა ვერ დარჩებოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედი საქართველოს ეკლესიაც და 1962 წელს ისიც საბჭოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. ეკუმენურ საბჭოში (ემს) მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ქართული ეკლესიის კონტაქტების გაღრმავებას და მის დაკავშირებას, არამართლმადიდებლურ და არაქრისტიანულ სამყაროსთან, მათ შორის, ვატიკანთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი ნაშრომის მესამე მიმართულებად საქართველოს ეკლესიის წმინდა საყდართან ურთიერთობა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში საქმიანობა შევარჩიეთ.

კვლევის მეთოდოლოგიის კუთხით, ნაშრომი ეყრდნობა ისტორიულ-ტიპოლოგიური, ისტორიულ-შემეცნებითი, კონტენტ-ანალიზის, შედარებითი, ინდუქციური, დედუქციური, სტრუქტურული და სისტემური კვლევის მეთოდებს.

რაც შეეხება ნაშრომში გამოყენებულ **წყაროებსა და ლიტერატურას,** წყაროებს შემდეგ კატეგორიებად ვყოფთ:

1) გამოუქვეყნებელი საარქივო დოკუმენტები, კერძოდ, საქართველოს ეროვნული არქივის საქართველოს უახლესი ისტორიის არქივში დაცული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის აპარატის არქივის დოკუმენტები.
2) გამოქვეყნებული დოკუმენტები: საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცული დოკუმენტები; მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო ურთიერთობის განყოფილების არქივის დოკუმენტები; ვატიკანის არქივის დოკუმენტები; საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს თავჯდომარის, კ. ხარჩევის ჩანაწერები; საბჭოთა ხელისუფლების მიერ სკკპ ყრილობებზე მიღებული დადგენილებები; ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციები და მასზე წარმოთქმული სიტყვები; საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები; აშშ-ის „ეროვნული უსაფრთხოების არქივის“, აშშ-ის კონგრესის მიერ დაფუძნებული უილსონის ცენტრის არქივის

დოკუმენტები, სადაც ვხვდებით რონალდ რეიგანისა და მიხეილ გორბაჩოვის რეიკიავიკის და მოსკოვის შეხვედრების ჩანაწერებს; მიუნხენის „სამიზდატის“ არქივის დოკუმენტები; კესტონის კოლეჯის არქივის დოკუმენტები; ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს რეზოლუციები, დეკლარაციები და ასამბლეათა ანგარიშები და სხვ.

3) პერიოდული მასალები: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“; რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური ჟურნალი „Журнал Московской патриархии“; საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური გამოცემები: „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „Правда Востока“; საერთაშორისო კათოლიკური ჟურნალი „The Tablet“ და სხვ.
4) ეპოქის თანამედროვეთა ჩანაწერები: მემუარები, ბიოგრაფიები, თხზულებები. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ედუარდ შევარდნაძის მემუარები, სახელწოდებით - „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“; რომის პაპის, იოანე პავლე II-ის ბიოგრაფის, ჯორჯ ვაიგელის მიერ შექმნილი ნაშრომი პონტიფიკოსის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, სახელწოდებით „Witness to Hope: The Biography of Pope John Paul II”; მიხეილ გორბაჩოვის წიგნი „Перестройка и новое мышление для нашей страны и для всего мира“.

რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურას, კვლევის პროცესში გამოყენებული გვაქვს როგორც ქართული, ისე ინგლისური და რუსულენოვანი ნაშრომები: მონოგრაფიები, სტატიები. კვლევის მიმართულებების შესაბამისად, შეგვიძლია დავასახელოთ ძირითადი ნაშრომები.

როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, სადისერტაციო კვლევის პირველ მიმართულებად XX ს-ის 70-80-იანი წლების საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა და მის პირობებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა გვაქვს შერჩეული. თუმცა, ცხადია, გათვალისწინებული გვაქვს ისტორიული წანამძღვრები და მსჯელობას 60-იანი წლებიდან ვიწყებთ. ამ კუთხით, დიდ დახმარებას გვიწევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორის, მიხეილ ქართველიშვილის მონოგრაფია „საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში

მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში“, სადაც სიღრმისეულად არის შესწავლილი ნ. ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდის ძირითადი ტენდენციები, ხელისუფლების სტრატეგია, ღონისძიებები და მისი მახასიათებლები რელიგიურ ინსტიტუტებთან და მორწმუნეებთან ურთიერთობაში; საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა და მისი საჭეთმპყრობლების ფასდაუდებელი ღვაწლი, არსებული რეჟიმის პირობებში, ეკლესიისა და რწმენის გადარჩენისთვის. თუმცა, ნაშრომი 1964 წლის მოვლენებით სრულდება, მისი შემდგომი პერიოდის საბჭოთა ლიდერების რელიგიური პოლიტიკის შესახებ კი სამეცნიერო ნაშრომები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ სინამდვილეში, ფაქტობრივად არ გაგვაჩნია. ამიტომ, დისერტაციაზე მუშაობისას ძირითადად, უცხოელი მკვლევრების ნაშრომებს ვეყრდნობით. მაგალითისთვის, პირველ რიგში, მოვიხმობთ კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ფუნდამენტურ კრებულს, სახელწოდებით „რელიგიური პოლიტიკა საბჭოთა კავშირში“, რომელიც დასავლეთის 15 წამყვანი მეცნიერის ავტორობით არის შესრულებული და მოიცავს საბჭოთა კავშირში რელიგიის ისტორიის სიღრმისეულ ანალიზს, 20-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით. ასევე, კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული, შოტლანდიელი მეცნიერის, წმინდა ანდრიას უნივერსიტეტის პროფესორის, ჯონ ანდერსონის ნაშრომი “რელიგია, სახელმწიფო და პოლიტიკა საბჭოთა კავშირსა და მის მემკვიდრე სახელმწიფოებში“, რომელშიც წარმოდგენილია საბჭოთა კავშირში ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობები სტალინის გარდაცვალებიდან - საბჭოთა იმპერიის დაშლისა და ახლადჩამოყალიბებული პოსტსაბჭოთა სივრცის ჩათვლით. დიდ დახმარებას გვიწევს აგრეთვე, საბჭოთა თითეული ლიდერის რელიგიური პოლიტიკის შესახებ გამოქვეყნებული ისეთი ნაშრომები, როგორებიცაა: ამერიკელი პროფესორების, დავიდ კოვალევსკის “რელიგიური რწმენა ბრეჟნევის ეპოქაში: რენესანსი, წინააღმდეგობა და რეალპოლიტიკა”; ქეროლაინ ბარჩის „რელიგიური პოლიტიკა ანდროპოვისა და ჩერნენკოს დროს“; ჰარვარდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრისა და დიდი ბრიტანეთის თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლის, ოლივერ მაკტერნანის “რელიგია და პერესტროიკა“, ნორვეგიელი პროფესორის, საბრინა პეტრა რამეთის „რელიგიური პოლიტიკა გორბაჩოვის ეპოქაში“ და სხვ. მოცემულ ნაშრომებში დეტალურადაა განხილული

თითოეული მმართველის მიერ რელიგიის სფეროში გატარებული ღონისძიებები, მათი მიზეზები, ძირითადი მახასიათებლები და შედეგები.

საბჭოთა ლიდერების რელიგიური პოლიტიკის შესწავლას მრავალი ნაშრომი აქვს მიძღვნილი თავად რუსულ ისტორიოგრაფიაში. რუს და რუსულენოვან ავტორებთან ვხვდებით ისეთ მნიშვნელოვან შრომებს, როგორებიცაა მაგალითად: ა. გორშკოვას „სახელმწიფო და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია 1940-1990-იან წლებში (მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალის მასალებზე დაყრდნობით)“. ნაშრომში ავტორს მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, დეტალურად აქვს შესწავლილი ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობები, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მაგალითზე. საყურადღებოა, აგრეთვე რუსეთის სახელმწიფო ადმინისტრაციის აკადემიის რელიგიური კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის რელიგიისა და ეკლესიის ისტორიის ცენტრის ხელმძღვანელის, ოლგა ვასილევას ნაშრომი „საბჭოთა პერიოდის სახელმწიფო-ეკლესიის ურთიერთობა“, რომელიც ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიის პერიოდიზაციასთან ერთად, გვთავაზობს თითოეული პერიოდის დახაიათებასა და ანალიზს. განსაკუთრებით საინტერესოა ფილიპ ბობკოვის "კგბ და ხელისუფლება. მეხუთე სამმართველო: პოლიტიკური კონტრდაზვერვა", რომელიც მოგვითხრობს სახელმწიფო უწყებების მნიშვნელოვან როლზე მოცემული პერიოდის დეკლარირებული თუ რეალური პოლიტიკის წარმოებასა და კონტროლში. აღსანიშნავია აგრეთვე, ვ. მიტიპოვის ნაშრომი რელიგიური პოლიტიკის მართვის მთავარი ორგანოს შესახებ „რელიგიის საქმეთა საბჭო - სახელმწიფო-კონფესიური პოლიტიკის გამტარებელი“, სადაც აღწერილია რელიგიის საქმეთა საბჭოს ფუნქცია-მოვალეობები, ძირითადი მისია და როლი საბჭოთა სახელმწიფოში, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა სსრკ-ის ტერიტორიაზე მოქმედი ეკლესიებისა და მორწმუნე ადამიანების ცხოვრებაზე. საბჭოთა პერიოდის რუსეთის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს ლ. ზახაროვსკისა და ს. რაზინკოვის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო „საბჭოთა პერიოდის რუსეთის ისტორია", რომელიც საბჭოთა ლიდერების მმართველობის ფონზე წარმოგვიჩენს ქვეყნის სხვადასხვა სფეროში არსებულ მდგომარეობას.

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიას ეძღვნება ქართველი მეცნიერის, პროფესორ მ. მაცაბერიძის მონოგრაფია „საბჭოთა კავშირი, კომუნისტური ტოტალიტარიზმის აღზევება და დაცემა“, თუმცა, ნაშრომი ძირითადად, ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ანალიზს გვთავაზობს. ხსენებულ სფეროებს ეხება ქართველი მეცნიერის, პროფესორ დ. შველიძის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო „საქართველოს უახლესი ისტორია (1917-2012)“, რომელიც გადმოგვცემს საბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ისტორიას. მასში სიღრმისეულადაა შესწავლილი ადგილობრივი მმართველების მიერ გატარებული ოფიციალური და რეალური კურსი, მისი მოტივები, მთავრობის წინაშე არსებული გამოწვევები და არჩეული სტრატეგიის შედეგები, რაც დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და ფორმირების ძირითადი მიზეზებისა და მახასიათებლების გააზრებაში.

საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის, ქართველ სასულიერო პირთა და მორწმუნეთა მდგომარეობას შეისწავლის პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, ნაშრომებში: „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წწ.)“, „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები“ და სხვ. ნაშრომთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირსებას წარმოადგენს ის, რომ ისინი დაფუძნებულია საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცულ დოკუმენტებზე, რაზეც სამწუხაროდ, ჩვენ ამ ეტაპზე ხელი არ მიგვიწვდება. ს. ვარდოსანიძის მონოგრაფიებში წარმოჩენილია ის სირთულეები და დაბრკოლებები, რასაც საბჭოთა ათეისტური რეჟიმი უქმნიდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. გაშუქებულია აგრეთვე, შიდა საეკლესიო პრობლემები და ხელისუფლების მიერ პროვოცირებული მოვლენები. საგულისხმოა ის, რომ პროფესორ ვარდოსანიძის ნაშრომებში გარკვეული ადგილი უკავია საქართველოს ეკლესიის საგარეო ურთიერთობების განხილვას, რომელიც ძირითადად, საქართველოსა და მსოფლიოს მართლმადიდებლურ თუ არამართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის გაცვლითი ვიზიტების, მიმოწერის და სხვა ღონისძიებების ფონზე არის წარმოჩენილია და

შეფასებულია მათი მნიშვნელობა ქართული ეკლესიისთვის. აღნიშნული, უდავოდ, დიდ დახმარებას გვიწევს, თუმცა, ხსენებულ ავტორთან არ ვხვდებით თითოეული უცხოური ეკლესიის მდგომარეობის, მისი მხრიდან ქართულ ეკლესიასთან ურთიერთობით დაინტერესების მიზეზების, მიზნების და ორმხრივი ნაბიჯების მნიშვნელობის კომპლექსურ შესწავლასა და ანალიზს. ნაშრომებში არ არის განხილული ცივი ომის საერთაშორისო ვითარება და გლობალური პოლიტიკური თუ რელიგიური პროცესების გავლენა მოცემულ ეკლესიათა ურთიერთობებზე. სწორედ ამიტომ, ჩვენს ნაშრომში საჭიროდ მივიჩნიეთ მათი გაშუქება და ანალიზი, ვინაიდან ცივი ომის პოლიტიკურმა ტენდენციებმა დიდი როლი შეასრულეს გლობალური და ლოკალური რელიგიური მოვლენების განვითარებაში, რაც პირდაპირ აისახა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობებზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი სადისერტაციო კვლევის მეორე მიმართულებად არჩეული გვაქვს საქართველოს ეკლესიის ურთიერთობები რუსეთის, კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიებთან. იქიდან გამომდინარე, რომ ამ კონკრეტულ საკითხზე არ არსებობს სიღრმისეული სამეცნიერო გამოკვლევები, მუშაობა ძირითადად, საარქივო წყაროებსა და პერიოდულ მასალაზე დაყრდნობით მოგვიწია. თუმცა, აქვე უნდა ვახსენოთ საქართველო-კონსტანტინეპოლს შორის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე წარმოებული მოლაპარაკებების მონაწილე და თარჯიმანი, პროფესორი თამარ მესხი, რომელმაც მიუძღვნა სტატიები საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი სტატია „ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და აღიარებისათვის – XX ს“, რომელიც 2018 წელს დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალ „ლოგოსში“. ავტორს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს მანამდე უცნობი ბერძნული წყარო, კერძოდ, 1920 წლით დათარიღებული ტრაპიზონის მიტროპოლიტ ქრისანთოსის (1913-1938) მოხსენებითი ბარათი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდის სახელზე, სადაც აღწერილია საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია და დადასტურებულია მისი მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალიის შესახებ კონსტანტინეპოლის ეკლესიის ინფორმირების ფაქტი. ავტოკეფალიის საკითხზე

მიმდინარე მოლაპარაკებების პერიოდში აღნიშნული წყარო უცნობი იყო როგორც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებისთვის, ისე, ქართველი მეცნიერებისთვის. რის გამოც მათ დასჭირდათ მრავალწლიანი მუშაობა სათანადო წყაროების მოძიებისა და შეგროვებისთვის. ხსენებული წყაროს სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა ფარდას ხდის მოლაპარაკების პროცესის მრავალ დეტალს, რაც გვიადვილებს შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბებას.

რაც შეეხება კვლევის მესამე მიმართულებას, რომელიც საქართველოს ეკლესიის ვატიკანთან და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან ურთიერთობის შესწავლას ისახავს მიზნად, უნდა ითქვას ის, რომ „წმინდა საყდართან“ (რომის კათოლიკური ეკლესია) საქართველოს ურთიერთობის ისტორიას მრავალი ნაშრომი აქვს მიძღვნილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. თუმცა, ნაკლებად ვხვდებით საქართველოსა და რომის ეკლესიების ურთიერთობის შემსწავლელ ლიტერატურას. მხოლოდ 2022 წელს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა (კახაბერ სურგულაძე, ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე, ტატიანა კოპალეიშვილი) მიერ გამოცემულ ფუნდამენტურ წიგნში „კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI სს.“ არის განხილული XX ს-ის 70-იანი წლებიდან საქართველოს ეკლესიასა და ვატიკანს შორის ურთიერთობების განახლების მიზნით გადადგმული ნაბიჯების აღწერა. ავტორთა კოლექტივი მიიჩნევს, რომ „წმინდა საყდართან ქართული ეკლესიის გაწყვეტილი კონტაქტების აღდგენის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯები გამოჩნდა 1977 წელს (15.XI), როდესაც სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი დავით V-ის (1972-1977) დაკრძალვას დაესწრო წმ. საყდრის წარმომადგენელი მონსინიორ ნიკოლაი ვირვოლი“ (სურგულაძე და სხვანი... 2022:219). თუმცა, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად სხვა დასკვნამდე მივდივართ. კერძოდ, ურთიერთობების განახლება არა 70-იან წლებში, არამედ გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 60-იან წლებში იწყება, რის შესახებაც დეტალურად ვსაუბრობთ დისერტაციის მესამე თავში. ვატიკანის საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობის კვლევისთვის საჭიროდ მივიჩნიეთ, პირველ რიგში, თავად „წმინდა საყდრის“ აღმოსავლური პოლიტიკის და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესწავლა, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია რომის პაპის, იოანე პავლე II-ის ბიოგრაფის, ჯორჯ ვაიგელის ნამშრომმა „იმედის

მოწმე: პაპ იოანე პავლე II-ის ბიოგრაფია“, სადაც დეტალურად არის გადმოცემული პონტიფიკოსის ცხოვრება და მოღვაწეობა მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. თუმცა, იგი უმთავრესად, წყაროს წარმოადგენს და მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის კათოლიკური სამყაროს ლიდერის ანტიკომუნისტურ მოღვაწეობაზე. რაც შეეხება სამეცნიერო პუბლიკაციებს ამ კუთხით, უნდა აღვნიშნოთ არაგონ პერონეს ნაშრომი „პაპ იოანე პავლე II-ის როლი პოლონეთის კომუნისტური რეჟიმის კოლაფსში: რელიგიური ლიდერის გავლენის შესწავლა საერთაშორისო ურთიერთობებზე“, სადაც დეტალურადაა განხილული პაპის უშუალო მონაწილეობა პოლონეთის ანტიკომუნისტურ მოძრაობაში და მისი როლი სისტემის რღვევაში. საკმაოდ ღირებულია აგრეთვე, რადუ ბორდიანუს („მართლმადიდებელი დამკვირვებლები ვატიკანის მეორე კრებაზე და შიდა-მართლმადიდებლური დინამიკა“) და ევგენია ტოკარევას („ვატიკანი და კათოლიკეები რუსეთში 1920 - 1930 წლებში: კომუნიკაციის პრობლემები“) შრომები, რომლებიც ისტორიულ დინამიკაში გვთავაზობენ ვატიკანისა რუსეთთან (შემდგომში სსრკ-თან) და რუსულ ეკლესიასთან ურთიერთობის ანალიზს, თუმცა, სამწუხაროდ, არც მათთან და არც სხვა მკვლევრებთან არ ვხვდებით წმინდა საყდრის საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობის საკითხის შესწავლის მცდელობებს. საქართველო-ვატიკანის კონტაქტების შესახებ დისკურსი ძირითადად, 90-იანი წლებიდან იწყება. რაც, ვფიქრობთ, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობები მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1992 წელს დამყარდა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საეკლესიო კავშირები და თანამშრომლობა რელიგიურ და სამეცნიერო სფეროში ჯერ კიდევ 70-80-იან წლებში არსებობდა, მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი საგანგებო კვლევას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, დავეყრდენით ძირითადად ჩვენ ხელთ არსებულ წყაროებს და შევეცადეთ, გარკვეულ დონეზე შეგვევსო არსებული დეფიციტი. ამ კუთხით, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი კიდევ ერთ სიახლეს შეიცავს, რაც ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს კვლევების კიდევ უფრო გაღრმავებას.

ვატიკანთან ურთიერთობის გარდა, წინამდებარე ნაშრომში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ეკლესიის მონაწილეობას ეკუმენური მოძრაობის ცენტრალური ორგანოს - ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობაში. ცნობილია, რომ

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მოღვაწეობა XX ს-ის 70-80-იან წლებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული საერთაშორისო პოლიტიკასთან და უფრო კონკრეტულად, დასავლურ კურსთან, რამაც ბუნებრივია, თავისი გავლენა იქონია ეკლესიათაშორის ურთიერთობებზეც. საკითხის საფუძვლიანი და სიღრმისეული ანალიზისთვის ამ მიმართულებით (ისევე, როგორც დისერტაციის ყველა მიმართულების შემთხვევაში) უპირველეს ყოვლისა, მივმართავთ ცივი ომის საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების და მასში რელიგიური ორგანიზაციების როლის განხილვას და შეფასებას. საერთაშორისო პოლიტიკური პროცესებისა და ტენდენციების კრიტიკული ანალიზისთვის, მეტწილად, ვეყრდნობით კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ფუნდამენტურ კრებულს „კემბრიჯის ცივი ომის ისტორია“ (The Cambridge History of the Cold War“) (ძირითადად, მე-2 და მე-3 ნაწილს), სადაც დეტალურადაა გადმოცემული ცივი ომის პირობებში არსებული ბიპოლარული სამყაროს გამოწვევები, კრიზისები დასავლურ და აღმოსავლურ ბანაკებს შორის და მათი გავლენა მსოფლიო საზოგადოების ცხოვრებაზე. რაც შეეხება ეკუმენურ მოძრაობას, მასთან დაკავშირებით მოვიხმობთ ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ წიგნს „ეკუმენური კვლევების ოქსფორდის სახელმძღვანელო“, სადაც სხვადასხვა ავტორთა მიერ გადმოცემულია ეკუმენური მოძრაობის ისტორია და განვითარების ტენდენციები XIX ს-დან - თანამედროვე ეტაპის ჩათვლით. ნაშრომში განხილულია ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობის (მართლმადიდებლობის, კათოლიკობის, ანგლიკანობის, ლუთერანობის და სხვ.) წარმომადგენელთა მოღვაწეობა ეკუმენურ პროცესებში და მოძრაობის საეკლესიო, ქრისტოლოგიური, ლიტურგიკული, სამართლებრივი, მორალური, ეკოლოგიური და სხვა ასპექტები. აგრეთვე, ეკუმენური მოძრაობის მართვის მთავარი ინსტრუმენტების - ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს, „რწმენა და წყობა“, „ორმხრივი დიალოგის“, ეკლესიათა რეგიონალური და ეროვნული საბჭოების, გლობალური ქრისტიანული ფორუმის და სხვათა მუშაობის ძირითადი პრინციპები, მიზნები, ამოცანები და როლი გლობალურ და ადგილობრივ რელიგიურ პროცესებში, რაც უდაოდ, დიდ დამსახურებას უწევს საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს. სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი არის ქართველი მეცნიერი, ვატიკანში საქართველოს ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ეკუმენური

თეოლოგიის პროექტის კოორდინატორი, პროფესორი თამარ გრძელიძე, რომელსაც ერთი თავი აქვს მიძღვნილი მართლმადიდებელთა ეკუმენურ მოძრაობაში მოღვაწეობაზე. ავტორი ეხება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობასაც, თუმცა, ფრაგმენტულად. ეკუმენიზმისა და მის მიმართ მართლმადიდებლური სამყაროს დამოკიდებულების შესახებ ძალიან მნიშვნელოვან წიგნს წარმოადგენს ასევე პროფესორ თ. გრძელიძის რედაქტორობით შედგენილი კრებული, სახელწოდებით „ეკლესიის საზღვრები, მართლმადიდებელი ეკლესია და უკუმენური მოძრაობა“, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სახის წყაროებსა და ისეთი ფიგურების სტატიებს, როგორებიც არიან: პროფესორი ნიკოლოზ ბერდიაევი, პროფესორი ა. კარტაშევი, დეკანოზი სერგი ბულგაკოვი, მღვდელი გიორგი ფლოროვსკი, მიტროპოლიტი ანტონი (ბლუმი), მიტროპოლიტი იოანე (ზიზიულასი), ეპისკოპოსი კალისტე (უეარი) და პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი და სხვანი. კრებულში შესულია აგრეთვე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ცინცაძე) და წმინდა გრიგოლ ფერაძის სიტყვებიც. კრებული გვაძლევს საშუალებას, გავეცნოთ ცნობილ მართლმადიდებელ მოაზროვნეთა მოსაზრებებსა და დამოკიდებულებებს ეკუმენური მოძრაობის მიმართ, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ მართლმადიდებელთა დამოკიდებულება ამ გლობალური მოვლენისადმი არაერთგვაროვანი იყო საწყის პერიოდშიც და თანამედროვე ეტაპზეც, რაც უმთავრესად, პროტესტანტობის წიაღში ჩასახულ მოძრაობასთან საღვთისმეტყველო, ეკლესიოლოგიურ, ლიტურგიკულ და სხვა ასპექტებში არსებული წინააღმდეგობებით იყო გამოწვეული. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში დღემდე არ გვაქვს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მოღვაწეობის კომპლექსური შეფასება და ანალიზი. მიგვაჩნია, რომ საკითხი საგანგებო კვლევას საჭიროებს და არ გამოვრიცხავთ მომავალში მისთვის ცალკე ნაშრომის მიძღვნას, თუმცა, ამ ეტაპზე, ჩვენი სადისერტაციო შრომის ფარგლებში, გადავწყვიტეთ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან თანამშრომლობის, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობების ერთი მიმართულების შესწავლა. აქვე დავძენთ, რომ ჩვენი მიზანი არ არის მისი თეოლოგიური ასპექტების განხილვა, არამედ დარგიდან და ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე,

კრიტიკულად გავაანალიზოთ მისი როლი, გავლენა და შედეგები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით არ არსებობს ნაშრომი, რომელშიც შესწავლილი იქნებოდა XX ს-ის 70-80-იან წლებში საქართველოს ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში საქმიანობა, ჩვენ ძირითადად საარქივო წყაროებს და პრესის მასალას დავეყრდენით.

დისერტაციის შესავლის ფარგლებში, ბუნებრივია, ყველა გამოყენებულ წყაროსა თუ სამეცნიერო ნაშრომს ვერ განვიხილავთ, თუმცა, ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალა თვალსაჩინოს ხდის ნაშრომის წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ბაზას.

პირველი თავი

საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა XX საუკუნის 70-80-იან წლებში

1.1. „დესტალინიზაცია“ და ნიკიტა ხრუშჩოვის „საეკლესიო რეფორმა“

საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის შესწავლას დასავლურ, რუსულ და ქართულ სამეცნიერო სივრცეში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს და თანამედროვე ეტაპზეც განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობს. იქმნება საგანგებო გამოკვლევები, რომლებიც ვ. ლენინის, ი. სტალინის, ნ. ხრუშჩოვის, ლ. ბრეჟნევის, ი.ანდროპოვის, კ. ჩერნენკოს და მ. გორბაჩოვის მმართველობის პერიოდის სახელისუფლებო პოლიტიკის, რელიგიური ინსტიტუტების მდგომარეობის და ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობების შესწავლას ეძღვნება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე, რელიგიურ ორგანიზაციათა როლის კვლევას საბჭოთა კავშირის საგარეო ურთიერთობებში, რამაც თავის მხრივ, დიდი გავლენა მოახდინა ეკლესიათაშორის ურთიერთობებზეც.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა პერიოდის რელიგიური პოლიტიკის შესწავლა, თუმცა, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, საკვლევ საკითხთა ქრონოლოგიური ჩარჩო აქ ძირითადად XX ს-ის 20-60-იანი წლებით განისაზღვრება. ნაკლები ყურადღება ეთმობა და პრაქტიკულად შეუსწავლელია ლეონიდ ბრეჟნევისა და მის პოლიტიკურ მემკვიდრეთა კურსი და განვითარების ტენდენციები. აქედან გამომდინარე, მოცემული თავის მიზანს სწორედ ხსენებულ ლიდერთა რელიგიური პოლიტიკის, მისი მიზეზების, ეტაპების, მახასიათებლებისა და შედეგების კვლევა წარმოადგენს. თუმცა, საკითხის შესწავლისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია, მისი ისტორიული წანამძღვრების მიმოხილვა და გათვალისწინება.

ისტორიულად ცნობილია, რომ XX ს-ის 20-იან წლებში ჩამოყალიბებული საბჭოთა კავშირის მიზანს ახალი საზოგადოების ფორმირება წარმოადგენდა, რომლის მსოფლმხედველობა ათეისტურ ღირებულებებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული და შესაბამისად, რელიგიისგან და მისი გავლენისგან სრულ გათავისუფლებას

მოითხოვდა. თუმცა, აღნიშნული, ბუნებრივია, არ იყო მარტივად მისაღწევი, ვინაიდან რელიგიასთან დაპირისპირება ნიშნავდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი ერების სოციო-კულტურულ მემკვიდრეობასთან ბრძოლას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მყარად იყო ფესვგამდგარი მათ ცნობიერებასა და პრაქტიკაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა სივრცე აერთიანებდა არა მხოლოდ ერთი რელიგიის, არამედ ერთმანეთისგან განსხვავებული სხვადასხვა რელიგიისა (ქრისტიანობა, იუდაიზმი, ისლამი...) და სექტების წარმომადგენლებს და შესაბამისად, რელიგიური პოლიტიკაც სხვადასხვა კატეგორიის სოციუმის მახასიათებლებისა და ყოფითი ცხოვრების გათვალისწინებას და რელევანტური ნაბიჯების გადადგმას საჭიროებდა.

XX ს-ის 20-40-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების რელიგიურ ინსტიტუტებთან და წარმომადგენლებთან ურთიერთობა, გატარებული ღონისძიებები და მისი შედეგები საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ნაშრომთა უმეტესობა ქრისტიანულ ეკლესიასა და მის მიმართულებებს (მართლმადიდებლობა, კათოლიკობა, პროტესტანტობა) ეხება. შესაბამისად, მოცემული სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მასზე არ შევჩერდებით. ჩვენი საკვლევი პერიოდიდან და მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია მისი უშუალო წანამძღვრების, კერძოდ, ნიკიტა ხრუშჩოვის რელიგიური პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლებისა და შედეგების განხილვა, რომელმაც პრაქტიკულად, მოამზადა ნიადაგი 70-80-იანი წლების მოვლენებისთვის. აქვე აღვნიშნავთ იმას, რომ სახელისუფლებო პოლიტიკა სხვადასხვა რელიგიის მიმართ, ცალ-ცალკე, საგანგებო შესწავლას საჭიროებს. ჩვენი კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც ხრუშჩოვის, ისე მის მემკვიდრეთა შემთხვევაში, მთავარ ორიენტირად ქრისტიანულ ეკლესიასთან ურთიერთობა გვაქვს შერჩეული.

ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობა 1953-1964 წლებს მოიცავდა და მისი იდეოლოგიური პოლიტიკის მთავარ მიმართულებას წინამორბედი ხელისუფალის - იოსებ სტალინის პიროვნების კულტთან ბრძოლა, ე.წ. „დესტალინიზაცია“ წარმოადგენდა, რაც სტალინის პოლიტიკური კურსის მნიშვნელოვან ცვლილებას გულისხმობდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

დესტალინიზაცია შეეხო სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სფეროსაც: თუ კი ი. სტალინი გარკვეულ კომპრომისულ სტრატეგიას ირჩევდა მეორე მსოფლიო ომის დროს არსებული საგარეო და საშინაო გამოწვევების პირობებში, ნ. ხრუშჩოვი ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე იწყებს რადიკალურ გარდაქმნებს. ჩვენთვის პირველ რიგში, საყურადღებოა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის 7 ივლისის ე.წ. „საიდუმლო დადგენილება“ „მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დარგში დაშვებული შეცდომებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რის შედეგადაც, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტებს, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტებს დაავალა, ბოლო მოეღოთ ანტირელიგიური მუშაობის ჩაშლისთვის და გაეშალათ სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდა (ქართველიშვილი, 2022:98-101). გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის პროცესში აქტიურად უნდა ჩართულიყო საგანმანათლებლო სისტემა, პრესა და სხვ. ხსენებულ გადაწყვეტილებას 1959 წელს მოჰყვა ახალი, 5 მაისის დადგენილება, რომლის საფუძველზეც დაარსდა ჟურნალი „მეცნიერება და რელიგია“. ჟურნალის ფუნქცია უნდა ყოფილიყო რელიგიის კრიტიკა მეცნიერული ათეიზმის თეორიისა და ისტორიის ფონზე და შესაბამისი სტატიების დაბეჭდვა (ქართველიშვილი, 2022:106-107). ხრუშჩოვის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ათეისტურ სწავლებას. რაც გამოიხატა 1960 წლის 16 თებერვლის სკკპ დადგენილებაში- სასწავლო სახელმძღვანელოს „ათეიზმის საკითხები“ გამოცემის შესახებ. სახელმძღვანელოს საზოგადოებისთვის უნდა განემარტა „რელიგიის წარმოშობა, არსი და სოციალური საფუძვლები; დაპირისპირება მეცნიერულ და რელიგიურ მსოფლმხედველობათა შორის; კომუნისტური და რელიგიური მორალის წინააღმდეგობა“ და სხვა. დადგენილების აღსრულებას ემსახურებოდა 1961 წელს რუსულ ენაზე 2 ნაშრომის (ა. კარლიუკის „Очерки по научному атеизму“ და ავტორთა კოლექტივის „Основы научного атеизма“) გამოცემა, რომელთა ანალოგი ქართულ ენაზე 1964 წელს გამოქვეყნდა, სახელწოდებით - „მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები“. (ქართველიშვილი, 2022:108-109).

ნ. ხრუშჩოვის „საეკლესიო რეფორმა“ მიზნად ისახავდა 20-იანი წლების მდგომარეობის რეანიმირებას და ომამდელი საბჭოთა კანონმდებლობის დაბრუნებას.

ცნობილია, რომ 1943 წლამდე ეკლესია ცხოვრობდა 1929 წლის 8 აპრილის ბრძანებულებით „რელიგიური გაერთიანებების შესახებ“. მართლმადიდებლების მთელი საქმიანობა შემოიფარგლებოდა სამღვდელო პირების მიერ ეკლესიაში ლიტურგიის აღსრულების შესაძლებლობით. სხვა დანარჩენი კი აკრძალული იყო. მხოლოდ 1943 წელს, სტალინის მმართველობის დროს მიენიჭა რუსეთის ეკლესიას იურიდიული პირის სტატუსი. 1945 წლის 22 აგვისტოს და 1946 წლის 28 იანვრის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებებით კი, საეკლესიო ორგანიზაციებს მიენიჭათ იურიდიული პირის შეზღუდული უფლებები.

ომამდელი მდგომარეობის დაბრუნებისთვის საჭირო იყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამ ღონისძიებებს ხელისუფლებამ 1960-61 წლებში მიმართა. მხედველობაში გვაქვს 1960 წლის 13 იანვრის დადგენილება „სამღვდელოების მიერ კულტებთან დაკავშირებული საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევების ლიკვიდაციის ზომების შესახებ“ და 1961 წლის ბრძანება „ეკლესიის საქმიანობაზე კონტროლის გაძლიერების შესახებ“, რის შედეგადაც გაუქმდა ომისა და ომისშემდგომ პერიოდში მიღებული ყველა დოკუმენტი. დადგენილებების პარალელურად. ნ. ხრუშჩოვი იწყებს რეპრესიული ზომების გატარებას რელიგიური ინსტიტუტებისა და მორწმუნე საზოგადოების მისამართით. 1958-1964 წლებში დახურეს 4 000-ზე მეტი მართლმადიდებლური ეკლესია. ეკლესია-მონასტრებთან ერთად, დაიხურა სასულიერო სასწავლებლებიც, რაც ცხადია, სასულიერო კადრების მომზადების შეფერხებას ისახავდა მიზნად. იმ დროისათვის ქვეყანაში 8 სასულიერო სემინარია და 2 აკადემია მოქმედებდა. ხრუშჩოვის ადმინისტრაციული ზომების შედეგად კი დარჩა მხოლოდ 3 სემინარია და 2 აკადემია. 1961 წლის დაინერგა ეკლესიაში ყველა მართლმადიდებლური საიდუმლოს (ნათლობა, ჯვრისწერა და ა.შ) აღრიცხვა და კონტროლი; აიკრძალა საეკლესიო ზარების რეკვა; გაიზარდა გადასახადი საეკლესიო მიწებზე, მათ შორის მონასტრების სასაფლაოებზე. სანთლების დამზადებაზე. რელიგიური წიგნები გაქრა ბიბლიოთეკებიდან. ხელისუფლება ცდილობდა, ხელი შეეშალა მორწმუნეებითვის წმინდა ადგილების მოლოცვაში. სიწმინდეების ადგილას და მათ გვერდით მოაწყვეს საღორეები და ნაგავთსაყრელები. (Дымарский, 2012). სასულიერო პირებს (განსაკუთრებით, ბერებს) ამწესებდნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში (Тихомиров, 2018).

მოცემული პერიოდის სამარცხვინო ფაქტად ითვლება ე.წ. „ფორთოხლის გარიგება“ - 1964 წლის ოქტომბერში ისრაელის ხელისუფლებასთან გაფორმებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ნ. ხრუშჩოვის ხელისუფლებამ წმინდა მიწაზე რუსეთის სასულიერო მისიის ქონება 4 ნახევარი მილიონი დოლარის სანაცვლოდ მიჰყიდა ისრაელის სახელმწიფოს. აღნიშნული თანხა კი, ტრიკოტაჟისა და სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების ფონდში გადარიცხა. (პავლიაშვილი, 2009:365- 366).

როგორც ვხედავთ, ხრუშჩოვის პოლიტიკური კურსი ცალსახად ანტირელიგიური, აგრესიული და რეპრესიულია, რასაც შედეგად მოჰყვა ეკლესიის, როგორც რელიგიური ინსტიტუტის მნიშვნელოვნად დასუსტება, სასულიერო პირებისა და მრევლის შემცირება, მორწმუნეთა და იმ პირთა დაშინება, რომლებიც რელიგიური ცხოვრებით არ ცხოვრობდნენ, მაგრამ არც ათეისტები იყვნენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მან ვერ შეძლო ვერც ეკლესიის სრული ლიკვიდაცია და ვერც რელიგიის აღმოფხვრა საზოგადოების ცნობიერებიდან.

ნიშანდობლივია ის, რომ ნ. ხრუშჩოვის რელიგიურ პოლიტიკას ჰქონდა ერთი საინტერესო მახასიათებელი. სსრკ-ის ფარგლებში მკაცრი დევნა-შევიწროვების მიუხედავად, ის არ ზღუდავდა რელიგიურ ინსტიტუტებსა და მათ წარმომადგენლებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობაში. უფრო მეტიც, თავად იყო ამ საქმიანობის დამკვეთი. აღნიშნულს, ცხადია, თავისი მიზეზები ჰქონდა. კერძოდ, ცივი ომის საერთაშორისო ვითარება და საბჭოთა კავშირის შელახული იმიჯი, რაშიც უდიდესი როლი შეასრულა „კარიბის კრიზისმა“. დასავლური ბანაკი, სსრკ-თან დაპირისპირების პირობებში, ოპონენტის ერთ-ერთ მაკომპრემეტირებელ იარაღად სწორედ რელიგიური თავისუფლების საკითხს იყენებდა, რის შესახებაც იგი თითქმის ყოველთვის კარგად იყო ინფორმირებული. შესაბამისად, ნ. ხრუშჩოვის ხელისუფლებას სჭირდებოდა მხარდამჭერი ძალა რელიგიური სპექტრიდან, რომელიც დაეხმარებოდა მას არსებული გამოწვევის დაძლევაში. სწორედ ამ მიზნით, 1961-1962 წლებში სოციალისტური ბანაკის ეკლესიები იძულებით წევრიანდებიან ეკუმენური მოძრაობის მთავარ ორგანიზაციაში - ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში,

სადაც მათ უნდა ეზრუნათ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დაცვასა და დასავლეთის კომპრომატების გაუვნებელყოფაზე. (ქართველიშვილი, 2022:195-196).

ნ. ხრუშჩოვის ხელისუფლების მცდელობამ, საბჭოთა კავშირი საერთაშორისო საზოგადოების თვალში დემოკრატიულ სახელმწიფოდ წარმოეჩინა, მისთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. პირიქით, მან მომდევნო ხელისუფალს დაუტოვა საკმაოდ რთული პოლიტიკური მემკვიდრეობა - საშინაო და საგარეო კრიზისში მყოფი სახელმწიფო, რომელიც რეაბილიტაციას საჭიროებდა.

ვფიქრობთ, ეს ისტორიული ექსკურსი ცხადჰყოფს ჩვენი საკვლევი პერიოდისთვის არსებულ მდგომარეობას და ძირითად ტენდენციებს ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სფეროში. აღნიშნული გვეხმარება, დავინახოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი 70-80-იან წლებში განვითარებულ მოვლენებთან და შევძლოთ მათი კომპლექსური ანალიზი და შეფასება.

1.2. ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის ორმაგი რელიგიური სტანდარტი. ჰელსინკის დეკალოგი

1964 წლიდან ხელისუფლებაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შედეგად, ნ. ხრუშჩოვი სკკპ ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობაზე ლეონიდ ბრეჟნევმა ჩაანაცვლა. რუსულ ისტორიოგრაფიაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ბრეჟნევის „უძრაობის“ ხანა, წარმოადგენდა ერთგვარი სტაბილურობის პერიოდს და გარკვეულ დათბობას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობებში. (Сазонов, 2015) რომ ეკლესიამ მიიღო მნიშვნელოვანი თავისუფლება და ათეისტური პროპაგადა პრაქტიკულად არ იგრძნობოდა (Цешковский, 2013). მოსაზრების საფუძვლად იქცა ის ღონისძიებები, რომელთა გატარება ბრეჟნევმა მმართველობის პირველივე წლიდან დაიწყო. კერძოდ, 1964 წლიდან რუსულ პრესაში მცირდება ანტირელიგიური შინაარსის სტატიების რიცხვი; სუსტდება სასულიერო პირების დისკრედიტაციისკენ მიმართული კამპანია, წყდება ეკლესიების მასობრივი დახურვა; მცირდება რელიგიური ნიშნით მოქალაქეთა დაპატიმრება; იწყება მორწმუნე ადამიანების გათავისუფლება ბანაკებიდან და სხვ. (Anderson, 1994/2002: 68; Сазонов, 2015). ახალი ლიდერის კომპრომისული პოზიცია გარკვეული მიზეზებითა და მიზნებით იყო განპირობებული. პირველ რიგში, იმის გაცნობიერებით, რომ წინარმობედი ხელისუფლების ხისტმა მეთოდებმა არასასურველი შედეგი გამოიღო. 1965 წლის აგვისტოში „Комсомольская правда“ აცხადებდა: „დღეს ჩვენ ისევ ვიმშვიდებთ საკუთარ თავს (იმ ფიქრით, რომ) ჩვენს ქვეყანაში ბევრმა მორწმუნემ დატოვა ეკლესია და რელიგია. ეს არის თავის მოტყუება. სიმართლე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დიდ ნაწილში არც ეკლესიებია და არც კულტის მსახურები არიან, მაგრამ მორწმუნეები არიან.... მრევლის შეზღუდვა და დახურვა მორწმუნეებს ათეისტებად არ აქცევს. პირიქით, ის უფრო იზიდავს ადამიანებს რელიგიისკენ და კიდევ უფრო მეტად აძლიერებს მათ გულებს” („Комсомольская правда“, 1965). ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ლ. ბრეჟნევის ხელისუფლება ნათლად ხედავდა ნ. ხრუშჩოვის აგრესიული პოლიტიკის შედეგებს და იაზრებდა, რომ საჭირო იყო

რელიგიურ ორგანიზაციებთან და მორწმუნეებთან ურთიერთობის სტრატეგიის გადასინჯვა, თუმცა, არა ათეისტური იდეოლოგიის უგულებელყოფით, არამედ გაცილებით მოქნილი და დახვეწილი მეთოდების გამოყენებით, რომელთა საშუალებითაც ნაკლებად მტკივნეულად მოხდებოდა საზოგადოების ცნობიერებიდან რელიგიის აღმოფხვრა. არსებობდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც ხელისუფლებას უფრო ჰუმანური, კომპრომისული პოლიტიკისკენ უბიძგებდა. კერძოდ, ცივი ომის პერიოდში დასავლეთის ქვეყნებთან არსებული „დაძაბულობის განმუხტვა“ („Detente”), რომლის მიზანიც ბირთვული საფრთხის თავიდან აცილების გარდა, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის შელახული იმიჯის რეაბილიტაციაც იყო. ამ პროცესში კი მას ყველაზე მეტად რელიგიური ინსტიტუტების მხარდაჭერა სჭირდებოდა, ვინაიდან დასავლეთი (აშშ, ევროპა) სსრკ-ის რელიგიური ორგანიზაციების მდგომარეობას კარგად იყენებდა მეტოქის მაკომპრომეტირებელ საშუალებად.

ჩატარებული კვლევის შედეგად, ლ. ბრეჟნევის რელიგიურ პოლიტიკას, პირობითად 2 ეტაპად ვყოფთ:

ა) XX ს-ის 60-იანი წლების II ნახევრიდან - 70-იანი წლების II ნახევრამდე,

ბ) XX ს-ის 70-იანი წლების II ნახევრიდან - 1982 წლამდე.

როგორც აღვნიშნეთ, ბრეჟნევის ხელისუფლება მმართველობის პირველ ეტაპზე იწყებს ნ. ხრუშჩოვის კურსის გადაფასებას. ჟურნალ „Наука и религия“ - ში ქვეყნდება მისი პოლიტიკისა და რეპრესიული ტაქტიკის მგმობელი სტატიები; 1965 წლის ოქტომბრიდან დარეგიტრირების შესაძლებლობა მიეცათ იმ რელიგიურ თემებს, ვინც რელიგიის შესახებ საბჭოთა კანონმდებლობით განსაზღვრული წესებისადმი მორჩილების მზადყოფნას გამოთქვამდა; შესუსტდა ანტირელიგიური პროპაგანდა; ეკლესიებს მიეცათ ტრადიციული ფუნქციების (ჯვრისწერა, ნათლობა...) შედარებით თავისუფლად აღსრულების შესაძლებლობა (Childers, 2012:73-74). ცვლილებები მიზნად ისახავდა რელიგიური თემებისა და ორგანიზაციების მიმართ ხელისუფლების ჯანსაღი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულების წარმოჩენას, თუმცა, მას მხოლოდ ფასადური სახე ჰქონდა, ვინაიდან გატარებული ღონისძიებების პარალელურად, ჩამოყალიბდა კულტების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის

დაცვის მაკონტროლებელი კომისიები, რომლებსაც სხვადასხვა ტერიტორიაზე რელიგიური ცხოვრების შესწავლა და სასულიერო პირთა საქმიანობის შემოწმება დაევალათ (Цешковский, 2013). ეკლესიებისთვის რიტუალების ჩატარების შესაძლებლობის მიცემის პარალელურად, დაინერგა ალტერნატიული (მაგ. შრომასთან დაკავშირებული) ღონისძიებები, რომლებსაც მოქალაქეთა ყოფასა და ცნობიერებაში უნდა ჩაენაცვლებინა რელიგიური ტრადიციები. საერო და სამღვდელო პირთა პატიმრობიდან გათავისუფლებასთან ერთად, კვლავ გაგრძელდა მორწმუნეთა ჩაგვრა ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა დონეზე, დისკრიმინაცია სამსახურში მიღებაზე, შეზღუდვა საკუთარი მრწამსის ღიად გამოხატვაზე და სხვ. (Сазонов, 2015:47). 60-იანი წლების შუა პერიოდში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო და რელიგიურ საქმეთა საბჭო გაერთიანდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა საბჭოში. უკრაინელი მკვლევრისა და სასულიერო მოღვაწის, მღვდელ ვიქტორ ცეშკოვსკის შეფასებით, ამით „ფაქტობრივად, რუსეთის ეკლესია ხელისუფლების სრული კონტროლის ქვეშ მოექცა“ (Цешковский, 2013).

ეკლესიასთან და მორწმუნე ადამიანებთან ურთიერთობის ბრეჟნევისეული მოდელის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მახასიათებელს წარმოადგენს ე.წ. „დაყავი და იბატონეს“ პრინციპი, რომელიც საერო და სასულიერო პირთა დიფერენცირებას, მათ ურთიერთდაპირისპირებას და შედეგად, ეკლესიის ინსტიტუტის შიგნიდან გატეხას ისახავდა მიზნად. ასე, მაგალითად: მორწმუნე ადამიანებს ჰყოფდნენ ნორმალურ მორწმუნეებად (უმრავლესობა) და „რელიგიურ ფანატიკოსებად“ (იგულისხმებიან ათეისტურ ხელისუფლებასთან შეურიგებელი პოზიციის მქონე ადამიანები), რომლებიც „ცუდ რეპუტაციას უქმნიდნენ“ პირველ კატეგორიას (Childers, 2012:73-74). რაც შეეხება სასულიერო პირებს, მათ ძირითადად, 3 კატეგორიად მოიაზრებდნენ: 1) კონფორმისტი სასულიერო პირები, რომლებიც მინიმუმს აკეთებდნენ რწმენის გაზრდისთვის, მაგრამ ყოველთვის მზადყოფნას აცხადებდნენ ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ საბჭოთა კავშირის ინტერესების დაცვისთვის, 2) „მეამბოხე“ და მიუღებელი სასულიერო პირები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ამ ყველაფერს და 3) „ერთგული“ სამღვდელო პირები, რომლებიც შემოიფარგლებოდნენ რეგისტრირებულ შენობაში

ღვთისმსახურებით და უარს ამბობდნენ ბრძოლაზე. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა ამ უკანასკნელთა პრივილეგირებისთვის, რათა ფართო საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, როგორ შეეძლოთ „რელიგიური თავისუფლების“ გარანტიის მიღება „ერთგულ საბჭოთა მოქალაქეებს“ (Walters, 1993/2005:25). ნათელია, რომ კონფორმისტების მხარდაჭერით, საბჭოთა მმართველი ოპოზიციურად განწყობილი ძალების დასუსტებას, მათ დაპირისპირებას, საზოგადოებაში კი ეკლესიისადმი ნდობის დაკარგვას იმედოვნებდა, რომლის ლოგიკური შედეგიც რწმენის აღმოფხვრა და რელიგიის კრახი უნდა ყოფილიყო (ბოკელავაძე, 2022:109).

ბრეჟნევის ადმინისტრაცია, დასახული მიზნების მიღწევაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ათეისტურ განათლებას. ამ კუთხით, მთავრობა 1966 წლიდან იწყებს ჟურნალ „მეცნიერული ათეიზმის საკითხების“ („Вопросы научного атеизма“) გამოცემას. (Childers, 2012:73-74). ლექციების ჩატარებას ათეიზმის საკითხებზე (Цешковский, 2013). თუმცა, 70-იანი წლების პირველ ნახევარში უკვე ცხადი ხდება მისი „დუალისტური“ კურსის წარუმატებლობაც. რელიგია არა თუ აღმოიფხვრა მოსახლეობის ცნობიერებიდან, არამედ პირიქით, კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა მას. აღნიშნულის დასტურია მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა ქრისტიანულ რიტუალებში (მაგ. ნათლობა, ჯვრისწერა). განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის დაინტერესება რელიგიური მოძღვრებითა და ცხოვრების წესით (Kowalewski,1980:282). ვფიქრობთ, სწორედ აღნიშნულით იყო განპირობებული ის, რომ პარტიის XXIV-ე ყრილობამ კომუნისტური იდეალების, მარქსისტული მსოფლმხედველობითა და სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის აუცილებლად მიიჩნია წარსულის „მავნე გადმონაშთების“, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ შეუნელებელი, უკომპრომისო ბრძოლა. (კაკაბაძე, 1974:15-16). როგორც ჩანს, 1974 წლისათვის საბჭოთა ხელისუფლება აცნობიერებდა არჩეული სტრატეგიის წარუმატებლობას, საზოგადოებაზე კომუნისტური იდეოლოგიის გავლენის შესუსტებას და გადამჭრელი ზომების მიღების აუცილებლობას.

კომუნისტური იდეალებითა და მარქსისტული მსოფლმხედველობით საზოგადოების აღზრდის გზაზე ერთ-ერთ მთავარ წინაღობად ხელისუფლება რელიგიურ და ეროვნულ ტრადიციებს მოიაზრებდა, რომლებიც ღრმად იყო ფესვგამდგარი სსრკ-ის ერებში და ხელს უშლიდა როგორც ათეისტური იდეოლოგიის წარმატებას, ისე ეროვნული თვითშეგნების დაკნინებას და საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, ძველ ადათ-წესებთან ბრძოლა და მათი ახალი, საყოველთაო დღესასწაულებით ჩანაცვლება დაისახა მიზნად. თუმცა, ეს უნდა მომხდარიყო ძველ ადათებზე არა პირდაპირი გალაშქრებით, არამედ პირველ რიგში, მათი მნიშვნელობის აღიარებით, მეცნიერული შესწავლით და მათ მავნებლობაში საზოგადოების დარწმუნების გზით. ხსენებულ საქმეში განსაკუთრებული როლი მიენიჭა ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეროვნული და რელიგიური ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა საბჭოთა კავშირისა თუ რუსეთის ისტორიაში ახალ მოვლენას არ წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ცარისტული რეჟიმის დროს, ხელისუფლება აქტიურად ებრძოდა დაპყრობილი ერების ეროვნული კულტურის ყოველგვარ გამოვლინებას, ვინაიდან იგი ხელს უშლიდა მათი ასიმილაციის პოლიტიკას.

XX ს-ის 70-იანი წლებიდან რუსულმა ხელისუფლებამ კვლავ მიმართა ნაცად სტრატეგიას, ვინაიდან მის წინაშე კვლავ დადგა ეროვნულ იდეოლოგიებთან ბრძოლის საკითხი. მხედველობაში გვაქვს დისიდენტური მოძრაობის გაძლიერება, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკებში ეროვნულ მოძრაობასთან იყო კავშირში და რომელსაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1975 წლის ჰელსინკის შეთანხმებამ. საგულისხმოა ის, რომ დისიდენტები არსებობდნენ როგორც მორწმუნე საერო, ისე სასულიერო წრეებშიც (მართლმადიდებლურში, კათოლიკურში, პროტესტანტულში). ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეოლოგია და რელიგია მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. შესაბამისად, საჭირო იყო ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც საზოგადოებაზე ამ ორი მიმართულებით იმუშავებდა. ასეთ ღონისძიებად კი, ხელისუფლებამ პირველ რიგში, ეროვნულ და რელიგიურ ტრადიციებთან დაპირისპირება მიიჩნია.

სამიზნედ შეირჩა ისეთი წეს-ჩვეულებები, რომელთა ნაწილი მართლაც შეიცავდა ნეგატიურ და საზოგადოებისთვის უსარგებლო ელემენტებს, თუმცა, მათთან ერთად დარტყმის ობიექტი გახდა ისეთი ტრადიციებიც, რომელთაც მორწმუნე საზოგადოებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ასე, მაგალითად: მავნე ტრადიციად მიჩნეულ იქნა ქელეხ-აღაპები, მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი წირვები, ნათლობა, ჯვრისწერა, მზითვი, საქორწილო საჩუქრები და სხვ. წეს-ჩვეულებათა დიდი ნაწილი მოსახლეობისთვის და ქვეყნისთვის ეკონომიკური ზარალის გამომწვევ ფაქტორად დასახელდა და სწორედ ამ არგუმენტით ცდილობდნენ საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას. უნდა განვმარტოთ ის, რომ ჩამოთვლილ ჩვეულებათა ნაწილი მართლაც ატარებდა საზოგადოებისთვის უსარგებლო ხასიათს და მას არაფერი ჰქონდა საერთო საეკლესიო სწავლებასთან. მაგალითად, ქელეხი, რომლის საფუძველია ქრისტიანულ სარწმუნოებაში ოჯახის სურვილით, მიცვალებულის სახელზე მოწყალების გაცემა, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მიცვალებულის სახელზე მოწყალების ან მომზადებული სადილის გაცემით, უპოვართა ან სხვა ადამიანთა დაპურებით. თუმცა, საუკუნეების განმავლობაში, ხალხურ ყოფაში ეს ტრადიცია დაშორდა საეკლესიო სწავლებას და ერთგვარ აუცილებელ ნადიმად გადაიქცა, რაც სერიოზულ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ხსენებული, სხვა ხალხურ (მზითვის, საქორწილო საჩუქრების) წეს-ჩვეულებასთან ერთად, ცხადია, კრიტიკას ვერ უძლებს და საბჭოთა ხელისუფლებას ძლიერი არგუმენტიც ჰქონდა. თუმცა, დაუშვებელია მათ კატეგორიაში ისეთი ტრადიციების გაყვანა, როგორებიცაა ნათლობა, ჯვრისწერა, მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი წირვა და სხვა. ვინაიდან ზემოხსენებული ტრადიციებისგან განსხვავებით, ამ უკანასკნელთ სულიერი დანიშნულება აქვთ. ამ ტრადიციების საფუძველი ბიბლიიდან მოდის და მრავალი საუკუნის განმავლობაში უდიდეს როლს ასრულებდა მორწმუნე ადამიანის ცხოვრებაში. აქვე დავძენთ იმასაც, რომ შესაწირი, რომელიც ჯვრისწერისა თუ საგანგებო წირვის დროს გაიცემა, არის ადამიანთა სურვილზე დამოკიდებული და არა ვალდებულება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რელიგიური ტრადიციები სხვადასხვა ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში ეროვნულ ასპექტებს დაუკავშირდა. მხედველობაში გვაქვს კონკრეტულ წმინდანებთან, ხატებთან, ეკლესია-მონასტრებთან

დაკავშირებული ეროვნული დღესასწაულები და სხვა. შესაბამისად, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ზემოთ განხილულ ტრადიციებთან დაპირისპირება და მათი საყოველთაო, საბჭოური, სახალხო ტრადიციებით ჩანაცვლება რელიგიურ და ეროვნულ მსოფლმხედველობასთან ბრძოლის მექანიზმად მიგვაჩნია.

ტრადიციებთან ბრძოლა ხელისუფლებამ ოფიციალურ დონეზე წარმართა. ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მიღებულ იქნა სპეციალური დადგენილებები, შეიქმნა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომისიები. ბეჭდური ორგანოები (მაგ. კალენდარი-ცნობარი „სახალხო დღესასწაულები და ღირსსახსოვარი დღეები საბჭოთა საქართველოში“) და სხვ. (ნოზაძე, 1988). აშკარა იყო, რა მიზანსაც ემსახურებოდა ტრადიციების წინააღმდეგ გაშლილი კამპანია.

სახელისუფლებო აპარატის მიერ შექმნილი დადგენილებებისა თუ კომისიების გარდა, ტრადიციებთან ბრძოლის მისია დაეკისრათ ეთნოგრაფებსაც. 1979 წელს გამოცემულ ნაშრომში „მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდიკის მიხედვით“, ვახტანგ ჩიქოვანი წერს: „ბოლო დრომღე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება და ინოვაცია ეთნოგრაფთა კომპეტენციაში არ შედიოდა. ამის გამო ეთნოგრაფები მოვლენებს წმინდა ისტორიული თვალსაზრისით განიხილავდნენ. დღეს სრულიად სხვა ვითარება შეიქმნა. ისტორიის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ეთნოგრაფიის წინაშე თანამედროვე საზოგადოებისათვის მიუღებული მოვლენა-ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის პრაქტიკული ამოცანები დაისახა, ამან კი ეთნოგრაფიაში კვლევის ახალი ასპექტებით დაინტერესება გამოიწვია (ჩიქოვანი, 1979:7).

ამგვარად, ნორმატიული აქტებითა თუ მეცნიერებით, ტრადიციებთან ბრძოლა პირდაპირ უკავშირდებოდა ხელისუფლების ანტირელიგიურ და ინტერნაციონალურ პოლიტიკას. ნიშანდობლივია ის, რომ ხსენებული პოლიტიკის განხორციელებაში ხელისუფლების წინაშე რელიგიასთან ერთად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩებოდა საკავშირო რესპუბლიკებში გავრცელებული

ეროვნულ-დისიდენტური მოძრაობაც, რომლის წარმომადგენლებიც ხშირ შემთხვევაში, რელიგიური ორგანიზაციების წევრებიც იყვნენ.

დისიდენტური მოძრაობის გაძლიერება უკავშირდება 1975 წელს საბჭოთა კავშირის მიერ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის, ე.წ. „ჰელსინკის დასკვნით აქტზე“ ხელმოწერას. დოკუმენტის პრინციპებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის“ პრინციპი, რომელიც აქტზე ხელმომწერ მხარეებს ავალდებულებდა ადამიანის პატივისცემას, განურჩევლად რასისა, სქესისა, კანის ფერისა, ენისა და რელიგიისა“ (ლორია...2006). ჰელსინკის შეთანხმების შემდეგ იწყება ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების გააქტიურება, რის გამოც საბჭოთა მთავრობა დიდ სიფრთხილეს იჩენდა რელიგიურ ინსტიტუტებთან და მორწმუნეებთან ურთიერთობაში. არსებული სიტუაციის ზეგავლენით, ლ. ბრეჟნევის ხელისუფლებამ მათ მსოფლიო ასპარეზზე გასვლისა და აქტიური მოღვაწეობის შესაძლებლობა მისცა (ცხადია, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დაცვისთვის) და ამ გზით სცადა ჰელსინკის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების წარმოჩენა (ბოკელავაძე, 2022:111).

იმავე მიზანს ემსახურებოდა 1977 წელს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მე-7 თავიც (52-ე მუხლი), რომელშიც ჩაწერილი იყო შემდეგი: *„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეებს აქვთ სინდისის თავისუფლება, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ აქვთ უფლება, აღიარონ, ან არ აღიარონ ნებისმიერი რელიგია, ჩაატარონ ღვთისმსახურება, ან ათეისტური პროპაგანდა. მტრული დამოკიდებულების წაქეზება, ან სიძულვილი რელიგიურ საფუძველზე, იკრძალება. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან, ხოლო სკოლა - ეკლესიისგან“* (Конституция, 1985:20). მიუხედავად აღნიშნულისა, ეს ჩანაწერი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. პრაქტიკაში ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობა მოქალაქეებს ნაკლებად ჰქონდათ. სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები მკაცრად აკონტროლებდნენ დასახლებებში რელიგიური თემების - სამღვდელო პირებისა და მორწმუნე ადამიანების საქმიანობას; რიტუალებს; ქადაგებებს; ღვთისმსახურებაზე დასწრებას

და ა.შ. (Corley, 1996:277). განახლდა ტაძრების დახურვა, სასულიერო ლიტერატურის შეზღუდვა (Ramet, 1993/2005; Сазонов, 2015).

როგორც ვხედავთ, 70-იანი წლების მეორე ნახევრისთვის კვლავ გრძელდებოდა რელიგიური პოლიტიკის წარმართვა ორმაგი სტანდარტით, რომლის პერსპექტივად ლ. ბრეჟნევის მთავრობა საზოგადოებაში რელიგიური ცხოვრების წესის დათრგუნვას ხედავდა, თუმცა, მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა. ყველა მცდელობის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გაიზარდა ეკლესიისადმი ინტერესი და სწრაფვა, რასაც სხვა მიზეზებთან ერთად, ხელს უწყობდა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ხანგრძლივი ასიმილაციის პოლიტიკის პირობებში, მოსახლეობა სწორედ „ეკლესიაში ხედავდა ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის დამცველსა და შემნარჩუნებელს. გაჩნდა რელიგიური თემატიკის ჟურნალები; მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, სმოლენსკსა და სხვა ქალაქებში ახალგაზრდები იკრიბებოდნენ ე.წ. რელიგიურ–ფილოსოფიურ სემინარებზე, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო რწმენისა და რუსული რელიგიური ფილოსოფიის საკითხებზე. შეიქმნა აგრეთვე ქალთა მართლმადიდებლური ჯგუფები და სხვ. (ბოკელავაძე, 2022:112), თუმცა, მთავრობის წინაშე არსებული გამოწვევები ამით არ შემოიფარგლებოდა. მისთვის საკმაოდ დიდ საფრთხეს მოასწავებდა 1978 წელს რომის პაპის ტახტზე პოლონელი კარდინალის - კაროლ ვოიტილას (იოანე პავლე II) აღსაყდრება.

პოლონეთის კათოლიკური ეკლესია ცნობილი იყო მტკიცე, ანტიკომუნისტური პოზიციებით, რომელიც 1956 წელს კომუნისტურ პარტიასთან გაფორმებული შეთანხმების (რომლის მიხედვითაც იგი აღიარებდა სოციალისტურ რეჟიმს და არ ჩაერეოდა პოლიტიკურ საკითხებში) მიუხედავად, მაინც ესაუბრებოდა მრევლს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემთხვევითად არ მიგვაჩნია 1978 წელს ვატიკანში პოლონეთის ეკლესიის წარმომადგენლის დაწინაურება, რომელიც თავის მხრივ, უპრეცენდენტო მოვლენას წარმოადგენდა, ვინაიდან დაირღვა კანონი, რომლის მიხედვითაც, რომის პაპის ტახტზე ეროვნებით მხოლოდ იტალიელის არჩევა იყო დასაშვები. არ გამოვრიცხავთ ამ პროცესში დასავლეთის, განსაკუთრებით კი, აშშ-ის ზეგავლენასაც. მით უფრო,

რომ საკვლევ პერიოდში, წმინდა პეტრე მოციქულის საყდრის წინამძღოლებს აქტიური კონტაქტები აკავშირებდათ აშშ-ის ხელისუფლებასთან (ამასთან დაკავშირებით ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ).

რომის კათოლიკური ეკლესიის ახლადაღსაყდრებული წინამძღვარი ძალიან სწრაფად იწყებს ბრძოლას, როგორც სლავურ მიწებზე კათოლიციზმის გადარჩენისა და განმტკიცების, ისე, პოლონეთის კომუნისტური რეჟიმისგან გათავისუფლებისთვის. აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ პირველ რიგში, მისი ვიზიტები პოლონეთში. განსაკუთრებით, პირველი ვიზიტი, რომელიც 1979 წლის ივნისში შედგა. 9 დღის განმავლობაში ის ატარებდა ღვთისმსახურებას, საჯარო გამოსვლებს. საყურადღებოა 2 ივნისს მისი გამოსვლა ვარშავაში, გამარჯვების მოედანზე, სადაც მან პოლონელებს "მოუწოდა ეროვნული, რელიგიური ტრადიციების დაცვისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისკენ. მის ქადაგებაზე მოსახლეობა სკანდირებდა სიტყვებით: „ჩვენ გვინდა ღმერთი, ჩვენ გვინდა ღმერთი, გვინდა ღმერთი ოჯახში, გვინდა ღმერთი სკოლებში, გვინდა ღმერთი წიგნებში…" (Burger, 2021). პაპის ბიოგრაფის, ჯორჯ ვაიგელის სიტყვებით, ვიზიტმა წარმოაჩინა გადამწყვეტი ჭეშმარიტება: „პოლონეთი არ იყო კომუნისტური ქვეყანა, ეს იყო კათოლიკე ერი, შემოსილი კომუნისტური სახელმწიფოთი" (Weigel, 2004: 295).

პაპის ვიზიტის დროისთვის, პოლიტიკური კლიმატი პოლონეთში საკმაოდ დაძაბული იყო. სოციალურ და ეკონომიკურ კრიზისს თან ერთვოდა მშრომელთა მძიმე სამუშაო პირობები და კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მზარდი უკმაყოფილება. მუშათა პროტესტის ჩახშობის საფრთხე ნებისმიერ დროს არსებობდა, თუმცა, კომუნისტი ჩინოვნიკები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს პაპის გამოსვლებს და ალბათ ხვდებოდნენ, რომ ახლა საბედისწერო შეცდომა არ უნდა დაეშვათ. აღსანიშნავია ის, რომ პაპმა ისაუბრა შრომით საკითხებზეც (Zagacki, 2001: 692-693). გარდა ამისა, ცნობილია, რომ იგი საჯაროდ იცავდა გაფიცულებს და პოლონეთის ეკლესიას დაავალა, დახმარებოდნენ მათ. (Pleshakov, 2009: 103-107). დიდი გავლენა მოახდინა 10 ივნისს პაპის ვიზიტმა ქალაქ ბოვიეში, რომელმაც მილიონზე მეტი მომლოცველი მიიზიდა. ლენინის სახელობის გემთსაშენ ქარხანაში პონტიფიკოსმა ჩაატარა მესა 1970 წლის გაფიცვის დროს მოკლული ექვსი ათასი

მუშის სახელზე. აღნიშნული იყო უკვე საბჭოთა ტოტალიტარიზმთან ღია დაპირისპირებისა და პოლონური იდენტობის გაძლიერებისთვის ბრძოლის ნიშანი (Perrone, 2012:35).

ვატიკანისა და რომის პაპის, იოანე პავლე II-ის მოღვაწეობის მკვლევრები (ჯონ ბარგერი, ჯორჯ ვაიგელი და სხვ.) პაპის ვიზიტთან კავშირს ხედავენ 1 წლის შემდეგ პოლონეთში პროფკავშირ „სოლიდარობის“ დაარსებაში, რომელიც პოლონელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერად იქცა. ბუნებრივია, მის დაარსებას საფუძვლად ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კრიზისი ედო, თუმცა, ვიზიარებთ რა მეცნიერთა შეფასებას, ვფიქრობთ, რომ პაპის ჩასვლამ პოლონეთში ნამდვილად მისცა ბიძგი კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მოსახლეობის ბრძოლის გადასვლას ახალ, უფრო მასშტაბურ და ორგანიზებულ ეტაპზე. მოსაზრებას ამყარებს მკვლევარ კ. პლეშაკოვის აქცენტიც „სოლიდარობის“ რელიგიურ სიმბოლიკაზე. მისი შენიშვნით, მოძრაობა ორიენტირებული იყო ქრისტიანული ჯვრის, ღვთისმშობლისა და სხვა რელიგიურ სიმბოლოებზე (Pleshakov, 2009: 112). 1981 წელს „სოლიდარობის“ ლიდერი - ლეხ ვალენსა ესტუმრა რომს, შეხვდა პაპს და მიიღო მისი ოფიციალური აღიარება და მხარდაჭერა (Pleshakov, 2009: 112).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ პოლონეთის მოსახლეობის ბრძოლის მხარდაჭერაში ვატიკანი თანამშრომლობდა აშშ-თან. საყოველთაო მშვიდობის საკითხის გარდა, მათი კოლაბორაციის ერთ-ერთ მიმართულებას სწორედ პოლონეთის მდგომარეობისა და მისი ხელისუფლების რესტრუქტურიზაცია წარმოადგენდა (Perrone, 2012:44-45). მათი კავშირი მხედველობიდან არ გამორჩენიათ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უწყებებს. ჯერ კიდევ 1979 წლის 13 ნოემბერს სკკპ ცკ-ის სამდივნომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურს და საგარეო საქმეთა სამინისტროს ევალებოდათ ვატიკანის პოლიტიკის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი წინადადებების წარდგენა (Corley, 1996: 279). გარდა ამისა, ბალტიისპირეთის, უკრაინისა და ბელარუსის კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს დაევალათ კათოლიკური პროპაგანდის საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმა. მასმედიის საშუალებებსა და რელიგიის საქმეთა საბჭოს კი

შესაბამისი საინფორმაციო-პროპაგანდისტური ღონისძიებების გატარება (Corley, 1996:278). დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებდა აგრეთვე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა დაწესებულებების როლზე სოციალისტურ ქვეყნებში რელიგიის გავლენის შესწავლაში (Corley, 1996: 279).

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დადგენილება ვატიკანის გამოწვევაზე საბჭოთა ხელისუფლების პასუხს წარმოადგენდა. მისი შინაარსიდან გამომდინარე კი, შეგვიძლია იგი ლ. ბრეჟნევის მთავრობის რელიგიური პოლიტიკის ახალი ეტაპის დასაწყისად მივიჩნიოთ.

საბჭოთა ხელისუფლების რეაგირება ვატიკანის პოლიტიკაზე მხოლოდ ხსენებული დოკუმენტის მიღებით არ ამოწურულა. 1982 წელს პოლონეთის კომუნისტურმა მთავრობამ მოაწყო რეპრესიები „სოლიდარობის“ წევრების მიმართ. დააკავეს მისი 6000 წარმომადგენელი, ხოლო უშუალოდ მოძრაობა „სოლიდარობა“ აკრძალეს (Perrone, 2012 : 39). თუმცა, საბჭოთა ხელისუფლებისთვის პოლონეთისა და ვატიკან-აშშ-ის ალიანსის გარდა, საფრთხეს კიდევ სხვა გარემოება წარმოადგენდა. ბრიტანელი პროფესორი, ჯონ ანდერსონი ბრეჟნევის პოლიტიკის რადიკალიზაციას კიდევ ერთ ფაქტს უკავშირებს. კერძოდ, 1979 წელს ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვებას. მართალია, რევოლუცია სსრკ-ში არ მომხდარა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მასაც ჰყავდა მუსლიმი მოსახლეობა, საზღვრებთან ახლოს ისლამური ძალების მსგავსი წარმატება, სერიოზულ რისკებს ქმნიდა.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ფაქტების საფუძველზე, 70-იანი წლების მიწურულიდან იწყება ლ. ბრეჟნევის კურსის რადიკალური ტრანსფორმაცია. „დუალისტურ“ სტრატეგიას ღია, რეპრესიული პოლიტიკა ცვლის, რომელიც 1978-1979 წლებში რელიგიური თემების წარმომადგენელთა მასობრივი დაპატიმრებითა და ბანაკებში გამოკეტვით გამოვლინდა (Walters, 1993/2005:26-27). უოლტერსის ცნობით, 80-იანი წლების დასაწყისში სსრკ-ში მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესიების რაოდენობა პრაქტიკულად იგივე იყო, რაც 1964 წელს ხრუშჩოვის გადაყენების დროს. ციხეებსა და შრომით ბანაკებში გამოკეტილ მორწმუნეთა რიცხვი კი, 1979 წლიდან - 1985 წლამდე 180-დან - 411-მდე გაიზარდა. (Walters, 1993/2005: 26-27).

სსრკ-ის რელიგიური და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მდგომარეობა მხედველობიდან არ გამორჩენიათ დასავლეთის ქვეყნებს. 80-იანი წლების დამდეგს, საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიულ რელიგიურ პოლიტიკას დასავლეთის მხრიდან საერთაშორისო მასშტაბის რეაგირება მოჰყვა. ჩვენს ყურადღებას იქცევს 1981 წელს გაეროს მიერ მიღებული დეკლარაცია „რელიგიის ან რწმენის ნიშნით შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შეახსენებდა მასთან თანამშრომლობის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემისა და დაცვის სფეროში და აღნიშნავდა, რომ გაერო „შეშფოთებულია შეუწყნარებლობის ფაქტების გამოვლინებითა და მსოფლიოს ზოგიერთ კუთხეში ჯერ კიდევ რელიგიის თუ რწმენის საკითხებში დისკრიმინაციის არსებობით, მზადაა, რელიგიისა თუ რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის აღსაკვეთად და მასთან საბრძოლველად ყველა აუცილებელი ზომის მისაღებად და ამგვარი შეუწყნარებლობის ყველა ფორმისა და გამოვლინების სასწრაფოდ აღმოსაფხვრელად“ (რელიგია და სამართალი, 2015: 8-9).

როგორც ვხედავთ, გაეროს 1981 წლის დეკლარაცია იყო პირდაპირი პასუხი სსრკ-ის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებში რელიგიისა და ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ. დეკლარაცია საბჭოთა კავშირს, როგორც გაეროს წევრ სახელმწიფოს, ავალდებულებდა არსებული პოლიტიკის შეცვლას და მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას, რაც საბჭოთა სისტემის ოფიციალურ იდეოლოგიასთან და პრინციპებთან აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდიოდა. თუმცა, „ცივი ომის“ პირობებში, საბჭოთა სახელმწიფოს არ შეეძლო დასავლეთისგან მომავალი ნოტის სრული უგულებელყოფა. აღნიშნულით იყო განპირობებული ის, რომ ბრეჟნევის ხელისუფლება ერთი მხრივ, რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელთა საერთაშორისო ასპარეზზე გასვლით, ცდილობდა, მსოფლიო საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, რომ იგი არ ზღუდავდა და ხელს უწყობდა რელიგიურ პირთა მონაწილეობას გლობალური მასშტაბის პროცესებში (საერთაშორისო საეკლესიო თუ სამშვიდობო კონფერენციები, რელიგიურ პირთა ვიზიტები სხვადასხვა სახელმწიფოს რელიგიურ და სახელისუფლებო პირებთან და ა.შ), ხოლო მეორე მხრივ, ცდილობდა, არ გადაეხვია

საბჭოთა სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპებისგან და მიმდინარე მოვლენების ფონზე, შეენარჩუნებინა რელიგიის სფეროზე კონტროლი.

ამგვარად, ლ. ბრეჟნევის რელიგიური პოლიტიკა მმართველობის დასასრულს, მისი წინამორბედის პოლიტიკის გაგრძელებად იქცა. ჩვენი კვლევის შედეგები ცხადჰყოფს მისი სტაბილურობის შესახებ რუსულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრების შეუსაბამობას ისტორიულ რეალობასთან. რელიგიურ ორგანიზაციებთან და მორწმუნეებთან ურთიერთობის ფრთხილი, მოზომილი სტრატეგია იმ ზომებით ჩანაცვლდა, რის წინააღმდეგაც თავად ილაშქრებდა მმართველობის დასაწყისში. აღნიშნული თითქოს ცდება რაციონალური გადაწყვეტილების საზღვრებს, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მისი ხელისუფლება ირაციონალიზმით ხასიათდებოდა, გასათვალისწინებელია ის გარემოებები, რამაც მთავრობას რეპრესიებისკენ უბიძგა. იმპერიაში არსებული დისიდენტური მოძრაობის, რელიგიური ძალების გაქტიურებისა და საგარეო საფრთხეების პირობებში, იგი სერიოზული დილემის წინაშე დადგა. შექმნილ სიტუაციაში რაციონალური გამოსავალი ალბათ ეკლესიასთან და მორწმუნეებთან დამოკიდებულებაში სახელმწიფო პოლიტიკისა და იდეოლოგიის ცვლილება და მათთან რეალური შერიგება იქნებოდა, თუმცა, ლ. ბრეჟნევი ამ ნაბიჯს ვერ გადადგამდა იმ უმთავრესი ფაქტორის გამო, რომ ეკლესიასთან შერიგება და მასთან ჯანსაღი თანამშრომლობა ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის ათეისტური იდეოლოგიის პრინციპებს და შეიძლებოდა სწორედ ეს გამხდარიყო მისი ძალაუფლების აღსასრულის მიზეზი. აქედან გამომდინარე, მმართველმა სახელმწიფოში უკვე აპრობირებულ მეთოდს მიმართა, რის შედეგადაც სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები კვლავ ჩიხში შეიყვანა.

1.3. იური ანდროპოვის რელიგიური პოლიტიკა (1982-1984 წწ.)

1982 წლის ნოემბერში, ლეონიდ ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობა დაიკავა КГБ-ს ყოფილმა ხელმძღვანელმა - იური ანდროპოვმა, (მაცაბერიძე, 2023:388). რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, მისი ხელისუფლების სათავეში მოსვლა რას მოასწავებდა საბჭოთა სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის.

უნდა აღინიშნოს ის. რომ მმართველობის დასაწყისში ანდროპოვს სახელმწიფოში საკმაოდ რთული ვითარება დახვდა. სხვა სფეროებთან ერთად, სისტემა განიცდიდა მწვავე იდეოლოგიურ კრიზისს. რუსი მკვლევრების, ზახაროვსკისა და რაზინკოვის შეფასებით, „იდეოლოგია პრაქტიკულად მკვდარი იყო, მის ჯანსაღ ელემენტებსაც კი მასობრივი ცნობიერება უნდობლობით აღიქვამდა... ანდროპოვის ცნობილი სიტყვები „ჩვენ არ ვიცნობთ საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ“ გვიჩვენებს, რომ ოფიციალური იდეოლოგიის ტოტალური გამიჯვნა რეალური ცხოვრებისგან, სრულად გააცნობიერა მან, ყველაზე ინფორმირებულმა იმდროინდელ ლიდერთა მთელი ჯგუფიდან, სსრკ კგბ-ს მრავალწლიანმა თავმჯდომარემ (1967–1982)“ (Захаровский., Разинков 2019: 174-173). სახელმწიფო ლიდერი ახალი რეალობის შესაქმნელად საჭირო სტრატეგიად ძალების სრულ მობილიზებას, კონტროლისა და დისციპლინის გამკაცრებას და მნიშვნელოვან ცვლილებებს მოიაზრებდა. აშკარა იყო მოსალოდნელი რეპრესიებიც. ცვლილებები პირველ რიგში, სწორედ სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს შეეხო. ასე, მაგ: ანდროპოვი იწყებს ანტიკორუფციულ ბრძოლას; ფართომასშტაბურ კამპანიას შრომის დისციპლინის გასაძლიერებლად. უკვე 1983 წლის 7 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა შრომისა და წარმოების დისციპლინის განმტკიცების შესახებ. შრომის წესების დარღვევისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობით ისჯებოდნენ პირები, ხოლო კორუფციაში ბრალდებულებს ხვრეტდნენ. (Захаровский, Разинков 2019:176-177). ეკონომიკის გარდა, მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წამოადგენდა აგრეთვე, სამოქალაქო-პოლიტიკური სფერო და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა, მის მმართველობას უკავშირდება აქტიური ბრძოლა

დისიდენტების წინააღმდეგ (მაგ. სოლჟენიცინისა და სახაროვის გადასახლებისა და დაკავების გახმაურებული ფაქტები).

უაღრესად საინტერესოა ანდროპოვის დამოკიდებულება რელიგიური სფეროს წარმომადგენლების, ორგანიზაციებისა და ზოგადად, რელიგიების მიმართ. მისი შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგებს პირობითად, შემდეგ მიმართულებებად ვყოფთ:

ა) ი. ანდროპოვის ოფიციალური კურსის ძირითადი ასპექტები და მისი კავშირი ლ. ბრეჟნევის სახელისუფლებო კურსთან;

ბ) სახელისუფლებო ორგანოების როლი სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განხორციელებაში;

გ) რელიგიასთან ურთიერთობის სეგრეგაციული მოდელი და დენომინაციათა დიფერენცირება პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ნიშნით;

დ) ხელისუფლების დუალისტური სტრატეგია საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრალური - რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი და ე.წ. „თაფლაკვერისა და მათრახის“ პოლიტიკა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა) ი. ანდროპოვის ოფიციალური რელიგიური კურსის ძირითადი ასპექტები და მისი კავშირი ლ. ბრეჟნევის სახელისუფლებო კურსთან

საბჭოთა სახელმწიფოს ცნობილი ჩინოვნიკი, ფ.დ. ბობკოვი, (1980-იან წლებში სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სსრკ კგბ-ს მეხუთე სამმართველოს ხელმძღვანელი) თავის მოგონებებში წერს, რომ მხოლოდ იური ანდროპოვმა დაიწყო იმის გაცნობიერება, რომ რელიგიისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება ქვეყნისთვის საზიანო იყო. 1981 წელს ფ.დ. ბობკოვი სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოების ხელმძღვანელობის გაერთიანებულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნავდა: „ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა დავაყენოთ საკითხი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ქვეყნის ხელმძღვანელობის წინაშე, რელიგიასთან

და მორწმუნეებთან ურთიერთობაში პოლიტიკური ხაზის შემუშავებისა და მისი რეალიზაციის მექანიზმის შესახებ. ამ საკითხში ჩვენი სახელმწიფო ძველი კანონებით ცხოვრობს. ჩვენ აღარ უნდა მოვექცეთ მორწმუნეებს, როგორც მეორეხარისხოვან მოქალაქეებს. ქვეყანაში მილიონობით მორწმუნეა. ისინი მუშაობენ კომუნისტური შრომის ბრიგადებში, ბევრი კომუნისტური შრომის მოწინავე მუშაკია და განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს და ისინი, ვინც ახლა ფიქრობენ ჩვენთან დივერსიული მიზნებისთვის გამოგზავნილ ემისრებზე, ან იმავე ტიპის სახლში აღზრდილ საეკლესიო პირებზე, უფრო ფართო მასშტაბით უნდა მიუდგნენ საკითხს. მათი იდენტიფიცირება ეკლესიასთან, ზოგადად რელიგიასთან არ შეიძლება. ჩვენს ქვეყანაში განადგურდა ტაძრები, რელიგიური კულტურის ძეგლები და როგორ გვიპასუხა ეკლესიამ? მის მსახურთა უმეტესობამ, რომელიც ტკივილით უყურებდა ამას, მიუხედავად ამისა, მხარი დაუჭირა ჩვენს სახელმწიფოს, განსაკუთრებით ომის დროს. მათ აღიქვეს ეს, როგორც დიდი სამამულო ომი, არ წავიდნენ სახელმწიფოსთან კონფრონტაციაზე და მასთან თანამშრომლობის გზები იპოვეს. ჩვენ რადიკალურად უნდა შევცვალოთ დამოკიდებულება ეკლესიისა და მორწმუნეების მიმართ“(Бобков, 1995:356-357; Митыпов, 2013:117-120). მაგრამ ამ წინადადებას, როგორც ბაბკოვი წერს, პარტიის ხელმძღვანელობამ არ დაუჭირა მხარი, არც ცენტრში და არც ცალკეულ რესპუბლიკებში. კონფესიური პოლიტიკა 1980-იანი წლების შუა ხანებამდე. განხორციელდა წინა დირექტივების აქცენტით. რას ითვალისწინებდა წინა დირექტივების კურსი?

პირველ რიგში, რელიგიებთან პირდაპირი დაპირისპირებისა და რეპრესიული მეთოდების ნაცვლად, მათთან თანამშრომლობას და ფასადურ „დემოკრატიას“. პარალელურ რეჟიმში კი, რელიგიური ორგანიზაციებისა და სასულიერო პირების აქტიურ კონტროლს; **მეორე** - ანტირელიგიური პროპაგანდის ნაცვლად, ათეისტური განათლების გაძლიერებას და ხარისხის ამაღლებას. **მესამე** - სსრკ-ს რელიგიური ორგანიზაციების ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გასვლისა და მოღვაწეობის ხელშეწყობას, ცხადია საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ინტერესების გატარების მიზნით; **მეოთხე** - დენომინაციათა, სასულიერო პირთა და მორწმუნეთა სეგრეგაციას და „დაყავი და იბატონე“-ს პრინციპით მოქმედებას როგორც სხვადასხვა რელიგიასთან, ისე სსრკ-ს მთავარ - რუსულ მართლმადიდებლურ

ეკლესიასთან ურთიერთობაში. ყოველივე ჩამოთვლილი წარმოადგენს იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც ანდროპოვის რელიგიურ პოლიტიკას ლ. ბრეჟნევის ხელისუფლებასთან აკავშირებდა.

როგორც აღვნიშნეთ, ი. ანდროპოვი ირჩევს რელიგიასთან ფასადური თანამშრომლობის კურსს, მცირდება ღია ანტირელიგიური პროპაგანდა და სანაცვლოდ, იზრდება ათეისტური განათლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა. ამ პროცესში, ის ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1981 წლის 22 სექტემბრის საიდუმლო დადგენილებით -„ათეისტური განათლების განმტკიცების შესახებ“, რომელშიც ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო არსებული რელიგიური საზოგადოებების ახალ თვისობრივ ანგარიშზე. იქმნება რელიგიური თემებისა და ორგანიზაციების საქმიანობაზე ზედამხედველობის კომისიები. იწყება აქტიური იდეოლოგიური მუშაობა, როგორც სამოქალაქო, ისე სასულიერო პირებთან. შემუშავებულ იქნა რელიგიურ პირთა მოქალაქეობრივი და „პატრიოტული“ სულისკვეთებით აღჭურვისთვის საჭირო კოლექტიური და ინდივიდუალური მუშაობის მექანიზმები. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას კი წარმოადგენდა „საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო დაწესებულებების აპლიკანტების სწორად შერჩევა და პოლიტიკურ და საგანმანათლებლო პროცესზე“ უფრო აქტიური გავლენის საჭიროება (Митыпов, 2013: 117-120).

ვფიქრობთ, აღნიშნული სსრკ-ს წინაშე არსებული გამოწვევების პირობებში ლავირების მცდელობას წარმოადგენდა. მხედველობაში გვაქვს იდეოლოგიური კრიზისი. კერძოდ, ყავლგასული ათეიზმის უუნარობა საზოგადოების დიდი ნაწილის რელიგიასთან დაახლოების ტენდენციასთან. დრომოჭმული ათეისტური და ტოტალიტარული იდეოლოგია ვეღარ პასუხობდა საზოგადოების მოთხოვნებს. კომუნისტური იდეალები უტოპიად დარჩა. იდეოლოგიური კურსი მნიშვნელოვნად აცდა მოცემული პერიოდისათვის არსებულ რეალობას. საბჭოთა იმპერიაში შემავალი ერების ეთნიკური იდენტობის დაცვისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დადგა, რასაც ხელისუფლება არ ითვალისწინებდა და მას „მავნე ნაციონალისტურ“ გამოვლინებებად მიიჩნევდა, აღნიშნული, ბუნებრივია, ეროვნულად მოაზროვნე სოციუმის პროტესტს იწვევდა.

იმედგაცრუებული აღმოჩნდა საზოგადოების ის ნაწილიც, რომელსაც გულწრფელად სჯეროდა სოციალიზმისა და კომუნისტური იდეალების. ყველაზე დიდ უნდობლობასა და პროტესტს კი საბჭოთა იდეოლოგია ახალგაზრდებში იწვევდა, რომლებიც იცნობდნენ დემოკრატიულ ღირებულებებს და დემოკრატიული სახელმწიფოების პრინციპებს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათ არ ჰქონდათ გამოცდილი სტალინისა და ხრუშჩოვისდროინდელი რეპრესიები და უფრო გაბედულად შეეძლოთ პროტესტის გამოხატვა, გამარჯვების იმედით. საყურადღებოა აგრეთვე, ის, რომ ათეისტური და კომუნისტური იდეოლოგიისგან იმედგაცრუებულმა მოსახლეობამ უფრო კონკრეტულად კი, იმ ნაწილმა, რომელიც თავდაპირველად მორწმუნეებს ემიჯნებოდა, ეროვნული და ჰუმანური ღირებულებების დამცველი სწორედ რელიგიაში და ეკლესიაში დაინახა. რეალურად ეს ასეც იყო. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი კვლევის ობიექტი ქრისტიანულ ეკლესიებთან ურთიერთობაა, ამ შემთხვევაში მხოლოდ მათზე შევჩერდებით. ქრისტიანული ეკლესია, საბჭოთა რეჟიმის პირობებში იყო ის ადგილი და საზოგადოებრივი გაერთიანება, სადაც ჰუმანური ღირებულებების გარდა, ეროვნული თვითშეგნება და პატრიოტიზმი ყოველთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფასეულობად რჩებოდა. აღნიშნული განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობოდა იმპერიაში შემავალ არარუსულ ქვეყნებსა და ეკლესიებში, სადაც ი. ანდროპოვის წინამორბედმა ლიდერებმა ვერ შეძლეს იმ შედეგების მიღება, რაც საკუთრივ, რუსეთში. აქედან გამომდინარე, არც არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ სსრკ-ს სხვადასხვა რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობა ადგილობრივ რელიგიურ ორგანიზაციებს დაუკავშირდა. ეკლესიები და სასულიერო პირები ღიად უჭერდნენ მხარს ეროვნულ მოძრაობას, რის გამოც მათი გარკვეული ნაწილი დისიდენტად გამოცხადდა და რეპრესირებულ იქნა. მოძრაობის ლიდერები თავად იყვნენ ეკლესიის წევრებიც. თუმცა, უნდა ითქვას ის, რომ რელიგიასთან დაახლოების მიზეზი მხოლოდ ეროვნული საკითხი არ ყოფილა. ქრისტიანულმა მოძღვრებამ, რომლისთვისაც ერთ-ერთი მთავარი ფასეულობა ღვთის ხატად შექმნილი ადამიანია, თავისი თავისუფალი ნებითა და შემოქმედების უნარით, პირველ რიგში, სულიერი საზრდო მისცა ოფიციალური იდეოლოგიისგან და ტოტალიტარული რეჟიმისგან იმედგაცრუებულ ადამიანებს, დაანახა პიროვნების პატივისცემისა და

სოციალიზაციის, ცხოვრების ჯანსაღი მოდელი, თავისუფალი ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ძალადობისგან. აღნიშნული, ბუნებრივია, უფრო შეესაბამებოდა მოცემული პერიოდის ადამიანის ფსიქო-ემოციურ, სულიერ მოთხოვნილებებს. რაც შეეხება მორწმუნე საზოგადოებას, ხანგრძლივი ანტირელიგიური პოლიტიკის პირობებში ეკლესიის ურყევმა, მტკიცე პოზიციამ და ერთგულებამ ღმერთის, სამშობლოსა და მრევლისადმი, კიდევ უფრო გააღრმავა და განამტკიცა მათი რწმენა.

საბჭოთა კავშირის ახალი ხელისუფლება, ცხადია, ვერ გაემიჯნებოდა ოფიციალურ პარტიულ იდეოლოგიას და არც რელიგიასთან ღია დაპირისპირებაში შესვლას აპირებდა დასავლეთის მხრიდან ზეწოლის გათვალისწინებით, თუმცა, საზოგადოებაში რელიგიისადმი მზარდი ინტერესი და დასავლური ქვეყნების მხარდაჭერა ეროვნული თუ რელიგიური დისიდენტების მიმართ, მისთვის შემაშფოთებელ გარემოს ქმნიდა. ვფიქრობთ, ხსენებულით იყო განპირობებული აქტიური რელიგიური ოპონენტების ექსტრემისტებად გამოცხადება და მოქალაქეთა დარწმუნების მცდელობა იმაში, რომ ეროვნული საკითხი და რელიგია იყო არა საზოგადოების მოთხოვნილება, არამედ, დასავლეთის მიერ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის ორი მძლავრი მექანიზმი. ხელისუფლება ვითარებას ისე წარმოაჩენდა, თითქოს დასავლეთი ცდილობდა საბჭოთა საზოგადოებაში რელიგიურობის დანერგვას და სწორედ ის აძლევდა მას ანტისაბჭოურ და ნაციონალისტურ მიმართულებას. ობიექტურობის პრინციპი მოითხოვს, ითქვას, რომ დასავლური სახელმწიფოები მართლაც იყენებდნენ ეროვნული მოძრაობისა და რელიგიის საკითხს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა, პროპაგანდა იმ კუთხით, რომ კავშირში შემავალ ერებში ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენა და საზოგადოების რელიგიისკენ შემობრუნება მხოლოდ დასავლეთის ინიციატივა და მისი ინტერესების გამოხატულება იყო - არ შეესაბამებოდა რეალობას.

ამგვარად, ი. ანდროპოვის ხელისუფლება, არსებულ პირობებში, ცდილობს რელიგიასთან ურთიერთობის ორმაგი სტანდარტის შენარჩუნებას. გარეგნულად - თანამშრომლობის, თუმცა, რეალურად, რელიგიურ პირთა და ორგანიზაციათა

საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს მაქსიმალურ კონტროლს. მისი მმართველობის პერიოდში გამოიკვეთა რელიგიური პოლიტიკის განხორციელებაში სახელისუფლებო ორგანოების როლის მნიშვნელოვანი ზრდა.

ბ) სახელისუფლებო ორგანოების როლი სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განხორციელებაში

ქვეყანაში რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის ოფიციალური ორგანო იყო სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭო, რომელიც ახორციელებდა კონტროლს სსრკ-ს კონსტიტუციის დაცვაზე, სსრკ-ს კანონების სწორად გამოყენებასა და აღსრულებაზე რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე (Митыпов, 2013:117). საბჭო ამოწმებდა რელიგიური გაერთიანებების მიერ ამ კანონმდებლობის დაცვას და ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ კულტების შესახებ კანონმდებლობის გამოყენებისა და აღსრულების სისწორეს. იგი ვალდებული იყო, სსრკ-ის მთავრობისთვის ეცნობებინა რეგიონებსა და რესპუბლიკებში რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. საბჭოს გადაწყვეტილებები რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის, სალოცავი შენობებისა და სახლების გახსნისა თუ დახურვის შესახებ იყო „საბოლოო და სავალდებულო რესპუბლიკური, რეგიონალური და სხვა ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისთვის“. ისინი სავალდებულო იყო რელიგიური ორგანიზაციებისა და მორწმუნეებისთვისაც. ფაქტობრივად, მორწმუნეებს ჩამოერთვათ უფლება ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებში ან სასამართლოში გაესაჩივრებინათ საბჭოს გადაწყვეტილებები რელიგიური გაერთიანებების ლიკვიდაციის, სალოცავი შენობების ჩამორთმევისა და დახურვის შესახებ და ა.შ. საბჭოს მთავარი ფუნქცია იყო რელიგიური გაერთიანებების საგარეო პოლიტიკური და შიდა კონფესიური საქმიანობის კონტროლი. 1980-იანი წლები იყო მშვიდობისთვის საბჭოთა ხელმძღვანელობის აქტიური ბრძოლის პერიოდი. რელიგიის საქმეთა საბჭომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისგან მიღებული თანხმობის საფუძველზე, რელიგიურ გაერთიანებებს მისცა ნებართვა, გაემართათ საერთაშორისო ღონისძიებები ან მონაწილეობა მიეღოთ მათში. საბჭოს მონაწილეობა ვრცელდებოდა ისეთ ერთი შეხედვით წმინდა კონფესიურ საქმიანობაზე, როგორიცაა

მომლოცველთა ჯგუფების ფორმირება. იგი აკონტროლებდა სასულიერო საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობას, ზედამხედველობდა ღვთისმსმახურებას და ა.შ (Митыпов, 2013:118-120).

გ) რელიგიასთან ურთიერთობის სეგრეგაციული მოდელი და კონფესიათა დიფერენცირება პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ნიშნით;

სახელისუფლებო ორგანოების მიერ რელიგიური საზოგადოების საქმიანობაზე ტოტალური კონტროლის პარალელურად, წინამორბედი ხელისუფლების მსგავსად, ანდროპოვის მმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენდა კონფესიათა, რელიგიურ პირთა და მოწმუნეთა დიფერენცირება სხვადახვა ნიშნით. კერძოდ, კათოლიკური და პროტესტანტული თემები, სსრკ-ში იმთავითვე აღიქმებოდნენ დასავლეთისგან მართულ, კომუნისტური იდეოლოგიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტრებად, რომელთა მისამართით ხელისუფლება არ ერიდებოდა პირდაპირი, რეპრესიული ზომების გატარებას. ასე, მაგალითად: 1982 წელს დააპატიმრეს კათოლიკური სარწმუნოებისა და ეკლესიის დაცვის კომიტეტის ლიდერი - იოსებ ტერელია (რომელსაც მანადე 18 წელი ჰქონდა გატარებული ციხეებსა და ბანაკებში). მორწმუნეთა უფლებების დაცვის ქრისტიანული კომიტეტის წევრი - ვადიმ შჩეგლოვი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. დააპატიმრეს კომიტეტის რამდენიმე წევრ-დამფუძნებელი. (Burch, 1984: 200). რეპრესიები შეეხო ქრისტიანული კომიტეტის დობილ ორგანიზაციას ლიეტუვაში - მორწმუნთა უფლებების დაცვის კათოლიკურ კომიტეტს; დაიწყო ბაპტისტთა მასობრივი დევნა და სხვ. (Burch, 1984:198). უფრო მეტად იდევნებოდნენ სექტანტები, განსაკუთრებით, დაურეგისტრირებელნი. მაგალითად, ბაპტისტი - „ინიციატორები“. ისინი შეადგენდნენ იმ ეპოქაში რწმენის გამო დაპატიმრებულთა ძირითად ნაწილს (Горшкова, 2001:43). სეგრეგაცია ეხებოდა მოქალაქეთა სხვადასხვა სოციალურ ფენასაც. კერძოდ, საპასუხისმგებლო თანამდებობის პირები და მათი ოჯახები განსაკუთრებით მკაცრად კონტროლდებოდნენ რელიგიასთან ურთიერთობის კუთხით. დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები კი ნაკლებად.

დ) ხელისუფლების დუალისტური სტრატეგია საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრალური - რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი და ე.წ. „თაფლაკვერისა და მათრახის“ პოლიტიკა.

ი. ანდროპოვის ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკაში გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებული ადგილი ეკავა სსრკ-ს მთავარ ქრისტიანულ ეკლესიას. მხედველობაში გვაქვს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და მასთან ურთიერთობის დუალისტური მოდელი. მართლმადიდებლურ თემებთან და ეკლესიასთან ურთიერთობის სტრატეგიას მკვლევრები ისტორიული „თაფლაკვერისა და მათრახის“ პოლიტიკის სახელით მოიხსენიერებენ, ვინაიდან სწორედ ამ პრინციპზე იყო აგებული ხელისუფლების სამოქმედო გეგმა.

ჯერ კიდევ ბრეჟნევის დროს დაწყებული დიფერენცირება სამღვდელო პირებსა და მორწმუნეებს შორის, რომელიც მიზნად ისახავდა ხელისუფლებისადმი კონფორმისტულად და რეაქციულად განწყობილი ძალების გამოვლენას, კვლავ აქტუალური იყო. პასიური და კონფორმისტი სასულიერო თუ საერო პირების მიმართ დამოკიდებულება გაცილებით ჰუმანური და ლოიალური იყო, ანტიკომუნისტურად განწყობილი, აქტიური პირების მიმართ კი - დისკრიმინაციული. რუსი მკვლევარი ა. გორშკოვა თავის ნაშრომში „სახელმწიფო და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია 1940-1990 წწ-ში“ წერს: „ჭკვიანი ანდროპოვი ცდილობდა სხვანაირად მიახლოებოდა „მორჩილ“ და „მეამბოხე“ მორწმუნეებს. პირველს მიეცა მოკრძალებული „ნამცხვარი“, უკანასკნელთ კი - ორმაგი მათრახი. (Горшкова, 2001:44-45). გამკაცრდა ქმედებები აქტივისტი მორწმუნეების მისამართით. ისინი იდევნებოდენ მისიონერული მოღვაწეობის გამო (მაგ. რელიგიური ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელებისათვის). 1982 წლის აგვისტოში დააპატიმრეს ზოია კრახმალნიკოვა, ჟურნალ “Надежда”-ს რედაქტორობის გამო. ვიქტორ ბურდიუგი დააპატიმრეს 1982 წლის აპრილში რელიგიური „სამიზდატის“ ასლის გადაღებისთვის და გავრცელებისთვის; 1983 წელს მამა ალექსანდრე პივოვაროვი, მღვდელი ციმბირის ქალაქ იენისეისკიდან, დააპატიმრეს რელიგიური ლიტერატურის გავრცელების გამო (Burch, 1984:199). ბრიტანელი მკვლევარი, ქეროლაინ ბარჩი, თავის ნაშრომში „Religious Policy under

Andropov and Chernenko“ წერს: „ბოლო 18 თვის განმავლობაში დასავლეთში მზარდი სიხშირით აღწევს ცნობები რუსეთის მართლმადიდებელი მონასტრების მდგომარეობის გაუარესების შესახებ. პოჩაევოს მონასტერში მიმდინარე რეპრესიები და ბოროტმოქმედებები მრავალი წლის განმავლობაში იყო შეშფოთების საგანი. თუმცა უახლესი მოვლენების დეტალებმა კესტონის კოლეჯამდე მიაღწია უფროსი ბერის, იღუმენ აპელის (სტანკევიჩი) მიმართვის სახით. (ბერი მონასტრიდან გააძევეს 1981 წელს). ასევე, ვრცელდებოდა ინფორმაციები მოსკოვის მახლობლად, ზაგორსკში, სამებისა და წმინდა სერგის მონასტრის ბერებზე ოფიციალური ზეწოლის გაძლიერების შესახებ (Burch, 1984:200). ყოველივე აღნიშნულის პარალელურად, ი. ანდროპოვის პოლიტიკა ოფიციალურ ეკლესიასთან ურთიერთობაში გარკვეულწილად განსხვავებული იყო. ასე მაგალითად, 1983 წელს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნდა წმინდა დანიელის (დანილოვის) მონასტერი, რომელიც ჩამორთმეული ჰქონდა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა სასულიერო სკოლებში (Горшкова, 2001: 44). დაარსდა ახალი ტაძრებიც (კოსტრომას, სმოლენსკის, ციმბირის, ბელარუსის წმინდანთა საკათედრო ტაძრები). (Горшкова, 2001:45). ოფიციალური ეკლესიის, უფრო კონკრეტულად კი, ხელისუფლებისადმი კონფორმისტულად განწყობილი სამღვდელო დასის მიმართ ეს ლოიალური, თანამშრომლობითი დამოკიდებულება ცხადია, განპირობებული იყო საბჭოთა ხელისუფლების საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური ინტერესებით. ერთი მხრივ, მადლიერი სასულიერო თუ საერო პირების საშუალებით მას სჭირდებოდა გავლენიანი საყრდენი საზოგადოებაში, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ანტიკომუნისტურად განწყობილ სოციუმთან ურთიერთობის სტაბილიზაცია. მეორე მხრივ, კი, მადლიერი ეკლესიის სახით, მას სჭირდებოდა ნეიტრალური, კომუნისტური იდეოლოგიის არ მქონე ძალა, რომელიც მოცემული პერიოდის ცივი ომისა და ბირთვული საფრთხის პირობებში, საერთაშორისო ასპარეზზე იზრუნებდა სსრკ-ს იმიჯის რეაბილიტაციასა და დასავლური კომპრომატების გაუვნებელყოფაზე.

ამგვარად, შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, რომ ი. ანდროპოვმა რელიგიასთან და კონკრეტულად, ქრისტიანულ ეკლესიასთან ურთიერთობის სფეროში, განაგრძო

წინამორბედი ხელისუფლების კურსი. პარტიული ხედვა და მიზნები არ შეცვლილა. განსხვავება მდგომარეობდა ეკლესიისა და სამღვდელო პირთა საქმიანობის კონტროლის ხარისხში, რაც ლ. ბრეჟნევთან შედარებით, ი. ანდროპოვის მმართველობის დროს გაცილებით მაღალ დონეზე ავიდა. გაძლიერდა რეპრესიებიც, თუმცა, ამის პარალელურად, ცენტრალურ (რუსულ) ეკლესიასთან გარკვეული კომპრომისების გზით, ანდროპოვის ადმინისტრაცია ცდილობდა, საკავშირო და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე მდგომარეობა ისე წარმოეჩინა, თითქოს ეკლესიასა და სახელმწიფოს საბჭოთა კავშირში აქტიური, პოზიტიური თანამშრომლობა აკავშირებდა ერთმანეთთან. ი. ანდროპოვი და პარტია იმედოვნებდნენ, რომ ამ გზით შესაძლებელი იქნებოდა არა მარტო ქვეყნის შიგნით მიმდინარე არასასურველი პროცესების შეჩერება, არამედ მსოფლიო ასპარეზზე საბჭოთა სახელმწიფოს იმიჯის რეაბილიტაცია. თუმცა, უმაღლეს ხელისუფალს არ დასცალდა დასახული მიზნების ბოლომდე განხორციელება. იგი 1984 წლის 9 თებერვალს გარდაიცვალა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნის პოზიციაზე კონსტანტინე ჩერნენკომ ჩაანაცვლა.

1.4. კონსტანტინე ჩერნენკოს რელიგიური რეპრესიები (1984-1985წწ.)

1984 წლის 18 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად კონსტანტინე ჩერნენკო აირჩია. ჩერნენკოს კანდიდატურა XX ს-ის 80-იანი წლების პირველ ნახევარში სსრკ-ის წინაშე არსებული კრიზისის პირობებში, პარტიის გათვლებით, ალბათ ყველაზე მისაღები იყო, ვინაიდან მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა ზედმიწევნით კარგად პასუხობდა პარტიულ იდეოლოგიას და მოთხოვნებს -ლენინური იდეოლოგიისა და „განვითარებული სოციალიზმის“ მშენებლობის პრინციპების ერთგული დაცვა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარ კრედოს წარმოადგენდა. გარდა ამისა, ჩერნენკოს კარიერა ჯერ კიდევ 20-30-იანი წლებიდან უკავშირდებოდა იდეოლოგიური მუშაობისა და პროპაგანდა-აგიტაციის სფეროს. მისი ხელმძღვანელობა, პარტიისთვის სავარაუდოდ, წინამორბედი ლიდერების პოლიტიკური კურსის შენარჩუნების გარანტს წარმოადგენდა, იმავდროულად, იდეოლოგიური სფეროს გაძლიერების იმედით.

მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდა შეეხო საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. განსაკუთრებით, რელიგიას.

1984 წლის ივლისში გამოიცა ჩერნენკოს განკარგულება კომკავშირის მუშაობის შესახებ, რომელიც კომკავშირისგან მოითხოვდა, რომ არა მხოლოდ გაეძლიერებინა თავისი როლი სკოლაში საგანმანათლებლო პროცესებში, არამედ „დაეხურა იდეოლოგიის ნაკლებობის შეღწევის ყველა არხი...“. შეიმუშავეთ და დანერგეთ ზომების სისტემა... ისე, რომ დასვენების ყველა ფორმა ხელს უწყობდეს ... ათეისტური გემოვნების განვითარებას"- მოუწოდებდა იგი. (Горшкова, 2001: 44). ბრძანებიდან ჩანს, რომ კომკავშირის წევრებს, პირადად უნდა ეზრუნათ ახალგაზრდების არა მხოლოდ ათეისტურ განათლებაზე, არამედ მათი დასვენების მართვაზეც. აღნიშნული სხვა არაფერია, თუ არა პირველ რიგში, იდეოლოგიური კრიზისის გამოვლინება და შემდეგ, მმართველი ძალების მიერ ხავსზე მოჭიდება, დრომოჭმული იდეოლოგიის გადასარჩენად.

იდეოლოგიური ბრძოლის ხაზზე მთავარ წინააღმდეგობას ხელისუფლება კვლავ რელიგიური ორგანიზაციებისგან და თემებისგან აწყდებოდა. სარწმუნოების მიმართ საზოგადოების გაზრდილი ინტერესი ერთ-ერთ მთავარ წინაღობას წარმოადგენდა, რომელსაც მოცემული პერიოდისათვის უკვე შეუქცევადი ხასიათი ჰქონდა. ლ. ბრეჟნევისა და ი. ანდროპოვის მიერ რელიგიის სფეროში გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, რელიგიის გავლენა საბჭოთა საზოგადოებაში არა თუ შესუსტდა, არამედ. პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა. მოქალაქეებმა დაიწყეს ტაძრებში სიარული, ღვთისმსახურებებზე დასწრება, ნელ-ნელა იზრდებოდა სამღვდელო პირთა რიცხვი, ეს ყველაფერი კი იმ პირობებში, როცა ადამიანის მიერ რწმენის ღიად აღიარება ხშირად სერიოზული პრობლემების საფუძველი ხდებოდა. ხელისუფლებისთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო ეკლესია-მონასტრებში კომუნისტური პარტიის წევრების შემჩნევა. ცხადია, მსგავსი შემთხვევები რეაგირების გარეშე არ დარჩენილა, თუმცა, ის ფაქტი, რომ თავად კომუნისტური პარტიის წევრები იჩენდნენ ინტერესს სარწმუნოების მიმართ და ეს ინტერესი გამომდინარეობდა არა პარტიული დავალებიდან, არამედ პირადი დამოკიდებულებიდან, ნათლად გამოხატავდა საბჭოთა სისტემის კრახს. რუსი მკვლევრის, ა.ი. გორშკოვას სამართლიანი შეფასებით, კ. ჩერნენკოს მოკლევადიანი რეჟიმი რელიგიასთან მიმართებით, (წინამორბედთან შედარებით) უფრო მკაცრი აღმოჩნდა (Горшкова, 2001:44). ერთ-ერთ მაგალითად მას მოჰყავს დანილოვის მონასტრის ინცინდენტი.

დანილოვის, იგივე წმინდა დანიელის მონასტერი რუსეთის უმნიშვნელოვანეს სასულიერო კერას წარმოადგენდა, რომელიც XIII ს-ში, მოსკოვის მთავრის, წმინდა დანიელის (ალექსანდრე ნეველის უმცროსი ვაჟი) მიერ, ღირსი დანიელ მესვეტის სახელზე იყო აგებული. ეს იყო პირველი მამათა მონასტერი მოსკოვში, სადაც გადმოცემის მიხედვით, მოსკოვის მთავარი გარდაცვალების წინ ბერად აღიკვეცა და შემდეგ მის მიერ აგებულ მონასტერში დაკრძალეს. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, სწორედ დანილოვის მონასტერში დაარსდა მოსკოვის სამთავროს პირველი სამთავარეპისკოპოსო. გეოგრაფიული მდებარეობიდან და მასში დაცული სიწმინდეებიდან გამომდინარე, მონასტერი ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, ისე რუსეთის სახელმწიფოს

ისტორიაში. XVI-XVII საუკუნეებში იგი იყო კარგად გამაგრებული კომპლექსი, რომელიც მოსკოვს იცავდა სამხრეთიდან. საშინაო თუ საგარეო მტრის შემოსევების დროს, იგი ბრძოლის ერთ-ერთ კერასაც წარმოადგენდა. თუმცა, მონასტრის ისტორიაში ყველაზე მძიმე პერიოდად მაინც XX საუკუნე იქცა (Московский Данилов монастырь).

1918 წელს მონასტერი ოფიციალურად დახურეს, თუმცა, მონასტრის ძმებმა, მათი წინამძღვრის, მთავარეპისკოპოს თეოდორეს (პოზდეევსკი) წინამძღოლობით, შეძლეს სამონასტრო ცხოვრების შენარჩუნება. აღსანიშნავია ის, რომ მთავარეპისკოპოსი თეოდორე იყო ე.წ. ობნოვლენთა მოძრაობასთან ყოველგვარი კომპრომისის მოწინააღმდეგე და უარი თქვა მათთან შეთანხმებაზე. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ შეურიგებელი პოზიციების გამო იგი არაერთხელ აღმოჩნდა პატიმრობაში, დანილოვის მონასტრის საძმო სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა ბოლშევიკურ ხელისუფლებას. ამიტომ გადაწყდა მონასტრის მიმართ მკაცრი ზომების გატარება. 1929 წელს ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება მონასტრის დახურვის შესახებ. 1930 წელს კი მის ტერიტორიაზე რეპრესირებული ოჯახების შვილებისთვის გახსნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის იზოლატორი. 1932 წელს დახურეს მონასტრის აღდგომის წმინდა ტაძრის განახლების სახელობის ტაძარიც. აქედან იკარგება მონასტრის ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე - წმინდა დანიელის ცხედარიც. 1937 წელს მთავარეპისკოპოსი თეოდორე და ძმების უმრავლესობა დახვრიტეს (Московский Данилов монастырь). 1982 წელს, ბრეჟნევის მმართველობის წლებში, ეკლესიისადმი ფასადური კეთილგანწყობის დემონსტრირების პირობებში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რუსეთის ეკლესიას დაბრუნებოდა წმინდა დანიელის დანგრეული მონასტერი, თუმცა, მონასტრის შენობების ოფიციალური გადაცემა 1983 წელს მოხდა. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ იქ სამონასტრო თემის შექმნა არ მომხდარიყო და დაჟინებით მოითხოვა, რომ მონასტრის გადაცემა მომხდარიყო ექსკლუზიურად ადმინისტრაციული საჭიროებისთვის (Кострюков, 2018). დანილოვის მონასტრის შესახებ საყურადღებოა ერთი ფაქტი, რომელიც უშუალოდ კ. ჩერნენკოს სახელს უკავშირდება. მისი ხელისუფლების მხრიდან იყო მცდელობა, გაეუქმებინათ გადაწყვეტილება მონასტრის ნანგრევებიდან აღდგენის შესახებ. ეკლესიამ მიიღო

ბრძანება - არ გაეხსნა მონასტერი და მხოლოდ იმ დაპირების შემდეგ, რომ იქ მონასტრს ნაცვლად იქნებოდა მხოლოდ ეკლესიის ადმინისტრაციული ცენტრი საგარეო საეკლესიო ურთიერთობის დეპარტამენტის შტაბბინით, (რომლის საქმიანობაც მომგებიანი იყო საბჭოთა ხელისუფლებისთვის), მოიხსნა აღდგენითი სამუშაოების აკრძალვა. მონასტერი, რეალურად, მხოლოდ რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავზე, 1989 წელს აღდგა (Горшкова, 2001: 44). მონასტრის ისტორიიდან და ჩერნენკოს პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ მისთვის მიუღებელი იყო მოსკოვში სულიერებისა და ისეთი მძლავრი, ანტიკომუნისტური კერის აღდგენა. როგორიც დანილოვის მონასტერი იყო. ეკლესიისადმი მზარდი ინტერესის პირობებში, სამონასტრო თემის აღორძინება დანილოვის მონასტერში იქნებოდა რუსეთის ეკლესიასა და მოსახლეობაზე კომუნისტური ხელისუფლების გავლენის მნიშვნელოვანი შესუსტების საწინდარი. რომ აღარაფერი ვთქვათ ათეისტური პოლიტიკის კრახზე. შესაბამისად, კ. ჩერნენკოს ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მონასტერს ძველი როლი და ფუნქცია არ დაბრუნებოდა. ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა სსრკ-ის კიდევ ერთი მონასტერი - დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე მდებარე პოჩაევის ლავრა, გამორჩეული თავისი ისტორიითა და პოზიციებით.

პოჩაევის მონასტერი, დანილოვის მსგავსად, XIII საუკუნეშია დაარსებული. ყველაზე გავრცელებული ვერსიის მიხედვით, იგი კიევ-პეჩორის მონასტრის ბერების მიერ აიგო, რომლებმაც 1237-1240 წლებში მონღოლთა შემოსევების დროს დატოვეს თავიანთი სავანე და ვოლინის მხარეს მიაშურეს. (Хоинацкий, Крижановский, 1897: 34) მონასტრის გაზრდა და გაძლიერება XVI- XVIII სს-ებს უკავშირდება. XVIII ს-ში აშენდა მონასტრის მთავარი ტაძარი - ღვთისმშობლის მიძინების სახელობის (1771-1791 წწ), სატრაპეზო და კელიები. 1730 წლიდან არსებობდა პოჩაევის სტამბაც. დროთა განმავლობაში მონასტერმა მნიშვნელოვანი როლი შეიძინა აღმოსავლეთ სლავების ისტორიაში და იგი მართლმადიდებელ და კათოლიკე სლავებს შორის სერიოზული დავის საგნად იქცა.

ჯერ კიდევ რეჩ-პოსპოლიტას არსებობის პერიოდში (1569—1795 წწ.), რომის კათოლიკური ეკლესია აქტიურად ცდილობდა სლავურ მიწებზე კათოლიციზმის

გავრცელებას, რაშიც უდიდესი როლი შეასრულეს იეზუიტებმა. შედეგად, 1596 წელს „ბრესტის უნიით“ მართლმადიდებელი ეპარქიების ეპისკოპოსები, მათ შორის, უკრაინის ტერიტორიიდან, გადავიდნენ რომის პაპის დაქვემდებარებაში. ასე ჩაეყარა საფუძველი უკრაინის ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიას, რომელსაც უნიატურ ეკლესიას უწოდებდნენ. უნია გავრცელდა ვოლინის მხარეშიც, თუმცა, პოჩაევის ლავრა მტკიცედ იდგა აღმოსავლურ-მართლმადიდებლურ მრწამსზე. (Хоинацкий, Крижановский, 1897: 55). 1713 წლიდან მონასტრის ხელმძღვანელობა გადავიდა უნიატების ხელში, რაც თავისთავად ნიშნავდა პაპის გამარჯვებას მოცემულ ტერიტორიებზე. მონასტერი 1831 წლამდე უნიატური იყო და ბასილიანთა ორდენის ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ 1830-1831 წლებში რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთის აჯანყების დროს მონასტრის ბასილიელი ბერები მონაწილეობას იღებდნენ აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ, 1831 წელს იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით, მონასტერი გადაეცა მართლმადიდებელ ეკლესიას, რუსეთის წმინდა სინოდის იურისდიქციის ქვეშ. ბასილიელი ბერები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ მონასტერი (Бушуев & Лойко, 2008). 1939 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში პოჩაევი, რომელიც ომთაშორის პერიოდში პოლონეთის რესპუბლიკის ვოლინის სავოევოდოში მდებარეობდა, წითელი არმიის მიერ იქნა ოკუპირებული. იმავე წლის ნოემბერში დასავლეთ უკრაინის სსრკ-სთან შეერთების შემდეგ, ამ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ეპარქიები გადაეცა მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას. 1941 წლის 30 ივნისს პოჩაევი დაიკავეს გერმანულმა ჯარებმა. 1941 წლის 18 აგვისტოს ეპისკოპოსები, რომლებიც ნომინალურად დარჩნენ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში, შეიკრიბნენ ლავრაში და ეყრდნობოდნენ რა 1917-1918 წლების ადგილობრივი კრების დადგენილებას და 1918 წლის სექტემბრის ცნობას უკრაინის ეკლესიის ავტონომიური სტატუსის აღიარების შესახებ (რომელიც 1922 წელს დაადასტურა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა) გამოაცხადეს უკრაინის ავტონომიური მართლმადიდებლური ეკლესიის შექმნა. 1941 წლის 25 ნოემბერს პოჩაევის ლავრის ეპისკოპოსთა ახალმა საბჭომ აირჩია მიტროპოლიტი ალექსი (ჰრომადსკი) უკრაინის ეგზარქოსად.

ამგვარად, XX ს-ის 40-იანი წლებისთვის რუსეთის ეკლესიამ ასე თუ ისე, შეძლო პოჩაევის ლავრის შენარჩუნება. თუმცა, მისი გავლენა მონასტერზე არ იყო ძლიერი და კვლავ შეიცავდა საფრთხეებს. ბოლშევიკური ხელისუფლების მმართველობის პირობებში, როდესაც უკრაინელი ავტოკეფალისტები ნაციონალიზმსა და ანსტისაბჭოთა ქმედებებში იყვნენ ბრალდებულნი, ცხადია ხელისუფლებისთვის პოჩაევის ლავრაც ინტერესის საგანს წარმოადგენდა., თუმცა, მონასტრისთვის ყველაზე მძიმე 60-იანი წლები და ხრუშჩოვის მმართველობა აღმოჩნდა. ხელისუფლებამ დაიწყო პირდაპირი ზეწოლა ლავრასთან დაკავშირებულ ყველა ადამიანზე: ბერებზე, ახალბედებზე, მომლოცველებზე. პოლიცია იყენებდა სასტიკ მეთოდებს ბერების მიმართ (მიუხედავად მათი წოდებისა და ასაკისა), შეიქმნა სამედიცინო კომისიები - ფიზიკურად და გონებრივად ჯანმრთელი ბერები ხშირად იძულებით გადაჰყავდათ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში; სამხედრო სამსახურისთვის შეუსაბამო ბერები შეიძლებოდა ძალით შეეყვანათ შეიარაღებულ ძალებში, ფიზიკური ანგარიშსწორება, სასამართლო პროცესი, დაპატიმრება, ციხეებსა და ბანაკებში გაგზავნა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. რეპრესიები გავრცელდა ლავრის მრევლსა და მომლოცველებზეც, წმინდა კარიბჭის (ახლანდელი სასულიერო სემინარია) აღმართის მახლობლად შენობაში „ათეიზმის მუზეუმი“ მოეწყო. მომლოცველთა სასტუმრო კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ გადაკეთდა (Родзянко, 2015). მონასტრის შევიწროვება გაგრძელდა ჩვენს საკვლევ პერიოდშიც. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა გერმანელი ისტორიკოსის - გერდ შტრიკერის ნაშრომი, „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია საბჭოთა პერიოდში (1917-1991)“ რომელიც წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების ისტორიის ამსახველი დოკუმენტების კრებულს. ავტორს ნაშრომში მოჰყავს მიუნხენში არსებული „სამიზდატის“ არქივში დაცული 1984 წლის მაისით დათარიღებული დოკუმენტი - მოხსენება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ტერნოპოლის რეგიონის პოჩაევის ლავრაში ბერებისა და მომლოცველების მიმართ განხორციელებული რეპრესიების შესახებ. დოკუმენტი თვითმხილველის პირით აღწერს მონასტრის მდგომარეობას 1984 წლისათვის: „ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიებიდან შევიტყვეთ, რომ 1983 წლის ბოლოდან ლავრა ზეწოლას განიცდიდა ხელისუფლებისგან. ეს შემოტევა გამოიხატება არა მარტო

ბერებთან, არამედ მომლოცველებთან მიმართებაშიც, რაშიც ჩვენ თვითონაც მალე დავრწმუნდით. 1984 წლის 20 მაისს, წმინდა ნიკოლოზის დღესასწაულზე, საღამოს ღვთისმსახურების დროს სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პოლიციის თანამშრომლები შევიდნენ მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში და დაიწყეს მომლოცველთა საბუთების შემოწმება. ზოგიერთი პოლიციელი ნასვამი იყო. განსაკუთრებით აქტიურობდა ლეიტენანტი ივან სტეპანოვიჩ მოროზოვსკი, რომელიც 1983 წლის ბოლოს დაინიშნა პოჩაევის შინაგან საქმეთა დეპარტამენტის პასპორტის განყოფილების უფროსად. ის არამარტო ახალგაზრდებს, არამედ მოხუც ქალებსაც სთხოვდა საბუთებს და სამების საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურების დასასრულს ხალხს წიხლებით აძევებდნენ ეკლესიიდან.“ დოკუმენტის ავტორი ასახელებს აგრეთვე, მომლოცველთა დაკავებისა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაგზავნის ფაქტებსაც. (Штриккер, 1995:278). როგორც ვხედავთ, მმართველი ძალის ხელწერა დიდად არ შეცვლილა. შეიცვალა ალბათ მხოლოდ რეპრესიების ხარისხი, მოცემული პერიოდისათვის არსებული ზოგადი და რელიგიური ვითარების გათვალისწინებით. ვფიქრობთ, საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან პოჩაევის მონასტრისადმი განსაკუთრებულ კონტროლსა და ხისტ დამოკიდებულებას კიდევ ერთი მიზეზი განაპირობებდა. კერძოდ, კათოლიკური ეკლესიისა და უშუალოდ მისი პოლონელი პაპის იოანე პავლე II-ის აქტიური მცდელობა აღმოსავლეთის სლავებში კათოლიციზმის აღორძინების, რამაც სერიოზული გავლენა იქონია სსრკ-ს ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკაზე.

კ. ჩერნენკოს მმართველობის პერიოდში რელიგიისადმი ხისტმა და რეპრესიულმა პოლიტიკამ შესაბამისი შედეგი გამოიღო. ამ კუთხით ჩვენთვის საინტერესოა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის კ.მ. ხარჩევის საინფორმაციო ცნობა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც 1985 წლის 28 თებერვლით თარიღდება და ეხება ქვეყანაში რელიგიური მდგომარეობისა და კულტების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისობის საკითხებს (1980–1984 წწ.). დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ ანგარიშს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე და აღწერს 1980-1984 წლებში სსრკ-ში არსებულ რთულ ვითარებას რელიგიის სფეროში. კ.მ. ხარჩევი წერს: „რიგ ადგილებში მორწმუნეებს არ აქვთ შესაძლებლობა, მშვიდად დააკმაყოფილონ თავიანთი რელიგიური

მოთხოვნილებები. მათ კანონის შესაბამისად არ ეძლევათ უფლება, ჰქონდეთ ამისათვის საჭირო პირობები და ეკრძალებათ თავიანთი საზოგადოებების რეგისტრაცია და სალოცავი შენობების შეძენა. ათასობით დასახლებაში სხვადასხვა კონფესიის მორწმუნეთა ჯგუფები წირვას არალეგალურად ატარებენ. ბევრი მათგანი წლების განმავლობაში ითხოვს ორგანიზაციების რეგისტრაციას, მაგრამ მათი მოთხოვნები, როგორც წესი, უსაფუძვლოდ უარყოფილია (მოლდავეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის სსრ, უკრაინის სსრ-ისა და რსფსრ-ის მთელი რიგი რეგიონები). ლეგიტიმურად მოქმედ რელიგიურ საზოგადოებებს ხშირად ეკრძალებათ ღვთისმსახურების სახლების შეკეთება, ელექტრო განათების გამოყენება ან მღვდლის მოწვევა. არის რელიგიური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების ან საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხვის და სხვა უფლებების შელახვის შემთხვევები. ზოგიერთი თანამდებობის პირი არ აკეთებს სათანადო დასკვნებს წარსულის გაკვეთილებიდან, როდესაც ადგილი ჰქონდა კანონის უხეშ დარღვევას ეკლესიასთან და მორწმუნეებთან მიმართებაში, რომლის უარყოფითი შედეგებიც დიდი ხნის განმავლობაში იგრძნობა“. (Харчев, 2010:167). დოკუმენტის ავტორი ასახელებს კონკრეტულ ადგილებსა (ლიტვის, მოლდავეთის, ბელარუსის და სხვ. ტერიტორიებზე) და შემთხვევებს, სადაც მორწმუნეებს არ ეძლეოდათ ჩამორთმეული ეკლესიების (მათ შორის, დამწვარი) დაბრუნების შესაძლებლობა და აღნიშნავს, რომ საბჭომ (იგულისხმება რელიგიის საქმეთა საბჭო - ე.ბ.) არაერთხელ მიიღო ზომები ადგილობრივი მოხელეების მიერ ჩადენილი ქმედებების აღსაკვეთად, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება უგულებელყოფს საბჭოს რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს. (Харчев, 2010:170). კ.მ. ხარჩევი მის მიერ აღწერილ ვითარებაში სერიოზულ საფრთხეებს ხედავს და ცდილობს, ცენტრალური კომიტეტის ყურადღება გაამახვილოს შემდეგზე: „ეკლესიების, მონასტრებისა და სამლოცველო სახლების დაუსაბუთებელმა დახურვამ, მორწმუნეთა უფლებების დარღვევამ გააძლიერა ექსტრემისტული ელემენტების საქმიანობა რელიგიურ გაერთიანებებში, განსაკუთრებით სექტანტობასა და კათოლიციზმში. ბაპტიზმის ყველაზე რეაქციულმა ელემენტებმა შექმნეს მიწისქვეშა რელიგიური ცენტრი - ე.წ. "ევანგელურ ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიათა საბჭო", რომელსაც მხარი დაუჭირა

550-ზე მეტმა სხვადასხვა ასოციაციამ, რომლებიც 25 ათასზე მეტ მორწმუნეს ითვლიდა“. ასევე მოხდა ისეთი არასასურველი მოვლენა, როგორიცაა მართლმადიდებელი მორწმუნეების (ყველაზე მშვიდობიანი რელიგიის წარმომადგენლები) სექტანტობის პოზიციებზე გადასვლა (ბელარუსი, უკრაინა, რსფსრ).“ (Харчев, 2010: 168). ყველაზე დიდ საშიშროებას კი ხარჩევი ხედავს იმაში, რომ არსებული ვითარების შესახებ კარგად იყვნენ ინფორმირებული სსრკ-ის საგარეო ოპონენტები. „ეს ყველაფერი იდეოლოგიური მტრის ხელშია, რომელიც მთელი ძალით ცდილობს გააძლიეროს რელიგიური ცხოვრება, აღადგინოს რელიგიურ-ნაციონალისტური განწყობები ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში და გაართულოს ეკლესია-სახელმწიფოს შორის დამყარებული ნორმალური ურთიერთობა. ბოლო დროს მტერი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ რადიოპროპაგანდაში განსაკუთრებით უსვამს ხაზს სიყალბეს იმის შესახებ, რომ სსრკ-ში მორწმუნეთა უფლებები და სსრკ-ს კონსტიტუციით გათვალისწინებული სინდისის თავისუფლების გარანტიები ირღვევა.“ (Харчев, 2010:170). ფაქტია, რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული რელიგიასთან ურთიერთობის სფეროში არსებული სიმწვავე, მისი გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები და მაქსიმალურად ცდილობდა ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას საჭირო ღონისძიებებზე. შექმნილი მდგომარეობის მთავარ მიზეზად ხარჩევი ადგილობრივი ხელისუფლების შეცდომებს ასახელებს და ცენტრალურ კომიტეტს შეახსენებს კ. ჩერნენკოს მითითებებს იმის შესახებ, რომ ძალადობრივი ზომები მორწმუნეების მიმართ საზიანოა და „ათეიზმის გავრცელება შესაძლებელია არა რელიგიის აკრძალვის შედეგად, არამედ მორწმუნეების თანმიმდევრული დარწმუნებითა და აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვით“. (Харчев, 2010:170) შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს კი, რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ლიდერების მხრიდან რელიგიისა და ეკლესიის საკითხებში პოლიტიკურად კორექტულ მიდგომაზე ორიენტირებაში ხედავს. (Харчев, 2010: 170). მოყვანილი დოკუმენტიდან იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რელიგიის სფეროში არსებული მწვავე ვითარება ადგილობრივ ხელისუფლებათა თვითნებური ქმედებებით არის განპირობებული და ცენტრალურ ხელისუფლებას

უჭირს პროცესების მართვა საკავშირო რესპუბლიკებში. გამორიცხული არ არის, რომ ცალკეული ინცინდენტების შემთხვევაში ცენტრს სხვადასხვა მიზეზით, გაქცეოდა ხელიდან მართვის სადავეები, თუმცა, ნაკლებ წარმოსადგენია, რომ 1980-1984 წლებში და განსაკუთრებით, 1982-1984 წლებში, როცა სსრკ-ს კგბ-ს ლიდერი ი. ანდროპოვი მართავდა, ცენტრი არ ყოფილიყო საქმის კურსში რესპუბლიკებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და დაეშვა რომელიმე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ მოქმედება ან მსგავსი პრეცენდენტის შემთხვევაში, არ მოეხდინა შესაბამისი რეაგირება. ვფიქრობთ, ადგილობრივი მმართველები ზუსტად ცენტრალური ხელისუფლების დირექტივებს ასრულებდნენ, ხოლო ზემოთ მოყვანილ დოკუმენტში მათი „განტევების ვაცად“ წარმოჩენა ხარჩევის მხრიდან უბრალოდ ტაქტიკაა, დიპლომატიური გზით დაანახოს ცენტრალურ კომიტეტს რელიგიური პოლიტიკის ხარვეზები და მისი გამოსწორებისთვის საჭირო მიდგომები.

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა, კონსტანტინე ჩერნენკოს მმართველობის პერიოდში, აგრძელებს ლ. ბრეჟნევისა და ი. ანდროპოვის პოლიტიკის ხაზს, თუმცა, გაცილებით მეტი სიხისტით, რამაც შედეგად ეკლესია-სახელმწიფოს შორის ურთიერთობები კვლავ ჩიხში შეიყვანა. მოხმობილი წყაროებიდან ჩანს, რომ პარტია არ აპირებდა ანტირელიგიურ პოლიტიკაზე უარის თქმას. გარკვეულ პერიოდში სცადა გონივრული სტრატეგიების შემუშავება, მაგრამ ტოტალიტარულმა პრინციპებმა მაინც გადაწონა კომპრომისი. საბოლოო ჯამში, 80-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირში რელიგიის მდგომარეობა დაუახლოვდა 60-იან წლებში არსებულ მდგომარეობას, იმ განსხვავებით, რომ ახლა რელიგიური თემები და ორგანიზაციები გაცილებით უფრო აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ მმართველ ძალებს და მხარდამჭერიც უფრო მეტი ჰყავდათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. დაპირისპირების ესკალაცია და სისტემის კოლაფსი ალბათ გარდაუვალი იქნებოდა, რომ არა 1985 წლის მარტში გენერალური მდივნის გარდაცვალება და საკადრო ცვლილებები.

1985 წლიდან სკკპ-ს ცენტრალურ კომიტეტს მიხეილ გორბაჩოვი ჩაუდგა სათავეში, რომლის მმართველობითაც დაიწყო ახალი ეტაპი საბჭოთა კავშირის ისტორიაში.

1.5. მიხეილ გორბაჩოვის „რელიგიური პერესტროიკა“. საბჭოთა სისტემის დემონტაჟი

კონსტანტინე ჩერნენკოს გარდაცვალებისა და საბჭოთა კავშირის ხელისუფლების სათავეში ახალგაზრდა, ენერგიული ლიდერის, მ. გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ დაიწყო ახალი ეტაპი ქვეყნის ისტორიაში. მის მმართველობას რუსი მეცნიერები 3 ძირითად ეტაპად ყოფენ:

1) 1985-1986 წწ. - როდესაც მ. გორბაჩოვის მიერ გატარებული ღონისძიებები ტრადიციული, პარტიული იდეოლოგიითა და წინა სახელისუფლებო დირექტივებით ხასიათდება,
2) 1987 -1989 წლის ივნისი - ახალი მმართველი იწყებს „გარდაქმნის“ სახელწოდებით ცნობილ ცვლილებებს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიურ სფეროში,
3) 1989 წლის ივნისი - 1991 წლის დეკემბერი - იწყება საბჭოთა სისტემის დემონტაჟი და სახელმწიფოს დაშლა (Захаровский & Разинков, 2019: 182).

ახალ ლიდერს საკმაოდ რთული მემკვიდრეობა დახვდა. ქვეყანაში არსებული სოციალური-ეკონომიკური პრობლემების გარდა, მთავარ სირთულეს საგარეო ურთიერთობებში არსებული პრობლემები - აშშ-თან კონფრონტაცია და ბირთვული საფრთხე წარმოადგენდა. ამიტომ მ. გორბაჩოვმა ერთ-ერთი პირველი ნაბიჯები სწორედ აშშ-თან დაპირისპირების შემცირებისკენ გადადგა.

1985 წელს ჟენევაში ის შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტს, რონალდ რეიგანს და გამოთქვა შეთანხმებაზე მზადყოფნა, თუმცა, გარკვეულ საკითხებში (სტრატეგიული რაკეტების შემცირება, ადამიანის უფლებები) განსხვავებული და უცვლელი პოზიციების გამო, კონსენსუსი ვერ შედგა („დამთავრდა უმაღლესი დონის შეხვედრა... 1985:1).

წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ სსრკ-ის ხელისუფლება ცვლილებებში არ მოიაზრებდა იდეოლოგიის გადაფასებას და ქვეყნის მართვას კვლავ ფუნდამენტური საბჭოთა პრინციპებით აპირებდა. აღნიშნული, ბუნებრივია, შეეხო რელიგიის სფეროსაც. ისტორიოგრაფიაში

გავრცელებული მოსაზრებით, მ. გორბაჩოვის მოღვაწეობას უკავშირდება ყველაზე პოზიტიური ცვლილებები ეკლესიების ისტორიაში, რომ შეწყდა რელიგიაზე ზეწოლა, ანტირელიგიური პროპაგანდა და მორწმუნე საერო თუ სამღვდელო პირებს მიეცათ მეტი თავისუფლება. თუმცა, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული მოსაზრება მ. გორბაჩოვის მმართველობის პირველ ეტაპს სრულიად არ შეესაბამება და მისი დაკავშირება მხოლოდ მეორე და მესამე ეტაპებთან არის შესაძლებელი.

აღნიშნულის ერთ-ერთ დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგ. 1986 წლის სექტემბერში გაზეთ „Правда Востока“-ში გამოაქვეყნებული სტატია, სათაურით „Против религиозного дурмана“, რომელიც საუბრობდა რელიგიური ტრადიციებისა და მორალის მავნებლობასა და კომუნისტურ იდეალებთან მის შეუსაბამობაზე. სტატია რელიგიურ ტრადიციებს ბოროტებად აცხადებდა და ათეისტებს აქტიური მოქმედებისკენ მოუწოდებდა: „არის ტრადიციები და რიტუალები, რომლებიც ეწინააღმდეგება თანამედროვე ცხოვრებას, ჩვენი მორალის მოთხოვნებს... მოძველებული ტრადიციები, რელიგიური ბურანი. ყველა, სამწუხაროდ, ვერ პოულობს ძალას ამ ბოროტებასთან საბრძოლველად. როგორც ჩანს, ზემოქმედებას ახდენს მშობლების ავტორიტეტისა და გავლენის ძალა, ახალგაზრდების იდეოლოგიური პოზიციების არასტაბილურობა და მათი მცირე ცხოვრებისეული გამოცდილება... ათეისტების ამოცანაა, მხარი დაუჭირონ ხალხის ჭეშმარიტ ტრადიციებს და მტკიცედ განთავისუფლდნენ ყველაფრისგან, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური მორალისა და კომუნისტური იდეალების ნორმებს“ (Против религиозного дурмана, 1986:1). ორი თვის შემდეგ, თავად გორბაჩოვმა ტაშკენტში სიტყვით გამოსვლისას ხალხს რელიგიასთან "გადამწყვეტი და უკომპრომისო" ბრძოლისაკენ მოუწოდა (Anderson, 1994/2002:139), (Ramet, 2005: 34). რელიგიასთან ბრძოლა ჰქონდათ დავალებული სკკპ ცკ-ის იდეოლოგიურ განყოფილებას და რაიონულ კომიტეტებში შექმნილ ე.წ. კონტრპროპაგანდის კომისიებს, (Штриккер, 1995: 284). განხორციელდა რეპრესიებიც: 1986 წელს დააპატიმრეს ის ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკას (Anderson, 1994/2002: 139).

მოყვანილი ფაქტების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მ. გორბაჩოვის კურსი საწყის ეტაპზე ანტირელიგიური და დისკრიმინაციულია. ცვლილებები მხოლოდ 1987 წლიდან იწყება, როდესაც კონფრონტაციის ნაცვლად ხელისუფლება რელიგიურ ორგანიზაციებთან კოლაბორაციას იწყებს. კვლევის ფარგლებში, შევეცადეთ გამოგვეყო რამდენიმე მიზეზი, რამაც მთავრობას კომპრომისისკენ უბიძგა.

პირველ მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ საგარეო ფაქტორი და აშშ-თან შეთანხმების აუცილებლობა, რომელიც სსრკ-ის საგარეო ურთიერთობების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა, ვინაიდან იგი დიდ ზეგავლენას ახდენდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობაზეც.

ჟენევის შეხვედრის წარუმატებლად დასრულების შემდეგ, 1986 წლის ოქტომბერში მ. გორბაჩოვი ისევ შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტს, ამჯერად, ქ. რეიკიავიკში. თავდაცვისა და სტრატეგიული შეიარაღების გარდა, როგორც შეხვედრის ჩანაწერიდან ირკვევა, დღის წესრიგში დადგა ადამიანის უფლებათა და რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, სსრკ-ში რელიგიების დევნის საკითხი (Iceland Chronology..., 2016: 4-7; (Memorandum of Conversation..., 1986 :2), თუმცა, რ. რეიგანმა ამ უკანასკნელზე პასუხი ვერ მიიღო. ლოგიკურია, ვინაიდან საბჭოთა კავშირის ხელისუფლება იმ ეტაპზე არ განიხილავდა რელიგიური პოლიტიკის გადასინჯვას. რეიკიავიკის შეხვედრამ კვლავ ღიად დატოვა მთელი რიგი საკითხები (როგორც სამხედრო, ისე ადამიანის უფლებებისა და რელიგიის სფეროში), რამაც მიხეილ გორბაჩოვი იმედგაცრუებული დატოვა. იგი მიხვდა, რომ დათმობის გარეშე კონსენსუსის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. ვფიქრობთ, რეიკიავიკის შეხვედრამ გარკვეული გავლენა მოახდინა საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური კურსის ტრანსფორმაციაზე. მთავრობამ, იაზრებდა რა იმ გარემოებას, რომ დასავლეთი კარგად იყო ინფორმირებული საბჭოთა იმპერიაში რელიგიური ინსტიტუტებისა და მორწმუნეთა მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ეფექტურად იყენებდა კონკურენტის კომპრომეტირებისთვის, გადაწყვიტა, ამიერიდან მაქსიმალურად ფრთხილი პოლიტიკის გაეტარებინა.

მეორე მიზეზად მივიჩნევთ 1986 წელს საბჭოთა სახელმწიფოში დატრიალებულ ტრაგედიას, ჩერნობილის ატომურ სადგურში მომხდარი აფეთქების სახით.

კატასტროფამ და მის შემდგომმა რადიაციამ გაანადგურა უამარავი ადამიანის სიცოცხლე, ფლორა და ფაუნა, სამეურნეო დანიშნულების მიწები და ა.შ. ამ უკანასკნელმა კი უდიდესი დარტყმა მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. მომხდარმა ტრაგედიამ წარმოაჩინა სახელმწიფოს სუსტი მხარეები, მოსახლეობაში წარმოშვა მასობრივი შიში, რამაც გააღრმავა ხელისუფლებისადმი უნდობლობა.

მესამე მიზეზს 80-იანი წლებისთვის მოსახლეობის რელიგიასთან დაახლოების აქტიურ და შეუქცევად პროცესში ვხედავთ, რამაც ყველაზე უკეთ წარმოაჩინა სახელმწიფო იდეოლოგიის უსუსურობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება წლების განმავლობაში ცდილობდა საზოგადოებრივი აზრის შექმნას არარსებული „რელიგიური კრიზისის“ შესახებ, მოცემულ პერიოდში თვალსაჩინო გახდა მისი არაადეკვატურობა არსებულ რეალობასთან. კრიზისს განიცდიდა არა რელიგია და ადამიანებში ღვთისადმი რწმენა, არამედ ოფიციალური იდეოლოგია. „საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულება მის მიმართ და სოციალური აპათია უკვე მომწიფებული იყო. მოსახლეობამ გააცნობიერა, რომ „განვითარებული სოციალიზმისა“ და ათეისტური, კომუნისტური იდეალებისადმი რწმენამ ვერ მოიტანა პროგრესი, პირიქით, დროსთან ერთად მძიმდებოდა სოციალურ-ეკონომიკური ფონი და არც შექმნილი სიტუაციიდან ჩანდა რეალური გამოსავალი. კვლავ იზღუდებოდა ადამიანის უფლებები და ტოტალიტარული რეჟიმი სულს უხუთავდა ინდივიდების მისწრაფებებს; ახშობდა უკეთესი მომავლის სურვილს იმ ღირებულებებით, რომლებსაც არ იზიარებდა პარტია... ღმერთწართმეული საზოგადოებისთვის ათეიზმი და კომუნიზმი ვეღარ წარმოადგენდა იმედს. შექმნილ სიტუაციაში, ადამიანებისთვის იმედის წყარო კვლავ რელიგია გახდა“ (ბოკელავაძე, 2024:398). გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეროვნული საკითხიც. იმ სიტუაციაში, როდესაც სახელმწიფო ყველაფერ ეროვნულს „მავნე ნაციონალიზმად“ და ბოროტებად აცხადებდა, ეკლესია ზრუნავდა ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების დაცვაზე (მაგ; საქართველოს, ლიეტუვის, ლატვიის და სხვა ეკლესიები). ეკლესია იქცა ღმერთთან დაბრუნების, სულიერი გადარჩენის, ეროვნული იდენტობისა და ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების გზად, რომლის ლოგიკური შედეგიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება იქნებოდა (ბოკელავაძე, 2024:398).

ყველივე აღნიშნულს თან ერთვოდა დასავლური, კათოლიკური სამყაროს ლიდერის - ვატიკანის შეურიგებელი ბრძოლა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ, რომელსაც **მეოთხე მიზეზად** მივიჩნევთ. მოძრაობა „სოლიდარობაზე“ იერიშის საპასუხოდ, 80-იან წლებში რომის პაპი იოანე პავლე II კვლავ ეწვია პოლონეთს და 1983 წლის ივნისში, საჯარო გამოსვლისას ღიად მოუწოდა მოსახლეობას დემოკრატიული ხელისუფლების შექმნის აუცილებლობისაკენ (Perrone, 2012:40). ვიზიარებთ რა, მკვლევარ არაგონ პერონეს მოსაზრებას, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული სხვა არაფერი იყო, თუ არა პოლონეთის პოლიტიკური ძალებისა და კათოლიკური ეკლესიის გაერთიანება არსებული რეჟიმის დასამხობად (Perrone, 2012:41).

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ცხადჰყოფდა მ. გორბაჩოვის მმართველობის პირველ ეტაპზე არსებულ კრიტიკულ მდგომარეობას და სასწრაფო ზომების მიღების აუცილებლობას, რის საფუძველზეც, 1987 წლიდან ქვეყანაში იწყება რადიკალური გარდაქმნები, რომლებიც ეტაპობრივად განხორციელდა ეკონომიკურ, სოციალურ და რელიგიის სფეროშიც. ცვლილებებს და პერსპექტივებს მ. გორბაჩოვმა 1987 წელს საგანგებო წიგნი მიუძღვნა, სახელწოდებით „პერესტროიკა და ახალი აზროვნება ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსთვის“, რომელიც გარდაქმნას განიხილავდა როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენას, რომლის შედეგებიც პოზიტიურად აისახებოდა საბჭოთა კავშირის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და კაცობრიობის გლობალურ განვითარებაზე (Горбачев, 1987:125). მალე ქვეყანაში დაიწყო ახალი ეკონომიკური პროგრამის გატარება, „საჯაროობის“ გამოცხადება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ცენზურის შერბილება, სიტყვის თავისუფლების დაშვება და ა.შ. (მაცაბერიძე, 2023: 414, 423). შედეგად, 1987 წლის ბოლოს სსრკ-ისა და აშშ-ის ლიდერები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, უკვე ვაშინგტონში და საშუალო რადიუსის რაკეტების ლიკვიდაციაზე შეთანხმებას მოაწერეს ხელი (Brown, 2010:262). მიღწეული კონსენსუსი, ბუნებრივია, სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში. თუმცა, დღის წესრიგიდან არ მოხსნილა რელიგიური თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების საკითხი. მ. გორბაჩოვმა გააცნობიერა, რომ პრობლემის გადაჭრაში მას სჭირდებოდა ქვეყნის შიგნით არსებული რელიგიური ძალების მხარდაჭერა.

ამ პერიოდიდან იწყება რელიგიური პოლიტიკის გადაფასებაც. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მოსკოვში 1990 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევა, რომელმაც დაადგინა თუ ვის უცხადებდა ნდობას საბჭოთა კავშირის მოსახლეობა. 64 %-მა ხმა მისცა ეკლესიას, კომუნისტურ პარტიას კი მხოლოდ 5.4 % ერგო (Ramet, 2005:49). კვლევის შედეგები ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რომელი მხარე განიცდიდა კრიზისს. 80-იან წლებში ეკლესია იმაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ვიდრე მმართველი პარტია, რასაც ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი ხვდებოდა და სწორედ ამიტომ საჭიროებდა მის დახმარებას. პოლიტიკის გადაფასება გულისხმობდა რელიგიური ინსტიტუტების მოაზრებას პოტენციურ მოკავშირეებად „„გარდაქმნის“ პროცესში, რომლებსაც შეეძლოთ პოზიტიური როლის შესრულება დასავლეთთან ურთიერთობის დაბალანსებაში. ამ კუთხით, ხელისუფლებამ ქვეყნის მთავარი - რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია შეარჩია და დაიწყო მის გაძლიერებაზე ზრუნვა.

„რელიგიური პერესტროიკა“ ცხადია, შეეხო რეპრესირებულ ადამიანებს. 1987 წელს ციხეებიდან გაათავისუფლეს რწმენის ნიშნით დატუსაღებულთა დაახლოებით მესამედი, დარეგისტრირების უფლება მიეცათ რელიგიურ თემებს (Anderson, 1994/2002:139).

1988 წლის აპრილში მ. გორბაჩოვი შეხვდა რუსეთის ეკლესიის პატრიარქს - პიმენს და სინოდის წევრებს, დიალოგი ისტორიულ მნიშვნელობას ატარებდა, პირველ რიგში იმ თვალსაზრისით, რომ 1943 წლის შემდეგ (იგულისხმება სტალინისა და ეკლესიის წინამძღვრების შეხვედრა) ეს იყო ხელისუფლებისა და უმაღლესი საეკლესიო იერარქების პირველი შეხვედრა და მეორე - საბჭოთა მთავრობამ პოზიტიურად შეაფასა ეკლესიის როლი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში და აღნიშნა, რომ სახელისუფლებო პოლიტიკა ამიერიდან დაფუძნებული იქნებოდა ეკლესიასთან თანამშრომლობაზე (ბოკელავაძე, 2024:402).

თანამშრომლობის წარმოჩენას ემსახურებოდა 1988 წლის ივნისში რუსეთის გაქრისტიანების 100 წლის იუბილეს მასშტაბური აღნიშვნა, რომელსაც არა მხოლოდ ეკლესიის, არამედ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი მოვლენის ზეიმის სახე მიეცა ((Ramet, 2005: 33). პროფესორ საბრინა პეტრა რამეთის შეფასებით, საიუბილეო ღონისძიებებმა „წარმოაჩინა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც

სოციალური ინსტიტუტის რეაბილიტაცია და ეროვნული (რუსული) კულტურისა და მასში ეკლესიის წვლილის აღიარება. ორივე კუთხით, ის ასახავდა გარდატეხას ადრინდელ სახელმწიფო პოლიტიკაში - რელიგიისა და ნაციონალიზმის სფეროში". (Ramet, 2005: 34).

„რელიგიური პერესტროიკა" გულისხმობდა აგრეთვე, ეკლესიების გახსნას, რუსეთის ეკლესიისადმი მნიშვნელოვანი მონასტრების დაბრუნებას, დანილოვის მონასტრის, როგორც სასულიერო და ადმინისტრაციული ცენტრის აღდგენას, 1989 წელს რუსეთის საპატრიარქოსთვის ბიბლიის საიუბილეო გამოცემისა და გაზეთ „Московский церковный вестник" გამოქვეყნების ნებართვას; ლიტურგიის ტელევიზიით გადაცემას, შობის სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადებას და სხვ. (ბოკელავაძე, 2024:403).

შეიძლება ითქვას, რომ „გარდაქმნა" რელიგიურ სფეროში, პრაქტიკაში ნამდვილად იგრძნობოდა, ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იგი უმეტესად, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაზე გავრცელდა და ნაკლებად შეეხო არარუსულ და არამართლმადიდებლურ ეკლესიებს. საქართველოს, უკრაინის, ლატვიის, ლიეტუვის ეკლესიები ვერ სარგებლობდნენ იმ შესაძლებლობებითა და უფლებებით, რაც რუსეთის საპატრიარქოს გააჩნდა. ბუნებრივია, აღნიშნულს თავისი მიზეზები ჰქონდა. მხედველობაში გვაქვს საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებულად ნეგატიური დამოკიდებულება კათოლიკური და პროტესტანტული ორგანიზაციებისადმი, რომლებსაც იგი ერთმნიშვნელოვნად, დასავლური სამყაროს „სატელიტებად" აღიქვამდა. გარდა ამისა, ისინი საღვთისმეტყველო და იურისდიქციული საკითხების ირგვლივ ხანგრძლივ დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. რაც შეეხება ქართულ სამოციქულო ეკლესიას, მართალია, მას მოცემულ პერიოდში არ ჰქონდა თეოლოგიური და სამართლებრივ-იურისდიქციული დავა რუსეთის ეკლესიასთან, თუმცა, მას გააჩნდა ეროვნული პოზიციები, რის გამოც მთავრობისთვის არასასურველ ინსტიტუტს წარმოადგენდა და ბუნებრივია, ამ უკანასკნელის ინტერესებში არ შედიოდა მისი გაძლიერება.

„რელიგიური გარდაქმნის" სეგრეგაციული ხასიათი მხედველობიდან არ გამორჩენია დასავლურ სამყაროს. 1987 წმინდა საყდრის წინამძღოლი კიდევ ერთხელ

ეწვია პოლონეთს, რის შემდეგაც გორბაჩოვის ხელისუფლება მიხვდა, რომ „კათოლიკური საფრთხის“ თავიდან აცილებისთვის, მხოლოდ რუსული ეკლესიის რეაბილიტაცია არ იქნებოდა საკმარისი. აუცილებელი იყო ურთიერთობის ნორმალიზება თავად ვატიკანთან.

1988 წლის მაისში, მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ლიდერების მორიგი შეხვედრა. აშშ-ის „ეროვნული უსაფრთხოების არქივში“ დაცული დოკუმენტიდან (რომელიც ამ შეხვედრის ჩანაწერს წარმოადგენს) ირკვევა, რელიგიური სფეროს დემოკრატიზაციაზე საუბრისას, რ. რეიგანმა მ. გორბაჩოვის წინაშე ხაზგასმით დააყენა უკრაინელი კათოლიკეების, პროტესტანტების, იუდეველებისა და მუსლიმების მდგომარეობის საკითხი (Memorandum of Conversation, 1988: 2-5). აშკარა გახდა, რომ კონსენსუსი და სასურველი შედეგების მიღება, კონფესიური პოლიტიკის სრულყოფის გარეშე, გამორიცხული იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმავე წელს იწყება „რელიგიური გარდაქმნის“ გავრცელება არამართლმადიდებლურ თემებზე, რაც ძირითადად, უკრაინის, ლიეტუვის, ლატვიის, ბელარუსის კათოლიკური და პროტესტანტული ორგანიზაციებისთვის სალოცავების გადაცემით, თავისუფალი მოღვაწეობის შესაძლებლობის მიცემით გამოვლინდა. ვატიკანმაც მიიღო თანხმობა ლიეტუვასა და ბელარუსში ეპისკოპოსების დანიშვნაზე (Ramet, 2005: 43). 1989 წელს გორბაჩოვი პირადად ესტუმრა წმინდა საყდარს და ეახლა რომის პაპს. საბჭოთა ხელისუფალმა დადებითად შეაფასა მისი როლი მსოფლიო პროცესებში (Weigel, 1999/2001:603), თუმცა, პაპმა მას პირდაპირ მიუთითა რელიგიურ თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო ბაზის ცვლილებების აუცილობაზე. “ამით, - აცხადებდა იგი - საბჭოთა პრაქტიკა, შესაძლოა „სრულ ჰარმონიაში მოვიდეს იმ საერთაშორისო ვალდებულებებთან, რომლებზეც საბჭოთა კავშირს... ხელი აქვს მოწერილი” (Weigel, 1999/2001:603).

საბჭოთა მთავრობისთვის გასაგები იყო, რაზეც ნიშნავდა პონტიფიკოსის მითითება. „გარდაქმნის“ სრულფასოვანი გატარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ვატიკანთან ურთიერთობის დარეგულირება. გორბაჩოვი პონტიფიკოსს დაჰპირდა, რომ უზრუნველყოფდა ახალი კანონების მიღებას (Weigel, 1999/2001:604).

პირობის სისრულეში მოყვანას ემსახურებოდა 1990-იანი წლების დასაწყისში მიღებული კანონები: „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ და რსფსრ კანონი "რელიგიის თავისუფლების შესახებ", რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფომ აღიარა ეკლესიის, როგორც იურიდიული პირის უფლებები. მას ამიერიდან ენიჭებოდა უძრავი ქონების ფლობის, ახალგაზრდებთან მუშაობის, ქველმოქმედებისა და განმანათლებლობის შესაძლებლობა. რელიგიის საქმეთა საბჭოს ჯერ შეეზღუდა უფლებამოსილება, შემდეგ კი, რსფსრ კანონით სრულიად გაუქმდა და ჩანაცვლდა უმაღლესი საბჭოს (შემდგომში კი სახელმწიფო სათათბიროს) რელიგიისა და სინდისის თავისუფლების კომისიით (Горшкова, 2001:48-49). თუმცა, გატარებულმა ღონისძიებებმა ხელისუფლებისთვის მისაღები შედეგი ვერ გამოიღო, ვინაიდან ისინი დაგვიანებული აღმოჩნდა. მათ ვერ შეძლეს სისტემის გადარჩენა. 1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა.

კათოლიკური სამყაროს წინამძღვართან შეხვედრამ და მისმა შედეგებმა მთელი სისავსით წარმოაჩინა კომუნისტური იდეოლოგიისა და საბჭოთა იმპერიის მარცხი. რ. რეიგანის პროგნოზით, რელიგია მართლაც აღმოჩნდა სსრკ-ის „აქილევსის ქუსლი“, რომელმაც კრიტიკულ სიტუაციაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა. მართალია სისტემის ჩამოშლა მნიშვნელოვანწილად, ქვეყნის იდეოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამხედრო სფეროებში არსებულმა კრიზისებმა განაპირობა, თუმცა, ვფიქრობთ, არ იქნება ხმამაღალი შეფასება, თუ ვიტყვით იმას, რომ სისტემის საბოლოო კრახი სწორედ ადამიანის უფლებებსა და რელიგიის თავისუფლებაზეც გადიოდა, ვინაიდან ადამიანის უფლებები წარმოადგენდა იმ ფუნდამენტს, რომელსაც ეფუძნებოდა საბჭოთა კავშირისა თუ სოციალისტური ბანაკის მოქალაქეთა მოთხოვნები სრულფასოვანი ცხოვრებისეული პირობების, განათლების, სიტყვისა და სინდისის თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის შესახებ. ამ მოქალაქეთა შორის კი იყვნენ როგორც მორწმუნეები და სასულიერო პირები, ისე, რელიგიისადმი პოზიტიურად ან ნეიტრალურად განწყობილი პირებიც, ასევე ათეისტებიც, რომელთათვისაც ასევე მიუღებელი იყო ადამიანთა დისკრიმინაცია, თუნდაც რელიგიური ნიშნით (ბოკელავაძე, 2024:406).

საბჭოთა იმპერიის დაშლით დასრულდა რელიგიისა და მორწმუნეთა დევნის მრავალწლიანი ისტორია, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ადამიანის

რწმენასთან ბრძოლის აბსურდულობა და ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმის გარდაუვალი კრახი.

მეორე თავი

საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა რუსეთის, კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიის და იერუსალიმის მართლმადიდებელ ეკლესიებთან

2.1. საქართველოს ეკლესია საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის პერიოდში

საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების რელიგიურმა პოლიტიკამ თავისი ასახვა ჰპოვა როგორც საკავშირო რესპუბლიკებისა თუ სოციალისტური ბანაკის კომუნისტურ ხელისუფლებათა ოფიციალურ კურსზე, ისე მოცემულ სახელმწიფოებში არსებული რელიგიური ორგანიზაციებისა და მორწმუნეთა ცხოვრებაზე. ბუნებრივია, ვერცერთი ადგილობრივი ხელისუფლება ვერ შეძლებდა პარტიული იდეოლოგიისგან და ოფიციალური კურსისგან რადიკალურ გადახვევას და მით უფრო, მასთან დაპირისპირებას. შესაბამისად, რესპუბლიკებშიც ის ხაზი გრძელდებოდა, რაც კრემლში იყო შემუშავებული.

საბჭოთა წარსულის მკვლევრები ადგილობრივ მმართველებში გამოყოფენ ორ ძირითად კატეგორიას: პირველი, ვინც ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა კრემლის დირექტივებს და მეორე - მმართველები, რომლებიც ცენტრს ფორმალურად უცხადებდნენ ერთგულებას და ნდობის მოსაპოვებლად მიმართავდნენ კიდეც ქმედით ღონისძიებებს ცენტრიდან მიღებული დირექტივების შესასრულებლად, თუმცა, პარალელურად, მაინც ახერხებდნენ ეროვნული ინტერესების დაცვისათვის საჭირო ნაბიჯების გადადგმას. ამ კატეგორიის მმართველთა თვალსაჩინო წარმომადგენელად მიჩნეულია საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი, ვასილ მჟავანაძე, რომელიც ქვეყანას 1953 წლიდან 1972 წლამდე მართავდა. საქართველოს უახლესი ისტორიის ღვაწლმოსილი მკვლევრის, პროფესორ დიმიტრი შველიძის შეფასებით, „ვასილ მჟავანაძეს მიაჩნდა, რომ ის უპირველეს ყოვლისა, კომუნისტი იყო, მაგრამ მას ასევე მიაჩნდა, რომ კომუნისტობასთან ერთად, შესაძლებელი იყო ადამიანი და მით უფრო ქვეყნის მმართველი - პატრიოტიც ყოფილიყო. საყოველთაო აღიარებით, მჟავანაძეს უყვარდა საკუთარი ქვეყანა და საკუთარი ხალხი. რესპუბლიკის პირველი მდივანი კრემლის

დიქტატს უნდა დამორჩილებოდა და მჟავანაძე ასეც აკეთებდა, მაგრამ მან გადაწყვიტა მოსკოვის მბრძანებლობისათვის - მოქნილი, მანევრირებადი პოლიტიკით ეპასუხა.“ (შველიძე, 2021:251). მისი მმართველობის დროს დაიწყო საქართველოში ფართო აღმშენებლობითი საქმიანობა, გაიხსნა სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები (სამედიცინო, ეკონომიკური, კულტურული), გაკეთდა გზები, პარალელურად, იგი აქტიურად იბრძოდა საქართველოს ბუნებრივი წიაღისეულის რუსეთში გატანის წინააღმდეგ და ხელს უშლიდა გეოლოგებს მადნის საძიებო სამუშაოების დაწყებასა თუ წარმართვაში. აღნიშნულის მიზანი იყო ის, რომ საქართველოს ბუნების სიმდიდრე ქართველ ხალხს დარჩენოდა. (შველიძე, 2021: 252-255). თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის წახალისების შედეგად, თავი იჩინა არალეგალურმა ბიზნესმა და კორუფციის გაზრდილმა ხარისხმა, რაც საბოლოოდ, ცეკას პირველი მდივნის თანამდებობიდან გადაყენების ოფიციალური მიზეზი გახდა. თუმცა, ჩვენი აზრით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიზეზი მხოლოდ ეს ყოფილიყო. ვ. მჟავანაძის მმართველობის პერიოდს უკავშირდება საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებისა და ამ იდეების მატარებელი ჯგუფების გავრცელება. მართალია, ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია და მიღებული ზომები ისეთი იყო, როგორიც კრემლის დაკვეთით, ყველა რესპუბლიკურ მთავრობას უნდა ჰქონოდა „ნაციონალიზმის“ ნებისმიერ გამოვლინებასთან, თუმცა, ის ფაქტი, რომ მისი მმართველობის დროს „ვერ აღმოიფხვრა“ „ნაციონალისტური და ანტისაბჭოური“ მოქმედებები, ვფიქრობთ, შესაძლოა გამხდარიყო მისი გათავისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, როგორი იყო ვ. მჟავანაძის მმართველობის პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა. რა ხარისხით ვრცელდებოდა მასზე კრემლის დირექტივები და როგორი ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ ხელისუფლებას საქართველოს ამ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტთან. აქვე აღვნიშნავთ იმას, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლების საბჭოთა ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკას და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობას შესანიშნავი ნაშრომი მიუძღვნა ახალგაზრდა მკვლევარმა მიხეილ ქართველიშვილმა, რომლის მონოგრაფიაშიც „საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები

1953-1964 წლებში“ დეტალურადაა შესწავლილი იოსებ სტალინისა და ნიკიტა ხრუშჩოვის რელიგიური პოლიტიკა და მისი გავლენა საბჭოთა საქართველოში. გამოკვლევის ზედა ზღვარი 1964 წლით სრულდება. რაც შეეხება 60-იანი წლების მეორე ნახევარს, აქ დიდ დახმარებას გვიწევს პროფესორ სერგო ვარდოსანიძის ნაშრომები, რომლებიც უმეტესად, საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცულ დოკუმენტებზეა დაყრდნობილი და მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის საკითხით დაინტერესებულ პირებს. მართალია, ჩვენი საკვლევი ობიექტის ქრონოლოგიური ჩარჩო XX ს-ის 70-80-იანი წლებია და კონკრეტულად ბრეჟნევის მმართველობით იწყება, თუმცა, გვერდს ვერ ავუვლით 60-იანი წლების ვითარების განხილვას, მით უფრო, რომ ვ. მჟავანაძის ხელისუფლებაში ყოფნა 1953-1972 წლებს მოიცავს.

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ქართველი ერის იდენტობის, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირებულებების დაცვისა და განვითარების საქმეში. მსგავსი პოზიცია ეკავა მას ცარისტული რუსეთის ბატონობისა და ბოლშევიკური ხელისუფლების მმართველობის პერიოდშიც. XX ს-ის 60-იანი წლები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში პატრიარქ ეფრემ II-ის (1960-1972 წწ.) მოღვაწეობას ემთხვევა. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ პატრიარქს ურთულეს პერიოდში მოუწია წინამძღვრობა, ვინაიდან როგორც ზემოთ განვიხილეთ, ნ. ხრუშჩოვის პოლიტიკა, მიუხედავად გარკვეულ პერიოდში არსებული კომპრომისებისა, რელიგიური ორგანიზაციებისა და მორწმუნე საზოგადოების მიმართ მაინც ყველაზე აგრესიული და რეპრესიული იყო, რომლის მიზანსაც ეკლესიების ლიკვიდაცია და საზოგადოების ცნობიერებიდან რელიგიის აღმოფხვრა წარმოადგენდა. პატრიარქ ეფრემის მოღვაწეობის დასაწყისში, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობდა მხოლოდ 5 მოქმედი ეპარქია, 100 მოქმედი ეკლესია, ორი დედათა და მამათა მონასტერი. მოღვაწეობდა სულ 105-მდე სასულიერო პირი. საპატრიარქოს არ გააჩნდა რეზიდენცია (ისტორიული შენობა 1923 წლიდან სახელმწიფოს საკუთრებაში იყო), ბეჭდური ორგანო, სასულიერო სასწავლებელი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია არ იყო აღიარებული მსოფლიოს მ,ართლმადიდებელ ეკლესიათა უმრავლესობის მიერ. იბეგრებოდნენ სასულიერო პირები. მკაცრად კონტროლდებოდა მათი საქმიანობა. (ვარდოსანიძე,

2017:313). ქართველი მწერლის, იპოლიტე ვართაგავასადმი გაგზავნილ პირად წერილში პატრიარქი წერდა: „დღეს უფრო მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვიდრე კათოლიკოს-პატრიარქების კალისტრატეს ან მელქისედეკის დროს იყო. აქ ყველაფერს ვერ დავწერ, გასაგები მიზეზების გამო, ძალიან გართულებულ გარემოცვაშია ჩვენი ეკლესია. შეიძლება გულშემატკივარნი ბევრი ჰყავდეს, მაგრამ აქტიურ მომქმედთ ვერა ვხედავ.“ (ვარდოსანიძე, 2017:319). პატრიარქის წუხილი ნათლად გამოხატავს საკავშირო მასშტაბით არსებულ რეალობას და მოსახლეობაში ფართოდ ფესვგამდგარ შიშს, რომელიც მას არ აძლევდა ეკლესიისადმი ღია მხარდაჭერის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, პატრიარქი მტკიცედ იცავდა როგორც ეკლესიის, ისე ეროვნულ ინტერესებს.

მკვლევარ მ. ქართველიშვილის შეფასებით, მთავრობის მიერ წარმოებული მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის საპასუხოდ, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ 50-იან წლებში სცადეს ხელისუფლების დათანხმება სასულიერო სასწავლებლის გახსნაზე, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა როგორც სასულიერო დასში არსებული დეფიციტის ახალგაზრდა კადრებით შევსება, ისე სასულიერო განათლების გავრცელება, თუმცა, უშედეგოდ. (ქართველიშვილი, 2022: 176-177). აღნიშნულის მიღწევა მხოლოდ პატრიარქ ეფრემ II-ის მწყემსმთავრობის დროს გახდა შესაძლებელი, როდესაც 1962 წელს ხელისუფლებამ მცხეთაში სამოძღვრო კურსების გახსნის შესახებ გასცა ნებართვა. მცხეთის სასწავლებელი 1963 წელს გაიხსნა და პატრიარქმა მას სათავეში ღრმად განათლებული შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი) ჩაუყენა (ვარდოსანიძე, 2017: 315). 2 წლის შემდეგ, 1965 წელს სასწავლებელი სემინარიად გადაკეთდა. ქრისტიანული სასულიერო სასწავლებლის გახსნა 60-იან წლებში, სრულიად საკავშირო მასშტაბით ფართოდ გაშლილი ათეისტური და ანტირელიგიური პროპაგანდის ფონზე, უდაოდ, დიდ მიღწევას წარმოადგენდა. აღნიშნულს, ვფიქრობთ, ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ რუსეთსა და სსრკ-ის სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ 40-იანი წლებიდან ფუნქციონირებდა სასულიერო სასწავლებლები. არსებული პრეცენდენტები საქართველოს ხელისუფლებას აძლევდა იმის საშუალებას, რომ სასწავლებლის გახსნაზე ნებართვა გაეცა. ჩნდება კითხვა: რატომ არ გააკეთა ეს ხელისუფლებამ 50-იან წლებში და რატომ დაუშვა 60-იან წლებში? ვფიქრობთ, საქართველოს ეკლესიის

წინაშე დაშვებული კომპრომისები მოცემულ პერიოდში განპირობებული იყო სსრკ-სა და აშშ-ს შორის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობით (მხედველობაში გვაქვს ცივი ომის კულმინაცია - ე.წ. „კარიბის კრიზისი“) და ამ დაძაბულობის განმუხტვის აუცილებლობით, რაშიც ნ. ხრუშჩოვის ხელისუფლებას სჭირდებოდა კავშირში არსებული საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და მეტადრე, ეკლესიების მხარდაჭერა. აღსანიშნავია აგრეთვე, ეკუმენური მოძრაობა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მოღვაწეობაც, რომელიც მოცემული პერიოდისთვის უკვე აშკარა პროამერიკულ ორიენტაციას ამჟღავნებდა და დიდ როლს ასრულებდა მსოფლიოს რელიგიური ძალების საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დარაზმვაში. ხსენებულით იყო განპირობებული ის, რომ 60-იანი წლების დასაწყისში ნ. ხრუშჩოვის ხელისუფლება სსრკ-ის რელიგიურ ორგანიზაციებს (მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას) ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების შესაძლებლობას აძლევს, რაც საკმაოდ სერიოზულ კომპრომისს წარმოადგენდა, საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯის რეაბილიტაციაზე ზრუნვის სანაცვლოდ, ვინაიდან კავშირის სამღვდელოებისთვის ფართო ასპარეზის მიცემა თავისთავად შეიცავდა იმ რისკს, რომ ისინი ეცდებოდნენ საკუთარი ეკლესიისა და ქვეყნის ინტერესების გატარებას.

შექმნილი მდგომარეობა გონივრულად გამოიყენეს რელიგიურმა ორგანიზაციებმა, მათ შორის საქართველოს ეკლესიამ. ფართოდ გაშლილი მეცნიერულ-ათეისტური ლექციებისა და ღონისძიებების პირობებში, პატრიარქმა ეფრემმა შეძლო, გამოეცა ქრისტიანული სასულიერო წიგნები: „ლოცვანი, საქართველოს ეკლესიის ყოველწლიური კალენდარი, იოანეს გამოცხადება, გიორგი მთაწმინდელის ნახელავი ოთხთავი, ეპისტოლენი და ქართველ წმინდანთა სურათები, ხატები“ (ვარდოსანიძე, 2017 : 319). აშკარა იყო, რომ სხვა სფეროებში თანამშრომლობის მიუხედავად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი არ აპირებდნენ ათეისტური, კომუნისტური რეჟიმისადმი დამორჩილებას. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოჩნდა 1963 წელს, როდესაც პატრიარქი ეფრემი საფრანგეთში მოხსენებით გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კონფერენციაზე, სადაც წარადგინა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ეკლესიის მდგომარეობა. შემდეგ კი, ლევილში ეწვია ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს და პანაშვიდი გადაუხადა რუსული აგრესიის გამო საქართველოდან გადახვეწილ

მამულიშვილებს. (ვარდოსანიძე, 2017: 315). აღნიშნული ჟესტი თავისთავად, წარმოადგენდა ღია, დაუფარავ პროტესტს ბოლეშევიკური აგრესიისა და რეჟიმის წინააღმდეგ. პატრიარქისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციები, ბუნებრივია, რეაგირების გარეშე არ დარჩებოდა საბჭოთა ხელისუფლებისგან, თუმცა, იგი, არსებული საერთაშორისო ვითარების ფონზე, ვერ გაბედავდა პირდაპირი სადამსჯელო ზომების გატარებას, ამიტომ მან „დაყავი და იბატონე“-ს კლასიკურ მეთოდს მიმართა.

1968 წლის 12 ივნისს სვეტიცხოვლის ტაძარში გაიმართა თვითგამოცხადებული სასულიერო პირებისა (ისინი არ იყვნენ ხელდასხმულნი) და 400-ზე მეტი საერო პირისგან შემდგარი კრება, რომელმაც პატრიარქისა და საეკლესიო კანონიკის გვერდის ავლით, ხელდასხმულად გამოაცხადა ბენედიქტე ჯალაღონია და ალექსანდრე ქათამაძე. კრებამ თვითნებურად გააუქმა 1920 წლის 27 ივნისის საქართველოს ეკლესიის კრების გადაწყვეტილება მცხეთისა და თბილისის ეპარქიების გაერთიანების შესახებ და მცხეთის ეპარქია თბილისის ეპარქიისგან გამოყოფილად გამოაცხადა. ასევე დაადგინა ხელდასხმის გარეგნული წესების შესრულება ხალხის (მორწმუნე საერო პირების) მიერ და განაცხადა, რომ თუ მიმდინარე წლის სვეტიცხოვლობამდე (14 ოქტომბრამდე) პატრიარქი არ დაადასტურებდა კრების მიერ ხარისხში აყვანილი პირების ხელდასხმის კანონიერებას, მრევლის მიერ იგი არ დაიშვებოდა ტაძარში, როგორც მწირველი და ახალი პატრიარქის არჩევამდე, ისინი აღავლენდნენ ურბნელი მიტროპოლიტის, დავითის (დევდარიანი) სახელს (ვარდოსანიძე, 2017: 325). კრების ოქმის მე-6 მუხლში კი ეწერა: „თუ ეს უკანასკნელი (მიტროპოლიტი დავითი) ეფრემ II-ს მხარს დაუჭერს და არ სცნობს ეპისკოპოს ბენედიქტეს კანონიერ ეპისკოპოსად, მისი (ე.ი. ურბნელის) სახელის აღვლენა შეწყდება სვეტიცხოველში“ (ვარდოსანიძე, 2017: 327-328). კრება და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სხვა არაფერს ნიშნავდა, თუ არა პატრიარქ ეფრემის წინააღმდეგ ამბოხის მცდელობას, მისი იურისდიქციიდან მცხეთის ეპარქიის ჩამოცილებას და საეკლესიო განხეთქილების გზით, საქართველოს ეკლესიაში ქაოსის შეტანას. ამბოხებულებს საპატრიარქო ტახტზე თავიანთი კანდიდატიც ჰყავდათ - ურბნელი მიტროპოლიტი დავითი. ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ორ მღვდელმთავარს შორის დაპირისპირება უდაოდ,

ძლიერ ნეგატიურ გავლენას მოახდენდა როგორც ეკლესიაში არსებულ მდგომარეობაზე, ისე საზოგადოებრივ აზრზე, პროფესორ ს. ვარდოსანიძის შეფასებით, ამბოხებულები, ხელისუფლების წაქეზებით მოქმედებდნენ. (ვარდოსანიძე, 2017 : 322). სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არსებული მასალა არ გვაძლევს საკითხზე ზუსტი დასკვნების გაკეთების საშუალებას, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ამბოხის მოსალოდნელ შედეგებს, არ იქნება რთული იმის თქმა, თუ ვის აძლევდა ხელს ამბოხის წარმატებით განხორციელება. პატრიარქ ეფრემის იურისდიქციიდან მცხეთის ეპარქიის ჩამოცილება, მისთვის სვეტიცხოველში წირვის აკრძალვა, ფაქტობრივად, ნიშნავდა საქართველოს ეკლესიის გაყოფის მცდელობას, იმ შემთხვევაში, თუ პატრიარქი არ დათმობდა პოზიციებს. თან ამბოხებულებმა ვითარება ისე წარმოაჩინეს, თითქოს პატრიარქის წინააღმდეგ მხოლოდ სასულიერო პირობის მსურველებს კი არა, თვით მრევლს - მორწმუნე საზოგადოებას ჰქონდა პროტესტი. (მაშინ, როდესაც უწმინდესი ეფრემ II უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს შორის). დაპირისპირება ეკლესიაში, თავისთავად, უაღრესად ნეგატიურ მოვლენას წარმოადგენდა, განსაკუთრებით, ათეისტური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. აღნიშნული იყო ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იმისთვის, რომ ათეისტები დაერწმუნებინათ რელიგიისა და რელიგიურ მოღვაწეთა საქმიანობის „მავნებლობაში“, მორწმუნე და ნეიტრალურად განწყობილ საზოგადოებაში კი ეკლესიის მიმართ გაეჩინათ უნდობლობა. ამბოხის გამარჯვებისა და ეკლესიის მწყემსმთავრისათვის საპატრიარქო ღირსების აყრა კი იქნებოდა სრული იმედგაცრუება ქართველი ერისთვის, რომელიც პატრიარქ ეფრემის პიროვნებაში ხედავდა ეროვნული ინტერესების დამცველს. ყოველივე ხსენებული, ვფიქრობთ, ყველაზე მეტად სწორედ საბჭოთა ხელისუფლებას (ადგილობრივზე მეტად, ცენტრს) აძლევდა ხელს. შესაძლოა, პროცესი მის მიერ არ იყო ინიცირებული და ორგანიზებული, თუმცა, არ არის გამორიცხული მისი მონაწილეობა ამბოხის წარმატებით დასრულების ხელშეწყობაში. მით უფრო, რომ პროცესი ძალიან ჰგავს ლ. ბრეჟნევის ხელისუფლების ხელწერას ეკლესიასთან ურთიერთობის სფეროში, რომელიც ძირითადად, „დაყავი და იბატონეს“ პრინციპზე გადიოდა. თუმცა,

ვიმეორებთ, შესაბამისი წყაროების არ ქონის გამო, თავს ვიკავებთ ზუსტი დასკვნების გაკეთებისგან.

საეკლესიო ამბოხის მცდელობისა და კანონიკის უხეში დარღვევის ფაქტს მკაცრი რეაგირება მოჰყვა სინოდისგან და განსაკუთრებით ურბნელი მიტროპოლიტი დავითისგან, რომლის სახელის გამოყენებაც სცადეს მეამბოხეებმა. 1968 წლის 5 აგვისტოს მან სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრის მოადგილეს არქიმანდრიტ პართენს წერილი გაუგზავნა: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის საწინამძღვრო ტაძარში მომხდარი ბოროტმოქმედების შემდეგ წირვა-ლოცვის დროს იხსენიებთ ჩემს თავს და, როგორც წესია, არა მის უწმიდესობას და უნეტარესობას. ამის გამო მე, მიტროპოლიტი დავითი ურბნელი, კატეგორიულად მოვითხოვ და ოფიციალურად ვაპროტესტებ ზემოხსენებულ უსაფუძვლო და უტაქტო მოქმედებას. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ სვეტიცხოვლის ტაძარში და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიაში ასეთ ბოროტებას მომავალში აღარ ექნება ადგილი“ (ვარდოსანიძე, 2017: 327). სინოდის საგანგებო სხდომამ ეკლესიიდან განკვეთა ამბოხების მონაწილენი: ალექსანდრე ქათამაძე, ბეჯით ჯალაღონია, ნინო იორამაშვილი. საეკლესიო ხარისხი ჩამოერთვა არქიმანდრიტ პართენ აფციაურს. სინოდის გადაწყვეტილება ეცნობა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელმაც შექმნილ მდგომარეობაში ოფიციალურად ეკლესიის კანონიერი წარმომადგენლებისადმი მხარდაჭერა გამოხატა და ამბოხებულები სვეტიცხოვლიდან გამოაძევა (ვარდოსანიძე, 2017: 328-329). 1968 წლის ამბოხი არ იყო ერთადერთი მოვლენა, რომელიც ეკლესიის დისკრედიტაციას ემსახურებოდა. საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცულია 1970 წლით დათარიღებული დოკუმენტი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკას და დამოკიდებულებას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. დოკუმენტი გახლავთ ალავერდელი ეპისკოპოსის, რომანოზ პეტრიაშვილის 1970 წლის 20 ივლისის წერილი პატრიარქ ეფრემ II-ისადმი, რომელიც იტყობინება კულტურის მინისტრის მიერ ალავერდის ტაძარში განხორციელებულ ქმედებას: „კულტურის მინისტრმა თაქთაქიშვილმა ტაძარში ცეკვა-თამაში მოაწყობინა. მე გაკვირვებული ვარ და მწყინს, რომ ამ ამბის მომწყობია კულტურის მინისტრი. ასე მასხრად აგდება ძველი ისტორიული სიწმინდისა, რომლის ტრაპეზქვეშ განისვენებენ იოსებ

ალავერდელი, წმ. ქეთევან დედოფალი, წარმოუდგენელია“ (ალავერდელი ეპისკოპოსის... 1970, ვარდოსანიძე, 2017:320).

როგორც ვხედავთ, საბჭოთა კავშირის ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა, რომელიც ფასადურად ეკლესიებთან თანამშრომლობას, სინამდვილეში კი მათ დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად, 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში, მოკავშირე რესპუბლიკებშიც მსგავსი სახით ტარდებოდა. აღნიშნული ბუნებრივია, ვინაიდან ადგილობრივ მთავრობებს არ შეეძლოთ გადაეხვიათ კრემლის დირექტივებისთვის. თუმცა, ვფიქრობთ, სხვა სფეროების მსგავსად, რელიგიასთან ურთიერთობის სფეროშიც რომ ყოფილიყო ადგილობრივი ხელისუფლების ნება, შესაძლებელი იქნებოდა თუნდაც ზემოთ აღწერილი ფაქტების თავიდან აცილება.

მოღვაწეობის ურთულესი წლების შემდეგ, 1972 წელს პატრიარქი ეფრემი გარდაიცვალა. იმავე წელს განხორციელდა საკადრო ცვლილებები რესპუბლიკის მთავრობაშიც და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე გახდა. ე. შევარდნაძე იყო ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურა საბჭოთა კავშირის ისტორიაში. 1965-1972 წლებში მას შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა, 1972-1985 წლებში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას პირველი მდივნის, 1985-1990 წლებში კი სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის. მისი მმართველობა საქართველოში ორი პატრიარქის - დავით V-ისა (დევდარიანი) და ილია II-ის მოღვაწეობას ემთხვევა.

დავით V-ის მწყემსმთავრობის დასაწყისში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იმაზე რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე ეფრემ II-ის მოღვაწეობის დასაწყისში. არსებობდა 50-მდე მოქმედი ეკლესია-მონასტერი და სამლოცველო სახლი, 60-მდე სასულიერო პირით (მათ შორის: 4 მღვდელმთავარი, 50 არქიმანდრიტი, დეკანოზი, მღვდელი, 5 დიაკვანი) (ვარდოსანიძე, 2017:342). აქედან, მცხეთა–თბილისის ეპარქიაში მოქმედ ეკლესია-მონასტრებს წარმოადგენდნენ: მცხეთის სვეტიცხოველი, სამთავროსა და ოლღას მონასტრები, თბილისის სიონის ტაძარი, ქაშუეთის წმინდა გიორგის, მთაწმინდის მამა დავითის, დიდუბის ღვთისმშობლის, კუკიის წმიდა ნინოს, ალექსანდრე ნეველის, იოანე

ღვთისმეტყველის, მიხეილ ტვერელის და წმიდა ბარბარეს ეკლესიები. არ ფუნქციონირებდა მეტეხის ღვთისმშობლის, კარის, ფერისცვალების, ანჩისხატის, წმიდა ნიკოლოზის, ვერის ეკლესიები; ტაძრების ნაწილში აბანოები და სახელოსნოები იყო მოწყობილი. ეკლესიას არ ჰყავდა მრევლი, შემცირებული იყო მგალობელთა გუნდები. წმიდა სინოდის მღვდელმთავართა და სხვა სასულიერო პირთა უმრავლესობა კი ასაკოვანი იყო (ვარდოსანიძე, 2017:379).

1975 წელს კრემლში მიღებულ იქნა ახალი კანონი რელიგიური გაერთიანებების შესახებ, რომელმაც რელიგიის საქმეთა საბჭოს მიანიჭა გაზრდილი უფლებამოსილება და იურიდიული სტატუსი. აგრეთვე, დაფუძნდა ადგილობრივ საბჭოებთან არსებული საზოგადოებრივი დახმარების კომისიები, რომლებიც რელიგიის საქმეთა საბჭოს ეხმარებოდნენ რელიგიური კულტების კონტროლში. ხსენებული კანონი 1977 წლის მარტში მიიღეს საქართველოშიც,. (Jones 1989/2008): 299), რაც თავისთავად, ეკლესიაზე კონტროლის გაძლიერებას და მის კიდევ უფრო მეტად შევიწროვებას მოასწავებდა.

საქართველოს რესპუბლიკის ახალმა ხელისუფლებამ მოღვაწეობა ოფიციალური კურსის შესაბამისად დაიწყო. 1975 წლის 21 ოქტომბერს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, სადაც აღნიშნული იყო: „იმ ნეგატიურ მოვლენებს შორის, რომლებიც ჯერ კიდევ საგრძნობ მორალურ და მატერიალურ ზარალს აყენებენ მოსახლეობას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზოგიერთ კონსერვატიულ წეს-ჩვეულებსა, ადათსა და დღეობას, რომლებიც ანაქრონიზმებად იქცნენ და შეურიგებლად ეწინააღმდეგებიან სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას... ჩვენი ცხოვრების წესს მომეტებულად ეწინააღმდეგება რელიგიური დღეობები „მცხეთობა“, „თელეთობა“, „ალავერდობა“ და სხვ., წმინდანების დღეობები... საერთო შემცირების ტენდენციის მიუხედავად, მთელ რიგ რაიონებში ადამიანის ცხოვრების ძირითად ეტაპებს - დაბადებას, სრულწლოვანებას, ქორწინებას, სიკვდილს - სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ ტრადიციული, რელიგიური ფორმით... არის შემთხვევები, როცა მავნე წეს-ჩვეულებებს სკკპ წევრებიც და კომკავშირელებიც კი მისდევენ... პარტიული,

კომკავშირული კომიტეტები და ორგანიზაციები მრავალი წლის მანძილზე პარტიულ, კლასობრივ შეფასებას არ აძლევდნენ ცალკეულ ნეგატიურ მოვლენებს, რომლებიც საზოგადოებაში ეროვნული ტრადიციების ნიღბით ვრცელდებოდა, სინამდვილეში კი მისი გაყალბება იყო... წარსული ტრადიციების ერთგულების ფარდის მიღმა იმალება კუთხური შეზღუდულობა და კარჩაკეტილობა, აღმაშფოთებელი პროვინციალიზმი... „პატრიოტიზმის“ ცნება ცალკეული ადამიანებისათვის... გადაიქცა ფსევდოპატრიოტიზმის მახინჯ ნაციონალისტურ ფორმად“(საქართველოს კომპარტიის... დადგენილება, 1975:167-169). საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს და სხვა ორგანოებს დაავალა, „პარტიულ-კლასობრივი, იდეურ-პოლიტიკური და ეთიკური პოზიციებიდან თანმიმდევრულად ებრძოლათ დრომოჭმული მავნე ტრადიციების წინააღმდეგ“ (საქართველოს კომპარტიის... დადგენილება, 1975:172). ტრადიციებთან საბრძოლველად გადაწყდა მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკური და ადგილობრივი კომისიების შექმნა, რომელთაც დაევალებოდათ ახალი ტრადიციების შემუშავება-გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. მათ უნდა უზრუნველეყოთ ახალი ტრადიციების ინტერნაციონალური ხასიათი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დაევალა, შეექმნა სოციალურ-კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრი და ორგანიზება გაეწია კვლევისთვის. შემდეგ კი, მუდმივ კომისიებთან ერთად, შეემუშავებინა სათანადო რეკომენდაციები (საქართველოს კომპარტიის... დადგენილება, 1975:172-174). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ინსიტუტებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ბათუმის, სოხუმისა და „სამხრეთ ოსეთის“ ინსტიტუტებს უნდა გამოეკვლიათ ქართველი ხალხის ძველი ტრადიციები და ახალი, რევოლუციური, ინტერნაციონალური ტრადიციების სოციალური განზომილებანი და შეექმნათ მათი დანერგვის პრაქტიკული რეკომენდაციები. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა გარდაქმნილიყვნენ სოციალისტური წეს-ჩვეულებების, ტრადიციებისა და დღესასწაულების პროპაგანდის, მათ დანერგვაში მეთოდიკური დახმარების გაწევის ცენტრებად

(საქართველოს კომპარტიის... დადგენილება, 1975:174-175). „მავნე ტრადიციების“ წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაშიც იმავე მიზანს ემსახურებოდა, რასაც სრულიად საბჭოთა კავშირის მასშტაბით. რელიგიური ტრადიციების „მავნებლობაში“ საზოგადოების დარწმუნებას ერთი მხრივ, ეკლესიისგან უნდა ჩამოეცილებინა მორწმუნეები, ხოლო ათეისტებსა და ნეიტრალურად განწყობილ პირებში გაეღვივებინა ნეგატიური დამოკიდებულება რელიგიისა და რელიგიური ორგანიზაციებისადმი. რაც შეეხება იმ ტრადიციებს, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ეროვნულ ღირებულებებთან, მოსახლეობას უნდა აღექვა ისინი,როგორც „მახინჯი ნაციონალიზმის“ გამოვლინებები, რომლებიც ხელს უშლიდნენ საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას და განვითარებას. რელიგიური და ეროვნული ტრადიციები უნდა ჩაენაცვლებინა ახალ სოციალისტურ ტრადიციებს, რომლებიც დაცლილი იქნებოდნენ ყოველგვარი საკრალურობისგან და საერთო სახალხო გართობაზე ორიენტირებულნი, ხელს შეუწყობდნენ ინტერნაციონალიზაციის პროცესს. მიუხედავად აქტიური იდეოლოგიური მუშაობისა, ხელისუფლებას ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული ის გარემოება, რომ მხოლოდ ლექციების ჩატარება, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და მოსახლეობის დამოძღვრა ვერ აღმოფხვრიდა საზოგადოებაში მრავალი საუკუნის განმავლობაში ფესვგამდგარ ტრადიციებს. იდეოლოგიური მუშაობის პარალელურად, იგი კვლავ აუცილებლად მიიჩნევდა რელიგიური ტრადიციების აღსრულებაში მონაწილეთა თუ მონაწილეობის მსურველთა კონტროლს და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ზომების მიღებას. ამ კუთხით, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული რელიგიური კულტის დარგში საბჭოთა კანონმდებლობის დაცვის ხელშემწყობი კომისიები, რომლებიც აკვირდებოდნენ რელიგიური დღესასწაულების ჩატარებას, მის ხანგრძლივობას, აღრიცხავდნენ მათზე დამსწრე პირების რაოდენობას, მათ ასაკს, გაყიდული სანთლების რაოდენობას, თანხას და ა.შ. ასევე, ამოწმებდნენ მორწმუნეთა სოციალურ მდგომარეობას, განათლებას, პროფესიას და სხვ. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ქ. თბილისის სხვადასხვა რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების მოხსნებითი ბარათები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს

რწმუნებულის (საქართველოს სს რესპუბლიკაში) თ. ონოფრიშვილისადმი, რომლებიც შეიცავს საკმაოდ საინტერესო ცნობებს რელიგიურ დღესასწაულებში მოქალაქეთა მონაწილეობისა და შესაბამისი სამსახურების მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ. ასე, მაგალითად, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსნებითი ბარათში აღნიშნულია: „რაც შეეხება ახალგაზრდობისა და ბავშვების რელიგიურ დღესასწაულში მონაწილეობის თავიდან აცილების მიზნით ღონისძიებას - რაიონის თითქმის ყველა საშუალო სკოლაში შექმნილია ათეისტური აღზრდის საბჭო, სისტემატიურად ტარდება საბჭოს სხდომები. სადაც იხილება შემდეგი საკითხები: „ლენინი რელიგიის შესახებ“, „სახელმწიფო და სამართალი“, „რა არის ცრუ რწმენა და მრავალი სხვა. კომისია ისეა წარმართული, რომ ახალგაზრდობას მიეცეს სწორი აღზრდა“ (ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის... 1978:2). ქ. თბილისის ოქტომბრის (ახლანდელი ჩუღურეთის) რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულ თ. დ. ონოფრიშვილისადმი მოხსენებით ბარათში წერდა: „მოგახსენებთ, რომ ქრისტიანული დღესასწაულების „ბზობისა“ და „აღდგომის“ დღეებში რაიონის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ეკლესიებში /წმინდა ნინოს, მართლმადიდებელ პეტრე-პავლეს კათოლიკურ და ალ. ნეველის ეკლესიებში/ ჩატარდა წესრიგის სრული დაცვით. წინა სადღესასწაულო დღეებში საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორების დახმარებით და კომკავშირის რაიკომთან ერთად ჩატარდა ლექცია-საუბრები სკოლებში, წარმოება-დაწესებულებებში ათეისტურ თემებზე. კომისიის წევრები სისტემატიურად აწყობენ შემოვლებს ეკლესიებში. დღესასწაულის დღეებში თითოეულ ეკლესიაზე მიმაგრებულ იქნენ კომისიის წევრი, ალკკ რაიკომის წარმომადგენელი, შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკი და საზოგადოებრივი აქტივი, რომლებიც კონტროლს უწევდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეს (ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის... 1978:25-26).

როგორც ვხედავთ, ლექციების გარდა, რელიგიურ დღესასწაულებში მოქალაქეთა მონაწილეობას აკონტროლებდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი კომისიების და ალკკ რაიკომის წარმომადგენლები, არამედ შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებიც.

ეროვნულ არქივში დაცულია მოხსნებით ბარათებზე თანდართული ანგარიშები, სადაც დეტალურადაა მოცემული რელიგიურ დღესასწაულებზე ღვთისმსახურებაზე დამსწრეთა რაოდენობა, ასაკი, გაყიდული სანთლების რაოდენობა, შემოსული თანხა და სხვ. უწყებათა წარმომადგენლებმა იცოდნენ აგრეთვე, დღესასწაულებზე დამსწრეთა საქმიანობა, სოციალური სტატუსი და მდგომარეობა. მათთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო, თუ დამსწრეთა რიგებში კომპარტიის წევრებს აღმოაჩენდნენ. უკეთეს შემთხვევაში, ისინი იღებდნენ საყვედურს, სხვა შემთხვევაში - კარგავდნენ სამსახურს. ხდებოდა რელიგიური დღესასწაულების იძულებით აღკვეთაც და ღვთისმსახურებაზე დამსწრე პირების დაკავებაც ეკლესიიდან გასვლისას. (ჯონსი, 1989/2008:300). აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში მორწმუნეთა დაშინებისა და დევნის ფაქტებზე საუბრობენ უცხოელი მკვლევრებიც, კერძოდ, სტივენ ჯონსი, მიშელ ბურდო და ჰანს ჰებლი, რომლებმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მიუძღვნეს ნაშრომები საბჭოთა კავშირში რელიგიური თავისუფლებისა და სასულიერო ორგანიზაციების მდგომარეობის შესწავლას. განსაკუთრებით საინტერესოა კესტონის კოლეჯის როლი.

რელიგიისა და კომუნიზმის შესწავლის ცენტრი (მოგვიანებით „კესტონის კოლეჯი“) 1969 წელს დაარსდა ლონდონში, მიშელ ბურდოსა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორის, ლეონარდ შაპიროსა და პიტერ რედვეის დახმარებით. 70-იანი წლების დასაწყისში ცენტრმა გადაინაცვლა კესტონ კომონზე და ამიერიდან მას ეწოდა კესტონის კოლეჯი. ის იკვლევდა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლური ბლოკის ქვეყნებში რელიგიის მდგომარეობას და დროთა განმავლობაში იქცა წამყვან ხმად კომუნისტურ ქვეყნებში რელიგიური თავისუფლების საკითხებში. მოგვიანებით, ორგანიზაციამ ოქსფორდში განაგრძო საქმიანობა. 2007 წლიდან კი მისი არქივი და ბიბლიოთეკა ექვემდებარება ტეხასის ბეილორის უნივერსიტეტში კესტონის რელიგიის, პოლიტიკისა და საზოგადოების ცენტრს. კესტონის კოლეჯის არქივში წლებთან ერთად, თავს იყრიდა მნიშვნელოვანი დოკუმენტები სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან, მათ შორის, საქართველოდან. ჯერ კიდევ 1976 წელს კესტონის კოლეჯმა მიშელ ბურდოსა და სხვა მკვლევრების რედაქტორობით, გამოაქვეყნა დოკუმენტების კრებული, სახელწოდებით „რელიგიური თავისუფლება საბჭოთა კავშირში“, რომელიც მოიცავს საკმაოდ საყურადღებო დოკუმენტებს

საბჭოთა კავშირში მოქმედი ეკლესიების, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ. სწორედ მოცემულ კრებულში ვხვდებით ცნობებს ჯერ კიდევ 1974 წლის აპრილში, აღდგომის დღესასწაულზე თბილისის ეკლესიებში, ახალგაზრდა კომუნისტების მიერ ჩატარებული რეიდისა და ღვთისმსახურებაზე დამსწრე დაკავებულ პირთა შესახებ. ანონიმური „სამიზდატი" ასახელებს როგორც რეიდის მომწყობთა, ისე დაკავებულ პირთა ვინაობას და აღწერს მილიციის დამოკიდებულებას მორწმუნეთა მიმართ (The Georgian Orthodox Church... 1976:69-70).

ამგვარად, ე. შევარდნაძის მმართველობის დასაწყისში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, რელიგიასთან ურთიერთობის სფეროში, დაცული იყო ლ. ბრეჟნევის ხელისუფლების ოფიციალური კურსი. მთავრობა არ ახდენდა ეკლესია-მონასტრებისა თუ სასულიერო პირების პირდაპირ ლიკვიდაციას, თუმცა, კვლავ განაგრძობდა ანტირელიგიურ კამპანიას და აქტიურად ზრუნავდა ათეისტური იდეოლოგიის გაძლიერებაზე. გაიზარდა მოქმედი ეკლესიებისა და სასულიერო პირების დაბეგვრა (სახელმწიფოს მიჰქონდა 87 პროცენტი) (ვარდოსანიძე, 2017: 342). საქართველოს ეკლესიას კიდევ უფრო შეზღუდულ პირობებში უწევდა მოღვაწეობის გაგრძელება. საყურადღებოა ის, რომ ანტირელიგიური პოლიტიკის პირობებში, ე. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, გაცილებით მეტი თავისუფლება არსებობდა სხვა სფეროებში. კერძოდ, სხვა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, ქვეყანაში არსებობდა თვითმმართველობის გაცილებით მაღალი ხარისხი, საბაზრო ეკონომიკის ექსპერიმენტები, შერბილებული ცენზურა, შესაძლებელი იყო სისტემისადმი კრიტიკულად განწყობილი ნაწარმოებების გამოცემა თუ ფილმების შექმნა. ახალგაზრდობას და ინტელიგენციას თავისუფლად შეეძლო საკუთარი აზრის გამოთქმა დამოუკიდებლობაზე, დემოკრატიაზე (შველიძე, 2021:279). თავის მემუარებში ე. შევარდნაძე წერს: „მოსკოვში შეგუებულნი იყვნენ, რომ საქართველოში შეიძლებოდა იმის გადაღება, დაბეჭდვა თუ დადგმა, რაც სხვაგან, საბჭოთა კავშირში, დღის სინათლესაც ვერ ნახავდა. ჩვენს რუს მეგობრებს ყოველთვის უკვირდათ, თუ როგორ დაიბეჭდა თბილისში პასტერნაკის „წერილები", როგორ გამოიცა ნოდარ დუმბაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, ოთარ ჩხეიძისა და გურამ ფანჯიკიძის რომანები... როგორ იქნა გადაღებული თენგიზ აბულაძის,

მიხეილ კობახიძის, ოთარ იოსელიანის, გიგა ლორთქიფანიძის თუ ელდარ და გიორგი შენგელაიების ფილმები; როგორ აღიარეს რეზო გაბრიაძის შემოქმედება და ა.შ. (შევარდნაძე, 2018 : 65). მართლაც გასაოცარი იყო, როგორ შეძლო ცეკას მდივანმა ამ ხარისხის თავისუფლების მოპოვება. აღნიშნულის მიზეზად ალბათ კრემლთან ურთიერთობის მისეული სტრატეგია და ის ნდობა უნდა მივიჩნიოთ, რომლითაც იგი სარგებლობდა საბჭოთა კავშირის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის. აღნიშნულის შესახებ საუბრობს ყოფილი ლიდერი თავის მემუარებში: „ყველგან, სადაც კი ვმუშაობდი, ერთი უმთავრესი პრობლემა მქონდა: პიროვნული და თანამდებობრივი დამოუკიდებლობა. ეს იყო ჩემი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი, რადგან მაშინაც კი, როდესაც რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვიყავი, შემდეგ კი სკკპ ცეკას პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ხშირად უმარტივესი საკითხის გადაჭრაც კი არ შემეძლო, თუ ცენტრში ქედს არ მოვიდრეკდი. მოსკოვის დაუკითხავად, მისი ნებართვის გარეშე, ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდით... ასეთ დროში ვცხოვრობდით. მუდმივი ლავირება მჭირდებოდა ისევ ქართველი ერის, ქართული კულტურის, ქართული ენის გადასარჩენად... თავს არავის ვუდარებ, მაგრამ ჩვენი სახელოვანი მეფეები ხომ იძულებულნი იყვნენ, გარკვეული კომპრომისებისა და, თუნდაც საკუთარი თავმოყვარეობის ხარჯზე იმპერატორთა, შაჰთა, სულთანთა თუ ნოინთა კეთილგანწყობა მოეპოვებინათ, ისევ თავიანთი ხალხისა და თავიანთი ქვეყნის საკეთილდღეოდ. რას იზამ, პატარა ქვეყნის ხელმძღვანელის ხვედრი ასეთია. ამა თუ იმ პოლიტიკური ნაბიჯით, ზოგჯერ მეორეხარისხოვნის დათმობით, ზოგჯერ პიროვნული თავმოყვარეობის ხარჯზეც, მაინც ვახერხებდი მიმეღწია დამოუკიდებლობის იმ ხარისხისათვის, რომელიც თუნდაც მინიმალურად მაინც შესაძლებელი იყო საბჭოთა სინამდვილეში“(შევარდნაძე, 2018:59-60). ჩვენთვის, როგორც რიგითი მკვლევრისთვის, რთული სათქმელია, შევარდნაძის ეს სიტყვები რეალობის გულწრფელი აღიარებაა თუ შელახული იმიჯის რეაბილიტაციის მცდელობა, თუმცა, ფაქტია ის, რომ დამოუკიდებლობის იმ ხარისხს, რაზეც მემუარებში საუბრობს, ნამდვილად მიაღწია. სხვა საკითხია, რას მიიჩნევდა ის პირველხარისხოვნად და რას მეორეხარისხოვნად. რისი დათმობა უღირდა ამ დამოუკიდებლობის მიღწევისათვის. თავისუფლების რა ხარისხიც არსებობდა ეკონომიკისა თუ ხელოვნების სფეროში, ეს

ხარისხი არ იგრძნობოდა ეკლესიათან ურთიერთობაში, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ 70-იანი წლების II ნახევარში შეინიშნებოდა გარკვეული კომპრომისები ეკლესიასთან, რაზეც ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

1977 წლის დეკემბერში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა პატრიარქად აირჩია ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი). მიტროპოლიტი ილია 1963 წლიდან პატრიარქ ეფრემ II-ის ქორეპისკოპოსი (მაშინ შემოქმედელი ეპისკოპოსის სტატუსით) და მისი ნდობით აღჭურვილი პირი იყო. ყველაზე მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმეებს პატრიარქი სწორედ მას ავალებდა.1963-1972 წლებში ის ხელმძღვანელობდა მცხეთის სასულიერო სასწავლებელს, 1967 წლიდან კი პატრიარქმა მას აფხაზეთის ეპარქია ჩააბარა. პატრიარქის კურთხევით, სწორედ მეუფე ილიას დაეკისრა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებაზე ზრუნვა. ეპისკოპოს ილიასთვის ჯერ კიდევ 60-იან წლებში ამ უაღრესად საპასუხისმგებლო და იმავდროულად რთული მოვალეობების ჩაბარება შემთხვევითი არ იყო. პატრიარქ ეფრემისთვის კარგად იყო ცნობილი მისი განათლება, შესაძლებლობები და მტკიცე, ეროვნული პოზიციები, რომლის გატარებას ეპისკოპოსი არც ეპარქიებში, არც ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში და არც საზღვარგარეთ ერიდებოდა. არსებობს ვერსია, რომ პატრიარქი ეფრემი მიტროპოლიტ ილიას თავის თანამოსაყდრედ და მომავალ პატრიარქად მოიაზრებდა. აღნიშნულს ეხმიანება საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცული თბილისის კიროვის რაიონის პროკურატურის მოხსენებითი ბარათი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე, სადაც ნათქვამია, რომ „გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ დაწერა ანდერძი სინოდის წინაშე მიტროპოლიტ ილიას (შიოლაშვილი) სასარგებლოდ, მაგრამ ეს ანდერძი გაქრა“. (თბილისის კიროვის რაიონის... 124). საინტერესოა თავად პატრიარქ ილია II-ის სიტყვებიც: „ჩემი პატრიარქად არჩევა ჯერ კიდევ დავითამდე, ეფრემ II-ის შემდეგ უნდოდათ... .5 წლის შემდეგ კვლავ შედგა პატრიარქის არჩევნები. ჩემ წინააღმდეგ წერილებს წერდნენ: მიტროპოლიტი ილია ანტისაბჭოურია და ა.შ., მაგრამ რაც იყო ნება ღვთისა, ის განცხადდა.“ (ილია II, ნაწ. I.2016:116). პროფესორ ს. ვარდოსანიძის შეფასებით, „ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი) მიუღებელი აღმოჩნდა

მოსკოვისათვის“ (ვარდოსანიძე, 2011:124). გასაკვირი არც არის, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებისთვის კარგად იყო ცნობილი როგორც პატრიარქ ეფრემის მოღვაწეობა, ისე მისი ერთგული მიტროპოლიტის საქმიანობა როგორც ეპარქიებში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, რაც უმთავრესად, საზოგადოებაში ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების, საქართველოს ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის, სულიერების აღდგენისა და რუსეთის მიერ გაუქმებული ქართული ეკლესიის თვითმყოფადობის - ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებაზე იყო ორიენტირებული. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებისთვის 1972 წლისთვის მიტროპოლიტი ილია ვერ იქნებოდა სასურველი კანდიდატი. უფრო მეტიც, ამ წელს იგი მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის თანამდებობიდანაც ჩამოაცილეს. თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლებისთვის მისი კანდიდატურა არც 1977 წლისთვის აღმოჩნდა სასურველი. ჯერ კიდევ პატრიარქ დავით V-ის მმართველობის დროს, 1977 წლის 10 სექტემბერს, პატრიარქის მდივანმა - გრიგოლ მშვიდობაძემ შეატყობინა სინოდის მღვდელმთავრებს, რომ პატრიარქის ბრძანებით, მიტროპოლიტ რომანოზს მიენიჭა მიტროპოლიტთა შორის პირველი ადგილი. (გრიგოლ მშვიდობაძის წერილი... 1977:125). აღნიშნული ფაქტი წინააღმდეგობაში მოდიოდა საეკლესიო კანონიკასთან, ვინაიდან კანონიკის მიხედვით, უპირატესად ითვლება ის მღვდელმთავარი, რომელმაც ადრე მიიღო მღვდელმთავრობა. მიტროპოლიტ რომანოზს კი ეს სტატუსი (როგორც ეპისკოპოსის, ისე მიტროპოლიტის) მიტროპოლიტ ილიაზე გაცილებით გვიან ჰქონდა მიღებული. შესაბამისად, ის ვერ გახდებოდა უპირატესი მღვდელმთავარი. ს. ვარდოსანიძის შეფასებით, „გარკვეულ ძალებს ეს იმისათვის სჭირდებოდათ, რათა კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის გარდაცვალების შემთხვევაში საპატრიარქო ტაძრისაკენ ხელოვნურად გადაეღობათ გზა მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილისათვის“ (ვარდოსანიძე, 2011 : 125). ამ კუთხით საინტერესოა აგრეთვე, საპატრიარქოს არქივში დაცული კიდევ ერთი დოკუმენტი, კერძოდ, ალავერდელი ეპისკოპოსის, გრიგოლის მიერ 1977 წლის 21 ნოემბრით დათარიღებული ჩანაწერი, რომელიც აღწერს, თუ როგორ შევიდა მასთან 17 ნოემბერს, ეკლესიაში, უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი და ამცნო: „სინოდი, რომელიც თქვენგან შედგა, გაუქმებული არის მთავრობის მიერ, აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიაზე უარი განაცხადეს, რომ პატრიარქად იყოს

არჩეული. ამ საქმეს თვით შევარდნაძემაც მოაწერა ხელიო... ის დაჟინებით მოითხოვდა მიტროპოლიტ რომანოზის კანდიდატურის პატრიარქად დასახელებას... მოგივათ დეპეშა იმისათვის, რომ ახალი სინოდი შედგესო.“ (ალავერდელი ეპისკოპოსის, გრიგოლის... 1977, ვარდოსანიძე, 2011:130). „დესპანმა“ უშედეგოდ სცადა სინოდის წევრის დაყოლიება, როგორც ჩანს, სინოდის ვერც სხვა წევრებთან მიაღწიეს საბოლოო წარმატებას, ვინაიდან 1977 წლის 16 დეკემბრის სხდომამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მაინც მიტროპოლიტ ილიას კანდიდატურა დაასახელა. თუმცა, ყველაფერი ამით არ დასრულებულა. მოვლენათა კულმინაციას წარმოადგენდა პატრიარქის ოპონენტის, მიტროპოლიტ რომანოზის (პეტრიაშვილი) წერილი საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას გენერალური მდივნის - ლ. ბრეჟნევის სახელზე, სადაც ის მიტროპოლიტ ილიაზე წერდა: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადდა მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი). იგი ჯერ კიდევ 1972 წლიდან ქართველი დისიდენტების წამქეზებელი და მხარდამჭერია. მოვითხოვთ მოიხსნას მისი კანდიდატურა.“ (მიტროპოლიტ რომანოზის... წერილი... 1977, ვარდოსანიძე, 2011:134). წერილი საკმაოდ გონივრულად იყო გათვლილი, ვინაიდან იმ პერიოდისათვის დისიდენტების მხარდაჭერა და მით უფრო წაქეზება, საკმაოდ მძიმე დანაშაულად ითვლებოდა საბჭოთა სახელმწიფოში.თუმცა, 1977 წლისთვის ცენტრალურ საბჭოთა ხელისუფლებას არ ჰქონდა ის მდგომარეობა, რომ ასე უხეშად ჩარეულიყო ადგილობრივი ეკლესიების შიდა საქმეებში და ღიად დაპირისპირებოდა ეკლესიის პოზიციას. დისერტაციის წინა თავში ჩვენ განვიხილეთ 1975 წელს ჰელსინკის აქტზე ხელმოწერის შემდეგ დასავლეთსა და სსრკ-ს შორის ურთიერთობაში არსებული ტენდენციები და ბრეჟნევის განსაკუთრებული სიფრთხილე რელიგიურ ორგანიზაციებთან დამოკიდებულებაში. იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა, წარმოეჩინა ჰელსინკის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულება და ამ პროცესში ადამიანის უფლებათა დამცველი და რელიგიური ორგანიზაციების პრიორიტეტული როლი, ცხადია, არ გარისკავდა ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც ხელს შეუშლიდა შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებას. მით უფრო, ცნობილი იყო, რომ დასავლეთის ყურადღება უმეტესად, არა რუსეთის მართლმადიდებელ

ეკლესიაზე, არამედ სსრკ-ის სხვა რესპუბლიკების რელიგიურ ორგანიზაციებზე იყო მომართული. ვფიქრობთ, სწორედ ამით აიხსნება 1977 წელს ხელისუფლების დროებითი კომპრომისი საქართველოს ეკლესიასთან. „დროებითი“, რადგან პატრიარქ ილია II-ის წინააღმდეგ 80-იანი წლების დასაწყისშიც ჰქონდა ადგილი პროვოკაციებს, მისი გადადგომის მოთხოვნით, რომლებიც ასევე წარუმატებლად დასრულდა (ვარდოსანიძე, 2011: 137-158). მიგვაჩნია, რომ არსებული სიტუაციით აიხსნება ხელისუფლების სხვა კომპრომისებიც ეკლესიასთან ურთიერთობაში. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს 1978 წელს ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ გამოცემა, რომელიც საპატრიარქოს პირველ ოფიციალურ პერიოდულ ჟურნალს წარმოადგენდა და საღვთისმეტყველო და საეკლესიო ისტორიის გარდა, დროთა განმავლობაში, აქვეყნებდა საქართველოს ეროვნული ისტორიის შესახებ მნიშვნელოვან სტატიებს. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე, 1978–1979 წლებში ლოცვების დაბეჭდვაც და ალბათ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1978 წელს საქართველოს ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილების დაარსება. (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის... 1978:5). იმ პირობებში, როდესაც სრულიად საბჭოთა კავშირის ეკლესიები სახელმწიფოსგან მაქსიმალური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ და წართმეული ჰქონდათ თავისუფლად მოღვაწეობის შესაძლებლობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, მსგავსი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება საქართველოს ეკლესიისთვის იყო უდიდესი მიღწევა, ხოლო ხელისუფლებისთვის (იგულისხმება სსრკ-ის ხელისუფლება) საკმაოდ სარისკო კომპრომისი, ვინაიდან მისთვის კარგად იყო ცნობილი ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან პატრიარქ ილიას (მაშინდელი მიტროპოლიტის) საქმიანობა საერთაშორისო საზოგადოებაში საქართველოს ეკლესიის შესახებ ცნობადობის გაზრდისა და ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარების მოპოვებისთვის. ნიშანდობლივია ის, რომ მსოფლიოს რელიგიური საზოგადოების დიდი ნაწილი (მათ შორის, მართლმადიდებლურის) საქართველოს ეკლესიას რუსეთის ეკლესიისგან გამოყოფილ, ახალგაზრდა ავტონომიურ ეკლესიად მიიჩნევდა. სწორედ ამ წარმოდგენის დაძლევის, ქართული ეკლესიის ისტორიის წარმოჩენისა და მსოფლიო საზოგადოების ყურადღების მოპოვებისკენ იყო მიმართული პატრიარქ ეფრემისა და მიტროპოლიტ ილიას მოღვაწეობა XX ს-ის 60-

იან წლებში, იმ პირობებში, როდესაც ეკლესიას არ გააჩნდა საგარეო საქმეთა განყოფილება, ახლა კი, 70-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც ეკლესიას მიეცა მსგავსი უწყების შექმნის შესაძლებლობა, ნათელი იყო, რომ მას აუცილებლად გამოიყენებდა საერთაშორისო აღიარებისთვის ბრძოლის საქმეში. აღნიშნული, ბუნებრივია, ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის ხელისუფლების სურვილებსა და მიზნებს, თუმცა, დასავლური ზეწოლის გავლენით, მან მისცა ეკლესიებს ფართო ასპარეზზე გასვლის საშუალება, ცხადია, სსრკ-ის ინტერესების დაცვისა და მისი იმიჯის რეაბილიტაციის მიზნით. ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ საბჭოთა კავშირის რელიგიურ პირთა მოღვაწეობა ეკუმენურ მოძრაობასა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობაში, ხელს შეუწყობდა სსრკ-ის წინააღმდეგ არსებული კომპრომატების განეიტრალებას, თუმცა, მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა. ეკუმენური მოძრაობისა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელობა თავის მხრივ, ცდილობდა სსრკ-ში არსებული ეკლესიების დაწინაურებას და მათ წინა პლანზე წამოწევას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპირწონედ. აღნიშნულის დასტურია 1979 წლის იანვარში, იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში გამართულ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის არჩევა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად. (ინფორმაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ... 1979:1). აღნიშნული, უდაოდ, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა, ვინაიდან საბჭოთა კავშირის ადგილობრივ, არარუსულ ეკლესიას მიეცა ფართო ტრიბუნა როგორც საკუთარი უფლებების დაცვისა და გადარჩენისთვის, ისე საერთაშორისო აღიარებისა და მხარდაჭერის მოპოვებისთვის. საგულისხმოა ის, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად ყოფნის პერიოდში, პატრიარქი ილია, ავტოკეფალიის აღიარების მოპოვებისათვის ბრძოლის პარალელურად, ღიად და დაუფარავად უპირისპირდებოდა ზესახელმწიფოთა (მათ შორის, სსრკ-ის) ყველა იმ ქმედებას, რომელსაც კაცობრიობისთვის გამოუსწორებელი ზიანი მოჰქონდა. ასე, მაგალითად, 1980 წელს მან ხელი მოაწერა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს განცხადებას ავღანეთში შეჭრასთან დაკავშირებით, რომელიც გმობდა ინტერვენციის ფაქტს. (ჯონსი, 1989/2008: 306-307). საბჭოთა ინტერვენციის დაგმობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკლესიის მეთაურის მხრიდან საკმაოდ გაბედული

ნაბიჯი იყო და სარისკოც. ვფიქრობთ, პატრიარქის ამ პოზიციამ, სხვა მიზეზებთან ერთად, განაპირობა ის, რომ სსრკ-ს სხვა ეკლესიებისგან განსხვავებით, საქართველოს ეკლესიას დიდხანს არ მიეცა რეაბილიტაციის შესაძლებლობა.

1983 წელს, მოსკოვის დირექტივის მიხედვით, საქართველოში საზეიმოდ უნდა აღენიშნათ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ 200 წლისთავი. მარტივი მისახვედრია, რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული დირექტივა. ადგილობრივი ხელისუფლების მითითებით, საქართველოს ეკლესიაც უნდა გამოხმაურებოდა ამ თარიღს. პატრიარქის გადაწყვეტილებით, ეკლესიამ აღნიშნა საქართველოს ეკლესიის 1500, ავტოკეფალიის აღდგენიდან 65 და მისი უწმინდესობის აღსაყდრებიდან 5 წლისთავი (ვარდოსანიძე, 2017:468). საპატრიარქოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს, ჟურნალ „ჯვარისა ვაზისას“ 1983 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველი სტატია, სახელწოდებით „საქართველოს ოცსაუკუნოვანი ეკლესია“ (საქართველოს ოცსაუკუნოვანი ეკლესია, 1983:5-8), რომელიც სწორედ ავტოკეფალიის იუბილეს მიეძღვნა. რუსეთისგან წართმეული ავტოკეფალიის აღდგენის იუბილეს აღნიშვნა, იმ პირობებში, როდესაც ცენტრალური (მოსკოვი) თუ ადგილობრივი ხელისუფლება „გეორგიევსკის ტრაქტატის“ იუბილეს ზეიმობდა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოს ეკლესიის მხრიდან, ვინაიდან ამ ჟესტით, მან ნათლად წარმოაჩინა თავისი პოზიცია ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში. ქრისტიანული ეკლესია, როგორც ზოგადსაკაცობრიო რელიგიური ინსტიტუტი, ცხადია, ემიჯნება ერთა შორის სიძულვილს და ქრისტიანული მოძღვრების შესაბამისად, თავის სამწყსოდ მიიჩნევს ადამიანებს განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, კანის ფერისა და ა.შ. აღნიშნული, თავისთავად, მას აკისრებს იმ პასუხისმგებლობას, რომ იზრუნოს ერთა შორის მშვიდობიან, ქრისტესმიერ ჰარმონიულ ურთიერთობაზე. გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ქართველი და რუსი ერები ფაქტობრივად, ერთი სახელმწიფოს მკვიდრნი იყვნენ და ერთი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სივრცის ნაწილს წარმოადგენდნენ, რასაც თან ერთვოდა საბჭოთა ინტერნაციონალიზმი და ერთიანი „საბჭოთა საზოგადოების“ ჩამოყალიბების პოლიტიკა, ალბათ გასაკვირი არ იქნებოდა საქართველოს ეკლესიის მხრიდანაც „გეორგიევსკის ტრაქტატის“ იუბილეს აღნიშვნა,

თუმცა, მისი მხრიდან ავტოკეფალიის აღდგენაზე ხაზგასმა, ვფიქრობთ, მეტყველებს მის პრინციპულ პოზიციაზე: ყოველთვის იზრუნებდა ქრისტეს წინაშე არსებული მოვალეობების აღსრულებაზე, იქნებოდა ეს ერთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება თუ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დაცვა, ამავდროულად კი, არასდროს დათმობდა ეროვნულ ინტერესებს.

80-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში კვლავ გაგრძელდა ზეწოლა ეკლესიის წევრებსა და მორწმუნე საზოგადოებაზე. არსებობდა „კომკავშირული შტაბები, რომლებიც საეკლესიო დღესასწაულების დროს ეკლესიებში მისულ ახალგაზრდებს გამოავლენდნენ და ფართო „ახსნა–განმარტებით სამუშაოებს“ ატარებდნენ, ხელისუფლების მითითებით. სახელმწიფო სამსახურში მყოფ ადამიანებს სამსახურიდან გაშვებით, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს - სასწავლებლიდან გარიცხვით ემუქრებოდნენ“ (ჯონსი, 1989/2008 : 309).

ჯერ კიდევ 1980 წელს ხელისუფლებამ, საპატრიარქოსთან შეთანხმების გარეშე, შიომღვიმის უძველეს მონასტერში სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება დაიწყო. იმავე წლის 4 დეკემბერს გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტში", ციცინო მჭედლიშვილის ავტორობით გამოქვეყნებული სტატიიდან "და აჟღერდება ქართული ორღანი" გაირკვა, რომ იგეგმებოდა მონასტრის სხვა დანიშნულებით გამოყენება. კერძოდ, ბერთა საცხოვრებელში ხალხური საკრავების მუზეუმი უნდა განთავსებულიყო, უგუმბათო ეკლესიაში ორღანს დადგამდნენ, იქვე, წინა საუკუნის ორსართულიან ნაგებობაში ქართულ კერას მოაწყობდნენ („და აჟღერდება ქართული...“ 1980:3). ამ ფაქტზე პატრიარქმა შესაბამისი რეაგირება მოახდინა და იმავე წლის 17 დეკემბერს გაგზავნა წერილები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნის - ედუარდ შევარდნაძისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ზურაბ პატარიძის სახელზე. ე. შევარდნაძისადმი გაგზავნილ წერილში პატრიარქი აღნიშნავდა: „ტაძრები, ერთ დროს ღვთის სადიდებლად და სარწმუნოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აშენებული, დღეს ჩვენი ისტორიული ძეგლებია, რომლებიც ბევრს გვიყვებიან ჩვენი წარსულის შესახებ და მათი სხვა

დანიშნულებით გამოყენება არ შეიძლება. იქნებ ვინმეს ეს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი გამოხატულება ჰგონია? კულტურის ძეგლები ხომ ჩვენს წინაპრებთან გვაახლოებენ, ძალასა და რწმენას გვმატებენ?! და რაკი ასეა, ეკლესიაში თეატრების (ეს უკეთეს შემთხვევაში), აბანოების, საწყობებისა და სხვა სათავსების მოწყობა ამ იდეის განმახორციელებელთა დაბალ ეროვნულ შეგნებაზე უნდა მეტყველებდეს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოთ ჩამოთვლილი პირობები, რათა ძეგლმა შეინარჩუნოს ის უფლებები, რაც მას ისტორიულად მინიჭებული ჰქონდა ჩვენი წინაპრების მიერ. გთხოვთ, მიიღოთ სასწრაფო ზომები, რათა შიომღვიმის მონასტრისა და მისი ტერიტორიის რესტავრაცია ჩატარდეს სათანადო დონეზე ისე, როგორც ეს ეკადრება საქართველოს წარსულის პატივისცემასა და მის დღევანდელობას." (ილია II, 2016:235-237). შიომღვიმისა და სხვა ტაძრების რთულ მდგომარეობაზე საუბრობს პატრიარქი ზ. პატარიძისადმი გაგზავნილ წერილშიც: „ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ანგარიში არ გაუწიეს იმას, რომ შიომღვიმის მონასტერი მოქმედი მონასტერია, ამ მონასტერს ჰყავს წინამძღვარი და აქ ღვთისმსახურება არ შეწყვეტილა; ხომ საკითხავია, რა უნდა ქართულ მონასტერში ორღანს?.. გადავავლოთ თვალი სხვა ტაძრების მდგომარეობასაც. მეტეხის ტაძარში, სადაც დაკრძალულია წმიდა დიდმოწამე შუშანიკი, ახალგაზრდული თეატრია, სპექტაკლები და ცეკვები იმართება; ბიჭვინთის დიდებულ ტაძარში, სადაც იყო კათედრა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებისა, ამჟამად ორღანია და კონცერტები იმართება; თბილისში წმიდა ნიკოლოზის ეკლესია საკონცერტო დარბაზადაა ქცეული; ანჩისხატის საპატრიარქო ტაძარში სახელოსნოა, ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში აბანოა, წყნეთის ეკლესიაში - პურის საცხობი... მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, სადაც ასე უპატივცემულოდ ეპყრობიან უძველეს სიწმიდეებს. ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს ეკლესია-მონასტრები ჩვენმა წინაპრებმა სალოცავად ააშენეს და არა გასართობ ადგილებად... ჩვენ, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ვალდებული ვართ ღვთისა და ერის წინაშე, ვთქვათ გულწრფელი, გულმართალი სიტყვა ამ უაღრესად დიდი და სულიერად ფაქიზი საქმის გამო... ვამბობთ რა ამ სიტყვას, იმედი გვებადება, რომ ის დამოკიდებულება, რომელიც დღემდე არსებობდა მონასტრებისა და ტაძრების მიმართ, შეიცვლება. სახელდობრ, წმინდა შიომღვიმის მონასტერი არ

გაუქმდება. იმედი გვაქვს, რომ ეს საკითხი თქვენი მაღალი ყურადღებით დროულად მოგვარდება” (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის... წერილი ზ. პატარიძეს, 1980 წ., ილია II, 2016:237-238). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სალოცავების სხვა დანიშნულებით გამოყენების გარდა, ეკლესიის მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ 80-იანი წლების პირველ ნახევარში მას არ ჰქონდა საპატრიარქო რეზიდენცია. შენობის უქონლობის გამო, საპატრიარქოს თანამშრომლების ნაწილი ორ პატარა ოთახში იყო განთავსებული, ხოლო დანარჩენს მუშაობა სახლებში უწევდათ. ამის შესახებ პატრიარქმა წლების განმავლობაში, რამდენჯერმე წერილობით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, თუმცა, უშედეგოდ. (ილია II., 2016:255). 1984 წლის 2 თებერვალს პატრიარქი ე. შევარდნაძეს სწერდა: "მოგეხსენებათ, რომ 1981 წლის 15 ივლისს მოგმართეთ თხოვნით საქართველოს საპატრიარქოსთვის სათანადო შენობის გამოყოფის შესახებ. მანამდე ასეთივე თხოვნით არაერთხელ მივმართეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მაგრამ დღემდე საკითხი არ გადაწყვეტილა. შეგახსენებთ, რომ შენობის უქონლობის გამო არ გაგვაჩნია მუშაობის მინიმალური პირობები. საბჭოთა კავშირში ჩამოსული სტუმრები ძირითადად ეწვევიან ხოლმე რუსეთის, სომხეთის და საქართველოს საპატრიარქოებს. რუსეთსა და სომხეთში უცხოელების მიღება მაღალ დონეზე ხდება, ჩვენ კი ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის საპატრიარქოს, რომელსაც აქვს კარგად მოწყობილი რეზიდენცია და სხვა შენობები (საგარეო განყოფილების, საგამომცელო განყოფილების საქმეთა სამმართველო, სამხატვრო სახელოსნოები და სხვა), ამას წინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, დამატებით გადაეცა დიდი კომპლექსი მოსკოვში - დანიელის მონასტერი (6 ჰექტარი ფართობი მიმდებარე შენობებით), რომელიც იქნება მოსკოვის საპატრიარქოს ცენტრი. არანაკლებ პირობებში იმყოფება სომხეთის საპატრიარქო (ეჩმიაძინის ტერიტორია 7 ჰექტარ ფართობს მოიცავს, შესანიშნავი რეზიდენციითა და სათანადო შენობებით). საქართველოს ეკლესია თავისი ისტორიული და კულტურული წარსულითა და ტრადიციებით არ ჩამოუვარდება მსოფლიოს ნებისმიერ ეკლესიას. ჩვენი ეკლესია დიდ საქმეს აკეთებს ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის განსამტკიცებლად... გთხოვთ, დაგვეხმაროთ ამ საკითხის დადებითად და დროულად გადაჭრაში." (საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქის... წერილი... ე. შევარდნაძეს, 1984 წ. ილია II… 2016:334). წერილიდან ჩანს საბჭოთა ხელისუფლების სეგრეგაციული პოლიტიკა რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში. ყველასათვის ცხადი იყო, რომ საქართველოს ეკლესიას სჭირდებოდა საპატრიარქო შენობა თავისი უფლებამოსილებისა და ფუნქციების სრულფასოვნად განხორციელებისთვის, თუმცა, ისიც ნათელი იყო, რომ ქართული ეკლესიის სრულფასოვანი რეაბილიტაცია საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1984 წლის 10 ნოემბრის ბრძანებით, საქართველოს საპატრიარქოს რეზიდენციისთვის გადასცა თბილისში, ლესელიძის ქ. N36-ში მდებარე შენობა და მისცა მისი რეკონსტრუქციის უფლება (ილია II… 2016:29). თუმცა, სარეკონსტრუქციო სამუშაოები 1989 წლამდე არ დაწყებულა.

როგორც წინა თავში განვიხილეთ, საბჭოთა კავშირის ხელისუფლების სათავეში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლისა და „რელიგიური პერესტროიკის“ პირობებში, გარდაქმნა მნიშვნელოვნად შეეხო რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, თუმცა, იგი ნაკლებად აისახა არარუსულ, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე. გარდაქმნის სეგრეგაციულ ხასიათს ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1989 წლის 7 აპრილს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გივი გუმბარიძისადმი გაგზავნილ წერილში პატრიარქს ისევ რეზიდენციის შენობის თაობაზე უწევს თხოვნა: „როგორც თქვენთვის ცნობილია, გარდაქმნის პროცესი მკვეთრად შეეხო ჩვენი ხალხის ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის - ეკლესიასაც. ამისი მაგალითია თუნდაც ის, რომ 1200-ზე მეტი ტაძარი ამოქმედდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში, ხოლო ჩვენთან - 100-მდე ეკლესია; თბილისში გაიხსნა სასულიერო აკადემია, მალე დაიბეჭდება ქართული ბიბლია. ყოველივე ეს შედეგია ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დადებითი ძვრებისა, მაგრამ ზოგიერთი პრობლემა კვლავ მოუგვარებელი რჩება. ერთ-ერთი მთავარი და მეტად მტკივნეული არის ის, რომ საქართველოს საპატრიარქოს არ აქვს შესაფერისი შენობა. შეგახსენებთ, რომ გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს ეკლესიას ჩამოერთვა რეზიდენცია (ერეკლე II-ის მოედანი, N1), რომელიც ჯერ კიდევ ეგზარქოსობის დროს იყო შეძენილი ქართველი სამღვდელოების მიერ შეგროვილი თანხით და სადაც 1917 წლიდან მოღვაწეობდნენ კათოლიკოს-პატრიარქნი: კირიონი, ლეონიდე,

ამბროსი. ამ შენობაში გათვალისწინებულია საეკლესიო სპეციფიკა. ამჟამად აქ მოთავსებულია ქართული ხელოვნების ისტორიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტები. გთხოვთ, დაგვიბრუნოთ ყოფილი რეზიდენცია. მათ კი გამოუყოთ სათანადო შენობები (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის...წერილი... გივი გუმბარიძეს, ილია II, 2016:137). აღნიშნული შენობა, საბოლოოდ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ნოდარ ჭითანავას 1989 წლის 7 ივნისის განკარგულების შედეგად გადაეცა საპატრიარქოს (ილია II, ნაწ. II, 2016:158).კიდევ ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა სასულიერო სემინარიისთვის შენობის არქონა და აკადემიის არარსებობა. ამ დროისთვის სასულიერო სემინარია, შენობის უქონლობის გამო, სამთავროს დედათა მონასტერში იყო განთავსებული. მართალია 1987 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ოთარ ჩერქეზიას განკარგულებით, საპატრიარქოს მიეცა სასულიერო აკადემიის დაარსებაზე თანხმობა (ილია II, ნაწ. II, 2016:69). თუმცა, შენობის არარსებობის გამო წარმოუდგენელი იყო მისი ფუნქციონირება. 1988 წლის 20 იანვარს პატრიარქმა ილია II-მ წერილით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ჯუმბერ პატიაშვილს: „დედათა მონასტრისა და მამათა სასულიერო სასწავლებლის ერთად ყოფნა ყოვლად დაუშვებელია, ასეთ მაგალითს არსად არ ვხვდებით. სასურველია, რომ სასულიერო სემინარია და აკადემია ერთ შენობაში იყოს მოთავსებული. ტერიტორიულად იგი უნდა მდებარეობდეს სიონის საპატრიარქო ტაძართან ახლოს, რომ სტუდენტებმა შეძლონ საეკლესიო პრაქტიკის მაღალ დონეზე გავლა საპატრიარქო ტაძარში. ჩვენ კი გაგვიადვილდეს მათთვის სათანადო ზედამხედველობის გაწევა. ვფიქრობთ, მოსახერხებელი იქნება სასულიერო სემინარიისა და აკადემიისთვის სიონის ქუჩა N13-ში მდებარე შენობის გამოყოფა. იმედი გვაქვს რა თქვენი გულისხმიერებისა, გთხოვთ, ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტოთ (ილია II, ნაწ. II, 2016:74). ხელისუფლებამ განიხილა რა პატრიარქის თხოვნა, გადაწყვიტა, ფორმალურად დაეკმაყოფილებინა იგი. 1988 წელს, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, სიონის ქუჩის N13-ში მდებარე შენობა საპატრიარქოს გადაეცა, თუმცა, არა საკუთრებაში, არამედ იჯარით (ილია II, ნაწ. II, 2016:77). აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, 1988 წლის 22 მარტს, პატრიარქი საქართველოს

სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ოთარ ჩერქეზიასადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „პატივისცემით გაცნობებთ, რომ არც მოსკოვის, არც ლენინგრადისა და არც ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიებისთვის მთავრობას შენობა იჯარით არ გადაუცია, არამედ, უსასყიდლოდ, როგორც ეს არის გათვალისწინებული სსრკ კანონმდებლობაში კულტების შესახებ. თანახმად განკარგულებისა, საპატრიარქო მოვალეა, გაიღოს თანხობრივი ანაზღაურება ამ შენობაში მცხოვრებ მოქალაქეთა ბინებით უზრუნველყოფისათვის (37 ოჯახი). ეკლესიისთვის ეს შეუძლებელია. გთხოვთ, დაგვეხმაროთ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში“ (ილია II... ნაწ. II, 2016:77). დაბრკოლებების მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ 1988 წელს შეძლო თბილისში სასულიერო აკადემიის დაარსება, რომელსაც შეუერთდა მცხეთაში არსებული სემინარია. მის პედაგოგებად კი ქართველი მეცნიერები იქნენ მიწვეულნი. უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის გახსნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ეკლესიისთვის, ისე ქართული სახელმწიფოსა და ერისთვის, ვინაიდან აკადემიას უნდა მოემზადებინა განსწავლული სამღვდელოება, რომელიც შეძლებდა არა მხოლოდ ღვთისმსახურების აღსრულებას, არამედ რელიგიური ცნობიერების გაზრდას საზოგადოებაში. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა საბჭოთა ათეისტური მარწუხებისგან დახსნას. აკადემიის დაარსებიდან 1 წლის შემდეგ, 1989 წელს, ეკლესიამ გამოსცა ბიბლიის ყველაზე სრული ვერსია ახალი ქართული თარგმანით. მორწმუნე, რელიგიით დაინტერესებულ, ნეიტრალურ თუ ათეისტ ადამიანებს მიეცათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად გაცნობოდნენ ქრისტიანობის არსს და თავად გამოეტანათ დასკვნები იმ საკითხებზე, რაზეც არსებული რეჟიმი ათეისტური ინტერპრეტაციით კვებავდა საზოგადოებრივ ცნობიერებას. წმინდა წერილის მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე გამოცემამ და სასულიერო განათლების ფართოდ დანერგვამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართველ საზოგადოებაში რელიგიური ცნობიერების აღმავლობაზე. აკადემიის დაარსებამ ხელი შეუწყო განათლებულ სამღვდელოთა რიცხვის ზრდას ქვეყანაში. განათლებულ სამღვდელოებას კი გაცილებით უკეთ შეძლო არგუმენტირებული პასუხი გაეცა ათეისტური იდეოლოგიისთვის. დროთა განმავლობაში ეკლესიის წიაღში თავი მოიყარეს ქვეყნის ინტელექტუალურმა და ეროვნულმა ძალებმა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მოძრაობის წარმომადგენლებიდან ნაწილი სტიქაროსანი, ნაწილი კი სასულიერო პირიც გახდა.

დასასრულს, შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ურთულესი პერიოდი აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების დეკლარირებული და რეალური რელიგიური პოლიტიკა მთელი თავისი არსით აისახა როგორც ეკლესიის, ისე მორწმუნეთა ცხოვრებაზე. სხვაგვარად, ალბათ, წარმოუდგენელიც იყო, ვინაიდან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა კავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმოადგენდა და ადგილობრივი მთავრობები ვერ გაბედავდნენ ოფიციალური კურსისგან გადახვევას. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მათ მაინც შეძლეს გარკვეულ სფეროებში ერთგვარი თავისუფლების მოპოვება. თავისუფლების ეს ხარისხი ვერ აისახა რელიგიასთან ურთიერთობის სფეროში და როგორც ვნახეთ, 80-იანი წლების მეორე ნახევარშიც კი, როცა მ. გორბაჩოვის ადმინისტრაციამ სხვადასხვა საშინაო და საგარეო ფაქტორის გათვალისწინებით, დაიწყო ე.წ. „რელიგიური პერესტროიკა“, ეს გარდაქმნაც ნაკლებად შეეხო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. მიზეზი, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობდა იმაში, რომ ცენტრალური საკავშირო ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა ადგილობრივი ეკლესიების გაძლიერება, მით უფრო, თუ ეს ეკლესიები ეროვნულ ხასიათს ატარებდნენ და ეროვნული ტრადიციებისა და თვითშეგნების შენარჩუნებაზე ზრუნვით, თავისთავად, ეწინააღმდეგებოდნენ კრემლის ასიმილაციის პოლიტიკას. სწორედ აღნიშნულით იყო განპირობებული ის, რომ 80-იანი წლების ბოლომდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიას არ გააჩნდა საქმიანობისთვის საჭირო ელემენტარული პირობები, რის დეფიციტსაც არ განიცდიდა კავშირის ცენტრალური - რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია. თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ მიუხედავად შექმნილი გარემოებებისა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ, მისი მწყემსმთავრების მეთაურობით, აქტიური, რაციონალური, ფრთხილი და იმავდროულად, შეუპოვარი ბრძოლით შეძლო არა თუ საკუთარი არსებობის, არამედ ქართველ ერში ეროვნული თვითმყოფადობისა და რელიგიური ცნობიერების

გადარჩენა. რაც თავისთავად, უდიდეს მიღწევას წარმოადგენდა და დაახლოებით 70 წლიან ათეისტურ კოსმოპოლიტურ ექსპერიმენტზე გამარჯვებას ნიშნავდა.

2.2. საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, მისი მწყემსმთავრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზრუნავს რუსული პროპაგანდის დაძლევა და ავტოკეფალიის საერთაშორისო მასშტაბით აღიარება წარმოადგენდა. მხედველობაში გვაქვს რუსეთის ეკლესიის მიერ ქართველი ავტოკეფალისტების რუსეთის „დედა ეკლესიიდან" განდგომილებად გამოცხადება, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებას უქმნიდა მცდარ წარმოდგენას უძველესი ქართული ეკლესიის სტატუსისა და ისტორიის შესახებ. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს 1917 წლის აგვისტოში პატრიარქ ტიხონის მიმართვა ქართველი სამღვდელოებისადმი, რომელიც მათ ავტოკეფალიის შესახებ მიღებული დოკუმენტის გაუქმებისა და სინანულისკენ მოუწოდებდა. ცხადია, ქართული ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ V საუკუნიდან ფლობდა ავტოკეფალიას (მაშინ, როდესაც რუსეთის არა თუ ეკლესია, სახელმწიფოც არ არსებობდა), ვერ დაემორჩილებოდა პატრიარქის მოწოდებას.

რუსეთის პატრიარქის მხრიდან საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის უარყოფის შედეგად, ორ ეკლესიას შორის ევქარისტული კავშირის გაწყვეტა მოჰყვა, რომელიც 25 წლის განმავლობაში გაგრძელდა. პოზიტიური ნაბიჯები ამ კუთხით 1943 წელს, ი. სტალინის მმართველობის პერიოდში გადაიდგა, როდესაც რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, 1917 წლის აქტის ლეგიტიმურობა და განაცხადა მასთან ევქარისტული კავშირის აღდგენის შესახებ. (ვარდოსანიძე, 2017: 387). ამ დროიდან იწყება გარდატეხა საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობის ისტორიაში.

ეკლესიებს შორის კეთილგანწყობილი, ურთიერთპატივისცემასა და მხარდაჭერაზე დაფუძნებული ურთიერთობა არის ურთიერთობის ის მოდელი, რომელიც ქრისტიანული რელიგიის არსიდან და მოძღვრებიდან გამომდინარე, უნდა არსებობდეს ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. თუმცა, როდესაც

რომელიმე ქვეყნის ეკლესიის იერარქები განიცდიან სახელმწიფო პოლიტიკის აქტიურ ზეგავლენას, ან თავად მათ აქვთ არაჯანსაღი, ქრისტიანულ მოძღვრებასთან შეუსაბამო მისწრაფებები (მაგალითად, სხვა ეკლესიის დამორჩილება ან მისი კუთვნილი ტერიტორიის მიტაცება საკუთარი იურისდიქციის ფართოდ გავრცელების მიზნით და ა.შ.), აღნიშნული, ბუნებრივია, აზიანებს მათ შორის ურთიერთობებს, რაც ქრისტიანობისთვის მიუღებელია, ვინაიდან ქრისტეს ეკლესია არის ერთი ორგანიზმი (არა ფიზიკური), რომელიც საერთო ქრისტიანულ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. ცხადია, გასათვალისწინებელია თავად იერარქების რეალური დამოკიდებულებაც, ვინაიდან ერთია დეკლარირებული პოზიცია, რომელიც შეიძლება სრულიად არ შეესაბამებოდეს მათ პირად შეხედულებებს და ხელისუფლების ზეწოლის გავლენას გამოხატავდეს და მეორე, როდესაც ხელისუფლებისა და იერარქების შეხედულებები თანხვედრაში მოდის. ამ ორს შორის მიჯნის გავლება არც ისე მარტივია. ამიტომ, ვფიქრობთ, ეკლესიის ისტორიის მკვლევრებს დიდი სიფრთხილე მართებთ ამ თუ იმ ეკლესიის ოფიციალური პოზიციის შესწავლისა თუ შეფასების პროცესში.

1917 წლისთვის რუსეთის პატრიარქის ოფიციალური პოზიცია წარმოადგენდა რუსეთის ცარისტული იმპერიის პოლიტიკის გამოძახილს, რომელიც დამოუკიდებლობააღდგენილ ერებსა თუ ეკლესიებს მეამბოხე სეპარატისტებად და რუსეთის სახელმწიფოს დაშლისთვის მებრძოლებად აცხადებდა, თუმცა, მოგვიანებით, როდესაც ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ერები კვლავ ერთ პოლიტიკურ სივრცეში - საბჭოთა კავშირში გაერთიანდნენ და ხელისუფლებას დასჭირდა ეკლესიათა თანადგომა როგორც მეორე მსოფლიო ომის, ისე ცივი ომის პირობებში, შესუსტდა წნეხი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზეც. უფრო მეტიც, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის ეკლესიამ საჯაროდ აღიარა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. თუმცა, მხოლოდ რუსეთისგან აღიარება, ცხადია, არ იყო საკმარისი, ვინაიდან საერთაშორისო საზოგადოება და მათ შორის, მართლმადიდებლური სამყაროს ნაწილიც კვლავ ძველი, რუსული ნარატივით ხელმძღვანელობდა. პრობლემა თვალსაჩინო გახდა 1964 წელს, როდესაც კ. როდოსზე გამართულ მართლმადიდებელ ეკლესიათა სამშვიდობო ფორუმზე საქართველოს ეკლესია წარადგინეს, როგორც ყველაზე ახალგაზრდა, ავტონომიური

ეკლესია. აღნიშნულს მაშინვე მოჰყვა ქართველი სამღვდელობის და კონკრეტულად, მაშინდელი ეპისკოპოსის, ილიას (შიოლაშვილი) პროტესტი, რომელიც ფორუმში იღებდა მონაწილეობას, თუმცა, ნათელი იყო, რომ არსებობდა სასწრაფოდ ქმედითი ზომების მიღების აუცილებლობა. პირველ რიგში, საჭირო იყო რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ახლო, კეთილგანწყობილი ურთიერთობის არსებობა და ეკლესიის სტატუსის საერთაშორისო აღიარებისთვის ბრძოლის პროცესში მისი მხარდაჭერის მოპოვება, ვინაიდან მას ყველაზე უკეთ შეეძლო მსოფლიო საზოგადოების ცნობიერებაში ძველი ნარატივის შეცვლა. ვფიქრობთ, თავის მხრივ, რუსეთის ეკლესიის ინტერესებშიც შედიოდა საქართველოს ეკლესიასთან დაახლოება, რაც რამდენიმე მიზეზით აიხსნება: **პირველი** - იგი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ეკლესიას წარმოადგენდა და შესაბამისად, ათეისტური ხელისუფლების მხრიდან ყველაზე დიდ წნეხს განიცდიდა. მართალია, 70-80-იან წლებში პირდაპირი წნეხი ფასადური თანამშრომლობით შეიცვალა, თუმცა, ამ თანამშრომლობის პირობებშიც იგი ყველაზე დიდი კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული, რაც ცხადია, მას თავისუფალი მოღვაწეობის საშუალებას არ აძლევდა, არც ქვეყნის შიგნით და არც მის ფარგლებს გარეთ. სხვა ეკლესიებთან ურთიერთობა იმ ჩარჩოებით შემოიფარგლებოდა, რაც საბჭოთა ხელისუფლებისთვის იყო დასაშვები და იმ მიმართულებით წარიმართებოდა, რაზეც სსრკ-ის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა იყო ორიენტირებული. შესაბამისად, მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოკავშირეების არსებობას, განსაკუთრებით, მეზობელ ქვეყნებში. **მეორე** - საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებობდა არარუსული ქრისტიანული (კათოლიკური, პროტესტანტული) ეკლესიები, რომლებიც იურისდიქციისა თუ სხვა საკითხებში ღია დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ რუსეთის ეკლესიასთან და დასავლეთის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდნენ. **მესამე** - რუსეთის საპატრიარქოს ჰქონდა მრავალი სადავო საკითხი კონსტანტინეპოლის მსოფლიო მართლმადიდებლურ საპატრიარქოსთან, რაც კიდევ უფრო ართულებდა მის მდგომარეობას და ზრდიდა მხარდამჭერთა ყოლის აუცილებლობას და **მეოთხე** - საქართველოს ეკლესია იყო იმ გამონაკლის ეკლესიათა შორის, რომელიც არ იმყოფებოდა რუსეთის ეკლესიასთან დავაში, არც თეოლოგიური და არც იურისდიქციული თვალსაზრისით. შესაბამისად, ჩვენი

ვარაუდით, რუსეთის საპატრიარქოსთვის საქართველოს ეკლესია წარმოადგენდა ყველაზე საიმედო კანდიდატს, რომელთანაც შეიძლებოდა ჯანსაღი, თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბება.

ნაშრომის წინა თავში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქართული ეკლესიის ისტორიული სტატუსის აღიარების საკითხზე მუშაობა საქართველოს პატრიარქმა ეფრემ II-მ მის თანამოაზრესა და თანამებრძოლს - მიტროპოლიტ ილიას (შიოლაშვილი) დაავალა. მისი ძალისხმევით, 60-80-იანი წლების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა არა მხოლოდ მეცნიერებთან კონსულტაცია და ისტორიული წყაროების მოძიება-შესწავლა, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ეკლესიების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც წარმატებით დაგვირგვინდა 1990 წელს. როგორც ვთქვით, მსოფლიოს ეკლესიებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობას ენიჭებოდა. პირველ რიგში, ორივე ეკლესია (ქართული და რუსული) ქრისტეს ეკლესიას წარმოადგენდა და ჯანსაღი ურთიერთობა მათი ვალდებულებაც იყო და საჭიროებაც. გარდა ამისა, ორივე მათგანი ერთი დიდი, ათეისტური სახელმწიფოს (სსრკ) ტერიტორიაზე მდებარეობდა და თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა.

რუსეთის ეკლესიასთან დაახლოება XX ს-ის 60-იანი წლებიდან იწყება. შემთხვევითი არაა ეს პერიოდიც, ვინაიდან ნ. ხრუშჩოვის აგრესიული ანტირელიგიური პოლიტიკის პირობებში ყველა ეკლესია ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგა. 1960 წლის ივლისში საქართველოს პატრიარქი ეფრემი მოსკოვს ეწვია. ამ დროისთვის რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას სათავეში პატრიარქი ალექსი I ედგა. „პატრიარქებს შორის გულითადი საუბარი შედგა“ - ასე აფასებდა რუსეთის საპატრიარქოს ოფიციალური ჟურნალი ორი ეკლესიის მეთაურის შეხვედრას (Пребывание в Москве…1960:3). რუსეთის პატრიარქის საპასუხო ვიზიტი საქართველოში იმავე წლის შემოდგომაზე განხორციელდა. ვიზიტების გაცვლამ აქტიური ხასიათი მიიღო 1962 წლიდან. აღნიშნულს თან ერთვოდა ის გარემოებაც, რომ ორივე ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი გახდა და მასთან

დაკავშირებული მრავალი საკითხი საერთო მსჯელობის საგანს. წარმოადგენდა. კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი საპატიო სტუმრის რანგში იმყოფებოდა 1962 წლის ნოემბერში სამება-სერგის ლავრაში პატრიარქ ალექსის 85 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაზე, 1963 წლის აპრილში კი პატრიარქის ალექსის საეპისკოპოსო მსახურების 50 წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულზე. (Звонарёв, 2024:65). ღვთისმეტყველების კანდიდატი და მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო ურთიერთობის განყოფილების შორეული საზღვარგარეთის საკითხების მდივანი - დეკანოზი სერგეი ზვონარიოვი, თავის ნაშრომში „რუსეთის და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიები მიტროპოლიტ ნიკოდიმის (როტოვი) საგარეო საეკლესიო ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარეობის წლებში“ (რომელიც უმეტესად მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო ურთიერთობის განყოფილების არქივის დოკუმენტებს ეყრდნობა) საუბრობს რა საქართველოსა და რუსეთის პატრიარქების, ეფრემისა და ალექსი I-ის ახლო, თბილ და მეგობრულ ურთიერთობაზე, აღნიშნავს: „კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი უფრო ხშირად სტუმრობდა მოსკოვს, ვიდრე ადგილობრივი ეკლესიების სხვა წინამძღოლები“ (Звонарёв, 2024: 65). მისივე ინფორმაციით, პატრიარქს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა რუსეთის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარესთან, ლენინგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტ ნიკოდიმთან (როტოვი). 1970 წლის ოქტომბერში კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი ლენინგრადს ეწვია. სადაც მიტროპოლიტ ნიკოდიმის სტუმარი იყო. ლენინგრადის სასულიერო აკადემიაში, აკადემიის საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს პატრიარქს ღვთისმეტყველების მეცნიერებათა საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს. მიტროპოლიტმა ნიკოდიმმა კი მას დიპლომი და ჯვარი გადასცა. (Звонарёв, 2024: 66). რუსი დეკანოზი ს. ზვონარიოვი პატრიარქ ეფრემს აფასებს, როგორც „რუსეთის ეკლესიის ნამდვილ მეგობარს“, რაც თავისთავად, ცხადყოფს მოცემულ პერიოდში ორ ეკლესიას შორის ახლო, კეთილგანწყობილი ურთიერთობის ტენდენციებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორი პატრიარქის ძალისხმევამ შეძლო ეკლესიებს შორის XX ს-ის დასაწყისში ჩატეხილი ხიდის აღდგენა. ამ შედეგის მიღწევაში კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ორმხრივ ინტერესებს, ისე მათი მწყემსთავრების მცდელობას - ურთიერთობა წარმართულიყო ისე, როგორც ორ

თანასწორუფლებიან მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის კავშირი. რომ არა ქართველო პატრიარქის მცდელობა ამ კუთხით და რუსი პატრიარქის შესაბამისი, შემხვედრი პოზიცია, ურთიერთობის მოცემულ ფორმატში ჩამოყალიბება პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნებოდა. პატრიარქ ეფრემის გარდაცვალების შემდეგ ურთიერთობა ორ ეკლესიას შორის, არ შესუსტებულა. 1972 წლის 2 ივნისს, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ - ურბნელმა მიტროპოლიტმა დავითმა (შემდგომში პატრიარქი დავით V) და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ მონაწილეობა მიიღეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის ახალი პატრიარქის, პიმენის აღსაყდრების პირველი წლისთავის აღნიშვნაში. 1 თვის შემდეგ კი, რუსეთის საპატრიარქოს დელეგაცია (მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველის, ტალინისა და ესტონეთის მიტროპოლიტი ალექსის (რიდიგერი) მეთაურობით) ესწრებოდა საქართველოს ახალი პატრიარქის - დავით V -ის არჩევისა და ინტრონიზაციის პროცესს. 1972 წლის ნოემბერში თავად პატრიარქი პიმენი ესტუმრა საქართველოს ეკლესიას, შეხვდა კათოლიკოს-პატრიარქ დავითს, მონაწილეობა მიიღო ერთობლივ ღვთისმსახურებაში, გაეცნო ქართული მიწის სიწმინდეებს და საეკლესიო ცხოვრებას (Звонарёв, 2024: 67). დეკანოზ ს. ზვონარიოვის შენიშვნით, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო ურთიერთობების დეპარტამენტის არქივში დაცულია მიმოწერა დეპარტამენტის ხელმძღვანელობასა და საქართველოს ეკლესიის იერარქებს შორის, მათ შორის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიასთან და თეთრიწყაროს მიტროპოლიტ ზინობისთან (მაჟუგა), რომელიც შესამჩნევად გააქტიურდა 1972 წელს და ემსახურებოდა ორ ეკლესიას შორის კავშირების განმტკიცებას (Звонарёв, 2024: 67).

ორ ეკლესიას შორის კონტაქტები კიდევ უფრო აქტიურ სახეს იღებს საქართველოს საპატრიარქო ტახტზე ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილის აღსაყდრებიდან. საგულისხმოა 1977 წლის 25 დეკემბერს, საქართველოს ეკლესიის ახალი საჭეთმპყრობლის ინტრონიზაციაზე რუსეთის პატრიარქის, პიმენის მიმართვა: „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, აღსავსე უღრმესი პატივისცემით თავისი ერთმორწმუნე, მოძმე ქართული ეკლესიისადმი, გულით ხარობს ამ უწმიდეს ტაძარში გამეფებული სიხარულითა და ზეიმით. ეს სიხარული წმიდაა და ნათელი. ჩვენც სიხარულმა მოგვიყვანა აქ, რათა ერთხელ კიდევ

დავუდასტუროთ კეთილმორწმუნე ქართველ ერს და მის ღირსეულ მწყემსმთავარს სრულიად რუსეთის ეკლესიის სამწყსოს სიყვარული“ (მოსკოვის… პატრიარქ პიმენის სიტყვა... 1978:12). პატრიარქის მიმართვა, ვფიქრობთ, იყო თანამშრომლობითი კურსის გაგრძელების დასტური. თავის მხრივ, საქართველოს პატრიარქი ილია II-ც იღებდა მონაწილეობას რუსეთის ეკლესიის მნიშვნელოვან ღონისძიებებში, რითიც ხელს უწყობდა არა მარტო რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის გაღრმავებას, არამედ იმ ეკლესიებთან (კონსტანტინეპოლის, იერუსალიმის და სხვ.) ახლო კონტაქტების დამყარებას, რომელთა წარმომადგენლებიც მოსკოვს სტუმრობდნენ და რომლებთანაც ქართულ ეკლესიას დამოუკიდებელი ურთიერთობის შესაძლებლობა ნაკლებად ჰქონდა. XX ს-ის 60-იანი წლების II ნახევრიდან 80-იანი წლების ჩათვლით საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ურთიერთობაში, კვლევის შედეგების მიხედვით, ორ ძირითად მიმართულებას გამოვყოფთ: **პირველი** - საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ბრძოლა ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების აღიარებისთვის და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია; **მეორე** - საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების თანამშრომლობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ეგიდითა და მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო მშვიდობის დამყარებისთვის.

ნიშანდობლივია ის, რომ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების მწყემსთავრებს შორის არსებულმა თანამშრომლობითმა ურთიერთობამ თავისი გავლენა იქონია ქართული ეკლესიის სტატუსისა და საპატრიარქო ღირსების საერთაშორისო აღიარებაზე. რუსეთის ეკლესიამ ღიად დაუჭირა მხარი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხის დადებითად გადაწყვეტას. 1981 წელს, როდესაც საბერძნეთისა და კვიპროსის ეკლესიების მიერ შედგენილ კალენდარში საქართველოს ეკლესია არ იქნა მოხსენიებული მის კუთვნილ მე-6 ადგილზე. საქართველოს ეკლესიის პროტესტს და მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღოლებისადმი მიმართვას (ეკლესიებს გაეგზავნათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა და დიპტიხში მისი ადგილის კანონიერების დამადასტურებელი ისტორიული წყაროებით გაჯერებული წერილები და ეთხოვათ წერილობითი მხარდაჭერა) მოჰყვა რუსეთის პატრიარქის, პიმენის დადებითი გამოხმაურება (ვარდოსანიძე, 2017: 393). 1982 წლის 19-20 მარტს, საქართველოს პატრიარქის

ინიციატივით, ორი ეკლესიის წარმომადგენლები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრაზე, რომელიც ეხებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს. საერთო აზრი ჩამოყალიბდა შემდეგ საკითხებზე:

1) საქართველოს ეკლესია არის საპატრიარქო და ამის შესაბამისად მისი მეთაურია კათოლიკოს-პატრიარქი.
2) სხვა ეკლესიებმა უნდა სცნონ, რომ საქართველოს ეკლესია სათავეს იღებს პირველივე საუკუნიდან. იგი ოფიციალურად აღიარებულია IV საუკუნის პირველი ნახევრიდან. ავტოკეფალურია V საუკუნის მეორე ნახევრიდან. საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო ანტიოქიის ეკლესიისგან.
3) საქართველოს ეკლესიის მეთაურს უნდა მიმართონ ისე, როგორც ისტორიულადაა მიღებული: „უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი“ (ღვაწლნი...1982:19).

1982 წლის 29 სექტემბერს, რუსეთის პატრიარქი პიმენი საქართველოს პატრიარქს სწერდა: „ჩვენ ვიზიარებთ და მხარს ვუჭერთ თქვენს ენერგიულ საქმიანობას ძველი ქართული ეკლესიის კანონიერი უფლებებისა და მართლმადიდებლურ ეკლესიათა დიპტიქში სათანადო ადგილის აღდგენასთან დაკავშირებით. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს ამის შესახებ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წევრებთან შეხვედრებზე. ღმერთი იყოს თქვენი შემწე, რათა აღსდგეს სამართლიანობა. იმედი გვაქვს, მისი უწმინდესობა, უწმინდესი პატრიარქი დიმიტრიოს I და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდი მთელი სერიოზულობით მოეკიდებიან თქვენს ეპისტოლეს და მასში დაყენებული საკითხი დადებითად გადაწყდება“ (მოსკოვის... პატრიარქის, პიმენის წერილი... 1990:32-33). რუსეთის პატრიარქის პოზიცია არც შემდგომში შეცვლილა. 1988 წელს მოსკოვში ორი ეკლესიის უმაღლეს იერარქებს შორის გამართულ შეხვედრაზე, პატრიარქმა პიმენმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პოზიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და დიპტიხის საკითხებთან დაკავშირებით (საეკლესიო ცხოვრება, 1988:52).

საქართველოსა და რუსეთის ეკლესიათა შორის ურთიერთობების გაღრმავების პროცესში დიდი როლი ითამაშა მათმა მონაწილეობამ ეკუმენურ მოძრაობაში და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობაში. მართალია, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მათი გაწევრიანება საბჭოთა ხელისუფლების ზეგავლენით მოხდა და მიზნად ისახავდა საერთაშორისო რელიგიურ პროცესებში „პროსაბჭოთა“ რელიგიური ორგანიზაციების აქტიურ ჩართვას, თუმცა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე ეკლესიამ ეს მდგომარეობა საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენა. კერძოდ, რუსეთის ეკლესიას მიეცა სრულიად მართლმადიდებლურ სამყაროსთან არა თუ კონტაქტების გაღრმავების, არამედ დომინანტი როლის დაბრუნების შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ, კონსტანტინეპოლთან პირდაპირი თუ ირიბი დაპირისპირების პროვოცირებას მოახდენდა. ამ გზაზე კი მას მოკავშირეები სჭირდებოდა ადგილობრივი (თუნდაც საქართველოს) მართლმადიდებელი ეკლესიების სახით. რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის ინტერესებს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ტრიბუნა წარმოადგენდა ყველაზე ეფექტურ ბერკეტს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი საეკლესიო იზოლაციიდან თავის დაღწევისათვის, ისე ისტორიული ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისთვის. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მოცემული პერიოდისთვის აშშ-სა და სსრკ-ს შორის ცივი ომის პირობებში არსებულმა კონფრონტაციამ და ურთიერთობის გამწვავებამ, რამაც ბირთვული კატასტროფის რეალური საფრთხე წარმოშვა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლა განსაზღვრა. უნდა ითქვას ისიც, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობაზე დიდ გავლენას ახდენდა აშშ-ის ხელისუფლების პოლიტიკა. შესაბამისად, მის მიერ არჩეული სამუშაო პრიორიტეტები და მიმართულებები არ იყო შემთხვევითი. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ, რომელიც კარგად იყო ინფორმირებული აშშ-ემს-ს კავშირ-ურთიერთობების შესახებ, გადაწყვიტა, საკუთარი ინტერესების დასაცავად, ემს-ს შემადგენლობაში გაეზარდა და გაეძლიერებინა სოციალისტური ბანაკის ეკლესიათა როლი. განსაკუთრებული სამშვიდობო მისია დაეკისრა რუსეთის, როგორც სსრკ-ს ცენტრალურ ეკლესიას. მართალია ხელისუფლების დირექტივას საბჭოთა კავშირის ინტერესების დაცვა წარმოადგენდა, თუმცა, ეკლესიებს ღრმად ჰქონდათ

გაცნობიერებული უმაღლესი პასუხისმგებლობა ღვთისა და კაცობრიობის წინაშე. სწორედ ამიტომ, მათმა მწყემსმთავრებმა მთელი ძალისხმევა მსოფლიო მშვიდობის დაცვისაკენ მიმართეს.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანებისთანავე, საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიები აქტიურად ჩაერთვნენ ემს-ს ეგიდით სამშვიდობო ფორუმებისა თუ კონფერენციების ორგანიზებაში; რეგიონალურ კონფლიქტებთან დაკავშირებული დეკლარაციების შემუშავებაში და სხვ. ხშირად ერთად იღებდნენ მონაწილეობას როგორც ადგილობრივი, ისე მსოფლიო მასშტაბის ღონისძიებებში. ცნობილია მაგ. 1961 წლის მშვიდობის დაცვის მსოფლიო ქრისტიანული კონგრესი პრაღაში; 1962 წლის მაისში პრაღის ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციის მრჩეველთა კომიტეტის სხდომა კარლოვი-ვარში, იმავე წლის ივლისში განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესი მოსკოვში და სხვ. (Звонарёв, 2024:69). განსაკუთრებით აღსანიშნავია 1977 წელს რუსეთის პატრიარქ პიმენის ინიციატივით, ქ. ზაგორსკში ჩატარებული საბჭოთა კავშირის ეკლესიათა და რელიგიურ გაერთიანებათა წარმომადგენლების კრება, რომელმაც ნეიტრონის ბომბის შექმნისა და მისგან გამოწვეული საფრთხის შესახებ იმსჯელა. კრების ოფიციალურ მიმართვაში აღნიშნული იყო: „ნეიტრონის იარაღის აპოლოგეტები ყოველ შესაძლებლობას ხმარობენ, რაც შეიძლება მალე ჩააყენონ მწყობრში და ამასთან, უსათუოდ განალაგონ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე; ცდილობენ ხელი შეუშალონ საყოველთაო განიარაღებისა და ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პროცესს; აჩქარებენ ახალი მსოფლიო ომის დაწყების შესაძლებლობას... საბჭოთა კავშირის მორწმუნე ადამიანთა აზრი, გრძნობა და ნება ეწინააღმდეგება ახალი დანაშაულისათვის სამზადისს კაცობრიობის წინაშე... გვსურს შევახსენოთ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომ ისინი მოვალენი არიან ანგარიში გაუწიონ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს“ („მშვიდობა ყოველთა“ (1978:24-25).

რუსეთის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო ურთიერთობების განყოფილების არქივში დაცულია ერთი დოკუმენტი, კერძოდ, პატრიარქ პიმენის გზავნილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივ საბჭოს, რომელიც 1972 წლის 29 ივნისითაა დათარიღებული და საქართველოს ეკლესიის შესახებ საუბრობს:

„(საქართველოს ეკლესია) არ დგას განზე იმ აქტუალური პრობლემებისგან, რომლებიც ამჟამად მთელ ქრისტიანულ სამყაროს და კაცობრიობას აწუხებს. აქტიურად უწყობს ხელს მართლმადიდებლური ეკლესიების ერთიანობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, დიდ როლს ასრულებს ეკუმენურ მოძრაობაში, მონაწილეობს ქრისტიანთაშორისი ურთიერთობების სფეროში და ძმური კონტაქტების განვითარებაში.“ (Звонарёв, 2024 : 69). ქართულმა ეკლესიამ მონაწილეობა მიიღო აგრეთვე, 1981 წელს ქალაქ ზაგორსკში გამართულ სამშვიდობო სხდომაში, სადაც საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის ილია II-ის გამოსვლა მთელი დასავლური სამყაროსადმი საქართველოს, როგორც სსრკ–ის წევრი ქვეყნისა და მისი ეკლესიის ოფიციალური მიმართვის სახეს ატარებდა. პატრიარქი ილია II ხაზს უსვამდა რა დემილიტარიზაციის პრობლემის აქტუალობას მთელს მსოფლიოში, მოუწოდებდა აშშ–ისა და სსრკ–ის რესპუბლიკათა ხელმძღვანელებს, დაეწყოთ მოლაპარაკება ევროპის კონტინენტზე სიცოცხლის გამანადგურებელი იარაღების განლაგების შემცირების შესახებ (კათოლიკოს... სიტყვა... ზაგორსკში, 1982:9-10).

საქართველოსა და რუსეთის პატრიარქები დიდ ყურადღებას უთმობდნენ აშშ-ის მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაახლოებას, ვინაიდან სწორედ მათ მჭიდრო თანამშრომლობას შეეძლო შეესრულებინა უაღრესად დადებითი როლი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის გზების ძიებაში. 1986 წლის ზაფხულში რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსი - მიტროპოლიტი სრულიად ამერიკისა და კანადისა, უნეტარესი თეოდოსი. იმავე წლის სექტემბერში კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით აშშ-ში. ორმხრივი ვიზიტების მიზანს წარმოადგენდა სსრკ-აშშ-ის ურთიერთობების საკითხის განხილვა და ამ ურთიერთობათა გაღრმავების საქმეში ეკლესიათა როლის შეფასება. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციის მონაწილეობას 1987 წლის დეკემბერში ვაშინგტონში, აშშ-ისა და სსრკ-ს მეთაურთა შორის გამართულ შეხვედრაში, სადაც მიღწეულ იქნა შეთანხმება ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის საკითხზე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მ. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის

სახელზე გაგზავნილი დეპეშა კიდევ ერთხელ ადასტურებდა საქართველოს ეკლესიის მხარდამჭერ პოზიციას მათ მიერ გადადგმული პროგრესული ნაბიჯისადმი (ბოკელავაძე, 2008:127).

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობის ისტორიაში XX ს-ის 60-80-იან წლები რადიკალური ცვლილებების ეპოქას წარმოადგენდა. პირველ რიგში, აღდგა კავშირი ორ მეზობელ ეკლესიას შორის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს კავშირი ეფუძნებოდა არა „ვასალურ“, არამედ ორი თანასწორუფლებიანი ეკლესიის ურთიერთობის მოდელს. აღნიშნული, თავის მხრივ, დიდ გარდატეხად შეგვიძლია შევაფასოთ ქართულ-რუსული საეკლესიო ურთიერთობების ისტორიაში, ვინაიდან თუ კი 1811 წლიდან - 1943 წლამდე უგულებელყოფილი იყო საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია, ჯერ 1943 წლიდან, ხოლო შემდეგ 60-იანი წლებიდან რუსეთის ეკლესიის იერარქებმა არა თუ აღიარეს ქართული ეკლესიის სტატუსი და უფლებები, არამედ ღიად დაუჭირეს მხარი სრულიად ქრისტიანულ სამყაროში (და არა მხოლოდ) მის აღიარებას. ჯანსაღი ურთიერთობების ფორმირებისა და განმტკიცების საქმეში პოზიტიური როლი შეასრულა აგრეთვე, ერთი სახელმწიფოს (სსრკ) ტერიტორიაზე არსებობამ, სადაც ყველა ეკლესიას სჭირდებოდა მოკავშირე გადარჩენისა და თავდაცვისათვის ბრძოლაში და ბოლოს, უაღრესად დიდი როლი შეასრულა ორი ეკლესიის თანამშრომლობამ საერთაშორისო რელიგიურ პროცესებსა (ეკუმენური მოძრაობა) და მსოფლიო მშვიდობის დაცვის საქმეში. ამ სამი ფაქტორის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობა ახალ ეტაპზე, პოზიტიურ ხასიათს ატარებდა, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა ქართველ მწყემსმთავრებს დასახული მიზნების მიღწევაში.

2.3. საქართველოსა და კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობა. ავტოკეფალიის აღიარების საკითხი

საქართველოსა და კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი სათავეს IV საუკუნიდან იღებს და თანამედროვე ეტაპზეც გრძელდება. საუკუნეების განმავლობაში, ბიზანტიის იმპერიასა და ქართულ სახელმწიფოს/სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური კავშირებისა და საეკლესიო-კულტურული ტრადიციების ურთიერთგაცვლის პარალელურად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ორ ეკლესიას შორის ურთიერთობას. თუმცა, ისტორიული კატაკლიზმების გამო, გვიანშუასაუკუნეებში, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებად დაშლის, ხოლო შემდგომ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობის გამო, ეს ურთიერთობები შეწყდა. 1811 წლიდან 1917 წლამდე რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში ყოფნამ თავისი გავლენა იქონია ქართული ეკლესიის ცხოვრებაზე: მას აღარ ჰქონდა შესაძლებლობა, დამოუკიდებელი კონტაქტები ეწარმოებინა მსოფლიოს მართლმადიდებლურ საპატრიარქოებთან და ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იგი საერთაშორისო საზოგადოებაში რუსეთის ეკლესიის ნაწილად მოიაზრებოდა. აღნიშნულმა 1917 წელს, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ საქართველოს ეკლესიის წინაშე მნიშვნელოვანი პრობლემები წამოჭრა, განსაკუთრებით, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან ურთიერთობაში, რაც ძირითადად, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების საკითხთან იყო დაკავშირებული.

1917 წლიდან საქართველოსა და კონსტანტინეპოლის ეკლესიებს შორის ურთიერთობები ძირითადად, წერილების გაცვლით შემოიფარგლებოდა. მდგომარეობა არ შეცვლილა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობის პერიოდშიც. საბჭოთა კავშირის შექმნის პერიოდიდან კი, მისი ხელისუფლების ხანგრძლივმა ანტირელიგიურმა პოლიტიკამ დიდი დაბრკოლებები შექმნა საქართველოს ეკლესიის საგარეო ურთიერთობების აღდგენის საქმეში.

ახალი ეტაპი XX ს-ის 60-იანი წლებიდან იწყება, როდესაც საბჭოთა კავშირის რელიგიურ ორგანიზაციებს მიეცათ ეკუმენური მოძრაობის მთავარ ორგანოში - ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების შესაძლებლობა. ეკლესიათა მსოფლიო საბჭო წარმოადგენდა საერთაშორისო მასშტაბის ტრიბუნას, რომლის მეშვეობითაც დიდ თუ მცირე ეკლესიებს შეეძლოთ არა მხოლოდ საკუთარი თავის გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის, არამედ ის მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სხვადასხვა ეკლესიების ურთიერთდაახლოებას. მასში გაწევრიანებამ პოზიტიური როლი შეასრულა საქართველოს ეკლესიის როგორც ძველ საპატრიარქოებთან ურთიერთობის აღდგენის, ისე, სხვა ავტოკეფალურ და ავტონომიურ მართლმადიდებლურ ეკლესიებთან და არამართლმადიდებლურ ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარების საქმეში. ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობას ეთმობოდა.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლები ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდნენ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობაში. გარდა ამისა, კონსტანტინეპოლი, კვლავ ინარჩუნებდა მართლმადიდებლური სამყაროს ცენტრისა და მედიატორის ფუნქციებს, რაც თავის მხრივ, განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი ეკლესიები მასთან დაახლოებასა და მისი მხარდაჭერის მოპოვებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

მსოფლიო საპატრიარქოს მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ჯერ კიდევ 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენიდან, თუმცა, სამწუხარო რეალობას წარმოადგენდა ის, რომ XX საუკუნეში ორ ეკლესიას შორის ურთიერთობებში გარკვეულმა სირთულეებმა იჩინეს თავი და ეს სირთულეები სწორედ ავტოკეფალიის საკითხთან იყო დაკავშირებული.

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია ავტოკეფალიას ჯერ კიდევ V საუკუნიდან ფლობდა, მისი წინამძღვარი კი პატრიარქის ტიტულს XI საუკუნიდან ატარებდა (ერთი ვერსიით, IX ს-დან). აღნიშნული არაერთგზის იყო დადასტურებული ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში, რომლებიც საფუძვლიანად არის შესწავლილი ქართველი მეცნიერების

მიერ (მაგ: ნ. ლომოურის, მ. ლორთქიფანიძის, ბ. ლომინაძის და სხვათა შრომები). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და მისი მწყემსმთავრის საპატრიარქო ღირსების (ტიტულის) გადასინჯვის საკითხი არასდროს დამდგარა დღის წესრიგში (თუ არ ჩავთვლით შუა საუკუნეებში, ქართული ეკლესიის როლის დაკნინებით დაინტერესებული ბერძენი სამღვდელოების მცდელობას), თუმცა, 60-იან წლებში მიმდინარე მოვლენებმა ცხადყვეს, რომ ამ საკითხისადმი კონსტანტინეპოლს ჯერ კიდევ ორაზროვანი დამოკიდებულება გააჩნდა.

პრობლემები ამ კუთხით, 1964 წელს წარმოჩნდა, როდესაც კ. როდოსზე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მიერ გამართულ საერთაშორისო მართლმადიდებლურ ფორუმზე (სადაც საქართველოს ეკლესიის მხრიდან ბათუმელ-შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი) იღებდა მონაწილეობას) საქართველოს ეკლესია ახალგაზრდა, ავტონომიურ ეკლესიად წარადგინეს. ამ ფაქტს ქართული დელეგაციის საჯარო პროტესტი მოჰყვა, თუმცა მალე გაირკვა, რომ აღნიშნული უნებლიე შეცდომის შედეგი არ ყოფილა. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან საქართველოში გამოგზავნილ ოფიციალურ წერილებსა თუ ბერძნულენოვან საეკლესიო კალენდრებში, სადაც ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა ადმინისტრაციული სტრუქტურის გარდა, მათი მოღვაწეობის ისტორიაც შუქდებოდა, საქართველოს ეკლესია მუდმივად ავტონომიურ ეკლესიად იხსენიებოდა. მისი მწყემსმთავარი კი მთავარეპისკოპოსად. მიუხედავად ქართული საპატრიარქოს მხრიდან მისი სტატუსის ფალსიფიცირებაზე მრავალგზის მითითებისა, ბერძნული მხარის პოზიცია ამ საკითხთან მიმართებით, დიდხანს არ შეცვლილა. საინტერესოა, აღნიშნული მსოფლიო საპატრიარქოსა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ეკლესიებში (მაგ; ელადის ეკლესია) საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სტატუსის შესახებ არსებული მცდარი კონცეფციებით იყო გამოწვეული (რასაც შეიძლება 1917 წელს რუსეთის ეკლესიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების ისტორიული ფაქტის მცდარი ინტერპრეტაცია ედო საფუძვლად), რუსეთის ეკლესიის პოზიციის გათვალისწინებით იყო ნაკარნახევი თუ სხვა მიზეზებით იყო განპირობებული? საკითხის შესასწავლად და ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროდ მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, მოცემულ პერიოდში

კონსტანტინეპოლისა და რუსეთის ეკლესიების ურთიერთობების ისტორიის განხილვა.

ისტორიულად ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, ოსმალთა ისლამური სახელმწიფოს ფარგლებში მოქმედი კონსტანტინეპოლის ბერძნულ-მართლმადიდებლური საპატრიარქო უმეტესად, დასავლეთის (ევროპის, მოგვიანებით კი აშშ-ის) სახელმწიფოთა შორის ეძებდა ძლიერ მოკავშირესა და მფარველს, რომელიც მისი არსებობის შენარჩუნების გარანტიებს შექმნიდა. პროდასავლური კურსი, საუკუნეების განმავლობაში, მის ტრადიციულ პოლიტიკურ ორიენტაციად ჩამოყალიბდა და დიდი გავლენა მოახდინა XX ს-ის II ნახევარში მიმდინარე მოვლენებზე. რაც შეეხება რუსეთის საპატრიარქოს, იგი რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ნებსით თუ უნებლიედ, ხშირად სახელმწიფო პოლიტიკის მხარდამჭერ ძალად წარმოჩნდებოდა და თავისთავად, წინააღმდეგობაში მოდიოდა პროდასავლურ პოზიციებთან. განსხვავებულ პოლიტიკურ ორიენტაციებს თან ერთვოდა ორივე საპატრიარქოს სწრაფვა მართლმადიდებლურ სამყაროში ჰეგემონობისათვის. ოსმალთა იმპერიის საზღვრებში მოქცევამ დროთა განმავლობაში დაამცრო და დაასუსტა კონსტანტინეპოლის ეკლესია. საგრძნობლად შემცირდა მისი იურისდიქცია როგორც დღევანდელი თურქეთის საზღვრებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. სამაგიეროდ, რუსეთის იმპერიის საზღვრების გაფართოების შედეგად, გაიზარდა რუსეთის ეკლესიის იურისდიქცია. „მსოფლიო საპატრიარქოს“ კონცეფციას, ცენტრით - კონსტანტინეპოლში, აქტიურად დაუპირისპირდა რუსულ პოლიტიკურ და რელიგიურ წრეებში გავრცელებული „მესამე რომის“ თეორია, ცენტრით - მოსკოვში, რაც თავისთავად მართლმადიდებლურ სამყაროში ახალი მსოფლიო ლიდერის პოზიციაზე განაცხადს წარმოადგენდა.

კონსტანტინეპოლისა და რუსეთის ეკლესიებს შორის გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის დაპირისპირებამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 1917 წლიდან, როდესაც რუსეთის რევოლუციის შედეგად, სახელმწიფო სისტემისა და ტერიტორიული საზღვრების ცვლილებას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის ცვლილებაც მოჰყვა. ცარისტული რუსეთისგან გამოყოფილ მიწებზე

არსებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში (მაგ. პოლონეთში, ფინეთში, ესტონეთში) იქმნება ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიები, რომლებიც რუსეთისგან დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტიების შექმნის მიზნით, 1923 წელს მფარველობის თხოვნით მიმართავენ კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა, მელეტი IV - მ თანხმობა განაცხადა და საგანგებო ტომოსებით გააფორმა ხსენებული ეკლესიების დაქვემდებარება კონსტანტინეპოლის ეკლესიის იურისდიქციისადმი, მათი ფართო ავტონომიური უფლებების ცნობით (Phidas, 2000; Шевченко, 2008; Чистович, 1856).

აღსანიშნავია ის, რომ პოლონეთის, ფინეთისა და ესტონეთის ეკლესიათა განმათავისუფლებელი ბრძოლის პარალელურად, 1917 წელს წარმატებას მიაღწიეს ქართველმა ავტოკეფალისტებმაც და მარტის საეკლესიო კრებაზე, საყოველთაო მართლმადიდებლური წესების დაცვით, ოფიციალურად გამოაცხადეს ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. აღნიშნული, ავტომატურად გულისხმობდა რუსეთის მიერ ხელოვნურად შეწყვეტილი ქართული საპატრიარქო ინსტიტუტის ტრადიციულ, კანონიკურ უფლებებში აღდგენას. ავტოკეფალიის აღდგენის აქტი ადასტურებდა, რომ ამიერიდან გრძელდებოდა ავტოკეფალია, რომელიც „ეკლესიასა ქართველთასა აქუნდა, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა... რომლისა მოსპობაი ანუ გაუქმებაი არავის ძალ–ედვა, თვინიერ მსოფლიო კრებისა“ (საქართველოს... ავტოკეფალიის აღდგენის აქტი, 2005:4).

როგორც ჩანს, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო პოლონეთის, ფინეთისა და ესტონეთის ეკლესიათა რიგში მოიაზრებდა რუსეთის ეკლესიისგან გამოყოფილ და ავტოკეფალიააღდგენილ ქართულ ეკლესიასაც. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ისტორიულ რეალობასთან შეუსაბამო და აბსოლუტურად არარელევანტურია მოცემული ეკლესიების სტატუსებისა თუ მდგომარეობის ერთმანეთთან შედარება. ვინაიდან საქართველოს ეკლესია ჯერ კიდევ V საუკუნიდან ფლობდა ავტოკეფალიას. ანუ მაშინ, როდესაც რუსეთის არა თუ ეკლესია, სახელმწიფოც არ არსებობდა და შესაბამისად, საქართველოს ეკლესია ვერ გაფორმდებოდა ავტონომიურ ეკლესიად. 1917 წლის აქტით მას არ მოუპოვებია ავტოკეფალია, არამედ აღიდგინა ხელოვნურად შეწყვეტილი ავტოკეფალური

ეკლესიის უფლებები, რომლის აღიარებაც ქრისტეს ყველა ეკლესიის პასუხისმგებლობასა და მოვალეობას წარმოადგენდა. საკითხზე მსჯელობისას უნდა ვახსენოთ ის ფაქტი, რომ ქართველ სამღვდელოებას, ზემოხსენებული ეკლესიების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, რუსეთის ეკლესიისგან დამოუკიდებლობის გარანტიების მოპოვების მიზნით, კონსტანტინეპოლისთვის მფარველობაში მიღების თხოვნით არ მიუმართავს. აღნიშნული ბუნებრივია, ვინაიდან კონსტანტინეპოლის მფარველობაში შესვლას არა ავტოკეფალიის აღდგენის მსოფლიო მასშტაბით დადასტურება, არამედ ერთი იურისდიქციიდან მეორეში გადასვლა მოჰყვებოდა, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ქართული სამოციქულო ეკლესიის ინტერესებს. მართალია, ამ ფაქტმა საქართველოს ეკლესია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარებისგან იხსნა, თუმცა, შემდგომში კონსტანტინეპოლისა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ეკლესიებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

საბჭოთა კავშირის შექმნისა და ყოფილი ცარისტული იმპერიის ტერიტორიაზე არსებული მიწების მის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, რუსეთის ეკლესია იწყებს ბრძოლას დაკარგულ ტერიტორიებზე საკუთარი იურისდიქციის აღდგენისთვის. 1945 წლისთვის მან შეძლო ესტონეთის ეკლესიის დაქვემდებარება. რაც შეეხება პოლონეთისა და ფინეთის ეკლესიებს, 1924 წელს კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ პოლონეთის ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა; ხოლო ფინეთის ეკლესიამ კვლავ კონსტანტინეპოლის ეკლესიის იურისდიქციაში მყოფ ავტონომიურ ეკლესიად დარჩა (Palli). საყურადღებოა ის, რომ რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ 1943 წელს საგანგებო აქტით ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რითაც ფაქტობრივად, ოფიციალურ დონეზე აღიარა, რომ უარს ამბობდა ქართული ეკლესიის მიმართ წარსულში არსებულ პრეტენზიებზე. ამ აქტს კონსტანტინეპოლის მხრიდან არ მოჰყოლია შესაბამისი რეაგირება. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სტატუსის საკითხი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში კვლავ ღიად დარჩა.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პოზიცია სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ეკლესიის ისტორიული უფლებებისა და ქრისტიანულ სამყაროში კუთვნილი ადგილის აღიარებას. ქართველი სასულიერო კრებული ღრმად

აცნობიერებდა მოსალოდნელ გამოწვევებს, თუმცა, საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკის პირობებში, მანამ სანამ ეკლესიებს არ მიეცათ საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობა, ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი გახდა. მხოლოდ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან შეძლეს ქართველმა იერარქებმა ეკლესიის სტატუსისა და მისი მწყემსმთავრის საპატრიარქო ღირსების აღიარებისთვის აქტიური ბრძოლის დაწყება, რასაც 1964 წელს კუნძულ როდოსზე მომხდარმა ინციდენტმა მისცა ბიძგი.

როგორც აღვნიშნეთ, 60-იან წლებში ქართული ეკლესიის პროტესტს მისი ისტორიული უფლებების შელახვასთან დაკავშირებითმ კონსტანტინეპოლის მხრიდან შედეგი არ მოჰყოლია. 1977 წლიდან, როდესაც საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა მიტროპოლიტი ილია, იგი ჯერ აფუძნებს საგარეო განყოფილებას ეკლესიაში, შემდეგ კი, საგარეო ურთიერთობების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად სწორედ კონსტანტინეპოლთან ურთიერთობას და ქართული ეკლესიის სტატუსის აღიარებას ისახავს.

მისი აღსაყდრებიდან მალევე, 1978 წლის 1 ივნისს, თბილისს ეწვივნენ მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენელნი: ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი, ფილადელფიის მიტროპოლიტი ბართლომე, შვედეთისა და სკანდინავიის ქვეყნების მიტროპოლიტი პავლე. მათ ჩამოსვლას რამდენიმე მიზანი ჰქონდა: პირველი - ქართული ეკლესიისთვის პირადი ჩამოსვლითაც დაედასტურებინათ თანადგომა ილია II-ის აღსაყდრების გამო, მეორე - მსოფლიო საეკლესიო კრების მომზადება, მესამე - ეკლესიებს შორის ურთიერთკავშირისა და მეგობრობის განმტკიცება (სამეგობრო გზები (1978:21). სწორედ ამ ვიზიტის დროს პატრიარქმა ილიამ მსოფლიო საპატრიაქოს წარმომადგენელთა წინაშე ოფიციალურად დააყენა საქართველოს ეკლესიის სტატუსის მსოფლიო საპატრიარქოში აღიარების საკითხი (სრულიად საქართველოს...პატრიარქის ვიზიტი კონსტანტინეპოლში, 1979: 11).

1979 წლის 2-8 მაისს, საქართველოს პატრიარქი, კონსტანტინეპოლის პატრიარქის, დიმიტრიოსის მიწვევით, სტუმრად იმყოფებოდა კონსტანტინეპოლში. პატრიარქს თან ახლდნენ ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი - საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე, ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი

დავითი, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი - დეკანოზი გურამ შალამბერიძე და პროტოდიაკონი - ღვთისო შალიკაშვილი. დიმიტრიოსის საპატრიარქო რეზიდენციაში შედგა ორი პატრიარქის შეხვედრა (სრულიად საქართველოს... პატრიარქის... ვიზიტი კონსტანტინეპოლში, 1979:8). პატრიარქმა მიტროპოლიტ მელიტონთან საუბარში განაცხადა: „საქართველოსა და კონსტანტინეპოლის ეკლესიებს ჯერ კიდევ იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროიდან ჰქონდათ კარგი დამოკიდებულება... ასეთი მეგობრული ურთიერთობა გრძელდებოდა 1811 წლამდე, 1811 წელს რუსეთის იმპერატორის არაკანონიერი ბრძანებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა და ეკლესიის მმართველად დააყენეს ეგზარქოსი. 106 წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესია მუდამ ცდილობდა და იბრძოდა, რომ აღედგინა თავისი ავტოკეფალია, რომელიც ჯერ კიდევ V საუკუნეში ჰქონდა მიღებული. საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა მოხდა 1917 წელს, როცა საქართველოს საეკლესიო კრების მიერ კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა კირიონი. ვიმეორებ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან. ჩვენ გვინდა, აღვადგინოთ ეს მტკიცე კავშირი.“ საკითხი (სრულიად საქართველოს...პატრიარქის ვიზიტი კონსტანტინეპოლში, 1979: 10). პატრიარქი შეეხო საქართველოს ეკლესიისა და მისი მეთაურის სტატუსს: „როდესაც წერილს ან მოლოცვას გვიგზავნის კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო, სწორად არ არის მოხსენებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ისე, როგორც წოდებულია V საუკუნიდან. საქართველოს კათოლიკოსს პატრიარქი ეწოდებოდა... საეკლესიო ფორუმებსა და კონფერენციებზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კანონიერად უნდა იკავებდეს თავის ადგილს. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც უძველესსა და სამოციქულოს, ავტოკეფალობა მიღებული ჰქონდა ჯერ კიდევ V საუკუნეში და იკავებს VI ადგილს. როცა ხდება კუთვნილი ადგილის დარღვევა, ეს გავლენას ახდენს საქართველოს ეკლესიაზე და მის ავტორიტეტზე მთელს მსოფლიოში. ჩვენ გვსურს, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს. მსოფლიოს ყველა ავტოკეფალური ეკლესია საქართველოს ეკლესიის მამამთავრებს მიმართავს ტიტულით, როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, გარდა კონსტანტინეპოლის ეკლესიისა. ჩემი

აზრით კი, პირიქით უნდა ხდებოდეს, რადგან ყველაზე ახლო ურთიერთკავშირში ჩვენ ვიყავით კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან. ჩვენ არ ვითხოვთ ახალი რაიმეს მოცემას ან დამტკიცებას, ჩვენ მხოლოდ მოვითხოვთ მრავალი საუკუნის წინ დაწესებული ეკლესიური ტიტულის წოდებას ჩვენ მიმართ. ჩემი აზრით, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქომ არ უნდა დაუშვას, რომ უძველესი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია დააყენოს ახალი ეკლესიების გვერდით. ჩვენ გვინდა აღვადგინოთ წინანდელი მდგომარეობა, რომელიც სამწუხაროდ, დავკარგეთ 1811 წელს (სრულიად საქართველოს...პატრიარქის ვიზიტი კონსტანტინეპოლში, 1979: 11).

ქალკედონის მიტროპოლიტმა მელიტონმა ამ საკითხის შესახებ თქვა: „ჩვენი ეკლესიის სინოდი ამ საკითხს დადებითად გადაჭრის, მხოლოდ ჩვენ გვჭირდება დასაბუთებული ისტორიული მასალები საქართველოს ეკლესიის შესახებ, რომ ეს საკითხი გადაიჭრას უმოკლეს ხანში“(სრულიად საქართველოს...პატრიარქის ვიზიტი კონსტანტინეპოლში, 1979: 11). უნდა აღინიშნოს ის, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ყურადღებას ბერძნულ წყაროებზე და განსაკუთრებით, მსოფლიო პატრიარქის მიერ გაცემულ ტომოსებზე ამახვილებდა. ეს უკანასკნელი, XX საუკუნეში, სხვა ეკლესიებისგან განსხვავებით, საქართველოს ეკლესიაზე არ გაცემულა, რაც ლოგიკურია, ვინაიდან ქართულ ეკლესიას არ სჭირდებოდა კონსტანტინეპოლისგან ავტოკეფალიის ბოძება. რაც შეეხება სხვა წყაროებს, მათი მოკვლევისა და შესწავლის მიზნით, საქართველოს პატრიარქის ინიციატივით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიც ცნობილი ქართველი მეცნიერები (მ.ლორთქიფანიძე, ბ.ლომინაძე, ზ.ალექსიძე, ნ.ლომოური, რ.სირაძე) იყვნენ გაერთიანებული. კომისიის ნაყოფიერმა მუშაობამ სასურველი შედეგი გამოიღო. მოკვლეულ იქნა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ისტორიული წყაროები (ქრონიკები, ქართული სიგელ-გუჯრები, ქრისტიანულ ეკლესიათა მეთაურების ეპისტოლეები და ა.შ), რომელიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიასა და საპატრიარქო სტატუსს ადასტურებდნენ. 1982 წლის 3 ივლისს კი აღნიშნული დოკუმენტები პატრიარქის ეპისტოლესთან ერთად კონსტანტინეპოლში გაიგზავნა.

ქართველ მეცნიერთა მიერ მოძიებული დოკუმენტაცია ნათელს ჰფენდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პოზიციის უსაფუძვლობას. მათ შორის იმ ბერძნული წყაროების (მაგ, XII საუკუნის ანტიოქიელი მღვდელმთავრის თეოდორე ბალსამონის ცნობა იბერიის უძველესი ეკლესიის შესახებ) მეშვეობით, რომლებიც V საუკუნის II ნახევარში ანტიოქიის ეკლესიის ადგილობრივი კრების მიერ ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების ფაქტს ადასტურებდნენ.

ბერძნულ წყაროებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო ფაქტი. კერძოდ, საქართველოსა და კონსტანტინეპოლის ეკლესიებს შორის ავტოკეფალიის საკითხზე მოლაპარაკებებში მონაწილე მეცნიერისა და თარჯიმნის, პროფესორ თამარ მესხის მიერ უკანასკნელ ხანს მიკვლეულ იქნა 1919 წელს საქართველოში მყოფი ტრაპიზონის მიტროპოლიტ ქრისანთოსის (1913-1938) (შემდგომში, ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი) მოხსენებითი ბარათი, რომელიც მან 1920 წლის 15 ივლისს წარუდგინა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდს და იმავე წელს დაიბეჭდა მსოფლიო საპატრიარქოს ოფიციალურ ჟურნალში „Ἐκκλησιαστική Ἀλήθεια“. მოხსენებით ბარათში აღწერილია საქართველოს ეკლესიის, როგორც ავტოკეფალური ეკლესიის მოკლე ისტორია, წმინდა ნინოს როლი ქართველთა გაქრისტიანებაში, საუკუნეების განმავლობაში ქართული ეკლესიის თავდადებული ბრძოლა ქრისტიანობის დაცვისთვის, რუსეთის ეკლესიის მიერ მისი ავტოკეფალიის გაუქმება და ეგზარქოსის დანიშვნა. აღწერილია აგრეთვე, 1917 წლის მარტში ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტი და რუსეთის ეკლესიის რეაქცია მასზე. (მესხი, 2018: 77-78). მოხსენებითი ბარათიდან ნათლად ჩანს, რომ კონსტანტინეპოლის ეკლესიის წარმომადგენლისთვის ქართული ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია ეჭვგარეშეა (იმ განსხვავებით, რომ იგი მას XI ს-ში მიღებულად თვლის). კარგად არის ცნობილი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიაც და რუსეთის ეკლესიის დამოკიდებულებაც. 1919 წელს საქართველოში მყოფმა მიტროპოლიტმა მიიღო კონსტანტინეპოლის ეკლესიის სინოდის საგანგებო დავალება, რომელიც მიტროპოლიტის მხრიდან მოითხოვდა ახლად ავტოკეფალიააღდგენილი საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის გარკვევას და მისი წარმომადგენლების დარწმუნებას მსოფლიო საპატრიარქოს კეთილგანწყობაში. საპატრიარქოს დუმილი კი (იგულისხმება დუმილი 1917 წელს საქართველოს

პატრიარქის, კირიონ II -ის მიერ გაგზავნილ წერილზე, რომლითაც მან კონსტანტინეპოლისა და სხვა ეკლესიებს აცნობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და თანადგომა ითხოვა) მიმოწერის შეფერხებით და კონსტანტინოპოლის პატრიარქის მოულოდნელი გადადგომით აეხსნა (მესხი, 2018: 77-78). წყაროდან კარგად ჩანს, რომ კონსტანტინეპოლი, თავისივე, ბერძნული წყაროებით, კარგად იყო ინფორმირებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და XX ს-ში მისი მდგომარეობის შესახებ, თუმცა, არც 1917 წელს და არც მოგვიანებით, მას არ დაუფიქსირებია ღია, მხარდამჭერი პოზიცია. ნიშანდობლივია ის, რომ პროფესორ თამარ მესხის განცხადებით, იმ პერიოდში (იგულისხმება გასული საუკუნის 70-80-იანი წლები), როდესაც საქართველოს საპატრიარქო კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით, ქართული მხარისთვის არ იყო ცნობილი არც მიტროპოლიტ ქრისანთოსის საქართველოში სტუმრობის და არც მის მიერ შედგენილი წყაროს შესახებ. არც ბერძნულმა მხარემ მიაწოდა მათ ინფორმაცია ამის შესახებ. (მესხი, 2018:78).

როგორც ვხედავთ, ქართველი მეცნიერებისთვის და სასულიერო პირებისთვის უცნობი იყო ზემოთ ხსენებული ბერძნული წყარო, თუმცა, მიუხედავად ამისა, ქართულმა მხარემ, სხვა წყაროებით შეძლო საკუთარი უფლებების დადასტურება და დაცვა. 1982 წელს, კონსტანტინეპოლში გაგზავნილ დოკუმენტებს თან ერთვოდა საქართველოს პატრიარქის ეპისტოლე, რომელიც იტყობინებოდა, რომ თუ ამის შემდეგაც „კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო სადავოდ მიიჩნევდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ადგილს დიპტიხში, ამ შემთხვევაში საქართველოს საპატრიარქოს გაუჭირდებოდა მონაწილეობის მიღება მსოფლიო საპატრიარქოს მიერ მოწყობილ ღონისძიებებში“ (სრულიად საქართველოს... დიმიტრიოს I-ს... 2016:286). პატრიარქის ეპისტოლედან ჩანდა საქართველოს ეკლესიის პრინციპული პოზიცია, რომელიც გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა. ამგვარ გაბედულობას ვფიქრობთ, ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ქართული ეკლესიის მწყემსმთავარი მოცემულ პერიოდში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობას იკავებდა, სადაც ადგილობრივი ეკლესიების დაწინაურება დასავლეთის სახელმწიფოთა მხარდაჭერით იყო წახალისებული.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქო, ემს-ს ეგიდით ინიცირებულ თუ წარმართულ ფართომასშტაბურ პროცესებში, გვერდს ვერ აუვლიდა საქართველოს ეკლესიას. გარდა ამისა, საერთო ეკუმენური მოძრაობის ფონზე, თავად მის ინტერესებშიც არ უნდა ყოფილიყო დაძაბული ურთიერთობა მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის, თუმცა, მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში საკითხის გადაწყვეტას რამდენიმე წელიწადი დასჭირდა. საქართველოსა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოებს შორის დიალოგის მონაწილე სასულიერო პირების მიერ დადასტურებული ინფორმაციით, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პოზიციის განმარტება მდგომარეობა იმაში, რომ ქართული ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება მოხდა ანტიოქიის საპატრიარქოს მიერ, რაც მხოლოდ კონსტანტინეპოლის ეკლესიის პრეროგატივა იყო. აქედან გამომდინარე, მსოფლიო საპატრიარქო ვერ ცნობდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობას.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების საკითხი არაერთგზის არის შესწავლილი ქართულ სამეცნიერო წრეებში, ამიტომ მიგვაჩნია, რომ მისი დეტალები მოცემული ნაშრომის ფარგლებში განხილვას არ საჭიროებს. თუმცა, ბერძნული მხარის არგუმენტთან დაკავშირებით შეგვიძლია მოვიხმოთ ქართულ სამეცნიერო სივრცეში აღიარებული ფაქტი, როდესაც IV ს-ში ქართლის მეფემ მირიანმა წმინდა ნინოს რჩევით, ბიზანტიის მაშინდელ იმპერატორს, კონსტანტინე დიდს მიმართა სასულიერო პირების მოწვევისთვის, მოსახლეობის მონათვლისა და მღვდელმსახურთა დადგენის მიზნით. იმპერატორ კონსტანტინეს გადაწყვეტილებით, ქართლში სასულიერო პირები ანტიოქიის ეკლესიიდან გამოიგზავნენ. შესაბამისად, მიჩნეულია, რომ ქართლის ეკლესია IV ს-დან ანტიოქიის ეკლესიის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ანტიოქიელ წინამძღვართა ხელდასხმით ხდებოდა მცხეთაში ეპისკოპოსთა და მთავარეპისკოპოსთა კურთხევა (ბუბულაშვილი, 2008: 5). ჩნდება კითხვა: რატომ ანტიოქია და არა კონსტანტინეპოლი? საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ 330 წლამდე ქალაქი კონსტანტინეპოლი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქს და შესაბამისად, არც მის ეპისკოპოსს გააჩნდა იმპერიის უპირატესი მღვდელმთავრის უფლებამოსილება. მხოლოდ 381 წელს, მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მესამე

კანონის თანახმად მოხდა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის რომის პაპის თანასწორად (თუმცა, რიგით მეორედ) გამოცხადება. 451 წელს კი, ქალკედონის მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მისი ეკლესიის მეთაურს პატრიარქის ტიტული მიენიჭა. რაც შეეხება ანტიოქიის ეკლესიას, ცნობილია, რომ ქრისტეს მიმდევრებს ქრისტიანები პირველად სწორედ ანტიოქიაში ეწოდათ და ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში ანტიოქია წარმოადგენდა აღმოსავლეთის საქრისტიანოს მნიშვნელოვან ცენტრს. ანტიოქიიდან იგზავნებოდნენ მისიონერები წარმართების მოსაქცევად. ანტიოქიელი ეპისკოპოსის მიერ ხდებოდა აღმოსავლეთის გაქრისტიანებულ თემებში ღვთისმსახურთა ხელდასხმა. ანტიოქიის ეკლესია ითვლებოდა რომის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ეკლესიად (რომისა და ალექსანდრიის ეკლესიების) შემდეგ, რომლის ჰეგემონობა ვრცელდებოდა კვიპროსის, სირიის, პალესტინის, არაბეთის და მესოპოტამიის ტერიტორიებზე (The Patriarchate of Antioch, 2017). 451 წლის ქალკედონის კრებაზე ანტიოქიის ეკლესიის საჭეთმპყრობელიც პატრიარქის რანგში იქნა აყვანილი.

ზემოთ ხსენებული ფაქტების გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ წარმართობიდან ქრისტიანობაზე მოქცეულ ქართველთა მასობრივი ქრისტიანიზაციის პროცესი ანტიოქიის ეკლესიის მწყემსმთავრის მიერ წარიმართა და შესაბამისად, მისი გავლენა გავრცელდა ქართლის ეკლესიაზეც. მდგომარეობა იცვლება V ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც ანტიოქიის ადგილობრივი საეკლესიო კრება ქართლის ეკლესიას ანიჭებს თვითმოწესეობის უფლებას და მეფე ვახტანგ გორგასლის თხოვნითა და კონსტანტინოპოლელი პატრიარქის შუამდგომლობით, ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური აკურთხებს ქართლის პირველ კათოლიკოსს - პეტრეს. ამგვარად, ქართლის ეკლესიის მეთაური აყვანილ იქნა კათოლიკოსის რანგში და იგი გათავისუფლდა ანტიოქიის ეკლესიის დაქვემდებარებისგან. ყოველივე აღნიშნული კი კონსტანტინეპოლის პატრიარქის მეთვალყურეობითა და სრული მხარდაჭერით განხორციელდა (ჯუანშერი... 1955). აქედან გამომდინარე, XX ს-ის 70-80-იან წლებში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლების პრეტენზიების ადრესატებად არა ქართველი მღვდელმთავრები, არამედ მხოლოდ მათივე ისტორიული წინამორბედები შეიძლება განიხილებოდნენ. რთული წარმოსადგენია, გასული საუკუნის

კონსტანტინეპოლელი იერარქებისთვის უცნობი ყოფილიყო საკუთარი ეკლესიის, ან თუნდაც ანტიოქიის ეკლესიის ისტორია. გაცილებით მარტივია იმ ვარაუდის დაშვება, რომ ისინი არ ფლობდნენ სათანადო მასალებსა და შესაბამის ინფორმაციებს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ. თუმცა, ამ ვარაუდს აქარწყლებს ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული ბერძნული წყარო და 70–80–იან წლებში ორი ეკლესიის წარმომადგენელთ შორის გამართული დიალოგების ანალიზი, სადაც ნათლად იგრძნობა ბერძენ სასულიეროთა (განსაკუთრებით კი, კონსტანტინეპოლის დელეგაციის ხელმძღვანელის - ქალკედონის მიტროპოლიტ მელიტონის) განსწავლულობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში. დიალოგები მოცემული პერიოდის ქართულ პერიოდიკაში (მაგ. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“) დოკუმენტურადაა გამოქვეყნებული და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პოზიციის საფუძველი სხვა გარემოებებშია საძიებელი. საქმის არსში უკეთ გარკვევისთვის საჭიროდ მიგვაჩნია, თვალი გადავავლოთ თავად კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მდგომარეობას მოცემულ პერიოდში და მის ურთიერთობას მოსკოვის საპატრიარქოსთან.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა კონსტანტინეპოლის ეკლესიის ისტორიაში, რაც თურქეთის სახელმწიფო მმართველობის ცვლილებით იყო განპირობებული. 1960 წელს თურქეთში აჯანყების შედეგად დაემხო პრეზიდენტ ჯელალ ბაიარისა და პრემიერ-მინისტრ ადნან მენდერესის ხელისუფლება და ქვეყანაში სამხედრო დიქტატურა დამყარდა. ახალ მთავრობას სათავეში ცნობილი სამხედრო მოღვაწე - ჯემალ გიურსელი ჩაუდგა. 1961 წელს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო თურქეთის ახალი (რიგით მესამე) კონსტიტუცია, სადაც რელიგიური აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების შესახებ ეწერა: „რელიგიის სწავლება ხორციელდება სახელმწიფოს კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ“, ხოლო დაწყებით და საშუალო სკოლებში რელიგიისა და მორალის სწავლება შეტანილ იქნა სავალდებულო დისციპლინად (სვანიძე, 2005:185). მოცემული ჩანაწერი კონსტიტუციაში, თავისთავად მოასწავებდა ისლამის პოზიციების გაძლიერებას სახელმწიფოში, არა მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცეში, არამედ თურქეთის პოლიტიკურ

ცხოვრებაშიც. ასეც მოხდა. 70-იანი წლებიდან ჩამოყალიბებასა და გავრცელებას იწყებს ისლამური პოლიტიკური პარტიები ("ეროვნული წესრიგის პარტია", "ეროვნული ხსნის პარტია", "კეთილდღეობის პარტია"). 1981 წელს სტამბულსა და ანკარაში გაიხსნა ისლამის ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების ცენტრი; "ისლამის განვითარების ბანკი" და სხვ. ფართოვდება თურქეთის კონტაქტები ისლამურ სამყაროსთან. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, ქვეყანაში მნიშვნელოვნად იზრდება ისლამის გავლენა (სვანიძე, 2005:228). მიმდინარე მოვლენები, თურქეთის ისტორიის მკვლევართა მიერ შეფასებულია, როგორც ქვეყნის რეისლამიზაცია. რამაც ბუნებრივია, გავლენა იქონია მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. რეისლამიზაციის პარალელურად, მიმდინარეობს დაპირისპირება თურქეთის ბერძნულ თემებთან, რაც თავის მხრივ, კვიპროსის სამხედრო კონფლიქტთან იყო კავშირში. 60-იან წლებიდან კვიპროსის ტერიტორიაზე აქტუალური გახდა ენოზისის (საბერძნეთთან შეერთების იდეა), რასაც თან ახლდა ქვეყნის თურქული მოსახლეობის შევიწროვება. აღნიშნულზე თურქეთის ხელისუფლებამ მკაცრი რეაგირება მოახდინა, რაც საომარ მოქმედებებში გადაიზარდა. 1964 წელს დაწყებული სამხედრო ოპერაციების შედეგად, თურქეთმა დაიკავა კვიპროსის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, 1975 წელს კი, დაკავებულ ტერიტორიებზე შეიქმნა „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა" (სვანიძე, 2005:207).კვიპროსის შეიარაღებულ კონფლიქტს შედეგად მოჰყვა ბერძენი მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია არა მხოლოდ კვიპროსის, არამედ უშუალოდ თურქეთის ტერიტორიიდანაც.

ბერძნულ-თურქულმა დაპირისპირებამ და თურქეთის რეისლამიზაციამ ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა კონსტანტინეპოლის ბერძნული საპატრიარქოს ცხოვრებაზე. გამკაცრდა ხელისუფლების კონტროლი ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე, შეიზღუდა ქრისტიანული პროზელიტიზმი. ბერძნული თემების მიგრაციას მოჰყვა კონსტანტინეპოლის ეკლესიის მრევლის მნიშვნელოვანი შემცირება. აღნიშნულს თან ერთვოდა 1971 წელს თურქეთის ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი კერძო უნივერსიტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლების შესახებ, რომლის საფუძველზეც დახურეს კონსტანტინეპოლის

საპატრიარქოს უმნიშვნელოვანესი მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო სასწავლებელი (სემინარია) კუძულ ჰალკიზე.

ჰალკის თეოლოგიური სასწავლებელი ჯერ კიდევ 1844 წელს, პატრიარქ გერმანე IV–ის (1842-1845) მიერ იყო დაარსებული, წმინდა სამების ძველ მონასტერთან. დროთა განმავლობაში ის საკმაოდ დიდ კომპლექსად ჩამოყალიბდა, რომელიც სასწავლებლის გარდა, მოიცავდა აგრეთვე, საერთო საცხოვრებელს, საავადმყოფოს, ბიბლიოთეკას და სხვა დაწესებულებებს. მასთან მოქმედებდა წმინდა სამების სამლოცველოც. ჰალკის კომპლექსი კონსტანტინეპოლის ეკლესიის მთავარ საგანმანათლებლო ცენტრად იქცა, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით იყო ცნობილი. აქ განათლება მიიღეს როგორც კონსტანტინეპოლის მომავალმა პატრიარქებმა (მაქსიმე V (1946-1948), ათენაგორა (1948-1972), დიმიტრიოს I (1972-1991) ისე, მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა იერარქებმა (მაგ, ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზ VI; ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრები და სხვ.) (The Holy Teological School of Halki). ჰალკის სასულიერო სასწავლებლის დახურვა უდიდესი დარტყმა იყო კონსტანტინეპოლის ეკლესიისთვის. პატრიარქმა დიმიტრიოსმა 70-80-იან წლებში მრავალგზის მიმართა თურქეთის ხელისუფლებას, მისი გახსნის თხოვნით, თუმცა, ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. 90-იან წლებში პატრიარქის მოთხოვნას მხარდაჭერას უცხადებდა თვით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესიც. 1999 წელს აშშ-ის პრეზიდენტი - ბილ კლინტონიც ეწვია კუძულ ჰალკის და თურქეთის ხელისუფლებას მოუწოდა სასწავლებლის გახსნისკენ. აშშ-ს პოზიციას იზიარებდა ევროკავშირიც, რომელმაც ჰალკის საკითხი დააყენა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების ფარგლებში (Metropolitan Gerasimos, 2009), თუმცა, მიუხედავად დასავლეთისგან აქტიური ზეწოლისა, თურქეთის ხელისუფლებას არ მიუღია ზომები ჰალკის სასწავლებლის გახსნისთვის. 70-იან წლებში კონსტანტინეპოლის ეკლესიის შევიწროვება ამით არ შემოფარგლულა. 1975 წელს თურქეთის მთავრობამ დახურა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ბეჭდური მომსახურების დაწესებულებანიც (Garas, 2015).

როგორც ვხედავთ, XX ს-ის 70-იანი წლებიდან კონსტანტინეპოლის ეკლესიას, საბჭოთა კავშირის ეკლესიების მსგავსად, საკმაოდ რთულ პირობებში უწევს მოღვაწეობა. სწორედ აღნიშნულით იყო განპირობებული მისი ძალისხმევა დასავლურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის დამყარებისთვის. იგი აქტიურად მონაწილეობს ეკუმენურ მოძრაობაში და ინიცირებასა და ორგანიზებას უწევს საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებს, იწყებს დიალოგს ვატიკანთან და საგანგებო ვიზიტებით სტუმრობს რომსა და აშშ-ს. დასავლეთთან თანამშრომლობამ და მათმა მხარდაჭერამ დიდი დახმარება გაუწია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს თურქეთის ფარგლებში შემცირებული იურისდიქციის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეპარქიების დაარსებით კონპენსირებაში. კერძოდ, 60-90-იან წლებში იტალიის, გერმანიის, ავსტრიის, საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, შვედეთისა და სრულიად სკანდინავიის ტერიტორიებზე დაარსდა კონსტანტიპენოლის ეკლესიის სამიტროპოლოტოები; ამერიკის ტერიტორიაზე ცალკე სამიტროპოლიტოების სახით დაარსდა ტორონტოს, ბუენოს-აირესისა და პანამის ეპარქიები.

თურქეთში არსებული რთული პირობებისა და ევროპა-ამერიკის კონტინენტებზე იურისდიქციის გავრცელების პარალელურად, XX ს-ის 70-80-იანი წლებიდან იძაბება კონსტანტინეპოლის ეკლესიის ურთიერთობა რუსეთის ეკლესიასთან. კვლავ აქტიურდება სადავო ტერიტორიების საკითხი. ხელახლა იწყებენ ბრძოლას ის ეკლესიები (ესტონეთის, ფინეთის, უკრაინის), რომლებზეც საბჭოთა პერიოდში კვლავ გავრცელდა რუსეთის ეკლესიის იურისიდიქცია და გავლენა და დახმარებისთვის კვლავ კონსტანტინეპოლს მიმართავენ. კონსტანტინეპოლის საპატრიარქო მხარს უჭერდა ამ ეკლესიების სწრაფვას მოსკოვის საპატრიარქოს გავლენისგან გათავისუფლებისთვის, თუმცა, იმავდროულად, ცდილობდა, ამ ეკლესიებზე საკუთარი გავლენის გავრცელებას. 1980 წელს, როდესაც ფინეთის ეკლესიის გენერალურმა ასამბლეამ კონსტანტინეპოლის პატრიარქს ავტოკეფალიის მინიჭების თხოვნით მიმართა, მსოფლიო პატრიარქმა არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და ფინეთის ეკლესია დღემდე კონსტანტინეპოლის ეკუმენური საპატრიარქოს აღმოსავლურ მართლმადიდებლურ ავტონომიურ საარქიეპისკოპოსოს წარმოადგენს. მსგავსი და კიდევ უფრო მკვეთრი ნაბიჯები გადადგა კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ ესტონეთის ეკლესიასთან დაკავშირებით 90-იან

წლებში. ესტონეთის ემიგრანტული ეკლესია დარეგისტრირდა, როგორც ესტონეთის მართლმადიდებელი ავტონომიური ეკლესიის სამართალმემკვიდრე. 1996 წელს კი მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოსმა განაახლა 1923 წლის ტომოსი, რომელიც ესტონეთის ეკლესიას კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში ცნობდა. (Communique…, 1996). ფინეთისა და ესტონეთის ეკლესიების გარდა, კონსტანტინეპოლისა და მოსკოვის საპატრიარქოებს შორის მწვავე დაპირისპირების საგანს წარმოადგენდა აგრეთვე, უკრაინის ეკლესიის საკითხიც, რომელიც, ვფიქრობთ, ცალკე, განსაკუთრებული კვლევის საგანს წარმოადგენს, რაც მოცემული ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია, ამიტომ მას განგებ არ ვეხებით. კონსტანტინეპოლსა და მოსკოვს შორის ღია დაპირისპირება ყველაზე თვალსაჩინო 90-იან წლებში გახდა, თუმცა, უკვე 1990 წელს მსოფლიო პატრიარქის მიერ რუსეთის პატრიარქ ალექსი II-სადმი გაგზავნილი ეპისტოლე, სადაც კონსტანტინეპოლელი მწყემსმთავარი აცხადებდა, რომ მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციას ცნობდა მხოლოდ 1593 წლის საზღვრებში, მოწმობდა იმ გარემოებას, რომ დაპირისპირებას როგორი ხანგრძლივი წანამძღვრებიც ჰქონდა, ისეთივე ხანგრძლივი იქნებოდა სამომავლო პერსპექტივაში.

ამგვარად, XX ს-ის II ნახევარში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ზოგადი მდგომარეობისა და მისი მოსკოვის საპატრიარქოსთან ურთიერთობის განხილვა გვაძლევს შესაძლებლობას, უკეთ გავაანალიზოთ მოცემულ პერიოდში კონსტანტინეპოლისა და საქართველოს ეკლესიების ურთიერთობა და ავტოკეფალიის აღიარების საკითხთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზები.

1987 წელს კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ გადაწყვიტა, მომავალი წლისთვის აღენიშნა რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავი. არსებული ურთიერთობის ფონზე ალბათ გასაკვირია, თუმცა, ამ დიპლომატიური ჟესტის მიღმა, ვფიქრობთ, სხვა განზრახვა იმალებოდა. ჩვენთვის საინტერესოა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ერთი დოკუმენტი, კერძოდ, 1987 წლის 14 ივლისით დათარიღებული, კონსტანტინეპოლის პატრიარქის დიმიტრიოს I-ის წერილი საქართველოს პატრიარქ ილია II-ისადმი, სადაც იგი იტყობინება, რომ 1988 წლისთვის აპირებს რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლის იუბილეს აღნიშვნას და

იწვევს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელს ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. წერილში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ რუსეთის ეკლესია დაარსებულია კონსტანტინეპოლის მიერ. (კონსტანტინეპოლის პატრიარქის დიმიტრიოსის წერილი... 1987:73-74). მიწვევის წერილები დაეგზავნათ სხვა ეკლესიების მეთაურებსაც. რუსეთის ეკლესიის დაფუძნებაში კონსტანტინეპოლის როლზე აქცენტი, ვფიქრობთ, მხოლოდ ისტორიული ფაქტის კონსტატაცია არ ყოფილა. იგი მიზანმიმართულად შეახსენებდა მსოფლიო საქრისტიანოს ორ ეკლესიას შორის უპირატესს, რასაც გავლენა უნდა მოეხდინა მათ შორის იურისდიქციის საკითხზე არსებული დავების გადაწყვეტაზეც, ცხადია, კონსტანტინეპოლის სასარგებლოდ.

საქართველოს პატრიარქის მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის, ანზორ წიკლაურის სახელზე გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ საზეიმო ღონისძიებები კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში 1988 წლის 26-29 თებერვლისთვის დაიგეგმა და საქართველოს ეკლესიიდან მათში მონაწილეობას მიიღებდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი და თარჯიმანი თამარ მესხი (სრულიად საქართველოს... ილია II-ის წერილი... ანზორ ნიკოლოზის ძე წიკლაურს, 1987:69). ვიზიტების გაცვლა კონსტანტინეპოლისა და საქართველოს ეკლესიების წარმომადგენლებს შორის მომდევნო წლებში კიდევ უფრო გააქტიურდა. შეხვედრების მთავარ საკითხს კვლავ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია წარმოადგენდა.

1987 წლის 13-16 (26-29) აგვისტოს საქართველოს ეწვია კონსტანტინეპოლის პატრიარქი დიმიტრიოს I. ვიზიტის ფარგლებში ქართულმა მხარემ მსოფლიო საპატრიარქოს წინაშე კვლავ დააყენა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხი. ორმა პატრიარქმა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე სიონის ტაძარში ჩაატარა ერთობლივი ღვთისმსახურება, რის შემდეგაც. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა წარმოთქვა სიტყვა: „ვხარობთ, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ტანჯულმა, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ კვლავ მოიპოვა თვითმმართველობა. მოვედით, რათა გამოვხატოთ სიხარული ქართველი ერის მორწმუნეობით. გვსურს განვამტკიცოთ ძველი და წმინდა კავშირი, რომელიც არსებობდა ჩვენს ეკლესიებს შორის. გაძლიერება და გაზრდა მართლმადიდებლური ერთიანობისა და ქრისტეს მსახურება მსოფლიო

საპატრიარქოს უმთავრესი საზრუნავთაგანია“ (მისი უწმინდესობის, მსოფლიო პატრიარქის... 1987:14). მსოფლიო პატრიარქის სიტყვები საკითხის დადებითად გადაჭრის იმედს აჩენდნენ, თუმცა, 1 წლის შემდეგ საქართველოს საპატრიარქო უსიამოვნო ფაქტის წინაშე დადგა.

1988 წლის თებერვალში საქართველოს ეკლესიას ეწვია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დელეგაცია, მირონის მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსის მეთაურობით. ბერძნულ დელეგაციასთან შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც საქართველოს ეკლესიის სინოდის წარმომადგენლები, ისე ცნობილი ქართველი მეცნიერები (ნოდარ ლომოური, ზაზა ალექსიძე). შეხვედრა საკმაოდ დაძაბული აღმოჩნდა, ვინაიდან კონსტანტინეპოლის დელეგაციას საქართველოს ეკლესიისთვის ჩამოტანილი ჰქონდა ავტოკეფალიის მინიჭებისა და საპატრიარქო ტიტულის ბოძების კლასიკური სიგელები, რომელთაც სხვადასხვა ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებისას იყენებდა. ქართული მხარისთვის მსგავსი სიგელები, ცხადია, კატეგორიულად მიუღებელი იყო, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის თხუთმეტსაუკუნოვანი ავტოკეფალიის უგულებელყოფას. შესაბამისად, დიალოგი ჩაიშალა. ბერძნული დელეგაციის მეთაური, მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი დაჰპირდა საქართველოს პატრიარქს, რომ ქართული ეკლესიის მოთხოვნებს უფრო ნათლად წარმოაჩენდა კონსტანტინეპოლის ეკლესიის სინოდის სხდომაზე („სცანით ჭეშმარიტი...1990:19).

1988 წლის 27-28 აპრილს ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქოს კვლავ ესტუმრა მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია მირონის მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსის, შვეიცარიის მიტროპოლიტ დამასკინოსისა (საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობისა და ავტოკეფალიის საკითხთა პირველი კურატორი) და არქიმანდრიტ მელიტონ კარასის (კონსტანტინეპოლის ეკლესიის სინოდის მთავარი მდივანი) შემადგენლობით (სრულიად საქართველოს... ილია II-ის წერილი... ანზორ ნიკოლოზის ძე წიკლაურს, 1988:11). მათ მიერ ჩამოტანილ სიგელთა ტექსტში ცვლილებები იყო შესული, თუმცა, არასახარბიელო. შეთანხმება ვერც ამჯერად შედგა. 1990 წლის იანვარში საქართველოს კვლავ ეწვია მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი, რომელმაც შობის დღესასწაულზე სიონის საკათედრო ტაძრის მრევლს აუწყა მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს

ეკლესიის ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ტიტულის აღიარების შესახებ, თუმცა, სიგელთა ტექსტის გაცნობისას სხვა ვითარება წარმოჩნდა. კერძოდ, საქართველოს პატრიარქის დაჟინებული მოთხოვნის გათვალისწინებით, ტექსტში ნახსენები იყო ისტორიული წყაროები, რომლებიც ქართული ეკლესიის უძველეს ავტოკეფალიას ადასტურებდნენ, თუმცა, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მხრიდან ფაქტის აღიარების ნაცვლად, ეწერა, რომ იგი „ამტკიცებდა“ და „აცხადებდა“, ხოლო ერთ-ერთი მუხლი საქართველოს ეკლესიას ავალებდა წმინდა მირონის კონსტანტინეპოლისგან მიღებას: „წმინდა მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიათა წესის თანახმად, საქართველოს მოძმე წმინდა ეკლესიამ მირონი უნდა მიიღოს ჩვენი წმიდა და დიდი ქრისტესმიერ დედა ეკლესიისაგან, რათა ხილულად და უხილავად ჩამოყალიბდეს და განცხადდეს შინაგანი და გარეგანი განუყოფელი ერთიანობა მართლმადიდებელი ეკლესიისა“. („ჯვარი ვაზისა“, 1990, N3, გვ. 20). აღნიშნულთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორიულად ცნობილია, რომ მირონს საქართველოს ეკლესია VIII ს-დან ხარშავდა ადგილზე და გათავისუფლებული იყო სხვა ეკლესიისადმი ამ სახის ეკონომიკური დაქვემდებარებიდან. არსებული პრაქტიკის პირობებში კი, XX ს-ში მირონის მიღება კონსტანტინეპოლის ეკლესიისგან ყოვლად დაუშვებელი იყო. მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსს ჰქონდა მცდელობა, საქართველოს პატრიარქი დაერწმუნებინა იმაში, რომ მუხლს მხოლოდ სიმბოლური სახე ჰქონდა და არავითარ ვალდებულებას არ წარმოშობდა, თუმცა, ქართული ეკლესიის მწყემსმთავრის კატეგორიულმა პოზიციამ ბერძნული მხარე აიძულა, ეს მუხლი სიგელიდან ამოეღოთ. საბოლოოდ, 1990 წლის 23 იანვარს კონსტანტინეპოლის ეკლესიის სინოდმა მიიღო დადგენილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ (ეპისკოპოსი ზოსიმე... 1990:36). 1990 წლის 25 იანვრით დათარიღებულ „საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელში“ ვკითხულობთ: „სინოდის გადაწყვეტილებითა და სულიწმიდით განათლებულნი ვაცხადებთ საქართველოს უწმიდეს ეკლესიას იმავე თვითთმართველი სტრუქტურითა და ორგანიზებით, რაც უძველესი დროიდან გააჩნდა და რაც დამოწმებულია აგრეთვე, ბალსამონის მიერ, რომელიც წერს: „.. ამბობენ, რომ დღეთა მათ შინა უწმიდესისა პატრიარქისა ღვთაებრივი ქალაქისა

დიდისა ანტიოქიისა უფალი პეტრესი, გამოტანილ იქნება სინოდური დადგენილება, რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა“. მივიჩნევთ, რომ იგი ჩართულია და არის ძმურ მართლმადიდებელ ეკლესიათა პლეადაში და ვადასტურებთ, ამასთანავე, იმას, რომ იგი სახელდებულია, როგორც„წმიდა ავტოკეფალური ეკლესია სრულიად საქართველოისა“... რაც შეეხება წმიდა მირონის საკითხს, დაცული იქნება ამასთან დაკავშირებით დადგენილი საეკლესიო წესი“ (საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი...1990:7-8). „საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისთვის საპატრიარქო ტიტულის ცნობის და ბოძების საპატრიარქო სინოდურ განჩინებაში“ კი ეწერა: „საქართველოს უწმიდეს მართლმადიდებელ ეკლესიას, ვითარცა ავტოკეფალურსა და დამოუკიდებელს, მართლმადიდებელ ეკლესიათა სისტემაში შემავალსა და თვითმმართველს, მიეცეს ძმური თანხმობა და აღიარება ჩვენი უწმიდესი კონსტანტინოპოლის ეკლესიისაგან მასზედ, რომ საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებულ იქნეს საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით, როგორც ადრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში მისი ტიტული -„მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა“, ასევე იხსენიებოდეს ამიერიდანაც მართლმადიდებლურ, საღმრთო და წმიდა განგებებში (საქართველოს უწმიდესი ეკლესიის... 1990:13).

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების მოპოვება იყო ურთულესი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგი, რომელიც მისი საჭეთმპყრობლის მტკიცე და კატეგორიული პოზიციის გარეშე, ალბათ მარცხით დასრულდებოდა. ისმის კითხვა: რატომ დასჭირდა ამ გზის გავლა უძველეს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას? რატომ არ ითვალისწინებდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო მის ისტორიულ უფლებებსა და მოთხოვნებს? მით უფრო იმ პერიოდში, როდესაც ეკუმენური მოძრაობის ფონზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მართლმადიდებლურ ეკლესიათა ერთსულოვნებას, რომელიც მსოფლიო საპატრიარქოს ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა. რა იყო ის მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელმაც სხვა დანარჩენი გადაწონა? ვფიქრობთ, მიზეზი ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ გარემოებებში მდგომარეობდა. კერძოდ:

ა) თურქეთის ხელისუფლების დისკრიმინაციული პოლიტიკისა და შემცირებული იურისდიქციის პირობებში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს გადარჩენისა და მართლმადიდებლურ სამყაროში არსებული როლის შენარჩუნებისთვის სჭირდებოდა ახალი ტერიტორიების ათვისება.

ბ) მართლმადიდებლურ სამყაროში ჰეგემონობისათვის ბრძოლაში კონსტანტინეპოლის მთავარ კონკურენტს წარმოადგენდა მოსკოვის საპატრიარქო, რომელიც ღიად აცხადებდა პრეტენზიას „მესამე რომის“ როლზე. ე.წ. „ბერძნული პაპიზმის“ (კონსტანტინეპოლით სათავეში) თეორიას დაუპირისპირდა „მართლმადიდებლური ვატიკანის“ (მოსკოვი) თეორია, რომელიც ცხადია, გავლენას ახდენდა მცირე ეკლესიების ბედზე.

ჩვენთვის საყურადღებოა ჟენევის უნივერსიტეტისა და მსოფლიო საპატრიარქოს შამბეზის (შვეიცარია) მართლმადიდებელი ცენტრის პროფესორის, ალექსანდრე დრაგასის ნაშრომი „კონსტანტინეპოლისა და მოსკოვის გაყოფა - ტროიცკი და ფოტიადესი მსოფლიო საპატრიარქოს დამატებით-იურისდიქციულ უფლებებზე“, რომელიც 2017 წელს გამოქვეყნდა ბერძნულ ჟურნალში „Τεολογία“ და განთავსდა ელადის ეკლესიის ოფიციალური გამომცემლობის „Αποστολικι Διακονια“-ს ვებ-გვერდზე (2019 წელს იგი ქართულ ენაზეც ითარგმნა). ნაშრომში ავტორი პირდაპირ წერს, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე აღმოცენდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ბოლშევიკური ხელისუფლების პირობებში მოღვაწე რუსეთის ეკლესიას აღარ შეეძლო თავის საზღვრებს გარეთ ახლადშექმნილი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მდებარე ეპარქიებში საქმის წარმოება. რის გამოც „საზღვარგარეთის ეპარქიებმა“ საეკლესიო მხარდაჭერისთვის მიმართეს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს (პატრიარქ მელეტი/მელიტიოს IV-ს), რომელმაც „გამოიყენა თავისი საეკლესიო მანდატი, რომელიც აძლევდა მას კანონიკურ უფლებას, ჩარეულიყო ასეთ შემთხვევაში და ეწარმოებინა დამატებითი იურისდიქციული საქმიანობა დადგენილი მართლმადიდებელი ეკლესიების იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, კანონიკური წესის აღდგენის მიზნით. ამის შემდეგ, კონსტანტინოპოლმა ავტონომია ან ავტოკეფალია მიანიჭა იმ მართლმადიდებელ ეკლესიებს, რომლებიც ადრე რუსეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდნენ“. (დრაგასი, 2019 : 5). კითხვის ნიშნის ქვეშ მდგომ

ეკლესიათა ჩამონათვალში, დრაგასი, ავტოკეფალური ეკლესიებიდან, პოლონეთისა და ლატვიის ეკლესიებთან ერთად, ასახელებს საქართველოს ეკლესიასაც (დრაგასი, 2019 : 6) და აცხადებს, რომ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისა და შემდგომ პერიოდში მოსკოვის საპატრიარქო ცდილობს დაკარგულ ტერიტორიებზე თავისი ძალაუფლების აღდგენას და მიმართავს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს საპირისპირო კონტრქმედებებს, კერძოდ, ფინეთისა (1957 წ.) და ლატვიის (1992 წ.) ეკლესიების ავტონომიის, ხოლო საქართველოს (1943 წ.), პოლონეთის (1948 წ.), ჩეხეთისა და სლოვაკეთის (1951 წ.) ეკლესიების ავტოკეფალიის ცნობას. (დრაგასი, 2019 : 6)

როგორც ვხედავთ, ბერძნული მხარის პროფესორის ნაშრომში რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა შეფასებულია, როგორც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს საწინააღმდეგო აქტი და არაფერია ნათქვამი ისტორიული სამართლიანობის აღიარებაზე. ქართული ეკლესიის სტატუსს მოსკოვისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოებს შორის დავის საგნად განიხილავს აგრეთვე ამერიკელი მკვლევარი, რომის „ქრისტიანული ერთობის ხელშემწყობი საბჭოს“ ყოფილი წარმომადგენელი რონალდ რობერსონი, ნაშრომში „The Eastern Christian Churches“, სადაც საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიას და მდგომარეობას. რობერსონი აღნიშნავს: „ქართული ეკლესიის სტატუსი მოსკოვსა და კონსტანტინოპოლს შორის დიდი ხნის განმავლობაში კამათის საგანი იყო. მსოფლიო საპატრიარქომ არ აღიარა მოსკოვის უფლებამოსილება ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე 1943 წელს და განაგრძობდა მის ავტონომიურ ეკლესიად მიჩნევას“ (Roberson, 1999). საინტერესოა, როგორ შეფასებას აძლევს საკითხს მართლმადიდებლური ერთიანობის ინსტიტუტი - პანმართლმადიდებლური ორგანიზაცია, რომელიც იღწვის მართლმადიდებლური ეკლესიების ერთიანობის შენარჩუნებისთვის მთელს მსოფლიოში, ორგანიზაციას შემუშავებული აქვს პროექტი, სახელწოდებით „მართლმადიდებლური სინაქსისი“, რომელიც მიმართულია გლობალური მართლმადიდებლური ერთიანობის საფრთხის წინააღმდეგ. ერთ-ერთ ასეთ საფრთხედ კი მიჩნეულია სწორედ კოსნტანტინეპოლისა და მოსკოვის საპატრიარქოებს შორის არსებული კონფლიქტი. ორგანიზაციის ვებ-

გვერდზე, სადაც ვხვდებით მნიშვნელოვან პირველწყაროებსა და ანალიტიკურ სტატიებს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ განთავსებულია სტატია, სახელწოდებით „The Case of Georgian Autocephaly“, სადაც ვკითხულობთ: „ბოლო თვეების განმავლობაში მსოფლიო საპატრიარქოს სხვადასხვა წარმომადგენელმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ მიანიჭა კონსტანტინოპოლმა მე-19 და მე-20 საუკუნეების ყველა ავტოკეფალია, მათ შორის საქართველოს ეკლესიასაც. თუმცა, ამ ეკლესიის შემთხვევაში, საქმე ბევრად უფრო რთულია, რადგან საქართველოს ავტოკეფალია თავდაპირველად ანტიოქიის მიერ იქნა მინიჭებული, რაც აღიარებულია შუა საუკუნეების კანონიკურ ლიტერატურაში. მაშინ, როდესაც 1811 წელს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა - ქმედება, რომელიც ძნელად შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად - ის ხელახლა დადასტურდა 1917 წელს და აღიარებულ იქნა მოსკოვის მიერ 1943 წელს. კონსტანტინოპოლისგან აღიარება ბევრად უფრო რთული პროცესი იყო, რადგან საქართველოს ეკლესიის ისტორია აშკარა პრობლემებს უქმნის მსოფლიო საპატრიარქოს პრეტენზიებს ავტოკეფალიის მინიჭების ექსკლუზიური უფლების შესახებ“ (The Case of Georgian Autocephaly…). როგორც ვხედავთ, სტატია ნაკლებ ტენდენციურია. ობიექტურად აღწერს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიას, სავსებით სამართლიანად, არალეგიტიმურ ქმედებად აცხადებს რუსეთის ეკლესიის მხრიდან მის გაუქმებას. ხოლო რაც შეეხება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პოზიციას, სტატიის ავტორი ღიად აფიქსირებს მიზეზს: „საქართველოს ეკლესიის ისტორია აშკარა პრობლემებს უქმნის მსოფლიო საპატრიარქოს პრეტენზიებს ავტოკეფალიის მინიჭების ექსკლუზიური უფლების შესახებ“(The Case of Georgian Autocephaly…).

მოსკოვისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოებს შორის არსებული დაპირისპირება რომ აისახებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობაზე, უდავოა, თუმცა, პარადოქსია ის, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აღდგენილი ავტოკეფალია რუსეთის ეკლესიამ კონსტანტინეპოლზე ადრე, ჯერ კიდევ 1943 წელს აღიარა, კონსტანტინეპოლს კი ამისთვის 73 წელი დასჭირდა. ბერძნული მხარის არგუმენტი იმის შესახებ, რომ რუსეთის მხრიდან ქართული ეკლესიის თვითმყოფადობის აღიარება კონსტანტინეპოლის

საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი იყო, ბუნებრივია, არ არის საფუძველს მოკლებული, თუმცა, აღნიშნული ვერ გამოდგება მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან 73 წლიანი თავშეკავების რელევანტურ საბუთად. ვფიქრობთ, თავშეკავების უმთავრეს მიზეზს თავად კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მდგომარეობა და მისი საერთაშორისო ინტერესები წარმოადგენდა. თურქეთის ფარგლებში შემცირებული იურისდიქციისა და მრევლის პირობებში, ყოფილი რუსეთის იმპერიისგან გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მართლმადიდებელი მოსახლეობის კონსტანტინეპოლის ტახტისადმი დაქვემდებარება მას ერთდროულად მრევლის, იურისდიქციისა და გავლენის გაზრდის შესაძლებლობას აძლევდა, რაც თავისთავად, არა მხოლოდ არსებობისა და ისტორიული როლის შენარჩუნების, არამედ ქრისტიანულ სამყაროში მთავარი კონკურენტის - მოსკოვის საპატრიარქოს დასუსტებისა და ჰეგემონობის მოპოვების პერსპექტივას უქმნიდა. ყოველივე აღნიშნულისა და ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილი ეკლესიების (ფინეთის, ესტონეთის, ლიტვის, პოლონეთის) მაგალითების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო საქართველოს ეკლესიას სწორედ მათ რიცხვში მოიაზრებდა და უკეთეს შემთხვევაში, შესაძლოა, მასზე საკუთარი იურისდიქციის გავრცელებას აპირებდა. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს აგრეთვე ქართულ-ბერძნულ საპატრიარქოებს შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოებული დიალოგები და მსოფლიო საპატრიარქოს მიერ შედგენილი ტომოსები, რომლებიც 1990 წელსაც იმაზე საუბრობდნენ, რომ საქართველოს ეკლესიას მირონი კონსტანტინეპოლისგან უნდა მიეღო. თუმცა, ქართული ეკლესიის მწყემსმთავრების შეუვალობამ და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების მხარდაჭერამ, კონსტანტინეპოლი აიძულა, უარი ეთქვა განზრახვაზე. მსოფლიო საპატრიარქოში გააცნობიერეს, რომ საქართველოს ეკლესია, სხვა ეკლესიებისგან განსხვავებით, არასდროს დათანხმდებოდა კონსტანტინეპოლის იურისდიქციისადმი რაიმე სახით დაქვემდებარებას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, კონსტანტინეპოლმა შეცვალა სტრატეგია და იურისდიქციის გავრცელების ნაცვლად, ავტოკეფალიის მინიჭებისთვის დაიწყო მოქმედება. ეს იყო ერთადერთი, დარჩენილი გზა, რომლითაც ის საერთაშორისო საზოგადოების წინაშე შეძლებდა ქართულ ეკლესიაზე საკუთარი გავლენისა და იმ გარემოების

დემონსტრირებას, რომ სწორედ მას ჰქონდა ავტოკეფალიის მინიჭების ექსკლუზიური უფლება. თუმცა, ქართული მხარე შეთანხმების არც ამ ფორმატს დათანხმდა.

საგულისხმოა ის, რომ მოლაპარაკებების პროცესში, საქართველოს ეკლესიას მხარს უჭერდნენ მოსკოვის, ალექსანდრიის, ბულგარეთის საპატრიარქოები. აგრეთვე, კვიპროსის, ჩეხეთისა და პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიები. მათი უმრავლესობა, 80–იან წლებში გამოქვეყნებული ეპისტოლეებით კონსტანტინეპოლის პატრიარქს ურჩევდა, საქართველოს ეკლესიის საკითხი უახლოეს ვადებში გადაეჭრა, ვინაიდან იგი საფრთხეს უქმნიდა ეკუმენურ ურთიერთობებს, რაშიც უდიდესი პასუხისმგებლობა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეკისრებოდა (მოსკოვის... პატრიარქის... 1990:32,33; ალექსანდრიის პატრიარქის... 1990:30-31; კვიპროსის მთავარეპისკოპოს...1990:32; ბულგარეთის პატრიარქის... 1990:33; პრაღის მიტროპოლიტის... 1990:34; სრულიად პოლონეთის..., 1990:34). ეკლესიათა მხარდაჭერას, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და შეეძლო, გავლენა მოეხდინა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პოზიციაზე, თუმცა, იგი პოზიციას მხოლოდ 1990 წლისთვის იცვლის, რაშიც ვფიქრობთ, გადამწყვეტი როლი სხვა ფაქტორმა უფრო შეასრულა.

80-იანი წლების მიწურული - ეს არის ფართომასშტაბური ანტიკომუნისტური მოძრაობის პერიოდი, რომელსაც აქტიურად უჭერდა მხარს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პროტექტორი - აშშ და დასავლური სამყარო. პროცესს მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ დასავლეთის პოლიტიკური ძალები, არამედ რელიგიური პირები და გაერთიანებები. მათ შორის - ვატიკანი, რომელსაც ფაქტობრივად, „ჯვაროსნული მოძრაობა“ ჰქონდა გამოცხადებული საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ. დასავლურ ძალთა ალიანსის სამოქმედო პროგრამაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი საბჭოთა კავშირში არსებულ ეკლესიებს და რეჟიმის წინააღმდეგ მათი ბრძოლის ხელშეწყობას ეკავა. აღნიშნული, თვალნათლივ გამოიხატა მათი მხრიდან კათოლიკეების, პროტესტანტებისა და არარუსული მართლმადიდებლური ეკლესიების მიმართ მხარდაჭერაში. გამონაკლისს, ბუნებრივია, არც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენდა. მით უფრო, რომ იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე ძველი მართლმადიდებლური ეკლესია სსრკ-ში და იმაზე ხანგრძლივი

ისტორია ჰქონდა, ვიდრე თავად საბჭოთა სახელმწიფოს და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. რელიგიას, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტმა, რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირის „აქილევსის ქუსლი“ უწოდა, დასავლური ბანაკი მისი დასუსტებისა და საბოლოო დამარცხების ყველაზე ეფექტურ იარაღად მოიაზრებდა. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არაა, 80-იანი წლების ბოლოს, ანტიკომუნისტური მოძრაობის გაძლიერების პარალელურად, რუსეთის ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული პროცესებიც, რაც კონსტანტინეპოლისა და მოსკოვის საპატრიარქოთა მწვავე დაპირისპირების საგნად იქცა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ 1990 წლისთვის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პოზიციის ცვლილებაზე გადამწყვეტი გავლენა უნდა მოეხდინა აშშ-ისა და დასავლური ბანაკის პოლიტიკას. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არსებული მასალა არ გვაწვდის კონკრეტულ ინფორმაციას დასავლეთის ლიდერთა მხრიდან კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი პირდაპირი თუ ირიბი დირექტივების შესახებ, თუმცა, ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ჩვენი მოსაზრება არ არის საფუძველს მოკლებული. საქართველოს უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება, სხვა ეკლესიებისთვის ავტოკეფალიის მინიჭებასთან ერთად, კიდევ ერთხელ გაუსვამდა ხაზს რუსული სისტემის ექსპანსიონისტურ, ხასიათს, რომლის ლეგიტიმური პერსპექტივაც, არა მხოლოდ დაპყრობილი ტერიტორიების, არამედ ეკლესიების დაკარგვაც იყო.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლა ისტორიული სტატუსისა და უფლებების აღიარებისთვის, გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვებაში კი სამმა ფაქტორმა შეასრულა უდიდესი როლი:

1) საქართველოს ეკლესიისა და მისი მწყემსმთავრის მიზანმიმართული ბრძოლა ისტორიული სამართლიანობის აღდგენისთვის და მისი მტკიცე, შეუვალი პოზიციები
2) საქართველოს ეკლესიის მოღვაწეობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში და მართლმადიდებელ ეკლესიათა დიდი ნაწილის მხარდაჭერა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისადმი

3) დასავალური პოლიტიკური ბანაკის ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მისი გავლენა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოზე

1990 წელს მოპოვებული გამარჯვებით დასრულდა ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოსა და კონსტანტინეპოლის ეკლესიების ურთიერთობების ისტორიაში და საფუძველი ჩაეყარა ახალ, კიდევ უფრო საინტერესო ეტაპს, თავისი პერსპექტივებით.

2.4. საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიათან

XX ს-ის 70-80-იანი წლების საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორიენტირს წარმოადგენდა ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესია და მასთან ისტორიული კავშირის აღდგენა, რასაც ბუნებრივია, თავისი მიზეზები ჰქონდა.

ცნობილია, რომ საქართველოსა და ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობები ჯერ კიდევ ადრეშუასაუკუნეებში ჩაისახა. წმინდა პეტრე მოციქულის საყდარს, საქართველოს ახლადდაფუძნებული ეკლესიისათვის, იმთავითვე, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. როგორც ზემოთ ვახსენეთ, IV საუკუნეში, მირიან მეფის მმართველობის დროს, ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ქართლის ეკლესიის ორგანიზაცია, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდის ბრძანებით, სწორედ ანტიოქიის ეკლესიის მწყემსმთავარს დაევალა. ანტიოქიის ეკლესიის საჭეთმპყრობელმა აკურთხა ქართლის ეკლესიის პირველი წინამძღვარიც – მთავარეპისკოპოსი იოანე (სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი... 2016: 210) მას შემდეგ, მჭიდრო საეკლესიო, კულტურული თუ დიპლომატიური თანამშრომლობა ქართლისა და ანტიოქიის მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიებს შორის, ტრადიციად იქცა. ნიშანდობლივია ის, რომ V საუკუნეში საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია სწორედ ანტიოქიის ეკლესიისგან მიიღო და გახდა დამოუკიდებელი, თვითმოწესე, სამოციქულო საყდარი. თუმცა, აღნიშნულს არ შეუსუსტებია ანტიოქიის საპატრიარქოსთან მჭიდრო კავშირ–ურთიერთობები. VI საუკუნეში, ასურეთიდან ჩამოსულმა ბერებმა (13 ასურელი მამა) მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოში სამონასტრო ცხოვრების განვითარებაში. შუა საუკუნეების განმავლობაში, ანტიოქიის მიწაზე არსებულ მონასტრებში მოღვაწეობდნენ ქართველი სასულიერო პირები და მწიგნობრები (გიორგი შეყენებული, გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, ანტონ ტბელი, ეფრემ დიდი ოშკელი, იოვანე ჯიბისძე, იოვანე დვალი და სხვ.). განსაკუთრებული

აღნიშვნის ღირსია შავ მთაზე არსებული ქართული სავანეებიც. მკვლევარები იქ 12–მდე ქართული მონასტრის არსებობას ვარაუდობდნენ, თუმცა, ამ სიძველეთა ადგილზე შესწავლას მრავალი გარემოება აფერხებდა, რაც დღემდე ართულებს სრული ისტორიული სურათის რეკონსტრუირებას. ქართველ ღვთისმსახურთა მოღვაწეობა შავ მთაზე XIII საუკუნიდან სუსტდება, რაც მოცემული პერიოდისათვის, რეგიონში არსებული ვითარებით იყო გამოწვეული. ცნობილია XV-XVII საუკუნეების ანტიოქიის პატრიარქების – უწმინდესი მიქაელისა და მაკარის ვიზიტები საქართველოში. საყურადღებოა, აგრეთვე, პატრიარქ მაკარის მიერ, საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ შექმნილი ნაშრომიც - „ცნობები საქართველოს შესახებ" სადაც საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული ქართული ეკლესიისა და ანტიოქიის საპატრიარქოს ურთიერთობებზე.

ანტიოქიისა და საქართველოს საპატრიარქოთა შორის ისტორიული ურთიერთობების აღდგენა XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულისკენ ხდება, რაც, ანტიოქიისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების დაახლოების პარალელურად მიმდინარეობს და ქმნის ახალ ეტაპს ორი ეკლესიის ისტორიაში. საკითხის უკეთ შესწავლისა და გაანალიზებისთვის, ამჯერადაც აუცილებელ პირობად მიგვაჩნია მოცემულ პერიოდში თავად ანტიოქიის ეკლესიის მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობების განხილვა, ვინაიდან ეს ყოველივე პირდაპირ აისახებოდა როგორც ანტიოქია-მოსკოვის საპატრიარქოთა, ისე, სსრკ-ის ფარგლებში მოქმედ ნებისმიერ ეკლესიასთან ურთიერთობაზე.

XX საუკუნე საკმაოდ რთული ეპოქა აღმოჩნდა ისლამურ, არაბულ სახელმწიფოში მოქმედი ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მრევლისათვის. სირთულეებს კი განაპირობებდა როგორც ქვეყნის შიგნით არსებული ვითარება, ისე მისი საგარეო პოლიტიკა. ისტორიულად ცნობილია, რომ „ცივი ომის" პერიოდში სამყაროს ბიპოლარიზაციამ თავისი გავლენა იქონია მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონზე. განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთზე, რაც აშშ-ისა და სსრკ-ს პოლიტიკურ ინტერესთა შეჯახებით იყო გამოწვეული. ვითარება რეგიონში განსაკუთრებით გართულდა ისრაელის სუვერენული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, რომელიც იმთავითვე, აშშ-ის გავლენის სფეროდ ჩამოყალიბდა. თავის

მხრივ, ახლო აღმოსავლეთში საკუთარ დასაყრდენს ეძებდა საბჭოთა ხელისუფლებაც, რომელმაც მოკავშირედ სირიის არაბული სახელმწიფო შეარჩია.

დიპლომატიური ურთიერთობები სირიასა და სსრკ-ს შორის ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იან წლებში დამყარდა, მაშინ, როდესაც სირია საფრანგეთის მანდატისგან გათავისუფლებისთვის იბრძოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების (1946 წ.) შემდეგ კი ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა. მას ხელს უწყობდა სახელმწიფოთა ორმხრივი ინტერესი. კერძოდ, სირიის ტერიტორიული მიზნები ახლო აღმოსავლეთის მიწებზე და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სტრატეგია - ხელი შეეშალა რეგიონში დასავლეთის პოზიციების განმტკიცებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულიდან, როდესაც სირია აქტიურად ერთვება ისრაელ-პალესტინის სამხედრო კონფლიქტებში, საბჭოთა კავშირი გვევლინება მის მხარდამჭერ ძალად, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს მხარდაჭერა განსაკუთრებით ძლიერდება ეგვიპტე-სირია-იორდანიის პოლიტიკური და სამხედრო ალიანსის დაშლის შემდეგ (როდესაც ეგვიპტემ საგარეო პოლიტიკური კურსი აშშ-თან დაახლოებაზე აიღო). როგორც აღვნიშნეთ, დიპლომატიური ურთიერთობები სირიასა და საბჭოთა კავშირს შორის, XX -ის 40-იანი წლებიდან იღებს სათავეს. 50-იანი წლებიდან კი სამხედრო სფეროში თანამშრომლობით მტკიცდება. ამ მხრივ, საყურადღებოდ მიგვაჩნია 1956 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, სირიამ, სამხედრო ტექნიკის სანაცვლოდ, ქვეყანაში კომუნისტური გავლენის გავრცელებაზე იტვირთა პასუხისმგებლობა. ნიშანდობლივია ის, რომ სირიასა და ზოგადად, რეგიონის არაბულ სახელმწიფოებში სოციალისტური იდეოლოგიისა და პროსაბჭოური გავლენის გავრცელებაში დიდ როლს ასრულებდა ჯერ კიდევ 1947 წელს ჩამოყალიბებული „არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია“, იგივე „ბაასი“, რომლის მიზანსაც სოციალიზმის იდეოლოგიის ქვეშ არაბთა გაერთიანება წარმოადგენდა. პარტია „ბაასი“ აქტიურად თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, რაც ბუნებრივია, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების განხორციელებისთვის. პარტია „ბაასის“ წევრებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სირიისა და ერაყის

სახელისუფლებო წრეებში. XX ს-ის 60-იანი წლებიდან კი ისინი მყარად იკიდებენ ფეხს სირიის სახელისუფლებაში. 1970 წელს კი, პარტიის გენერალური მდივანი ხდება სირიელი სამხედრო მოღვაწე, ჰაფეზ ალ-ასადი, რომელიც ერთ წელიწადში სირიის პრეზიდენტის თანამდებობასაც იკავებს. სირიის ხელისუფლების სათავეში პარტია „ბაასის“ ხელმძღვანელის მოსვლამ კიდევ უფრო გააღრმავა სირია-სსრკ-ის დაახლოების ტენდენციები. ასადის პოლიტიკური ორიენტაცია, ერთმნიშვნელოვნად პროსაბჭოურ ხასიათს ატარებდა, რამაც განსაზღვრა სირიის სამომავლო ბედი. 1971 წელს, სირიის ქალაქ ტარტუსში სსრკ-ს სამხედრო - საზღვაო ბაზა ამოქმედდა, ერთი წლის შემდეგ კი, მათ შორის ხელი მოეწერა მშვიდობისა და უსაფრთხოების პაქტს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1973 წელს სირიის ახალი კონსტიტუციის მიღებას, რომლის მიხედვითაც, სირია სეკულარულ, სოციალისტურ სახელმწიფოდ გამოცხადდა (ჯაფარიძე 1979 : 41). აღსანიშნავია ის, რომ საბჭოთა კავშირისა და სირიის თანამშრომლობა მხოლოდ სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებს არ მოიცავდა. საბჭოთა ხელისუფლება, ღრმად იაზრებდა რა საკუთარ სახელმწიფოში მიღწეული ტოტალიტარული კონტროლის შედეგებსა და მნიშვნელობას, აუცილებლად თვლიდა ახლო აღმოსავლეთის სატელიტ ქვეყანაში დასახული მიზნების რეალიზებაში კულტურის სფეროს ჩართვას. სწორედ აღნიშნულით იყო განპირობებული ჯერ კიდევ 1967 წელს ქალაქ დამასკოში „სირია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების“ შექმნა, რომლის მიზანსაც ორ სახელმწიფოს შორის მეგობრობის, კულტურული და საზოგადოებრივი თანამშრომლობის განვითარება წარმოადგენდა. იმავე წელს, „საზოგადოების“ ანალოგი ორგანიზაცია ფუძნდება ქალაქ მოსკოვშიც. 1968 წელს კი ორ „საზოგადოებას“ შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, გაჩაღდა აქტიური მუშაობა სირიელ და საბჭოთა საზოგადოების დაახლოება-თანამშრომლობის კუთხით, რაც მათი მეგობრობისადმი მიძღვნილი, ყოველწლიური დეკადების, სირიაში საბჭოთა ლიტერატურის გავრცელებისა და დამასკოს საბჭოთა კულტურული ცენტრის ღონისძიებებით ხორციელდებოდა. (ჯაფარიძე 1979 : 42). ნიშანდობლივია ის, რომ საბჭოთა კავშირსა და სირიას შორის კულტურული ურთიერთობების განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართული კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი, რაც არ

იყო შემთხვევითი მოვლენა. ვფიქრობთ, საბჭოთა ხელისუფლებას ღრმად ჰქონდა გათვითცნობიერებული ის გარემოება, რომ სირიაში საბჭოთა მისიის შემსრულებლის საუკეთესო კანდიდატურას საქართველო წარმოადგენდა, ვინაიდან სწორედ მას ჰქონდა ახლო აღმოსავლეთთან მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობის გამოცდილება, რასაც თან ერთვოდა ანტიოქიისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების ისტორიული კავშირი. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურული, თუ პოლიტიკური ურთიერთობები სირიისა და ეგვიპტის როგორც პოლიტიკურ, ისე საეკლესიო წრეებთან და აგრეთვე, ებრაელ საზოგადოებასთან, ქმინდა ხელსაყრელ ბერკეტს ახლო აღმოსავლეთის მისიაში საქართველოს წამყვანი როლისთვის. სწორედ საქართველო და ქართული კულტურის მოღვაწეები ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს სსრკ-ს ეგვიპტისა და ისრაელის სახელმწიფოებთან ურთიერთობებშიც. ამგვარად, XX საუკუნის 50-იანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლება იწყებს ქართული კადრების დაწინაურებას სირიაში განხორციელებულ პროექტებში. გარდა ტექნიკური პროექტებისა, ქართველმა სპეციალისტებმა დიდი წვლილი შეიტანეს სირიის პროფესიული ხელოვნების განვითარების საქმეშიც. XX საუკუნის 50-70-იან წლებში დამყარდა მჭიდრო კონტაქტები ქართველ და სირიელ მეცნიერებსა და კულტურის დარგის წარმომადგენლებს შორის, გახშირდა გაცვლითი ვიზიტები ინტენსიური სახე მიიღო ქართველ სტუდენტთა, ასპირანტთა და პედაგოგთა მივლინებამ დამასკოს უნივერსიტეტში და სხვა. (ჯაფარიძე 1979: 56-57). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ 1979 წლიდან დამასკოს სსრკ კულტურის ცენტრს სათავეში ჩაუდგა ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი - გოჩა ჯაფარიძე, რომელიც მას 1983 წლამდე მართავდა. დამასკოს საბჭოთა კულტურის ცენტრის ხელმძღვანელ თანამდებობაზე ქართველი მეცნიერის დანიშვნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი და სირიელი საზოგადოების კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის. აღნიშნული გარემოება კი, თავის მხრივ, ქმნიდა სირიაში ქართული კულტურული მემკვიდრეობის მოძიებისა და ისტორიული ურთიერთობების აღდგენის იმედს.

ამგვარად, XX საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კავშირმა შეძლო გავლენის მოპოვება სირიის საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე. მეორე

მხრივ, სირიის ცალსახა, პროკომუნისტურმა ორიენტაციამ თავისი როლი ითამაშა სირიის მეზობელ თუ ზესახელმწიფოებთან ურთიერთობაზე. საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის პარალელურად, გამწვავდა მისი ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან. განსაკუთრებით კი, ისრაელის სახელმწიფოსთან, რომელიც აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოკავშირედ რჩებოდა რეგიონში. იომ-ქიფურის ომში ისრაელთან განცდილმა მარცხმა გაართულა მისი საერთო მდგომარეობა. დასავლური საფრთხის განეიტრალებას კი, სირია, დამოუკიდებელი ძალებით ვერ შეძლებდა. ამიტომ, მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა სსრკ-სთან და სოციალისტური ბანაკის წევრ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის შენარჩუნებას. აღნიშნულით იყო ნაკარნახევი 1971 – 1976 წლებში პრეზიდენტ ჰაფეზ ალ-ასადის ხშირი ვიზიტები სსრკ-ში (მოცემულ წლებში პრეზიდენტი ექვსჯერ ეწვია საბჭოთა კავშირს). 1977 წელს კი იგი თბილისს ესტუმრა. 22 აპრილს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სირიისა და საქართველოს სსრ დელეგაციებს შორის გაიმართა შეხვედრა, რომელსაც საბჭოთა საქართველოს მეთაური, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი - ედუარდ შევარდნაძე მასპინძლობდა. ასადთან საუბარში ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა: „საქართველოს მრავალმხრივი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა აქვს არაბულ ქვეყნებთან და კერძოდ, სირიასთან... ქართველი ხალხი, დიდი სიმპათიის გრძნობით ეკიდება სირიელ ხალხს. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მისი ბრძოლის ყველა ეტაპზე საბჭოთა ადამიანები მხარში ედგნენ სირიის არაბთა რესპუბლიკის ხალხს. თქვენი ვიზიტი საბჭოთა კავშირში, ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას" (ჰაფეზ ალ ასადი... 1977:1). სირიის პრეზიდენტის ვიზიტს საქართველოში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერთი იდეოლოგიური ბანაკის ორი სახელმწიფოს დაახლოების საქმეში. ეს იყო მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ურთიერთთანამშრომლობის გზაზე, რომელიც საერთო ინტერესების დაცვის იმედს ამყარებდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრეზიდენტ ასადის სწრაფვა, უშუალო, ხშირი კონტაქტები დაემყარებინა საბჭოთა კავშირისა და მასში შემავალი სახელმწიფოების ხელმძღვანელობასთან, ახლო აღმოსავლეთში შექმნილი კრიზისული ვითარების გარდა, ქვეყნის შიგნით არსებული მძიმე

პოლიტიკური მდგომარეობითაც იყო გამოწვეული. მხედველობაში გვაქვს ასადის პროკომუნისტური ორიენტაციითა და მის მიერ სირიის სეკულარულ, სოციალისტურ სახელმწიფოდ გარდაქმნის პოლიტიკით უკმაყოფილო ოპოზიციისა და ქვეყნის რელიგიური უმრავლესობის - სუნიტების შეიარაღებული დაპირისპირება ცენტრალურ ხელისუფლებასთან (Syria. United States... 2007); (Ghadry 2005: 61-70).

ცნობილია, რომ ახლო აღმოსავლეთი ეთნიკური და რელიგიური სიჭრელით ხასიათდება. საკვლევი პერიოდის სირიის მოსახლეობის უმრავლესობას სუნიტური ისლამის მიმდევრები შეადგენდნენ, თუმცა, სახელისუფლებო წრეები უმთავრესად, შიიტი მუსლიმებით იყო დაკომპლექტებული. მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილს წარმოადგენდნენ ქრისტიანები, რომელთაგან ნაწილი ანტიოქიის ბერძნულ-მართლმადიდებლური საპატარიარქოს, ნაწილი კი კათოლიკური ეკლესიის სამწყსოდ ითვლებოდა. თუმცა, საგულისხმოა ის, რომ ქრისტიანებს ეკავათ მაღალი პოზიციები სირიის მმართველ პარტიაში, მთავრობასა და უსაფრთხოებაში. მაგრამ ისინი, ალავიტ და სუნიტ კოლეგებთან შედარებით, რეალურ ძალაუფლებას არ ფლობდნენ. (Syria's beleaguered... 2015). სირიის გარდა, ქრისტიანობის სხვადასხვა დენომინაციის მიმდევრები იყვნენ ახლო აღმოსავლეთის სხვა არაბული სახელმწიფოების სახელისუფლებო წრეებშიც (გაჩეჩილაძე 2011: 104-105).

სირიის პრეზიდენტის, ჰაფეზ ალ-ასადის რელიგიური პოლიტიკა, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გარკვეულწილად, კომბინირებულ ხასიათს ატარებდა. თავად პრეზიდენტი შიიტური ისლამის ალავიტური მიმდინარეობის წარმომადგენელი იყო და ქვეყნის სპეცსამსახურებისა და უშიშროების ზედა ეშელონებში სწორედ ალავიტებს ნიშნავდა. თუმცა, როგორც არაბული სოციალიზმის პროპაგანდისტი და პარტია „ბაასის“ ხელმძღვანელი, მხარს უჭერდა სეკულარიზმს. ეს ფაქტი, ქვეყნის სუნიტი მოსახლეობის გაღიზიანებას და პროტესტს იწვევდა. რამაც ძალიან მწვავედ იჩინა თავი სირიის სამოქალაქო ომში. შექმნილ ვითარებაში, ასადმა ალავიტური მიმდინარეობის დაცვა საკანონმდებლო დონეზე სცადა. ჯერ კიდევ 1973 წლის კონსტიტუციით, სირიაში

გამოცხადებული იყო რწმენის თავისუფლება (ჯაფარიძე, 1979 : 21), რაც ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებს თავისუფალი მოღვაწეობის საშუალებას აძლევდა. გარდა ამისა, პრეზიდენტმა ქვეყანაში დანერგა კანონები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ რელიგიური უმცირესობების დაცვას სირიაში. ასადი მოითხოვდა და მხარს უჭერდა რელიგიური უმცირესობების ძალების კონსოლიდაციას (Syria's Christians 2012). აღნიშნულის ფონზე, პრეზიდენტის პოლიტიკის მხარდამჭერ ძალად სირიის ქრისტიანული თემი გვევლინება. განსაკუთრებით კი, ანტიოქიის მართლმადიდებლური საპატრიარქო.

ანტიოქიის უძველესი მართლმადიდებლური საპატრიარქო, სირიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრეშუასაუკუნეებიდან ჩამოყალიბდა. თუმცა, ისტორიულმა კატაკლიზმებმა მნიშვნელოვანი, უარყოფითი გავლენა იქონია მის შემდგომ განვითარებაზე. ჯერ სელჩუკების, შემდეგ ჯვაროსნების, მოგვიანებით კი ოსმალთა დაქვემდებარებაში გადასვლის დროიდან, მძიმე პირობებში აღმოჩნდა წმინდა პეტრე მოციქულის ბერძნული საყდარი. საპატრიარქოს ცენტრმა ქალაქ დამასკოში გადაინაცვლა (კათედრა – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი) (ჩიკვაიძე 2008). ისლამურ გარემოცვაში მყოფი ბერძნული საპატრიარქოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს მართლმადიდებელ საპატრიარქოთა მხარდაჭერასა და თანადგომას. სწორედ ამიტომ, ანტიოქიის ეკლესიის მწყემსმთავრები აქტიურად ცდილობდნენ მართლმადიდებელ ეკლესიებთან (მათ შორის, რუსეთისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან) ისტორიული კავშირ–ურთიერთობების შენარჩუნებას. ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენელთა დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსთან და ქართულ ეკლესიათან გვიანშუასაუკუნეებში, გარკვეულწილად შესწავლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ამიტომ მოცემულ ნაშრომში მასზე აღარ შევჩერდებით.

XIX საუკუნის 20–იან წლებში, ბერძნული აჯანყების შედეგად გამოწვეულმა რეპრესიებმა რეგიონის მართლმადიდებელი მოსახლეობის მისამართით, თავისი გავლენა იქონია ანტიოქიის საპატრიარქოზეც. განადგურდა დამასკოს ქრისტიანული თემის მნიშვნელოვანი ნაწილი, დანგრეულ იქნა თითქმის ყველა

ეკლესია. 1899 წლიდან კი, დაწესდა ანტიოქიის პატრიარქების არჩევა არა ბერძნული (როგორც ეს მანამდე იყო), არამედ, არაბული თემიდან. 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულებით, ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიები – კილიკია, ედესა და მარდინი, თურქეთის რესპუბლიკას გადაეცა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე კი, საფრანგეთის ხელისუფლებამ თურქეთს გადასცა ალექსანდეტის რაიონიც (დღევანდელი ჰათაის პროვინცია, სადაც მდებარეობდა ქალაქი ანტიოქია). ამ მოვლენამ უდიდესი დარტყმა მიაყენა როგორც ადგილობრივ, ქრისტიანულ მოსახლეობას, ისე ანტიოქიის ისტორიულ საპატრიარქოს.

ამრიგად, XX საუკუნის მეორე ნახევრისთვის, ანტიოქიის ეკლესია მნიშვნელოვნად შევიწროვებულ, იურისდიქციაშეზღუდულ და დასუსტებულ სამოციქულო ეკლესიას წარმოადგენდა, რომლის მხარდამჭერი პოზიცია ჰაფეზ ალ-ასადის ხელისუფლებისადმი, ვფიქრობთ, ობიექტურ საფუძვლებს ეყრდნობოდა. ასადის პოლიტიკა რელიგიური უმცირესობებისადმი და მისი ლოიალური დამოკიდებულება ქრისტიანული თემისადმი, ანტიოქიის მართლმადიდებლურ საპატრიარქოს თავისუფალი მოღვაწეობის საშუალებას აძლევდა. ისლამურ გარემოცვაში მოქმედი მართლმადიდებელი ეკლესია, ვფიქრობთ, საიმედო მფარველად ასადის ხელისუფლებას მიიჩნევდა, რომელიც თავის მხრივ, დაინტერესებული იყო მასთან თანამშრომლობით. ხელისუფლების თანამშრომლობით ინტერესში შეგვიძლია გამოვყოთ ორი მიმართულება: პირველი - ანტიოქიის მართლმადიდებელი საპატრიარქო, მიუხედავად შევიწროვებული იურისდიქციისა, მაინც წარმოადგენდა მართლმადიდებელ არაბთა და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული თემის გამაერთიანებელ ცენტრს, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა საზოგადოებრივი აზრის ხელისუფლების სასარგებლოდ წარმართვაზე. ეს კი მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს სუნიტი ოპოზიციის მხრიდან ანტიასადური განწყობის გაღვივების შეფერხებას მოსახლეობაში და მეორე - ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების გამოცდილება ჰქონდა აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროსთან, კერძოდ, კი ამ დროისათვის სსრკ-ის შემადგენლობაში მყოფ მართლმადიდებლურ საპატრიარქოებთან, შესწევდა უნარი, თავისი წვლილი შეეტანა სირიის მოკავშირე

ზესახელმწიფოსთან ურთიერთობაში. ასადის პროკომუნისტური მთავრობა სწორედ მას მოიაზრებდა ერთ-ერთ საიმედო საყრდენად როგორც საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელისუფლებასთან ისე რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სფეროში. ანტიოქიის მართლმადიდებლურმა საპატრიარქომ მართლაც იტვირთა მედიატორის როლისა და სამშვიდობო მისიის შესრულება XX საუკუნის 70-80-იან წლების ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში.

XX საუკუნის 70-იან წლებში ანტიოქიის ეკლესიას სათავეში ედგა უწმინდესი ილია IV, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების აქტიური მონაწილე. პატრიარქის სამშვიდობო მოღვაწეობა ძირითადად ორი მიმართულებით გაიშალა: ერთი მხრივ, იგი აქტიურ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ამერიკულ პოლიტიკურ ძალებთან, მეორე მხრივ კი, ცდილობდა სსრკ-ს წევრ მართლმადიდებლურ საპატრიარქოებთან დაახლოებას და მათი მხარდაჭერის მოპოვებას. პატრიარქის „ამერიკული პოლიტიკა“ არ შემოფარგლულა მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე არსებულ რელიგიურ თემებთან და სირიულ დიასპორასთან თანამშრომლობით. უწმინდესი ილია IV იყო ანტიოქიის ეკლესიის პირველი მწყემსმთავარი, რომელიც უშუალოდ ეწვია აშშ-ს და 1977 წლის ივლისში, პირადად შეხვდა პრეზიდენტ ჯიმი კარტერს (The Daily Diary... 1977). პატრიარქმა ილიამ პრეზიდენტ კარტერის წინაშე დააფიქსირა ანტიოქიის საპატრიარქოს პოზიცია ისრაელ-პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებით და დაადასტურა მისი მხარდაჭერა პალესტინელთა უფლებებისადმი. 1979 წლის 25 ივნისს, Washington Post-ში პატრიარქ ილია IV -ის შესახებ გამოქვეყნებული სტატია იტყობინებოდა, რომ პატრიარქმა დაარწმუნა პრეზიდენტი, აშშ-ის ხელისუფლების ეგიდით, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების აუცილებლობაში (Antiochian Patriarch.... Washington Post. 25 June 1979). თუმცა, აშშ-ის ხელისუფლებისათვის, მისი ეგიდით მშვიდობის დამყარება, აშშ-ის სახელმწიფო ინტერესების დაცვას გულისხმობდა რეგიონში. ამ შეხვედრის შემდეგ, 1979 წელს, აშშ-ში, კემპ-დევიდის რეზიდენციაში, ხელი მოეწერა ისრაელ-ეგვიპტის სამშვიდობო შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც, ტერიტორიული კომპრომისების სანაცვლოდ (ისრაელს უნდა გაეთავისუფლებინა სინას ნ/კ. ღაზას სექტორი კი ისრაელის კონტროლის ქვეშ რჩებოდა), მხარეებმა

ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს. კემპ-დევიდის შეთანხმებამ, ეგვიპტე სირია-ეგვიპტე-პალესტინის არაბული ალიანსიდან გამოთიშა და საბჭოთა კავშირს ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი გავლენის სფერო დააკარგვინა.

ამრიგად, სირია, ასადის ხელისუფლებით სათავეში, XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ისევ პროკომუნისტურ ორიენტაციას ინარჩუნებდა. მის პოლიტიკურ პოზიციას იზიარებდა ანტიოქიის მართლმადიდებლური საპატრიარქოც. ანტიოქიის პატრიარქის დიპლომატიური მოღვაწეობის მეორე და წამყვან მიმართულებას სწორედ სირიის რესპუბლიკის მოკავშირე სსრკ-ს რელიგიურ ორგანიზაციებთან, უმთავრესად კი, რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებთან დაახლოება წარმოადგენდა. ნიშანდობლივია ის, რომ ანტიოქიის ეკლესიის სწრაფვა სსრკ-ის მართლმადიდებელ ეკლესიებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებისთვის, მხოლოდ სირიის სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესებით არ იყო გამოწვეული. ვფიქრობთ, საბჭოთა კავშირისა და მისი მართლმადიდებლური საეკლესიო წრეების მხარდაჭერის მოპოვებით, იგი იმედოვნებდა არა მხოლოდ ისლამური გარემოცვისგან დაცვას, არამედ, ახლო აღმოსავლეთსა და უშუალოდ სირიის ტერიტორიაზე მოქმედ ქრისტიანულ დენომინაციებს შორის დომინანტური როლისა და არსებული იურისდიქციის შენარჩუნებას, რასაც დიდი ხნის განმავლობაში საფრთხეს უქმნიდნენ რომის კათოლიკური ეკლესიის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ეკლესიები. (არ გამოვრიცხავთ ანტიოქიის საპატრიარქოს იმედს, დაკარგულ ტერიტორიებზე იურისდიქციის ფაქტობრივი აღდგენის შესახებაც). სწორედ ამიტომ, ანტიოქიის საპატრიარქოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი ავტორიტეტული ძალის მხარდაჭერას, როგორიც იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, თუმცა, აქვე დავძენთ იმას, რომ ანტიოქიის საპატრიარქოს ურთიერთობა მოსკოვის საპატრიარქოსთან, ცალკე კვლევის საგნად მიგვაჩნია, ამიტომ, ყურადღებას მოცემული ნაშრომის საკვლევ ობიექტზე გავამახვილებთ.

როგორც აღვნიშნეთ, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ანტიოქიისა და სსრკ-ის ქრისტიანულ ეკლესიათა დაახლოების ახალი ეტაპი. ამ კუთხით კი, ერთ-

ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი საქართველოს უძველეს სამოციქულო ეკლესიასთან ურთიერთობას ეკავა, რაც რეალურად, მრავალსაუკუნოვანი წარსულის განახლებას გულისხმობდა. ანტიოქიის საპატრიარქოს მცდელობას შემხვედრი ნაბიჯებით პასუხობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც, რომელიც მოცემული პერიოდის მსოფლიოს საეკლესიო წრეებში მიმდინარე პროცესების ფონზე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წმინდა პეტრეს საყდართან ისტორიული ურთიერთობების აღდგენას. მხედველობაში გვაქვს საქართველოს ეკლესიის ბრძოლა ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების საერთაშორისო აღიარებისთვის და კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსა და მისი გავლენის ქვეშ მყოფი ეკლესიების უარყოფითი პოზიცია. იმ ფონზე, როდესაც კონსტანტინეპოლის საპატრიარქო წლების განმავლობაში არ ცნობდა საქართველოს ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიას და ცდილობდა, XX საუკუნეში რუსეთის ეკლესიისაგან გამოყოფილი სხვა ეკლესიების მსგავსად, საქართველოს ეკლესიისთვისაც მას ებოძებინა თვითმოწესეობა, უაღრესად დიდი როლის შესრულება შეეძლო ანტიოქიის საპატრიარქოს ღია მხარდაჭერას და საქართველოს ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიისაგან ჯერ კიდევ V საუკუნეში მიღებული ავტოკეფალიის ოფიციალურად დადასტურებას საერთაშორისო მასშტაბით. სწორედ აღნიშნული მოტივები იკვეთება საქართველოს ეკლესიის მეთაურის მხრიდან ანტიოქიის ეკლესიის მწყემსმთავრისადმი ოფიციალურ მიმართვებში. 1978 წლის ივნისში, პრეზიდენტ ასადის ვიზიტიდან ერთი წლის შემდეგ, საქართველოს ეწვია ანტიოქიის საპატრიარქოს დელეგაცია, ტრიპოლის მიტროპოლიტ ილიას ხელმძღვანელობით. დელეგაციის წევრებს შორის იმყოფებოდნენ მოსკოვის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულები: ემესის მიტროპოლიტი ალექსი და ანტიოქიის პატრიარქის კანცელარიის ხელმძღვანელი - არქიმანდრიტი მაკარი (ილია II... 2016:153). ანტიოქიელმა მღვდელმთავრებმა მონაწილეობა მიიღეს სვეტიცხოვლის ტაძარში აღვლენილ საღმრთო ლიტურგიაში. ლიტურგიის შემდგომ, საქართველოს პატრიარქმა ანტიოქიის ეკლესიის დელეგაციას მიმართა: "მადლიერნი ვართ ანტიოქიის საპატრიარქოსი, რომლისაგან მეხუთე საუკუნეში მოგვენიჭა ავტოკეფალია. ჩვენი ეკლესიების ძმური ურთიერთობა მუდამ იყო მტკიცე და თქვენი ჩვენთან ჩამობრძანება მოწმობს, რომ ჩვენი ძმური კავშირი კვლავაც ფართოვდება და

მტკიცდება (ილია II... 2016: 150). ლიტურგიის შემდეგ გამართულ ვახშამზე, რომელსაც სასულიერო პირების გარდა, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში - თენგიზ ონოფრიშვილიც ესწრებოდა, საქართველოს პატრიარქმა განაცხადა: "გამოვთქვამთ რწმენას, რომ ურთიერთკავშირი ჩვენს ეკლესიებს შორის გაღრმავდება და გაფართოვდება მართლმადიდებლობისა და ქვეყანაზე მშვიდობის განმტკიცებისათვის" (ილია II… 2016: 151). ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენელთა ამ ვიზიტს და ერთობლივი ღვთისმსახურების ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ანტიოქიის, ისე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. წლების განმავლობაში, საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკის გავლენით, ხანგრძლივ საეკლესიო იზოლაციაში ყოფნის შემდეგ, ამგვარი ახლო კონტაქტებისა და ცოცხალი ურთიერთობების დამყარებას მსოფლიოს მართლმადიდებელ და ამ შემთხვევაში, ანტიოქიის ეკლესიასთან, გადამწყვეტი როლის შესრულება შეეძლო ქართული ეკლესიის გათავისუფლებისა და სამომავლო წინსვლის საქმეში. აღნიშნული კი, ხელს შეუწყობდა არამარტო საქართველოს საპატრიარქოს საგარეო დიპლომატიის განვითარებას, არამედ ანტიოქიისა და საქართველოს ეკლესიების მჭიდრო თანამშრომლობას როგორც რელიგიურ, ისე დიპლომატიურ საკითხებში. განსაკუთრებით, მოცემული პერიოდის ყველაზე აქტუალურ და მტკივნეულ საკითხში, როგორიც იყო მშვიდობის დაცვის პრობლემა ახლო აღმოსავლეთში და ზოგადად, მსოფლიოში.

ანტიოქიის ეკლესიისა და საქართველო-ანტიოქიის საპატრიარქოთა ურთიერთობების ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება 1979 წელს წმინდა პეტრე მოციქულის საპატრიარქო ტახტზე მისი უწმინდესობის - ეგნატე IV (ჰაზიმი) აღსაყდრებიდან. პატრიარქი ეგნატე მსოფლიო საეკლესიო საზოგადოებისთვის ცნობილი იყო, როგორც მრავალი რელიგიური ორგანიზაციის წევრი და საერთაშორისო მნიშვნელობის საეკლესიო მოღვაწე, რეფორმატორი, რომელმაც ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს გაითქვა სახელი სირიელი და ლიბანელი მართლმადიდებელი ახალგაზრდების მოძრაობის ხელმძღვანელობით. მის სახელს უკავშირდება ბალამანდის მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო სემინარიის დაარსება ლიბანში. პატრიარქ ეგნატეს მოღვაწეობის პერიოდში, ანტიოქიის

მართლმადიდებელ ეკლესიაში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა. აშენდა ეკლესია-მონასტრები, განახლდა სამონასტრო ცხოვრება. მრავალი წლის განმავლობაში იგი იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ცენტრალური კომიტეტის წევრი, რაც მას (საქართველოს ეკლესიის მსგავსად) საშუალებას აძლევდა, მოეპოვებინა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება და თავისი წვლილი შეეტანა ანტიოქიის ეკლესიის ინტერესების დაცვაში. პატრიარქ ეგნატეს უდიდესი ძალისხმევის შედეგი იყო კონტაქტების განახლება მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან (Скурат 1994).

აღსანიშნავია ის, რომ პატრიარქ ეგნატეს აღსაყდრებისთანავე, მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ. 1979 წლის 29 დეკემბერს, უწმინდეს ეგნატე IV- ისადმი გაგზავნილ წერილში, საქართველოს პატრიარქი ილია II ულოცავდა აღსაყდრებას მის უწმინდესობას და წერდა: "ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ანტიოქიისა და საქართველოს საპატრიარქოთა შორის ურთიერთობას. ქართველი ერის გონებაში წარუშლელია ის ფაქტი, რომ V საუკუნეში საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია ანტიოქიის ეკლესიისაგან მიიღო. ეს ფაქტი გვავალებს, რომ ჩვენ შორის იყოს განსაკუთრებული ძმური და სულიერი სიყვარულით აღვსილი ურთიერთობა. გვწამს, რომ ჩვენს ორ ეკლესიას შორის მუდამ იქნება თანხმობა და სრული ურთიერთგაგება." (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი... 2016 : 210). ცხადია, ორ საპატრიარქოს შორის ურთიერთობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საეკლესიო საქმეებით. ორივე მხარისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურისა და მეცნიერების დარგში თანამშრომლობასაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1976 წლიდან დამასკოში ფუნქციონირებდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და კულტურის ცენტრი. რომელიც კოორდინაციას უწევდა სირიისა და სსრკ-ს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა დაახლოებას. 1979 წლიდან ცენტრის დირექტორად ქართველი მეცნიერის, პროფ. გოჩა ჯაფარიძის დანიშვნამ უაღრესად დადებითი რეზონანსი გამოიწვია საქართველოს საპატრიარქოში. შეიქმნა ხელსაყრელი გარემოება საქართველოსა და მისი ეკლესიასთან დაკავშირებული ისტორიული წყაროებისა და შრომების მოკვლევის. იმავე წელს, ანტიოქიის პატრიარქისადმი გაგზავნილ კიდევ ერთ წერილში, საქართველოს პატრიარქი წერდა: „ჩვენ დაინტერესებული

ვართ, რა ბედი ეწია შავი მთის ქართული მონასტრის ხელნაწერებს, ამისთვის ვაგზავნით თქვენთან ქართველ ისტორიკოსს, გოჩა ჯაფარიძეს, რომელიც გახლავთ სსრკ-ს კულტურული ცენტრის დირექტორი სირიაში და ვითხოვთ თქვენს დახმარებას, რათა მისცეთ საშუალება, გაეცნოს საპატრიარქოსა თუ სხვა სამონასტრო ბიბლიოთეკებში დაცულ შრომებსა და ხელნაწერებს“ (ილია II.., ნაწ. I., 2016 : 211).

XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან ახლო აღმოსავლეთის რეგიონში პოლიტიკური ვითარება კიდევ ერთხელ დაიძაბა. ამჯერად, საომარი მოქმედებები დაიწყო ლიბანში, სადაც სამოქალაქო დაპირისპირებას თან ერთვოდა ისრაელისა და სირიის არმიების ინტერვენცია. ლიბანის ომი პირდაპირ კავშირში იყო ისრაელ-პალესტინის კონფლიქტთან, ვინაიდან სწორედ ლიბანში აფარებდა თავს ასი ათასობით პალესტინელი ლტოლვილი. იმ ვითარების ფონზე, როდესაც აშშ-ის ადმინისტრაცია, ამჯერად რონალდ რეიგანისა და სახელმწიფო მდივან - ჰეიგის მეთაურობით, მხარს უჭერდა ისრაელის სამხედრო ოპერაციებს ლიბანში, საბჭოთა კავშირის სატელიტი სირია მაქსიმალურად ცდილობდა, არ დაეშვა ისრაელის გაძლიერება. ჯერ კიდევ 1976 წლის ივნისში, ლიბანის პრეზიდენტ - სულეიმან ფრანჟეს თხოვნით, სირიის არმია შევიდა ლიბანში. ოქტომბერში კი სირიამ მიიღო არაბულ სახელმწიფოთა ლიგის მანდატი ლიბანში სამშვიდობო მისიაზე (სანიკიძე, 2011 : 493). სირიის მონაწილეობამ ლიბანის ომში, ბუნებრივია, თავისი გავლენა იქონია ქვეყნის შიდა პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასადის სამხედრო გადაწყვეტილებები კიდევ უფრო მეტ გაღიზიანებას იწვევდა მისი რეჟიმით უკმაყოფილო ოპოზიციაში. თუმცა, ახალი საპროტესტო ტალღის წარმოშობის მიზეზი მხოლოდ ლიბანის ომში მონაწილეობა არ ყოფილა. XX ს-ის 70 -იანი წლების მიწურულიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა აღმოსავლეთის რელიგიურ წრეებშიც. ამ კუთხით, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს სირიის მოკავშირე ირანში მომხდარი ისლამური რევოლუცია, რომელიც საბოლოოდ, შაჰის ხელისუფლების დამხობით დასრულდა და ირანი კონსტიტუციური მონარქიიდან - თეოკრატიულ ისლამურ რესპუბლიკად გადაიქცა, რომელსაც სათავეში შიიტ მუსლიმთა სულიერი ლიდერი - აიათოლა რეჰოლა მუსავი ჰომეინი ჩაუდგა.

ირანში მიმდინარე მოვლენებს დიდი რეზონანსი მოჰყვა სირიაშიც. გააქტიურდა ქვეყნის სუნიტი მოსახლეობა, რომელიც უარყოფდა „ბაასის“ პარტიის სეკულარულ ღირებულებებს და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის სამხედრო, პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების „ალავიტიზაციას“, რომელმაც თავის მხრივ, ბოლო მოუღო სუნიტების ხანგრძლივ მონოპოლიას ხელისუფლებაში. ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ერთგვარ კომპრომატად იქცა სირიის 1973 წლის კონსტიტუცია, რომელიც ისლამს არ აღიარებდა სახელმწიფო რელიგიად და სოციალიზმის პრინციპების გვერდით, რელიგიის თავისუფლებას აღიარებდა. ირანის ისლამური რევოლუციის გავლენით, სირიაშიც დაიწყო „ანტიასადური“ ამბოხი, რომელიც 1982 წელს ხელისუფლების მხრიდან იერიშით და გაერთიანებული ოპოზიციის ბირთვის, ორგანიზაცია „მუსლიმი ძმების“ ცენტრის - ქალაქ ჰამას აღებით დასრულდა (სანიკიძე, 2011: 551). ანტიასადური აჯანყების სისხლში ჩახშობის მიუხედავად, 80-იან წლებში სირიის სხვადასხვა რეგიონში მაინც გრძელდებოდა დაპირისპირებები ქვეყნის უშიშროების ძალებსა და სუნიტ ოპოზიციას შორის. აღნიშნულმა, ასადის ხელისუფლება აიძულა, უფრო ფრთხილი პოლიტიკა ეწარმოებინა და გარკვეულ კომპრომისებზე წასულიყო სუნიტი მოსახლეობის მიმართ. ამ პერიოდიდან, ხელისუფლება იწყებს ოპოზიციის ცალკეული წევრების შეწყალებას, საპატიმროებიდან გათავისუფლებას და ქვეყნიდან გაქცეული ისლამისტების ნაწილის დაბრუნებას სირიაში. იწყება ისლამის მნიშვნელობის ხაზგასმა სირიის სახელმწიფოსთვის, პრეზიდენტი იწყებს ლოცვას სუნიტურ მეჩეთებში, პილიგრიმობას მექაში და სხვ. (Zisser 1999 : 49-56). აღნიშნულის პარალელურად, ჰაფეზ ალ-ასადი მოითხოვდა და მხარს უჭერდა რელიგიური უმცირესობების ძალების კონსოლიდაციას. (Syria's Christians... 2012). ასადის პოლიტიკის ტრანსფორმაცია, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სსრკ-ს პოზიციების შესუსტებითაც იყო გამოწვეული. ვინაიდან 80-იან წლებში რეგიონის კონფლიქტებში აშშ-მა ცალსახა უპირატესობა მოიპოვა. სსრკ, ქვეყნის შიდა პოლიტიკური კრიზისის გამო, ვეღარ უწევდა ვაშინგტონს სათანადო კონკურენციას აღმოსავლეთში. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაშიც, რაც მიხეილ გორბაჩოვის

მმართველობასთან იყო დაკავშირებული. ამ დროიდან იწყება ახალი ეტაპი „ცივი ომის“ ისტორიასა და სსრკ-აშშ-ს შორის ურთიერთობებში. 1986 - 1988 წლებში მხარეებს შორის მიმდინარეობს მთელი რიგი კონსულტაციები რეგიონალურ პრობლემებთან, ბირთვული იარაღის შემცირების, ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. 1987 წლის დეკემბერში კი თანხმდებიან საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების შემცირების შესახებ, რაც ოფიციალური ხელშეკრულებითაც მტკიცდება. გორბაჩოვის კომპრომისული ნაბიჯები აშშ-ის ინტერესების გამარჯვებას მოასწავებდა ახლო აღმოსავლეთში, რაც ნათლად გამოვლინდა 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დამდეგს ისრაელ-პალესტინის საკითხში მიღწეულ შეთანხმებებში.

ამგვარად, სსრკ-ს პოლიტიკური კურსის ცვლილებამ და მისი პროტექტორატის შესუსტებამ სირიაზე, თავისი გავლენა იქონია ჰაფეზ ასადის რელიგიურ პოლიტიკაზე. ერთი მხრივ, ასადი ახდენს ურთიერთობის ნორმალიზებას სუნიტ მოსახლეობასთან, ხოლო მეორე მხრივ, ცდილობს, რელიგიური უმცირესობების კონსოლიდაციას და ამ გზით, პოზიციების შენარჩუნებას. შექმნილი ვითარების ფონზე, კვლავ რთულ სიტუაციაში იმყოფება ანტიოქიის მართლმადიდებელი საპატრიარქო. ალავიტ ხელისუფლებასა და სუნიტ ოპოზიციას შორის არსებული მწვავე დაპირისპირების ფონზე, სერიოზული საფრთხის წინაშე დადგნენ ასადის ხელისუფლების მხარდამჭერი რელიგიური ორგანიზაციები, მათ შორის, სირიის მართლმადიდებელი ეკლესია. აღსანიშნავია ის, რომ ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესია იმთავითვე ემიჯნებოდა ასადის მიერ გამოყენებულ ძალისმიერ მეთოდებს და ზოგადად, ნებისმიერი სახის ძალადობას რეგიონში და მთელ ძალისხმევას მშვიდობის დამყარებისკენ მიმართავდა, თუმცა, ოპოზიციურ ძალებში იგი ასადის დიქტატორული რეჟიმის მხარდამჭერ ორგანიზაციად მოიაზრებოდა. ვფიქრობთ, რისკფაქტორები ღრმად ჰქონდათ გააზრებული ანტიოქიის საპატრიარქოში და არჩეული კურსიც წარსულის მძიმე გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოწვეული მოტივებით იყო ნაკარნახევი. ზემოთქმულის გათვალისწინებით, XX საუკუნის 80-იან წლებში ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესია კვლავ ინარჩუნებს მჭიდრო კავშირებს საბჭოთა

კავშირის ქრისტიანულ ეკლესიებთან და კონკრეტულად, საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან. ხშირდება ანტიოქიელ პატრიარქთა ვიზიტები საქართველოში.

1981 წელს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარი, ეგნატე IV, რომელსაც თან ახლდა მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელი ანტიოქიის საპატრიარქოში – ეპისკოპოს ვალენტინის მდივანი გიორგი დერევიანჩენკო. ვიზიტის მიზანი იყო ორ უძველეს ეკლესიას შორის მეგობრობის აღდგენა და მისი შემდგომი განმტკიცება. ვიზიტისას გამოითქვა ორმხრივი სურვილი ტრადიციული ურთიერთობების აღდგენის შესახებ. 28 ოქტომბერს, სიონის ტაძარში აღსრულებული პარაკლისის შემდეგ, პატრიარქი ეგნატე თავის წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა: „ანტიოქიის ეკლესია დიდადაა მოწადინებული, კვლავ აღდგეს ჩვენი ისტორიული მეგობრობა და ძმური სიახლოვე. ის ურთიერთობა, რომელიც ჩვენ შორის არსებობს, არის სიმბოლო ჩვენი ცხოვრებისა, ახალი ცხოვრებისა... თქვენ მშვიდობას ემსახურებით და ამისთვის ბევრს იღწვით. გთხოვთ, ჩვენც მოგვეხმაროთ, ჩვენც დავკანკალებთ მშვიდობას“ (უნეტარესი ეგნატე IV... 1981:24). ნიშანდობლივია ის, რომ 80-იან წლებში ანტიოქიისა და საქართველოს საპატრიარქოებს შორის ურთიერთობებს წითელ ზოლად გასდევს მშვიდობის დაცვის საკითხი. სოციალისტური ბანაკის მართლმადიდებელ ეკლესიათა მხარდაჭერისა და თანადგომის მოპოვება ანტიოქიის ეკლესიას არამხოლოდ ფიზიკური გადარჩენის, არამედ, სირიაში არსებული კონფლიქტური ვითარების მშვიდობიანი გზით მოგვარების იმედს აძლევდა. ორი საპატრიარქოს ურთიერთობების გაღრმავებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საბჭოთა კავშირში დაწყებული ე.წ. „გარდაქმნაც“ და მ. გორბაჩოვის საეკლესიო პოლიტიკა.

როგორც აღვნიშნეთ, მ. გორბაჩოვის ხელისუფლების პოლიტიკური კურსის ცვლილება საბჭოთა სახელმწიფოს მწვავე შიდა პოლიტიკური კრიზისითა და საერთაშორისო ასპარეზზე არსებული მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. დასავლურ სამყაროსთან რადიკალური კონფრონტაციისა და ბირთვული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, სსრკ-ს ახალ ხელისუფლებას დასავლურ წრეებთან ურთიერთობის დარეგულირება და საერთაშორისო საზოგადოებაში შელახული

ავტორიტეტის აღდგენა უნდა მოეხდინა. ამ მიზნის განსახორციელებლად კი მას ქვეყნის შიგნით აქტიური მხარდამჭერი სჭირდებოდა. შესაფერის კანდიდატად სახელისუფლებო ადმინისტრაციაში მართლმადიდებელი ეკლესია იქნა მოაზრებული და შესაბამისად, მთავრობა ხელს არ უშლიდა მისი კონტაქტების გააქტიურებას სოციალისტური თუ მეტოქე ბანაკის რელიგიურ ჯგუფებთან. აღნიშნული, მეტ-ნაკლებად აისახა საქართველოს ეკლესიის კონტაქტებზეც, თუმცა, ცხადია, გაცილებით მნიშვნელოვან როლს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობა და მისი საერთაშორისო ტრიბუნა ასრულებდა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1983 წელს მისი ავტოკეფალიის 1500 წლისთავის საზეიმო აღნიშვნას და სხვა ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლებთან ერთად, ანტიოქიის საპატრიარქოს თანადგომას. 1983 წლის 3 ივლისს, სვეტიცხოველში წარმოთქმულ სიტყვაში, მისი უწმინდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნავდა: "მადლობა მინდა მოვახსენო მის უნეტარესობას, დიდისა ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქ იგნატიოს IV -ს... მისი ლოცვა-კურთხევით დღეს აქ იმყოფებიან ამ საპატრიარქოს წარმომადგენლები და იზიარებენ ჩვენს ზეიმს, რომელიც არის არა მარტო ჩვენი ეკლესიის, არამედ მთელი ქართველი ხალხის ზეიმი, რადგანაც ჩვენი ეკლესია მარად განუყოფელი იყო ჩვენი ერისგან და მომავალშიც ასევე დარჩება და ყველაფერს გააკეთებს მისი სულიერი და ფიზიკური კეთილდღეობისათვის" (ილია II…2016 : 331).

ავტოკეფალიის 1500 წლის იუბილეს აღნიშვნა, რთული მისახვედრი არ არის, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობის მდიდარ ისტორიულ ტრადიციას უსვამდა ხაზს, რასაც მოცემული პერიოდისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკლესიისთვის და მით უფრო, მნიშვნელოვანი იყო მასზე ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენელთა დასწრება, ვინაიდან იგი ფაქტობრივად, წარმოადგენდა V ს-ში მინიჭებული სტატუსისა და ლეგიტიმური უფლებების შესახებ დასტურს. ხსენებული, მოცემული პერიოდის საქართველო - კონსტანტინეპოლის ურთიერთობის ფონზე, ვფიქრობთ, ანტიოქიის საპატრიარქოს მხრიდან საკმაოდ გაბედულ ნაბიჯს წარმოადგენდა. საკუთარი მდგომარეობის

გათვალისწინებით, ცხადია მის ინტერესში არ იქნებოდა კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან დაპირისპირება და არც დაპირისპირებულა, თუმცა, ვფიქრობთ, მისი პოზიციის განსაზღვრაში სამმა ფაქტორმა იქონია ყველაზე დიდი გავლენა.

1) სირიის საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობისა და მოკავშირეობის პირობებში, ანტიოქიის საპატრიარქო საბჭოთა სახელმწიფოში მოქმედ ეკლესიებს პოტენციურ მოკავშირეებად და მხარდამჭერებად მოიაზრებდა და შესაბამისად, მათთან პოზიტიური ურთიერთობის შენარჩუნება სჭირდებოდა.
2) საქართველოს ეკლესიის ისტორიული უფლებების აღიარება ხელს შეუწყობდა ორ ეკლესიას შორის ურთიერთობის გაღრმავებას და თანამშრომლობას, როგორც სირია -სსრკ-ის, ისე საერთაშორისო საეკლესიო ასპარეზზე (თუნდაც ეკუმენურ მოძრაობაში).
3) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობა თავისთავად, იყო განაცხადი იმაზე, რომ მისი ისტორიული უფლებები არ ექვემდებარებოდა გადასინჯვას, ვინაიდან იგი V ს-ში მინიჭებული იყო იმ ეკლესიის მიერ, რომლის პრეროგატივასაც წარმოადგენდა და სხვა არცერთ ეკლესიას ჰქონდა უფლება, კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა იგი.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანტიოქიისა და საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიების მწყემსმთავრებს ღრმად ჰქონდათ გაცნობიერებული მათი ძალების კონსოლიდაციისა და უშუალო მონაწილეობის მნიშვნელობა როგორც სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებისთვის, ისე ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებსა და ზოგადად, საერთაშორისო სამშვიდობო პროცესებში. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სსრკ-სა და აშშ-ის პოლიტიკურ ინტერესთა შეჯახებამ, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა სირიისა და სსრკ-ს ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკაზე, მართლმადიდებელ საპატრიარქოებს ქმედითი ნაბიჯებისკენ უბიძგა. ეკლესიათა ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში, ორი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავდა: პირველი - სირიისა და სსრკ-ს ხელისუფლებების მიზანი - ეკლესია ექციათ საკუთარი ინტერესების ლობისტად,

როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ურთიერთობებში და მეორე - ანტიოქიისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების სწრაფვა - შეენარჩუნებინათ არსებობა და მოეპოვებინათ მსოფლიოს პოლიტიკური და საეკლესიო საზოგადოების ყურადღება და მხარდაჭერა. ანტიოქიელმა და ქართველმა მღვდელმთავრებმა სწორად შეაფასეს შექმნილი გარემოება და შეძლეს, სახელისუფლებო „დირექტივების“ ეკლესიისა და მართლმადიდებელი მოსახლეობის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება. წმინდა პეტრე მოციქულისა (ანტიოქია) და წმინდა ანდრია პირველწოდებულის (საქართველო) საყდრის წარმომადგენლებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა ახალი კონტაქტების დამყარებისა და მსოფლიოს რელიგიურ ორგანიზაციებთან დაახლოებისთვის. ამ კუთხით კი, წამყვან მიმართულებას უძველეს მართლმადიდებლურ საპატრიარქოებთან ურთიერთობა წარმოადგენდა. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მოღვაწეობის პარალელურად, ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მოკავშირე სახელმწიფოების ქრისტიანულ ეკლესიებთან თანამშრომლობას. საბოლოოდ, ორი საპატრიარქოს ძალისხმევამ სასურველი შედეგი გამოიღო: გაღრმავდა სირიისა და სსრკ-ს ურთიერთობები რელიგიურ-კულტურულ სფეროში და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, აღდგა ანტიოქიისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ურთიერთობები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზეც გრძელდება.

2.5. საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა ალექსანდრიის მართლმადიდებელ ეკლესიასთან

XX ს-ის 70-80-იანი წლების საქართველოს ეკლესიის საგარეო ურთიერთობების ერთ-ერთ საინტერესო ნაწილს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ, ალექსანდრიისა და იერუსალიმის მართლმადიდებელ ეკლესიებთან თანამშრომლობა, რაც რეგიონისათვის დამახასიათებელი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ფონზე, კიდევ უფრო დიდი აქტუალობით სარგებლობს. აქვე აღვნიშნავთ იმას, რომ ჩვენ უკვე მივუძღვენით საგანგებო ნაშრომები ქართული სამოციქულო ეკლესიის ურთიერთობებს ალექსანდრიისა და იერუსალიმის ეკლესიებთან. აქედან გამომდინარე, ვითვალისწინებთ რა დისერტაციის ზღვრულ მოცულობას, რომელიც არ გვაძლევს ყველა ეკლესიასთან ურთიერთობის საკითხის დეტალური გაშლის საშუალებას, მოცემულ პარაგრაფებში მხოლოდ მათი ძირითადი ასპექტებით შემოვიფარგლებით.

საქართველოსა და ალექსანდრიის სამოციქულო ეკლესიათა კონტაქტებს ჯერ კიდევ ადრეშუასაუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი, რაც პირველ რიგში, ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტის გავრცელებასთან იყო დაკავშირებული. ალექსანდრიის თეოლოგიური სკოლის გავლენას განიცდიდა ქართული სასულიერო მწერლობა. საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის შეფასებით, მათ დაახლოებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს აღმოსავლურ ქრისტიანული ეკლესიისთვის დამახასიათებელი ფაქტორი - ღრმა ასკეტიზმი და მაღალი თეოლოგიური მეცნიერება. ეგვიპტის მონასტერთა მსგავსად, „ყოველი ქართული მონასტერი იყო... არა მარტო სულიერი მოღვაწეობის ადგილი, არამედ მეცნიერების სავანე... ქართველი ბერები მოღვაწეობდნენ სინას მთისა და ეგვიპტის სხვა მონასტრებში. ეგვიპტის სასულიერო პირებიც ხშირად ჩამოდიოდნენ და ცხოვრობდნენ ჩვენს მონასტრებში“(საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის... სიტყვა ალექსანდრიის... 1981:12). გვიანშუასაუკუნეებში საქართველოსა და კავკასიის რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეასუსტა წმინდა მოციქულების - ანდრიასა და მარკოზის საყდართა ურთიერთობები. XIX ს-ში კი, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ, ქართული

ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ და იძულებითმა საეკლესიო იზოლაციამ შეაფერხა საქართველოს ეკლესიის როგორც სხვა, ისე ალექსანდრიის საპატრიარქოსთან ურთიერთობების განვითარება. ისტორიული კავშირის აღდგენის მცდელობას 1917 წლიდან ჰქონდა ადგილი, თუმცა, ჩვენ მიერ ნაშრომის წინა პარაგრაფებში ნახსნები პოლიტიკური პროცესებისა და საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის წყალობით, XX ს-ის II ნახევრამდე ორი ეკლესიის კონტაქტები მხოლოდ ეპისტოლეთა გაცვლით შემოიფარგლებოდა. დაახლოების ტენდენციას მხოლოდ 70-იანი წლების მეორე ნახევარსა და 80-იან წლებში ვხვდებით. როგორც კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის, ისე ალექსანდრიის ეკლესიასთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თავად ეგვიპტისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ურთიერთობები და შესაბამისად, ალექსანდრიისა და მოსკოვის საპატრიარქოთა ურთიერთდამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია მცირე ისტორიული ექსკურსი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული მდგომარეობისა და სსრკ-ის პოლიტიკური ინტერესების შესახებ.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი, ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, როგორც დასავლური სამყაროს, ისე სსრკ-ის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა. ისრაელის მთავარი მოკავშირისა და პროტექტორის როლს აშშ ასრულებდა, მის საპირისპიროდ კი, არაბული ქვეყნები საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. 50-იან წლებში, როდესაც არაბულმა სახელმწიფოებმა, ეგვიპტის მეთაურობით, ისრაელის განადგურება და რეგიონიდან ბრიტანეთის საბოლოოდ გაძევება გადაწყვიტეს, ურთიერთობა დასავლეთთან საგრძნობლად დაიძაბა. აღნიშნულს, შედეგად მოჰყვა 1956 წელს ე.წ. „სუეცის კრიზისი“, რომელიც ისრაელის მხრიდან ეგვიპტის კუთვნილ სინაის ნახევარკუნძულზე შეჭრით დაიწყო და საბოლოოდ, აშშ-ისა და სსრკ-ის ძალისხმევით შეჩერდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საბჭოთა კავშირის მხრიდან არაბული სამყაროსადმი ღია მხარდაჭერა და დახმარება. მართალია, დიპლომატიური ურთიერთობები ეგვიპტესა და სსრკ-ს შორის ჯერ კიდევ 1943 წელს დამყარდა, თუმცა, დიდი ბრიტანეთის გავლენის გათვალისწინებით, იგი თავს იკავებდა ქვეყნის პოლიტიკურ მოვლენებში ჩარევისგან. აღნიშნულს თან ერთვოდა

50-იანი წლების პირველ ნახევარში აშშ-ის დირექტივებით, ეგვიპტის ხელისუფლების ანტიკომუნისტური პოლიტიკა, რაც კომუნისტების დევნასა და რეპრესიებში გამოიხატა. ეგვიპტე-სსრკ-ის დაახლოება რეალურად სუეცის კრიზისის შემდეგ იწყება, როდესაც დასავლეთმა ღია სამხედრო ინტერვენცია მოაწყო ეგვიპტის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და აქტიური ურთიერთობა გააჩაღა ეგვიპტის ხელისუფლებასთან. ნ. ხრუშჩოვმა ეგვიპტის პრეზიდენტს, გამალ აბდელ ნასერს საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაც კი მიანიჭა (ტყაბლაძე, 2006:20), თუმცა, 1967 წლის ივნისში ისრაელთან წარმოებულმა ახალმა ომმა ეგვიპტის მმართველობა სხვა რეალობის წინაშე დააყენა. ისრაელის არმიამ დაიკავა სინაის ნახევარკუნძული, ღაზას სექტორი, სამარია და იუდეა და გოლანის მაღლობები. ამ სამხედრო კონფლიქტში კი საბჭოთა კავშირი არ ჩაება. 1970 წლიდან ეგვიპტის ხელისუფლების ცვლილებამ განაპირობა მისი საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებაც. ახალმა პრეზიდენტმა ანვარ სადათმა ორიენტაცია არა სსრკ-ზე, არამედ აშშ-თან თანამშრომლობაზე აიღო (მიუხედავად იმისა, რომ დიპოლომატიური ურთიერთობები მათ შორის 1967 წლის ივნისში შეწყდა). გახშირდა ვიზიტები ორი სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის, რის შემდეგაც სადათმა საბჭოთა სპეციალისტები დაითხოვა ეგვიპტიდან. 1973 წლისთვის სადათმა გადაწყვიტა ისრაელის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნება და ეგვიპტის პოზიციების განმტკიცება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რისთვისაც ოქტომბერში დაიწყო სამხედრო მოქმედებები ისრაელის წინააღმდეგ. მოცემული სამხედრო დაპირისპირება მსოფლიო ისტორიოგრაფიაში „იომ-ქიფურის ომის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ვინაიდან იგი ებრაელთა იომ-ქიფურის დღესასწაულს დაემთხვა. ნიშანდობლივია ის, რომ ეგვიპტე ამ ომში მარტო არ ყოფილა, მასთან ერთად იბრძოდა სირიაც, რომელსაც დაკარგული გოლანის მაღლობების დაბრუნება სურდა. თუმცა, ისრაელის სამხედრო ძალებმა შეძლეს ამ შეტევის მოგერიება, სუეცის არხის გადაკვეთა და სირიის სიღრმეში შესვლა. შექმნილ კრიტიკულ სიტუაციაში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰენრი კისინჯერის შუამავლობით, 1973 წლის ნოემბერში ისრაელისა და ეგვიპტის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ერთი წლის შემდეგ კი, ხელი მოეწერა შეთანხმებას ეგვიპტესა და ისრაელს და ისრაელსა და სირიას შორის, სამხედრო ძალთა

დაშორებაზე. თუმცა, კრიზისი ამით არ ამოწურულა. მისი დაძლევა შესაძლებელი გახდა 1978 წელს გაფორმებული კემპ-დევიდის წინასწარი შეთანხმების, 1979 წლის მარტში კი, ვაშინგტონში, ანვარ სადათისა და ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბეგინის მიერ ხელმოწერილი "სამშვიდობო შეთანხმებით", რომლის თანახმადაც ეგვიპტემ ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. ისრაელმა კი სინაის ნ/კ-დან ეტაპობრივად გაიყვანა თავისი ჯარები. ეგვიპტე გახდა პირველი სახელმწიფო არაბული სამყაროდან, რომელმაც აღიარა ისრაელის დამოუკიდებლობა. აღნიშნულმა, მოკავშირე არაბული ქვეყნების გაღიზიანება და მისი არაბული ლიგიდან გარიცხვა გამოიწვია.

როგორც ვხედავთ, 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების I ნახევარში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენების მართვის სადავეები აშშ-ის ხელშია, ეგვიპტე კი მისი მოკავშირის როლშია. აღნიშნულის ფონზე, ალბათ რთული წარმოსადგენია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს ეკლესიის კონტაქტები ეგვიპტის ტერიტორიაზე მოქმედ ქრისტიანულ ეკლესიასთან, თუმცა, მათ შორის ისტორიული ურთიერთობის აღდგენა სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსრკ-სა და ეგვიპტეს 50-იან წლებში საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულება აკავშირებდათ ერთმანეთთან. აღნიშნული შეეხო რელიგიურ ორგანიზაციებსაც. აფრიკის კონტინენტზე არსებობდა რუსული მართლმადიდებლური თემები, რომლებთანაც ალექსანდრიის საპატრიარქოს თანამშრომლობა აკავშირებდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალექსანდრიისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობა XX ს-ში არ დაწყებულა და მას მრავალსაუკუნოვანი, ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. XX საუკუნემ და ცივი ომის ეპოქამ მათ წინაშე ახალი რეალიები და შესაბამისი საჭიროებები შექმნა, რამაც ბიძგი მისცა ტრადიციული კავშირის აღდგენას. რუსი მკვლევარი, მღვდელი დავიდ შუპლეცოვი, XX ს-ის 60-იანი წლების ბოლოს ალექსანდრიის ეკლესიაში არსებულ მდგომარეობას აფასებს, როგორც ღრმად კრიტიკულს, ვინაიდან რეგიონში არსებულმა საომარმა ვითარებამ კონტინენტიდან ბერძნული მართლმადიდებლური მოსახლეობის მასობრივი გადინება გამოიწვია, რასაც თავის მხრივ, შედეგად მოჰყვა სასულიერო კადრების დეფიციტი და მათი რელიგიური და საღვთისმეტყველო

დონის დეგრადაცია, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და სხვ. აღნიშნულს თან ერთვოდა ეგვიპტის ხელისუფლების ჩარევა საპატრიარქოს შიდა საქმეებში და არაბულ და ბერძნულ თემებს შორის დაპირისპირების პროვოცირება (Шуплецов, 2024: 363). ვფიქრობთ, ალექსანდრიის ბერძნულ ეკლესიას სასიცოცხლოდ სჭირდებოდა ქრისტიანულ ეკლესიათა თანადგომა, განსაკუთრებით, ორთოდოქსების, რომლებსაც შესწევდათ უნარი, სერიოზული დახმარება აღმოეჩინათ მისთვის. ამ დახმარების გაწევა არ შეეძლოთ მის მეზობელ - ანტიოქიისა და იერუსალიმის ეკლესიებს, რომლებიც რეგიონში გართულებულ კონფლიქტურ მდგომარეობაში, თავად საჭიროებდნენ დახმარებას. ვერც კონსტანტინეპოლი გამოდგებოდა, ვინაიდან თურქეთის მუსლიმი ხელისუფლებისგან შევიწროვებული საპატრიარქო თავად იბრძოდა არსებობის შენარჩუნებისთვის და ამისთვის, ხშირად დასავლური ქვეყნების ინტერესების გატარება უწევდა. შექმნილ სიტუაციაში, ვფიქრობთ, ყველაზე მისაღებ კანდიდატად ალექსანდრიაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია იქნა მოაზრებული. მით უფრო, რომ იგი საბჭოთა კავშირის მთავარ რელიგიურ ინსტიტუტს წარმოადგენდა და ეგვიპტე-სსრკ-ს დაახლოების პერიოდში ხელსაყრელი ნიადაგი შეიქმნა ამისთვის. ჩვენი მოსაზრებით, სწორედ ამით აიხსნება XX ს-ის 70-იანი წლებიდან ალექსანდრიის ეკლესიის დახლოება საბჭოთა კავშირის ეკლესიებთან.

1968 წლიდან წმინდა მარკოზ მოციქულის საყდარს სათავეში ჩაუდგა პატრიარქი ნიკოლოზ VI (1968-1986 წწ) (ერისკაცობაში გეორგიოს ვეროდოპულოსი), რომლის სახელსაც უკავშირდება ალექსანდრიის ეკლესიის რეორგანიზაცია, სამონასტრო-აღმშენებლობითი საქმიანობა, აფრიკის კონტინენტზე ზიმბაბვეს სამიტროპოლიტოს დაარსება და სასულიერო განათლების განვითარება. მისი მოღვაწეობის პერიოდი ისტორიოგრაფიაში ალექსანდრიის ეკლესიის „ოქროს ხანის“ სახელწოდებითაა შესული (ბოკელავაძე, 2009:146). გარდა ზემოთ ნახსენები მიღწევებისა, სწორედ პატრიარქ ნიკოლოზის სახელს უკავშირდება რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებთან დაახლოება და მჭიდრო თანამშრომლობა.

1969 წლის ივლისში, რუსეთის პატრიარქის, ალექსი I-ის მიწვევით, პატრიარქი ნიკოლოზი 2 კვირიანი ვიზიტით ესტუმრა საბჭოთა კავშირს. ვიზიტის

განმავლობაში, ალექსანდრიის საპატრიარქოს დელეგაცია ეწვია მოსკოვს, ლენინგრადს, კიევს, ოდესას, სადაც მათი დახვედრის ღონისძიებებში მონაწილეობას იღებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც (Шуплецов, 2024:365). როგორც ჩანს, პატრიარქზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირის ხელისუფლებისა და მოქალაქეების დახვედრამ. ვიზიტიდან დაბრუნების შემდეგ, ბერძნულ მედიასთან ინტერვიუში იგი აღნიშნავდა: „[მოსკოვიდან] ვბრუნდები იმ თბილი მიღების განცდით, რაც რუსულმა ეკლესიამ გამიწია მე. იქ აღმოვაჩინე, რომ რუსი ხალხის უმრავლესობა რელიგიურია და ახალგაზრდებს შორისაც არის დიდი რელიგიურობა“. განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი კომენტარი: „მთელი რუსი ხალხის მადლობელი ვარ და ვუსურვებ წინსვლას და კეთილდღეობას... ეკლესიასთან დაკავშირებით საზღვარგარეთ ერთი გავიგეთ, აქ სხვას შევხვდით. სახელმწიფო უპირატესობას არ ანიჭებს არცერთ რელიგიას, არამედ თანაბარ თავისუფლებას აძლევს ნებისმიერ აღმსარებლობას“ (Шуплецов, 2024:365). ნათელია, რომ ხელისუფლებამ კარგად შეასრულა საკუთარი მისია და სსრკ-ში არსებული რელიგიური მდგომარეობაც ისე წარმოაჩინა, როგორც ჰქონდა მიზნად დასახული. თუმცა, ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ პატრიარქ ნიკოლოზს შეუმჩნეველი არ დარჩენია საბჭოთა ათეისტური სახელმწიფოს მოსახლეობის რელიგიურობა და ეს ხდება 60-იანი წლების ბოლოს, ხრუშჩოვის აგრესიული და ბრეჟნევის შედარებით ზომიერი, თუმცა, ანტირელიგიური პოლიტიკის პირობებში. 1972 წელს რუსეთის ახალი პატრიარქი, პიმენი ესტუმრა ალექსანდრიას, რის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა ორ ეკლესიას შორს კულტურულ ურთიერთობებს; მიღწეულ იქნა შეთანხმებები მატერიალური მხარდაჭერის შესახებ და სხვა. ამის შემდეგ პატრიარქი ნიკოლოზი რეგულარულად სტუმრობდა საბჭოთა კავშირს, მეგობრული ვიზიტებით (1973, 1976, 1977, 1979, 1981, 1982, 1983, 1985 და 1986 წლებში) (Шуплецов, 2024:366). ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მისი 1976 წლის ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ალექსანდრიის საპატრიარქოს დელეგაცია 22 ივლისიდან აგვისტომდე იმყოფებოდა აფხაზეთში (სოჭსა და მის მიმდებარე სანატორიუმებში, სადაც პატრიარქი მკურნალობას გადიოდა და პარალელურად, აღასრულებდა ღვთისმსახურებას). სწორედ ეს ითვლება ალექსანდრიის ეკლესიის საჭეთმპყრობლის პირველ ვიზიტად საქართველოში. მოცემული პერიოდისთვის

საქართველოს ეკლესიის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას განაგებდა იმ ეტაპზე მიტროპოლიტის ხარისხში მყოფი (შემდგომში პატრიარქი) ილია (შიოლაშვილი). უნდა აღინიშნოს ის, რომ პატრიარქ ნიკოლოზს იმთავითვე განსაკუთებული, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა საქართველოს ეკლესიასთან, რაც უაღრესად დადებითად აისახა ორი სამოციქულო საყდრის ურთიერთობაზე.

1981 წლის 20-31 ივლისს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს, რომლის მიზანსაც ორ უძველეს ეკლესიას შორის ისტორიული ურთიერთობების აღდგენა წარმოადგენდა. ვიზიტის ფარგლებში დაისახა ურთიერთდაახლოების გზები. ალექსანდრიის პატრიარქმა ქართულ მხარეს საეკლესიო სფეროს გარდა სამეცნიერო თანამშრომლობაც შესთავაზა: „დიდი სიამოვნებით მივიღებ თქვენ მიერ მოვლინებულ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც ალექსანდრიისა და ქაიროს სამონასტრო ბიბლიოთეკებში დაცულ ქართულ ხელნაწერებს შეისწავლიან“- აცხადებდა იგი (ალექსანდრიის...პატრიარქის... სიტყვა... 1981:9). საქართველოს პატრიარქი კი, საპასუხო სიტყვაში აღნიშნავდა: „თქვენი ვიზიტით აღადგინეთ ის უძველესი ხიდი, რომელიც არსებობდა ჩვენს ეკლესიებს შორის ჯერ კიდევ პირველი საუკუნეებიდან... ქართული ეკლესია მუდამ განსაკუთრებულ სიახლოვეს და სიყვარულს გრძნობდა ალექსანდრიის ეკლესიის მიმართ... ბოლო საუკუნეების ჟამთა სიავემ დაასუსტა ჩვენი თქვენთან კავშირი და ურთიერთობა, მაგრამ სრულიად მაინც ვერ შეწყვიტა. თქვენი ვიზიტი, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ჩვენი ურთიერთობის განმტკიცების დიდ საქმეს... აღდგება კავშირი ეკლესიურ, მეცნიერულ და კულტურულ დონეზე“ (საქართველოს კათოლიკოს.... ნიკოლოზ VI-ისადმი, 1981:12).ეს ისტორიული შეხვედრა მომდევნო წელს ალექსანდრიის საპატრიარქოს ოფიციალურ ბიულეტენში „პანტენოს“ გამოქვეყნებულ ნიკოპოლის ეპისკოპოსის, ქრიზოსტომოსის სტატიაში შემდეგნაირად შეფასდა „ეს ვიზიტი არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ეტიკეტის დაცვა... ეს იყო მეგობრული გრძნობისა და სიყვარულის გამომჟღავნება იბერიის მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ“ (ნიკოპოლის ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი...1983:25). ორ ეკლესიას შორის ხიდის აღდგენაში დიდი როლი შეასრულა მათმა ერთობლივმა მონაწილეობამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ღონისძიებებში და მჭიდრო თანამშრომლობამ მშვიდობის დაცვის

საქმეში. საგულისხმოა ის, რომ მოცემულ პერიოდში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს და მის წევრთა ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს სამშვიდობო პროცესებში რელიგიურ მოღვაწეთა ჩართვა და მათი მეშვეობით, კონფლიქტების დეესკალაცია წარმოადგენდა. რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების მაგალითზე, ჩვენ ვისაუბრეთ მართლმადიდებელ ეკლესიათა სამშვიდობო მისიასა და როლზე და ანალოგიური შეგვიძლია ვთქვათ ალექსანდრიის ეკლესიაზე. ალექსანდრიელ სამღვდელოებას ძალიან კარგად ესმოდა მშვიდობის ფასი და მისი შენარჩუნების აუცილებლობა. ამიტომ, ის ძალ-ღონეს არ იშურებდა საერთაშორისო დიალოგის მშვიდობისაკენ წარმართვისათვის ბრძოლაში. ცნობილია, ის, რომ საქართველოს ეკლესია, ჯერ კიდევ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას (შიოლაშვილი) ხელმძღვანელობით, მონაწილეობას იღებდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ეგიდით ეგვიპტეში წარმართული სამშვიდობო მისიის აღსრულებაში, რაც ახლო აღმოსავლეთში საომარი კერების აღმოფხვრისა და ისრაელის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების შეწყვეტისკენ იყო მიმართული (ბოკელავაძე, 2009:144). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის ალექსანდრიის საპატრიარქოს ინტერესი და დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიისადმი. ქართული ეკლესიასთან დაახლოებას, გარდა ისტორიული წარსულისა და პატრიარქების პიროვნული დამოკიდებულებებისა, ვფიქრობთ, ხელს უწყობდა აგრეთვე, მისი არსებობა საბჭოთა კავშირში, რომელსაც იგი პოტენციურ მოკავშირედ მიიჩნევდა. თავის მხრივ, ალექსანდრიის საპატრიარქოსთან ახლო კავშირი სჭირდებოდა საქართველოს ეკლესიასაც, ვინაიდან იგი მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს და ავტორიტეტულ საპატრიარქოს წარმოადგენდა, რომელსაც შესწევდა უნარი, პოზიტიური როლი შეესრულებინა მის ქრისტიანულ სამყაროში რეინტეგრაციისა და ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. მათი ურთიერთობაც შესაბამისად, ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა.

პირველი ასპექტი გახლდათ სამშვიდობო მისიებში თანამშრომლობა, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ორივე მხარისთვის. ამ კუთხით, შეგვიძლია გამოვყოთ 1982 წლის აპრილში მოსკოვში გამართული მსოფლიო კონფერენცია „რელიგიის მოღვაწენი ბირთვული კატასტროფისგან სიცოცხლის წმინდა ნობათის გადასარჩენად“, რომელიც ილაშქრებდა მილიტარიზაციის წინააღმდეგ და

მსოფლიოს ყველა მთავრობას, რელიგიის წარმომადგენლებსა და გაეროს მიმართავდა ატომური განიარაღებისათვის საჭირო გზების შესახებ შექმნილი დასკვნითი აქტებით. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც საქართველოს, ისე, ალექსანდრიის საპატრიარქოს წარმომადგენლები. ამ უკანასკნელის მონაწილეობა მოსკოვის მიერ ინიცირებულ ღონისძიებაში უდაოდ საინტერესო ფაქტია, ვინაიდან მოცემული პერიოდისთვის იგი წარმოადგენდა დასავლური ორიენტაციის მქონე აღმოსავლურ ქვეყანას, რომელიც უშუალოდ იყო ჩაბმული ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში. აშკარაა, რომ ეგვიპტის ხელისუფლებისგან განსხვავებით, ალექსანდრიის ეკლესია არ დისტანცირდა საბჭოთა კავშირისგან და პირიქით, მომდევნო წლებში (1983, 1985, 1986) კიდევ უფრო ინტენსიურად განაგრძობდა სტუმრობას. არ გამოვრიცხავთ თავად ეგვიპტის მმართველი ძალების ინტერესებსაც - შეენარჩუნებინათ სსრკ-თან დამაკავშირებელი ნეიტრალური რგოლი (არა არაბული ინსტიტუტი, რომელიც ყველაზე ნაკლებად ასოცირდებოდა ეგვიპტელთა იდენტობასთან), რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მიმართავდნენ საბჭოთა სახელმწიფოსთან ხელახალი დახლოებისთვის. თუმცა, ცხადია ეს არ ეწინააღმდეგება ალექსანდრიის ეკლესიის გულწრფელ, მეგობრულ დამოკიდებულებას არც რუსული და არც ქართული ეკლესიისადმი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიისადმი ალექსანდრიის საპატრიარქოს განსაკუთრებული, მეგობრული დამოკიდებულება ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოჩნდა 1982 წლის სექტემბერში, როდესაც მან ავტოკეფალიის საკითხზე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან წარმოებული მოლაპარაკებების პირობებში, ღია, მტკიცე და აქტიური მხარდაჭერა გამოუცხადა ქართულ მხარეს და შეეცადა, შუამავლის როლი შეესრულებინა პრობლემის დადებითად გადაწყვეტაში. აღნიშნულს მათი ურთიერთობის მეორე ასპექტად მივიჩნევთ. 1 სექტემბრით დათარიღებულ წერილში, ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზი კონსტანტინეპოლის პატრიარქ დიმიტრიოსს სწერდა: „ვწერთ რა თქვენს ღირსეულ ყოვლადუწმინდესობას, გამოვთქვამთ შიშს იმის შესახებ, რომ იბერიის წმინდა ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის დაყენება გამოიწვევს უთანხმოებებს როგორც დიორთოდოქსალურ, ისე დიაქრისტიანულ შეკრებებზე... ჩვენი სურვილია, ამ საკითხთან დაკავშირებით მკაფიო გადაწყვეტილება მივიღოთ მსოფლიო

საპატრიარქოსგან, რამე თუ გვინდა ვირწმუნოთ, რომ კანონიერად, პანორთოდოქსალურ საეკლესიო სინდისს წარმართავთ ახალი სიყვარულის ქმედებისაკენ, ისე, რომ კამათის გარეშე ჩადგეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურ ეკლესიათა შორის. გარეშე ყოველგვარი ტენდენციურობისა და გარემოებებისა“ (ალექსანდრიის პატრიარქის წერილი... 1990:31). წერილიდან ჩანს, რომ ალექსანდრიის პატრიარქი საკმაოდ გაბედულად, ყოველგვარი ყოყმანისა და სიფრთხილის გარეშე გამოხატავდა მხარდაჭერას ქართული ეკლესიისადმი და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მის არალეგიტიმურ ქმედებებზე მიანიშნებდა. არ გამოვრიცხავთ მასზე რუსეთის ეკლესიის პოზიციის გავლენასაც, თუმცა, ალექსანდრიის ეკლესიის მწყემსმთავრის მხარდაჭერა უდაოდ, მნიშვნელოვანი და დასაფასებელია. მის და სხვა მართლმადიდებელ საპატრიარქოთა პოზიციას შეეძლო დიდი წვლილი შეეტანა საქრისტიანოს საზოგადოებრივი აზრის საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ წარმართვაში.

1983 წელს პატრიარქი ნიკოლოზი კვლავ ეწვია საქართველოს. მომდევნო წელს კი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იმყოფებოდა საპასუხო ვიზიტით ეგვიპტეში. ოფიციალური დიალოგების მთავარ აქცენტს მშვიდობის შენარჩუნება და მასში ეკლესიის როლი წარმოადგენდა. პატრიარქი ნიკოლოზი შენიშნავდა: „ამ ძალზე დაძაბულ მდგომარეობაში, რომელიც ამჟამად მთელს ქვეყანაზე სუფევს, ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ ვიზიტების გაცვლა აუცილებელია არა მხოლოდ მორწმუნეთა კეთილგონიერების განმტკიცებისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ იგი ხელს შეუწყობს კაცობრიობის უდიდეს მისწრაფებას - მშვიდობას. ჩვენ, ვითარცა პატრიარქი ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა, ჩვენს წმინდა სამღვდელოებასთან და მორწმუნე ხალხთან ერთად ვიღწვით, რათა დავიცვათ ქრისტიანული სულის ერთიანობა. მივმართავთ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს, რათა გამონახონ საერთო ენა, ააცდინონ კაცობრიობას ყოველივე ბოროტი. ესაა მთავარი ამოცანა, რომელიც ჩვენი ეკლესიების წინაშე დგას დღეს. აუცილებელია, შენარჩუნებულ იქნას ერთიანობა (ალექსანდრიის... მისასალმებელი სიტყვა, 1984:11). როგორც ვხედავთ, ალექსანდრიის უძველესი საყდრის წინამძღოლის მთელი ძალისხმევა არსებული საფრთხეების დაძლევისკენაა მიმართული. ამ საქმეში კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პირობად საეკლესიო

მოღვაწეთა აქტიურ ჩართულობას მიიჩნევს. რელიგიურმა მოღვაწეებმა მართლაც უდიდესი როლი შეასრულეს ცივი ომის პერიოდის მოვლენებში. თუმცა, აქ ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესოა პატრიარქ ნიკოლოზის სიტყვები საქართველოს ეკლესიაზე: „დიდად ვაფასებთ და ვადიდებთ თქვენი საპატრიარქოს და ღვთისმორწმუნე მრევლის კეთილმსახურებასა და გულმოდგინებას. გარწმუნებთ, რომ შევინარჩუნებთ ჩვენს შორის არსებულ სულიერ კავშირს.მუდამ მხარში ვედგებით მართლმადიდებლური ეკლესიის უცვლელ და მარადიულ იდეებსა და ტრადიციებს“ (ალექსანდრიის... მისასალმებელი სიტყვა, 1984:12). პატრიარქმა პირნათლად აღასრულა თავისი სიტყვები: სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა საქართველოს ეკლესიასთან თანამშრომლობა და მისი მხარდამჭერი პოზიცია. საბოლოოდ იგი, 1986 წელს, საბჭოთა კავშირში მორიგი ვიზიტის დროს, მოსკოვში გარდაიცვალა.

ამგვარად, XX ს-ის 70-80-იან წლებში წმინდა ანდრია და მარკოზ მოციქულების საყდართა მწყემსმთავრების ძალისხმევამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. აღდგა საუკუნეების წინ დაწყებული კონტაქტები და თანამშრომლობა, რაც არა მხოლოდ ორი ეკლესიის დაახლოებაზე, არამედ მოცემულ პერიოდში არსებული ლოკალური და გლობალური კონფლიქტებისა და ზოგადსაკაცობრიო გამოწვევების დაძლევაზე იყო ორიენტირებული. საერთო მიზანი და პრობლემები კიდევ უფრო მეტად უწყობდა ხელს მათი კავშირის გაღრმავებას. ორი პატრიარქის მცდელობამ და მათ მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი ეპოქა შექმნეს საქართველოსა და ალექსანდრიის მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობის ისტორიაში.

2.6. საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა იერუსალიმის მართლმადიდებელ ეკლესიასთან

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოს სამოციქულო ეკლესია ახლო აღმოსავლეთის კიდევ ერთ და ქრისტიანული სამყაროს უმნიშვნელოვანეს ეკლესიასთან - იერუსალიმის წმინდა საყდართან იწყებს ურთიერთობების განახლებას. აღნიშნული არც ისე მარტივი იყო, რეგიონში არსებული უკიდურესად დაძაბული ვითარების ფონზე, ვინაიდან საბჭოთა კავშირი ერთმნიშვნელოვნად პროარაბულ ორიენტაციას ინარჩუნებდა ებრაელთა და არაბთა დაპარისპირებაში, რასაც ექვსდღიანი ომის შემდეგ, 1967 წლის 10 ივნისს სსრკ-სა და ისრაელს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა მოჰყვა. საბჭოთა იმპერიის წარმომადგენლები ისრაელის საზოგადოებაში ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევდნენ, რაც უარყოფითად აისახა იერუსალიმში რუსული სასულიერო მისიის ცხოვრებაზეც.

ცნობილია, რომ რუსეთს ჯერ კიდევ XIX ს-ში ჰქონდა წმინდა მიწაზე „სასულიერო მისია“ ჩამოყალიბებული, რომელიც ეკლესია-მონასტრების გარდა, მოიცავდა აგრეთვე, მიწების ნაკვეთებს, სავადმყოფოებს, სასტუმროებს პილიგრიმებისთვის და სკოლებს. მისიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო ახლო აღმოსავლეთის რუს და მართლმადიდებელ მოსახლეობაზე ზრუნვა, რუსი პილიგრიმების მიღება და მართლმადიდებელი არაბების განათლება. საეკლესიო-კულტურული მოღვაწეობის გარდა, მისია დიპლომატიურ ფუნქციებსაც ითავსებდა და ხელს უწყობდა რეგიონში რუსეთის პოზიციების განმტკიცებას. 60-იან წლებში ნ. ხრუშჩოვის მიერ მისიის უძრავი ქონების გაყიდვამ თავისი დაღი დაასვა რუს სამღვდელოთა მოღვაწეობას, თუმცა, მისიას არსებობა არ შეუწყვეტია. მისი წევრები აგებდნენ ახალ ტაძრებს და აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას. სასულიერო მისიის საქმიანობის განახლება და პოზიციების განმტკიცება რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ 60-იან წლებში ხელახლა სცადა. წმინდა მიწის რუსულ დასს ჰქონდა პირდაპირი კონტაქტები ისრაელის ხელისუფლებასთან და აგრეთვე, მნიშვნელოვან როლს

ასრულებდა მოსკოვისა და იერუსალიმის საპატრიარქოთა შორის ურთიერთობების განვითარებაში (Звонарёв, 2024). თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ისრაელსა და სსრკ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამ დიდი ხნით შეაფერხა მისი საქმიანობა. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, კავშირი მოსკოვისა და იერუსალიმის საპატრიარქოებს შორის არ გაწყვეტილა. პირიქით, 70-80-იან წლებში ადგილი ჰქონდა გაცვლით ვიზიტებს, მათ შორის, რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა შეხვედრას ისრაელის ხელისუფლებასთან (Звонарёв, 2024).

მოსკოვისა და იერუსალიმის საპატრიარქოთა თანამშრომლობითმა ურთიერთდამოკიდებულებამ თავისი გავლენა იქონია საქართველო-იერუსალიმის ეკლესიათა ისტორიული კავშირის აღდგენაზეც.

საქართველოსა და იერუსალიმის სამოციქულო საყდართა ურთიერთობას სხვა ეკლესიებთან კონტაქტებზე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი. ადრეშუასაუკუნეებიდანვე ქართველი ბერები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ წმინდა მიწაზე სამონასტრო ცხოვრების განვითარების საქმეში, რაც ქართული საეკლესიო–კულტურული სავანეების დაარსებასაც გულისხმობდა. დროთა განმავლობაში, ქართველთა პოზიციები წმინდა მიწაზე შესუსტდა. XIX საუკუნიდან ჯერ ცარისტული, შემდეგ კი საბჭოთა რეჟიმის პირობებში, იერუსალიმის ეკლესიასთან ურთიერთობების აღდგენის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

ორ უძველეს საყდარს შორის კავშირის განახლებაზე მუშაობის დაწყება მხოლოდ გასული საუკუნის 70–იანი წლების მიწურულსა და 80–იანი წლების დასაწყისში გახდა შესაძლებელი. აღსანიშნავია ის, რომ XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოსა და იერუსალიმის საპატრიარქოებს შორის ურთიერთობები ძირითადად ეპისტოლარულ ხასიათს ატარებდა და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ოფიციალური წერილებით შემოიფარგლებოდა. 80–იანი წლების დასაწყისიდან კი, მისი უწმინდესობის, ილია II–ის ძალისხმევით, ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. საქართველოს ეკლესია აქტიურად შეუდგა იერუსალიმის ეკლესიასთან ურთიერთობების განახლებას. დაისახა საეკლესიო თუ დიპლომატიურ საკითხებში

თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები, რაც ორმხრივი ვიზიტებითა და ცოცხალი, მჭიდრო კავშირით იყო შესაძლებელი. მოცემულ პერიოდში, საქართველოსა და იერუსალიმის მართლმადიდებელ საპატრიარქოთა ურთიერთობების ძირითად, საკვანძო საკითხს იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და მასზე ქართველთა ისტორიული უფლებების აღდგენა წარმოადგენდა. ჩვენც ყურადღებას სწორედ აღნიშნულ საკითხზე გავამახვილებთ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა შესწავლილი ჯვრის მონასტრის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები. ამიტომ, მოცემულ ქვეთავში მისი ისტორიის განხილვაზე აღარ შევჩერდებით. ჩვენთვის საყურადღებოა ის კულტურული და პოლიტიკური ფუნქცია, რაც ამ ქართულ სავანეს ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში. ცნობილია, რომ იგი სასულიერო კერის გარდა, წარმოადგენდა ასევე შემოქმედებისა და მწიგნობრობის, ადგილობრივი და ქართული ქრისტიანული კულტურის მონაპოვართა ურთიერთგაზიარებისა და გაცვლის ცენტრს, რომელიც იმავდროულად, მჭიდროდ იყო დაკავშირებული როგორც პალესტინა–საქართველოს, ისე იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან ურთიერთობებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული დიპლომატიის დასაყრდენს წმინდა მიწაზე, სწორედ ჯვრის მონასტერი წარმოადგენდა. ამით იყო განპირობებული ქართველ მეფეთა საგანგებო ზრუნვა (როგორც მატერიალური, ისე უფლებრივი მდგომარეობის კუთხით) მონასტერზე. თუმცა, ერთიანი ქართული სამეფოს დაშლისა და მახლობელ აღმოსავლეთში არსებული რთული ვითარების ფონზე, ნელ–ნელა შესუსტდა მონასტრისადმი დახმარება ქართული მხრიდან. პალესტინის ოსმალთა ხელში გადასვლის (1516 წ.) შემდეგ, ჯვრის მონასტრისა და ზოგადად, ქრისტიანული ტაძრების მდგომარეობა იერუსალიმში, ძალზე გართულდა. ოსმალთა მხრიდან მართლმადიდებლურ სალოცავებზე დაწესებულმა მძიმე გადასახადებმა განაპირობა ის, რომ ქართული ტაძრების ნაწილი კათოლიკეების, ნაწილი კი – ბერძნების ხელში გადავიდა. არსებული ვითარება აისახა ჯვრის მონასტერზეც. ჩვენთვის საინტერესოა იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის 1681 წლის ვიზიტი საქართველოში. როგორც მეფე არჩილ II–სადმი პატრიარქის მიერ გაგზავნილი ეპისტოლედან (1682 წლის 23

სექტემბერს) ირკვევა, ქართულმა მხარემ იერუსალიმის ქართულ სიწმინდეთა დახმარებისთვის არაფერი დაზოგა და თავისი ვალდებულება პირნათლად შეასრულა (მამისთვალიშვილი, 2008:126). საქართველოდან აღებული შესაწირითა და საფასით, პატრიარქმა დოსითეოსმა 1685 წელს ჯვრის მონასტერი დაიხსნა. თუმცა, ჩვენს ყურადღებას იქცევს ხსენებული პატრიარქის მიერ 1686 წლის აპრილში, მოსკოვის პატრიარქ იოაკიმისადმი გაგზავნილი წერილი: „იერუსალიმში ივერთა მონასტრები დავალიანებული იყო 94 000 ეფიმკით. უკვე 30 წელია, რაც მათ მონასტრები მიატოვეს და გაიქცნენ. არ შეგვეძლო დაგვეშვა, რომ ლათინებსა და სომხებს გამოესყიდათ მევალეებისაგან ის მონასტრები. გასულ წელს მივედით იერუსალიმში შესაწირავებით, ქართველებმაც მოგვცეს, ზოგიერთი ვალიც ავიღეთ და მთელი ვალი გადავიხადეთ და გავათავისუფლეთ მათი მონასტრები...“ (მამისთვალიშვილი, 2008:126). პროფ. ელდარ მამისთვალიშვილის შეფასებით, „იერუსალიმის ეკლესიის მეთაურის მიერ მოსკოვის პატრიარქისათვის საქმის რეალური ვითარების დამალვა და ქართველთა მხოლოდ მცირე წვლილის მოხსენიებას მონასტრების გათავისუფლების საქმეში, თავისი მიზანი ჰქონდა: იერუსალიმის პატრიარქი ცდილობდა, შეექმნა საერთაშორისო აზრი, რომელიც მომავალში, საპატრიარქოს საკუთრებაში ქართული მონასტრების გადასვლას გაამართლებდა. ქართული სალოცავების ვალებიდან გათავისუფლებისთანავე, იერუსალიმის საპატრიარქომ, პატრიარქ დოსითეოსის მეთაურობით, ისინი მაშინვე თავის სისტემას დაუქვემდებარა“ (მამისთვალიშვილი, 2008: 126–127). აღნიშნული ფაქტი დაედო საფუძვლად მრავალსაუკუნოვანი ქართული სავანის იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს იურისდიქციაში გადასვლას.

1980 წლის 30 მაისიდან – 5 ივნისამდე, იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქის, ბენედიქტე I-ის მიწვევით, წმინდა მიწას ეწვია საქართველოს პატრიარქი ილია II. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის ვიზიტს იერუსალიმში, ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან 200 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც წმინდა მიწაზე საქართველოს პატრიარქს ფეხი არ დაუდგამს. 1 ივნისს, მაცხოვრის საფლავის ეკლესიაში საღმრთო–სადღესასწაულო წირვის აღსრულების დროს წარმოთქმულ სიტყვაში, მისი

უწმინდესობა ილია II მასპინძელ პატრიარქს მიმართავდა: „ჩვენი ჩამოსვლის მიზანი, თქვენო უნეტარესობავ, არის ის, რომ აღდგეს ის ძველი ტრადიციული ურთიერთობა, რაც გაგვაჩნდა ადრე. წარსულში, ჩვენი ქვეყნების ავბედობამ შეწყვიტა ეს ძმური ურთიერთობა და დღეს კი, ვიქრობ, დადგა დრო, როცა იერუსალიმის ეკლესიამ უნდა შეასრულოს ის დიდი მისია, რაც ეკუთვნის დედა ეკლესიას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ორივე მხრიდან: თქვენი უნეტარესობისაგან და ჩვენგან იქნება მიღებული ყოველგვარი ზომები, რომ ურთიერთკავშირი გაძლიერდეს. ეს სჭირდება ორივე მხარეს“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის... სიტყვა... ბენედიქტე I-ისადმი, 1980:10). 31 მაისს, ისრაელის რელიგიის მინისტრ, ისრაელ აპელთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე, მინისტრის კითხვაზე, ფიქრობდა თუ არა, საქართველოს ეკლესია ჯვრის მონასტერში ქართველი ბერების მოღვაწეობის განახლებაზე და ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხის აღძვრაზე, საქართველოს პატრიარქმა უპასუხა: „დიაღ, ჯვრის მონასტერი ჭეშმარიტად ქართული მონასტერია, ქართველთა მიერ აშენებული. აქ, საუკუნეთა მანძილზე მოღვაწეობდა მრავალი ქართველი და მათ შორის, გენიალური შოთა რუსთაველი. ჩვენი სურვილია, ეს ტრადიცია გაგრძელდეს... რომ დღის სინათლეზე წარმოჩნდეს ჩვენი ერის ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საბუთი, რომლებიც ინახება ჯვრის მონასტერში და რომელთა შესწავლა აუცილებელია ერისა და ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე. მე ვფიქრობ, რომ პატრიარქ ბენედიქტე I -თან მოლაპარაკების შედეგად ჩვენ მივაღწევთ ამას“ (ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი...ნიკოლოზი..., 1980:21).

ვიზიტის ფარგლებში, ისრაელის რელიგიის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე, ისრაელის კულტურის სამინისტროს გენერალურმა დირექტორმა, ლიპელმა, საქართველოს პატრიარქთან საუბრისას, გამოთქვა სინანული, რომ ქართველები აღარ მოღვაწეობდნენ ჯვრის მონასტერში და აღნიშნა, რომ იგი ყველაფერს გააკეთებდა, რათა ქართველები ისევ დაბრუნებოდნენ იერუსალიმის ქართულ ჯვრის მონასტერს. აღნიშნულ საკითხში, პატრიარქს თანადგომა გამოუცხადეს ისრაელში მცხოვრებმა ქართველმა ებრაელებმაც, რომელთაც მის უწმინდესობას აღუთქვეს, რომ ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენდნენ ქართულ

ეკლესიას ჯვრის მონასტრის დაბრუნების საქმეში (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის...ვიზიტი იერუსალიმში, 1980: 11).

საქართველოს ეკლესიის დელეგაციის პირველი ვიზიტი წმინდა მიწაზე, წარმატებული და იმედისმომცემი აღმოჩნდა. დაისახა ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები და ისტორიული ურთიერთობის აღდგენა–განახლების ორმხრივი სურვილი. თუმცა, მალე, იერუსალიმის ეკლესიის საჭეთმპყრობელი ბენედიქტე I გარდაიცვალა და საპატრიარქო ტახტზე იგი უწმინდესმა დიოდოროს I- მა შეცვალა. ქართულმა მხარემ ჯვრის მონასტერში ქართველი ბერების დაბრუნების საკითხი ახალი პატრიარქის წინაშეც დააყენა. უკვე 1981 წლის 12 მაისს, პატრიარქ დიოდოროსისადმი გაგზავნილ წერილში, საქართველოს პატრიარქი წერდა: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი უნეტარესობის პატრიარქობაში აღდგება ტრადიციული კავშირი ჩვენ შორის და ჩვენი ბერები ძველებურად იმოღვაწებენ წმინდა მიწაზე“ (ილია II, ნაწ. I, 2016:246).

საინტერესოა 1981 წლის 17–20 სექტემბერს იერუსალიმის პატრიარქის დიოდოროს I-ის საპასუხო ვიზიტი საქართველოში. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, ოფიციალურ თუ დარბაზობის დროს გამართულ დიალოგებში, იერუსალიმის ახალ პატრიარქსაც ახსენებდა ჯვრის მონასტრისა და იერუსალიმისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ურთიერთობის ისტორიას. ისტორიულ წყაროთა მოხმობით (მათ შორის, იერუსალიმელ პატრიარქთა ჩანაწერებით), მიუთითებდა წმინდა მიწაზე ქართველთა უფლებების შესახებ და გამოთქვამდა იმედს, რომ იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოც გადადგამდა შემხვედრ ნაბიჯებს ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად. უნეტარეს დიოდოროსისადმი წარმოთქმულ სიტყვაში, საქართველოს პატრიარქი იმოწმებდა იერუსალიმის პატრიარქის, დოსითეოზის 1706 წლის სიგელს: „ჯვარის მონასტერი, (როგორც ქართველთ კუთვნილება), უნდა გადაეცეს ქართველებს, რათა იყვნენ მას შინა ნამდვილი და სრულუფლებიანი პატრონნი ქრისტეს მოყვარე ივერიელნი; როცა ღმერთი ინებებს და ივერიიდან მოვა იღუმენი, მაშინ მან მიიღოს თავის გამგეობაში ყველა მონასტერი, როგორც ეს იყო ადრე“ (მამისთვალიშვილი, 2008:228). თუმცა,

იერუსალიმელი პატრიარქი ამ საკითხზე ოფიციალური კომენტარის გაკეთებისგან დიდხანს იკავებდა თავს.

ასეთივე თავშეკავებული აღმოჩნდა პატრიარქი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით, როდესაც 1982 წელს პატრიარქმა ილია II-მ წერილები გაუგზავნა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს და მხარდაჭერა ითხოვა. 1982 წლის 1 სექტემბრით დათარიღებულ საპასუხო წერილში პატრიარქი დიოდოროსი წერდა: „გავეცანით თქვენს ძვირფას წერილებს... და ვგრძნობთ ამ საკითხის მთელს სერიოზულობას და მისი დეტალური შესწავლის აუცილებლობას მთელი ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის საკეთილდღეოდ. გადავწყვიტეთ, შესწავლილ იქნეს საქართველოს ეკლესიის საკითხი, ხოლო დიპტიქის საკითხი მივანდოთ მომავალ პანორთოდოქსალურ კონფერენციას“. (იერუსალიმის პატრიარქის..., 1990:31). უცნაურია ის, რომ წერილში იერუსალიმელი პატრიარქი საუბრობს საქართველოს ეკლესიის საკითხის შესწავლაზე და იმავდროულად, მის მწყემსთავარს მიმართავს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულით. აშკარაა, რომ პატრიარქი სიფრთხილეს იჩენს. არ გამოვრიცხავთ იმას, რომ მისი თავშეკავებისა და სიფრთხილის მიზეზი შესაძლოა, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პოზიცია ყოფილიყო, ვინაიდან ის ვერ წავიდოდა საკუთარი ბანაკის წევრ ეკლესიასთან ღია დაპირისპირებაზე.

საინტერესოა ის, რომ 1987 წლის 5 ოქტომბერს, იერუსალიმის პატრიარქის მიწვევით, წმინდა მიწას კვლავ ესტუმრა ქართული ეკლესიის დელეგაცია. ვიზიტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებდა, ვინაიდან, სწორედ ამ ვიზიტის ფარგლებში, 1987 წლის 8 ოქტომბერს, ჯვრის მონასტერში საქართველოს პატრიარქის მიერ, ქართულ ენაზე აღევლინა პარაკლისი (ეპისკოპოსი ზოსიმე... წმინდა მიწაზე, 1987:32). ქართული ეკლესიის წარმომადგენელთა იერუსალიმში ყოფნის დროს, კიდევ ერთხელ იქნა დასმული ჯვრის მონასტერში ქართველთა მოღვაწეობის საკითხი. მონასტრის ქართველთა საკუთრებაში დაბრუნებაზე იერუსალიმის პატრიარქმა პასუხისგან ამჯერადაც თავშეკავება ამჯობინა. რაც შეეხება მონასტერში ქართველი ბერების მოღვაწეობას, მხოლოდ 13 ოქტომბერს, პატრიარქმა დიოდოროსმა იმედი

გამოთქვა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდებოდა (ეპისკოპოსი ზოსიმე... წმინდა მიწაზე, 1987:35).

ცხადია, იერუსალიმის პატრიარქი საკითხს დამოუკიდებლად ვერ გადაწყვეტდა. მას ამისთვის სჭირდებოდა ხელისუფლების თანხმობა. საქართველოს პატრიარქმა ჯვრის მონასტრის დაბრუნების საქმეში დახმარებისთვის მიმართა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს, შიმონ პერესს და ისრაელის პრემიერ–მინისტრს, იცჰაკ შამირს. მათდამი გაგზავნილ წერილში პატრიარქი ხაზს უსვამდა ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვან ძმურ ურთიერთობას და აღნიშნავდა, რომ იმ ვითარების ფონზე, როდესაც გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო, ჭირდა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, ჯვრის მონასტერს შეეძლო მათ შორის დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციის შესრულება. უწმინდესი ითხოვდა, ისრაელის ხელისუფლების დახმარებას, ჯვრის მონასტერზე საქართველოს საპატრიარქოს უფლებების აღდგენაში (ილია II, 2016:55). ისრაელის სახელმწიფოს ოფიციალურ პირებს ჯვრის მონასტრის საკითხის გადაწყვეტა ქართველთა სასარგებლოდ, შესაძლებლად მიაჩნდათ, თუ მისდამი დაინტერესებას ოფიციალურად დაადასტურებდა საბჭოთა მთავრობაც. ქართველ პატრიარქს აღნიშნულ საკითხში დახმარება აღუთქვა ისრაელის პრეზიდენტმა ხაიმ ჰერცოგმა და რელიგიის საქმეთა მინისტრმა - ზებულონ ჰამერმაც (ილია II, 2016: 57–58).

როგორც პატრიარქის ილია II –ის მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჯუმბერ პატიაშვილის სახელზე გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, ქართველთა სასულიერო ცენტრის აღდგენას წმინდა მიწაზე, მხარს უჭერდა რუსეთის ეკლესიის პალესტინის წარმომადგენლობაც. ისინი აღუთქვამდნენ პატრიარქს, რომ იზრუნებდნენ ამ საქმის დადებითად გადაწყვეტისთვის, თუ სათანადო ორგანოების მითითებით, ჯვრის მონასტრის საკითხი მათ კომპეტენციაში შემავალ მოსაგვარებელ საკითხთა რიცხვში შევიდოდა (ილია II, 2016:58).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა მთელი ძალისხმევა საბჭოთა ხელისუფლების დახმარების მოპოვებისაკენ მიმართა. მან საგანგებო წერილებით მიმართა საბჭოთა კავშირის

იმჟამინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს – ედუარდ შევარდნაძეს; საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს – ოთარ ჩერქეზიას; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს – ზურაბ ჩხეიძეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს – ჯუმბერ პატიაშვილს. პატრიარქი, შესაბამისი სამთავრობო უწყებების მეშვეობით, საბჭოთა ხელისუფლებას დახმარებას სთხოვდა ჯვრის მონასტრის დაბრუნების ისტორიულ საქმეში. (ილია II, 2016:58). თუმცა, პატრიარქის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ვფიქრობთ, აღნიშნულს განაპირობებდა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: 1) მოცემული პერიოდისთვის არსებული საერთაშორისო ვითარება და „ცივი ომის“ პერიოდის დაძაბული ურთიერთობები დასავლურ და აღმოსავლურ ბანაკებს შორის. ისრაელისთვის, მიუხედავად ებრაელთა და ქართველთა შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობისა, მოცემული პერიოდისათვის, საქართველოს, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საკუთრებაში მყოფი სასულიერო და დიპლომატიური ცენტრის არსებობა საკუთარ მიწაზე, ყოვლად დაუშვებელი იყო და 2) ისრაელის ტერიტორიაზე არსებული იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო, რომელიც ჯვრის მონასტერს საკუთარი ძალისხმევითა და საფასით გამოსყიდულ საკუთრებად თვლიდა და თუ გავითვალისწინებთ, XVIII-XIX სს–ში შექმნილ ბერძნულ წყაროებს, რომლებიც ჯვრის მონასტერს დაარსებიდანვე ბერძნულ მონასტერად აცხადებდა, ბუნებრივია, ვერ დაუშვებდა მასზე საქართველოს საპატრიარქოს უფლებების აღდგენას. მიუხედავად ისრაელის ხელისუფლების მხრიდან საჯაროდ დეკლარირებული მხარდაჭერისა და იერუსალიმის საპატრიარქოს თანამშრომლობითი პოზიციისა, ჯვრის მონასტრის საკითხი 80-იან წლებში გადაუჭრელი დარჩა.

მესამე თავი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა წმინდა საყდართან და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან

3.1. ვატიკანისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობები ცივი ომის პერიოდში

XX ს-ის 70-80-იანი წლების საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ურთიერთობა წმინდა საყდართან - ერთ-ერთ-ყველაზე გავლენიან და ავტორიტეტულ რელიგიურ ძალასთან, რომლის შესწავლისთვის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია თავად საბჭოთა კავშირსა და ვატიკანს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების, მისი ძირითადი მიზეზებისა და შედეგების განხილვა, ვინაიდან ყოველივე ეს პირდაპირპროპორციულად აისახებოდა სსრკ-ში მოქმედი ყველა რელიგიური ორგანიზაციის რომთან კონტაქტებზე.

"წმინდა საყდარსა" და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთდამოკიდებულებას ძირითადად, განსხვავებული იდეოლოგიები და პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავდა, ათეიზმი, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალურ იდეოლოგიად გამოცხადდა, ბუნებრივია, ვერასდროს იქნებოდა რომის იერარქთათვის მისაღები, თუმცა, იდეოლოგიურ პრობლემას მხოლოდ ათეიზმი არ წარმოადგენდა. ტოტალიტარიზმი, რომელიც საბჭოთა სისტემის ქვაკუთხედად იქცა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა, ასევე, პრინციპულად მიუღებელი იყო „წმინდა საყდრისთვის", რომელსაც ჯერ კიდევ XIX ს-ის 60-იან წლებში, პაპ პიუს IX-ის „სილაბუსით" (1864 წ.) დაგმობილი ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის ყველა უფლების განსაზღვრის იდეა. (სურგულაძე და სხვანი, 2022:182). კომუნიზმი და მისი მიმდევრები ვატიკანში იმთავითვე აღიქვეს, როგორც საფრთხე ქრისტიანული ცივილიზაციისთვის. აღნიშნულის გამოძახილი იყო რომის პაპის პიუს XI-ის 1937 წლის ენციკლიკა, რომელიც საჯაროდ გმობდა ათეისტურ კომუნიზმს (Divini Redemptoris… 1937).

იდეოლოგიური შეუთავსებლობის გარდა, საბჭოთა რეჟიმის „წმინდა საყდართან“ კონფლიქტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მკვლევრები კათოლიკური ეკლესიის სტრუქტურას და მოწყობის პრინციპს ასახელებენ. კერძოდ, საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ კათოლიკური ეკლესიის ცენტრი, მისი იერარქიული წყობიდან გამომდინარე, სსრკ-ის ფარგლებს გარეთ, რომში მდებარეობდა. საბჭოთა ხელისუფლება კი, ჯერ კიდევ ბოლშევიკური მთავრობის 1918 წლის ინსტრუქციებით, აღიარებდა ეკლესიების მხოლოდ ადგილობრივ თემს და არა სრულად საეკლესიო სტრუქტურას. აქედან გამომდინარე, კათოლიკეებთან ურთიერთობის სფეროში „დიალოგის“ მეორე მხარედ მოიაზრებოდა არა რომი, არამედ სსრკ-ს ფარგლებში მცხოვრები კათოლიკური თემის წარმომადგენლები, რომელთაც არ ჰქონდათ მოპოვებული სახელმწიფოს მხრიდან აღიარება, რეგისტრაციის გზით (სურგულაძე და სხვანი, 2022:183).

მესამე ძირითად და მნიშვნელოვან მიზეზად (შესაძლოა პირველიც იყოს), რომელმაც სსრკ-სა და რომს შორის დაპირისპირება გამოიწვია, შეგვიძლია დავასახელოთ პოლიტიკური შეხედულებები და გლობალური ინტერესები. კერძოდ, რომის ეკლესია ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან ცდილობდა აღმოსავლეთის ქრისტიანებში კათოლიციზმის და შესაბამისად, მათ მიწებზე საკუთარი იურისდიქციის გავრცელებას, რაც ბუნებრივია, წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსეთის როგორც ხელისუფლების, ისე ეკლესიის ინტერესებთან. მოსკოვის საპატრიარქოსთვის, რომელსაც თავად ჰქონდა პრეტენზია ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიდერობაზე, პრინციპულად მიუღებელი იყო კათოლიციზმის გავრცელება, განსაკუთრებით სლავურ მიწებზე. რუსეთის ხელისუფლებისათვის კი, კათოლიციზმი ცალსახად დაკავშირებული იყო დასავლეთის სახელმწიფოებთან და მათ პოლიტკურ ინტერესებთან. შესაბამისად, „წმიდა საყდრის“ მიერ სლავურ მიწებზე იურისდიქციის გავრცელება დასავლეთის ამბიციებთან ასოცირდებოდა. აღნიშნული მოსაზრება დომინირებდა საბჭოთა კავშირშიც, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა 60-80-იან წლებში და რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სსრკ-დასავლეთის ურთიერთობაში.

საბჭოთა ხელისუფლებასა და ვატიკანს შორის კონფლიქტის მეოთხე მიზეზს „წმინდა საყდრის“ ე.წ. „პოლონური პოლიტიკა“ წარმოადგენდა, რომელმაც ასევე განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ორი მხარი ურთიერთობის ფორმირებაში. ჯერ კიდევ 1918 წელს (პოლონეთის დამოუკიდებლობის მოპოვების წელს) „წმინდა საყდრის“ ნუნციუსად ვარშავაში დაინიშნა აჩილე რატი (მომავალი პაპი პიუს XI), რომელსაც ახლად წარმოქმნილ პოლონეთის რესპუბლიკაში ელჩის მოვალეობის გარდა, რუსეთის იმპერიის ყოფილ სახელმწიფოებსა და რომს შორის შუამავლის როლის შესრულება დაეკისრა (სურგულაძე და სხვანი, 2022:183). ბოლშევიკური ხელისუფლებისთვის იმთავითვე ცხადი გახდა რომის პაპის პოზიცია, რის გამოც პოლონეთი შემდგომშიც საგანგებო ყურადღების ობიექტად იქცა. განსაკუთრებით, 1978 წლიდან, როდესაც პაპის ტახტი პოლონელმა კარდინალმა - კაროლ ვოიტილამ (იოანე პავლე II) დაიკავა.

ზემოთ ჩამოთვლილმა მიზეზებმა ვატიკანსა და სსრკ-ს შორის არასახარბიელო ურთიერთობის ჩამოყალიბება განაპირობა, რაც თავის მხრივ, აისახა საბჭოთა კავშირის კათოლიკე მოსახლეობის ცხოვრებაზე. უკვე 20-30-იან წლებში, ფართოდ გაშლილი ანტირელიგიური კამპანიის პირობებში, როდესაც ხელისუფლება პირდაპირ თუ ირიბად ებრძოდა რელიგიურობის ყველა გამოვლინებას სახელმწიფოში, განსაკუთრებულ სიმკაცრეს იმ რელიგიური ორგანიზაციებისა და თემების მიმართ იჩენდა, რომლებიც მისთვის დასავლეთთან ასოცირდებოდნენ. ასეთებად კი სწორედ კათოლიკეები და პროტესტანტები მოიაზრებოდნენ. დაიწყო მასობრივი რეპრესიები მათი მისამართით. დაპატიმრებები, გადასახლება, ფიზიკური ლიკვიდაცია, კათოლიკური ტაძრების დახურვა, საეკლესიო ნაგებობების კონფისკაცია და სხვა. კათოლიკე სამღვდელოებასა და მორწმუნეებს ეკრძალებოდათ ვატიკანთან პირდაპირი ურთიერთობა. იკრძალებოდა ფინანსური მხარდაჭერაც (Tokareva, 2016:380).

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ბალტიისპირეთსა და პოლონეთის ნაწილზე კომუნისტური გავლენის დამყარებამ დიდი დარტყმა მიაყენა რომს, როგორც კათოლიკეთა სულიერ და ადმინისტრაციულ ცენტრს, ვინაიდან მნიშვნელოვნად შეიზღუდა ამ ტერიტორიებზე მისი საქმიანობა. ომის შემდგომ კი, როგორც

მოსალოდნელი იყო, გაძლიერდა კათოლიკეთა დევნა არა მხოლოდ სსრკ-ის ტერიტორიაზე (განსაკუთრებით, ესტონეთში, ლატვიასა და ლიეტუვაში), არამედ სრულიად სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში და თვით კომუნისტურ ჩინეთშიც. იოსებ სტალინის შედარებით კომპრომისული რელიგიური პოლიტიკის პირობებში ეს ალბათ გასაკვირია, თუმცა, უნდა აღინიშნოს ის, რომ მისი კომპრომისები მეტწილად რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობაზე ვრცელდებოდა და არა კათოლიკურ თემზე.

ყოველივე აღნიშნულის საპასუხოდ, რომის პაპმა პიუს XII-მ (1939–58), მოახდინა მსოფლიოს კათოლიკური ძალების მობილიზება კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, წამოიწყო გლობალური კამპანია ბოლშევიზმისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სწორედ მან შეასრულა დიდი როლი XX ს-ის 40-50-იან წლებში საერთაშორისო ასპარეზზე ანტიკომუნისტური პოლიტიკური კლიმატის შექმნაში. (Coppa, 2003:50). (აღსანიშნავია 1946 წლის სახელისუფლებო არჩევნები იტალიასა და საფრანგეთში, სადაც პაპის რადიოთი გამოსვლისა და მოწოდების შემდეგ კომუნისტები დამარცხდნენ).

პონტიფიკოსმა დაგმო საბჭოთა ჯარების შესვლა პოლონეთში, ლატვიაში, ლიეტუვაში, ესტონეთში, თავდასხმა ფინეთზე და საბჭოთა ხელისუფლების გეგმები აღმოსავლეთ ევროპაში. დაგმო ასევე, სტალინის მიერ კათოლიკური ეკლესიის დევნა (Coppa, 2003:52). 1949 წელს „წმიდა საყდარმა“ საჯაროდ განკვეთა ყველა კომუნისტი და მათი მომხრეები, ვინაიდან მათ კომუნისტურ პარტიაში წევრობა მძიმე ცოდვად მიიჩნია (Bordeianu, 2018: 90-91). 1956 წელს მან დაგმო საბჭოთა ინტერვენცია უნგრეთშიც. ვატიკანის გაზეთი „L'Osservatore Romano“ აფრთხილებდა მორწმუნეებს, რომ არ შეიძლებოდა ადამიანი ერთდროულად ყოფილიყო კათოლიკე და კომუნისტი (Coppa, 2003:60).

თავის მხრივ, არც საბჭოთა ხელისუფლებას დაუტოვებია რეაგირების გარეშე ვატიკანის ანტიკომუნისტური პოლიტიკა. პაპის სახელმწიფოს იგი აფასებდა, როგორც „თავისუფალი ადამიანური აზროვნების მჩაგვრელს, ობსკურანტიზმის მაცნეს, ანგლო-ამერიკული იმპერიალიზმის იარაღს და ახალი იმპერიალისტური

მსოფლიო ომის აქტიურ წამქეზებელს“ (Bordeianu, 2018:90-91) და სწორედ ამ ფორმულირებით ცდილობდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ვატიკანზე.

ვატიკანსა და მოსკოვს შორის ურთიერთობაში გარდატეხა იწყება 60-იანი წლებიდან, როდესაც რომის ახალი პაპი იოანე XXIII ცვლის ხისტ ანტიკომუნისტურ პოზიციას და იწყებს მოსკოვთან დაახლოებას. აღნიშნული, პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო, თუმცა, ხსენებული პერიოდისთვის საერთაშორისო ასპარეზზე არსებულმა ვითარებამ და პოლიტიკურმა ინტერესებმა ორივე მხარე აიძულა, გადაედგათ შემხვედრი ნაბიჯები ერთმანეთისკენ.

პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს აშშ-ის ფაქტორი და მისი დაახლოება რელიგიურ წრეებთან, რომელიც 40-იან წლებში იწყება და აქტიურ სახეს სწორედ ამ პერიოდში იღებს. 40-ინი წლებიდან ხდება პროტესტანტულ სამყაროში დაწყებული გლობალური პროცესის -ეკუმენური მოძრაობისა და მისი ძირითადი ორგანოს - ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ფორმირებაც, რომლის ოფიციალური მიზანიც მოცემულ ეტაპზე მსოფლიოს ეკლესიათა დაახლოება, მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა იყო.* საგულისხმოა ის, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობა თავიდანვე დაუკავშირდა საერთაშორისო პოლიტიკას და დასავლური ბანაკის პოლიტიკურ ტენდენციებს. ჰარი ტრუმენის მმართველობიდან მოყოლებული აშშ-ის ხელისუფლებისათვის ეკლესიათა მსოფლიო საბჭო განსაკუთრებული ინტერესის ობიექტად იქცა. მისი პროტესტანტული საფუძვლები და საერთაშორისო მისია (ყურადსაღებია ის, რომ “ცივი ომის” ეპოქაში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობის პროგრამის წამყვანი პუნქტი იყო სამშვიდობო მისია) აშშ-ის ხელისუფლებისათვის იმთავითვე მისაღები აღმოჩნდა, რადგან აღნიშნული მას საშუალებას მისცემდა, ეს ორგანიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი პოლიტიკის ლობისტად ექცია. აღნიშნულით იყო განპირობებული აშშ-ის სწრაფვა ემს-ს წამყვან ლიდერებთან და საეკლესიო წრეებთან დაახლოება-თანამშრომლობისაკენ, რის კულმინაციასაც 1954 წლის ევანსტონის ასამბლეა წარმოადგენდა. ევანსტონის ასამბლეამ განიხილა კომუნიზმი და მშვიდობის დაცვის პრობლემა. ევანსტონი იქცა საერთაშორისო ტრიბუნად, სადაც დაიწყო კომუნიზმისა და კომუნისტური სისტემის საჯარო გმობა (Козлов, 2006).

კომუნისტური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-ის ხელისუფლება ერთ-ერთ მთავარ და მნიშვნელოვან პოტენციურ მოკავშირედ ვატიკანს განიხილავდა. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ „წმინდა საყდრის“ ანტისაბჭოთა ორიენტაცია და მისი ანტიკომუნისტური პროპაგანდის რელიგიური მასშტაბები მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს აშშ-ის წარმატებებს სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის მხრივ, სსრკ-ის პოზიციების შესუსტება სრულ შესაბამისობაში მოდიოდა ვატიკანის ინტერესებთან. ამ ფაქტორებმა განაპირობა აშშ-ვატიკანის დაახლოება, თუმცა, აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ აშშ-ის ხელისუფლება ქვეყნის პროტესტანტული წრეების გაღიზიანების თავიდან აცილების მიზნით, რომის საყდართან ურთიერთობაში განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა. ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობა მოცემულ პერიოდში ვატიკანსა და აშშ-ის შორის არ არსებობდა, თუმცა, რომის პაპთან კავშირს აშშ-ის სახელისუფლებო წრეები ინტენსიურად ახორციელებდნენ. გაიზარდა ამერიკელი პრელატების რიცხვი პაპის კურიაში (Григулевич, 1978: 273); აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აფინანსებდა პილიგრიმობას რომში და სხვ. (Григулевич, 1978:265). ვატიკანისთვის, აშშ-ის მხარდაჭერას, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა, მისი ხელისუფლების მჭიდრო კავშირი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან, მისთვის ქმნიდა პროტესტანტების გაძლიერებისა და მათი მხრიდან გლობალური პროცესების მართვის საშიშროებას, რაც, საბოლოოდ აისახებოდა ვატიკანის გავლენასა და პოზიციებზეც. შესაბამისად, რომის პაპი იწყებს ახალი სტრატეგიის შემუშავებას - მსოფლიოს მართლმადიდებლებთან (პირველ რიგში კი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან) დაახლოებასა და თანამშრომლობას, ჩვენი მოსაზრებით, პროტესტანტული ძალის საპირწონედ, რომელსაც უნდა შეეკავებინა მისი მზარდი გავლენა საერთაშორისო ასპარეზზე.

ვატიკანსა და საბჭოთა კავშირს შორის ერთგვარი „დათბობის“ დასაწყისად ითვლება პაპ იოანე XXIII-ის გამოსვლა ბერლინის კრიზისის შემდეგ, 1961 წლის სექტემბერში, პონტიფიკოსმა მიმართა ყველა ადამიანს, რომლებიც „ღმერთს ეკუთვნოდნენ“ მოუწოდა მათ, მონაწილეობა მიეღოთ განიარაღების პოლიტიკაში და საერთაშორისო საკითხები მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტათ. საბჭოთა ხელმძღვანელობამ პაპის ამ მიმართვაში დაინახა მისი წინამორბედის, პიუს XII-ის

მიერ 1949 წელს გამოცემული დეკრეტის დე ფაქტო უარყოფა, რომლითაც განკვეთეს კომუნისტები და მათი მომხრეები.

1961 წლის 21 სექტემბერს „პრავდამ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ ნიკიტა ხრუშჩოვთან, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინტერესით წაიკითხა რომის პაპის გამოსვლა და მიიჩნია "კარგ ნიშნად", რომელიც გამოხატავდა მილიონობით კათოლიკე ადამიანის განწყობას მთელ მსოფლიოში. ორი თვის შემდეგ, პონტიფიკოსს 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გაუგზავნეს სსრკ-ის ლიდერის მილოცვა, სადაც იცი პაპს უსურვებდა წარმატებებს დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნების მცდელობაში (Казаков, 2019).

ძალიან მალე, როდესაც სსრკ-სა და აშშ-ს შორის დაპირისპირება უკიდურესად გამწვავდა ე.წ. „კარიბის კრიზისის“ გამო, მხარეებს შორის მოლაპარაკებებში ჩაერთო ვატიკანის წარმომადგენელიც. კერძოდ, მღვდელი ფელიქს მორლიონი, რომის სოციალური კვლევის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრეზიდენტი და წამყვანი დომინიკელი თეოლოგი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ანდოვერში, (მასაჩუსეტი, აშშ) აშშ-ისა და სსრკ-ის დელეგაციებს შორის გამართულ კონფერენციაში. კონფერენციის მონაწილეებს მან გააცნო პაპის მიმართვა აშშ-ისა და სსრკ-ის ლიდერებისადმი, რომელიც მოუწოდებდა კუბისკენ მიმავალი საბჭოთა ხომალდების უკან გაწვევას და კუნძულის ბლოკადის მოხსნას.

კუბის სარაკეტო კრიზისის პირობებში, ურთიერთობა ვატიკანსა და სსრკ-ს შორის, საგრძნობლად დათბა. ხრუშჩოვმა საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა იოანე XXIII-ის სამშვიდობო მოღვაწეობას. 1963 წელის მარტში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა რომის პაპს მიულოცა ბალზანის პრემიის მინიჭება (რომლითაც დაჯილდოვდნენ მშვიდობისა და ჰუმანიზმისთვის მებრძოლები). სწორედ ბალზანის პრემიის მინიჭება გახდა დაჯილდოების ცერემონიაზე ძალიან მნივნელოვანი აუდიენციის მიზეზი. მხედველობაში გვაქვს ხრუშჩოვის ასულის რადას და სიძის, გაზეთ „იზვესტიას“ რედაქტორის - ალექსეი აჯუბეის შეხვედრა პაპთან, რომელიც 1963 წლის მარტში შედგა. აჯუბეიმ პონტიფიკოსს გადასცა ნ. ხრუშჩოვის პირადი წერილი. როგორც ა. კაზაკოვი გადმოგვცემს, აჯუბეის საბჭოთა ლიდერისგან დავალებული ჰქონდა პაპთან მოლაპარაკების გამართვა როგორც ნ.

ხრუშჩოვის რომში ვიზიტის, ისე სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებისა და მოსკოვსა და რომში საელჩოების გახსნის შესახებ. (Казаков, 2019). თუმცა, იმავე წლის ივნისში პაპი გარდაიცვალა. 1964 წლის ოქტომბერში კი ნ. ხრუშჩოვს დაატოვებინეს თანამდებობა. მათი შეხვედრა ვერ შედგა და ვერც საბჭოთა კავშირსა და ვატიკანს შორის გაფორმდა შეთანხმება, თუმდა, ერთმანეთთან დაახლოებისკენ გადადგმული ნაბიჯები ჩაიწერა ისტორიაში, როგორც პოზიტიური ეტაპი „წმინდა საყდარსა“ და სსრკ-ს შორის ურთიერთობებში. (პაპ იოანე XXIII-ს სსრკ-თან დათბობის პოლიტიკის გამო „წითელი პაპიც“ კი უწოდეს).

რაც შეეხება ვატიკანის დაახლოებას მართლმადიდებელ ეკლესიებთან, ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ვატიკანის მეორე საეკლესიო კრება, რომელიც 1962-1965 წლებში ჩატარდა და რომლითაც იწყება ფართომასშტაბური ცვლილებები ეკლესიათაშორის ურთიერთობებში. წმინდა საყდარმა აღიარა მართლმადიდებლური იერარქია, მათი სამოციქულო მემკვიდრეობა და საიდუმლოება. აღიარებულ იქნა აგრეთვე. მათი ისტორიული დამსახურებები და „ნაწილობრივი სისწორე“ ძველი ქრისტიანული ტრადიციების შენარჩუნების საქმეში. პროცესის კულმინაციას კი წარმოადგენდა გადაწყვეტილება 1054 წლის ანათემის ურთიერთმოხსნის შესახებ (Семедов,… 2018:101, სურგულაძე და სხვანი, 2022:216-217).

საგულისხმოა ვატიკანის წარმომადგენლის - კარდინალ იოანე ვილებრანდსის ვიზიტი კონსტანტინოპოლში, 1962 წლის თებერვალში, იმ მიზნით, რომ პირადად მიეწვია კონსტანტინოპოლის ეკლესიის დამკვირვებლები ვატიკანის მეორე კრებაზე. ვილებრანდსი ასევე იმყოფებოდა ანტიოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, საბერძნეთისა და კვიპროსის მართლმადიდებლური ეკლესიებშიც (Bordeianu, 2018: 90-91).

რაც შეეხება მოსკოვის საპატრიარქოს, იგი თავიდან არც ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობას და არც ვატიკანის კრებაზე დასწრებას აპირებდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გააცნობიერა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს როლი აშშ-ის საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო პროცესების წარმართვაში, სახელმწიფოში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებს მისცა უფლება,

გაწევრიანებულიყვნენ ეკუმენური მოძრაობის წამყვან ორგანიზაციაში, ცხადია, სახელმწიფოს ინტერესების დაცვის მიზნით. სხვა საკითხია, როგორ და რა მიზნით გამოიყენა თითოეულმა ეკლესიამ ეს შესაძლებლობა. 1961 წელს ნიუ დელის ასამბლეაზე, აღმოსავლეთის ბლოკის მართლმადიდებლური ეკლესიების უმეტესობა გახდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი. (Bordeianu, 2018: 90-91).

ვატიკანის II მსოფლიო კრება, მკვლევართა შეფასებით, საბჭოთა ხელისუფლებამ იგი განიხილა, როგორც ამერიკული მცდელობა, გაეერთიანებინა მართლმადიდებლობა კონსტანტინოპოლის - და არა მოსკოვის გარშემო - კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. შესაბამისად, მოსკოვის საპატრიარქოს თავდაპირველად არ ჰქონია შესაძლებლობა კრების მოსამზადებელ სამუშაოებში ჩართვისთვის. მოსკოვს სჭირდებოდა გარანტიები იმასთან დაკავშირებით, რომ კრებაზე არ მოხდებოდა კომუნიზმის და საბჭოთა სისტემის დაგმობა.

დაბრკოლების აღმოსაფხვრელად, ვატიკანის მეორე კრების გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, 1962 წლის 27 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით, კარდინალი ვილებრანდსი არაოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა მოსკოვში. მან დაარწმუნა საპატრიარქო, რომ კრება არ დაიჭერდა ძველ, კომუნიზმის მგმობელ პოზიციას და განმარტა, რომ იგი განიხილავდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას მხოლოდ ზოგადი თვალსაზრისით, კონკრეტული სახელმწიფოების მითითების გარეშე (Bordeianu, 2018: 93). ვატიკანმა პირობა შეასრულა. კრებამ თავი შეიკავა კომუნიზმის დაგმობისგან (Bordeianu, 2018: 101), თუმცა, მოსკოვის საპატრიარქომ მაინც სიფრთხილე გამოიჩინა და მისი წარმომადგენელი მთავარეპისკოპოსი ნიკოდიმი კრების დასასრულს მივიდა, მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ ვატიკანი მეორე კრება არ გმობდა კომუნიზმს. (Bordeianu, 2018:103)

როგორც ვხედავთ, ვატიკანი აქტიურად ცდილობდა, მოსკოვის საპატრიარქოსთან თანამშრომლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მისი სწრაფვა, ზემოაღნიშნული მიზეზების გარდა, განპირობებული იყო აგრეთვე იმის გარემოებით, რომ „წმინდა საყდარმა“ სწორედ მოსკოვთან დაახლოება მიიჩნია „რკინის ფარდის“ მიღმა დარჩენილ კათოლიკეებთან ურთიერთობის აღდგენის საშუალებად. სწორედ ამ მიზნით, რომის პაპი ცდილობს კონტაქტების დამყარებას

არა მხოლოდ მოსკოვის საპატრიარქოსთან, არამედ საბჭოთა კავშირში მოქმედ სხვა ეკლესიებთანაც.

ვფიქრობთ, ამ მიზეზებით აიხსნება გასული საუკუნის 60-იან წლებში „წმინდა საყდრის“ მიერ გამოჩენილი ინტერესი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი.

3.2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და წმინდა საყდრის ურთიერთობები

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, საქართველოსა და -რომის ეკლესიის ურთიერთობები შუა საუკუნეებიდან, კერძოდ კი, მეფე რუსუდანის მმართველობის პერიოდიდან იღებს სათავეს, როდესაც რომის პაპის გრიგოლ IX-ის თაოსნობით, თბილისში ფუძნდება ლათინური წესის პირველი მონასტერი. თუმცა, მეცნიერთა ნაწილი (მურმან პაპაშვილი, ნუგზარ ბარდაველიძე) ურთიერთობის დასაწყისს ჯერ კიდევ IV საუკუნეს, მეფე მირიანსა და პაპის სილვესტრე I-ს უკავშირებს, როდესაც ქრისტიანობაზე ახლადმოქცეული ქართველი ერის ხელისუფალი და მისი განმანათლებელი წმინდა ნინო რომის ეკლესიის მწყემსმთავარისგან იღებენ კურთხევის წერილს (პაპაშვილი 1995: 61; ბარდაველიძე, 2023: 17).

ურთიერთობა საქართველოსა და რომის ეკლესიას შორის განსაკუთრებით აქტიურ სახეს იღებს შუა საუკუნეებში, როდესაც თბილისში მოქმედებას იწყებს სმირნიდან გადმოტანილი კათოლიკური საპისკოპოსო კათედრა. კათედრა ასრულებდა ერთგვარ შუამავლის როლს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისა და შენარჩუნების საქმეში. ურთიერთობები არ შეწყვეტილა კათედრის გაუქმების (XVI ს.) შემდეგაც. ახალი ისტორიის ეპოქაში რომთან კონტაქტების შენარჩუნებაში უდიდეს როლს ასრულებდნენ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართველ მეფე-მთავრებთან და ხელს უწყობდნენ მათ დაახლოებას ევროპელ მონარქებთან. ქართული სახელმწიფოების ლიდერებისთვის რომის საყდართან ურთიერთობას იმხანად განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ვინაიდან ისლამური ქვეყნების გარემოცვასა თუ დაქვემდებარებაში ყოფნის პირობებში, სწორედ „წმინდა საყდარი“ იყო ევროპასთან კავშირის შენარჩუნებისა და შესაბამისად, ხსნის იმედი.

ვითარება იცვლება XIX ს-დან, როდესაც საქართველოს ტერიტორია რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა. რუსეთის ცარისტული ხელისუფლება იწყებს რეპრესიებს კათოლიკე მისიონერების მისამართით, რის გამოც ისინი იძულებულნი

ხდებიან, დატოვონ ქვეყანა (ბარდაველიძე, 2023:19). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კვლავ სცადა „წმინდა საყდართან“ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. 1920 წელს თბილისში აღდგა კათოლიკური საეპისკოპოსო და ჩამოყალიბდა ორი ცენტრი (ლათინური და სომხური წესის კათოლიკეებისთვის). რომში შეარჩიეს საქართველოში გამოსაგზავნი მღვდლებიც, თუმცა, 1921 წელს თბილისისკენ მომავლებმა შეიტყვეს რუსული არმიის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის შესახებ და უკან გაბრუნდნენ. თბილისში დაარსებულმა ორმა ცენტრმა დროებით შეინარჩუნა არსებობა, საბჭოთა რეპრესიებამდე (სურგულაძე და სხვანი, 2022:180-181).

ჩვენთვის საინტერესოა რომის პაპის, ბენედიქტე XV-ს დამოკიდებულება ავტოკეფალიააღდგენილი ქართული ეკლესიისადმი. მან საქართველოს პატრიარქს, კირიონ II-ს მიულოცა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და კათალიკოსად კურთხევა (სურგულაძე და სხვანი, 2022:180), რაც იმ პირობებში, როდესაც რუსეთის ეკლესიის უმაღლესი იერარქია ქართველ სამღვდელოებას განდგომილებს უწოდებდა, რომის მხრიდან აღიარებისა და მხარდაჭერის უდაოდ მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ბოლშევიკური არმიის მიერ საქართველოს ტერიტორიის ანექსიამ და შემდგომში, საბჭოთა კავშირში გაწევრიანებამ დიდი ხნით შეაფერხა საქართველო-რომის ურთიერთობების განვითარება.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „წმინდა საყდართან“ ქართული ეკლესიის კონტაქტების აღდგენის ერთ-ერთ პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა გადაიდგა 1977 წელს (15.XI), როდესაც სიონის ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, დავით V-ის დაკრძალვას დაესწრო პაპის წარმომადგენელი მონსინიორ ნიკოლაი ვირვოლი (სურგულაძე და სხვანი, 2022:219). თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ კონტაქტების აღდგენა გაცილებით ადრე, 60-იან წლებში მოხდა, როდესაც საქართველოს ეკლესიას მართავდა პატრიარქი ეფრემ II (1960-1972 წწ.). ამ მოსაზრების საფუძველს გვაძლევს ჩვენს ხელთ არსებული წყაროები. პირველ რიგში, შეგვიძლია დავასახელოთ 1979 წლის 11 მარტს სიონის ტაძარში,

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიერ ვატიკანის წარმომადგენლის, კარდინალ იოანე ვილებრანდის მიმართ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც იმავე წელს საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ჟურნალის „ჯვარი ვაზისას“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა. კარდინალისადმი მიმართვაში პატრიარქი პირდაპირ ამბობს: „თქვენ ეწვიეთ საქართველოს ეკლესიას ჯერ კიდევ უწმინდესისა და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორის დროს და აღადგინეთ ძველი ტრადიცია.“ (კათოლიკოს-პატრიარქ....,1979:10). თუმცა, წყაროში არაფერია ნათქვამი ვიზიტის კონკრეტულ თარიღზე, არც სხვა წყაროები გვაწვდიან ინფორმაციას მის შესახებ, რაც ბუნებრივია, ართულებს ამ ისტორიული მოვლენის დათარიღებას. თუმცა, წყაროებში მოცემული სხვა ინფორმაციების საფუძველზე, შევეცადეთ დაგვედგინა სავარაუდო თარიღი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვატიკანის მეორე კრების მოსამზადებელ პერიოდში, კარდინალი ვილებრანდსი 1962 წლის თებერვალში ეწვია კონსტანტინოპოლს, შემდეგ კი ანტიოქიის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, საბერძნეთისა და კვიპროსის მართლმადიდებელ ეკლესიებს. მსოფლიოს ბერძნულ-მართლმადიდებლურ ეკლესიებთან ვიზიტის შემდეგ, 1962 წლის 27 სექტემბერს იგი ჩადის მოსკოვში, სადაც ჩერდება 2 ოქტომბრის ჩათვლით. ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ყოველკვირეული კათოლიკური ჟურნალი „The Tablet“ (გამოდის 1840 წლიდან), რომლის 1962 წლის 13 ოქტომბრის ნომერი მიეძღვნა ვატიკანის მეორე კრებას. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია, სახელწოდებით „The Church in The World, News and Notes from all Parts”, საუბრობს კარდინალ ვილებრანდის სსრკ-ში ჩასვლაზე, სადაც ვიზიტის თარიღად დასახელებულია სწორედ 27 სექტემბერი - 2 ოქტომბერი. (The Second Vatican..., 1962:10). იმავე თარიღს ვხვდებით ამერიკელი მკვლევრის, პიტსბურგის დუქეინის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორის - რადუ ბორდიანუს გამოკვლევაში “მართლმადიდებელი დამკვირვებლები ვატიკანის მეორე კრებაზე და შიდამართლმადიდებლური დინამიკა“. (Bordeianu, 2018:93)

ვატიკანის წარმომადგენლის მართლმადიდებლურ ეკლესიებში და მათ შორის, მოსკოვის საპატრიარქოში ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე, რაც პირველ რიგში, ვატიკანის მეორე კრებაზე მათ მოწვევას გულისხმობდა, მიგვაჩნია, რომ სწორედ მოსკოვში სტუმრობის ფარგლებში უნდა მომხდარიყო მისი ჩამოსვლა თბილისში და

შეხვედრა საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებთან, კერძოდ, 1962 წლის 27 სექტემბრიდან - 2 ოქტომბრამდე. არსებული პროტოკოლისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, საბჭოთა კავშირის უცხოელი სტუმრები, როგორც წესი, ჯერ მოსკოვში ბრუნდებოდნენ და შემდეგ იქიდან მიფრინავდნენ სამშობლოში. შესაბამისად, კარდინალის საქართველოში ყოფნა უფრო სავარაუდებელია 1962 წლის სექტემბერში.

ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ „წმინდა საყდრის“ წარმომადგენლის ვიზიტი საქართველოში ნაყოფიერი აღმოჩნდა, იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ეკლესიამ გაგზავნა წარმომადგენლები ვატიკანის II კრებაზე (In the Orthodox Patriarchate of Georgia... 2016; Bordeianu, 2018:97), თუმცა, დეტალებს თუ ჩავუღრმავდებით, საქართველოს ეკლესიის დელეგატების შესახებ, აღმოვაჩენთ, რომ ამ სტატუსით ვატიკანის კრებაზე წარსდგა რუსეთის ეკლესიის დელეგაციის წევრი, დეკანოზი ვიტალი ბარავოი (List of Observers, 2015).

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხანგრძლივი ისტორიული პაუზის შემდეგ, „წმინდა საყდარსა“ და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონტაქტების აღდგენა იწყება XX ს-ის 60-იანი წლების დამდეგიდან. ზემოთ ვახსენეთ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ვატიკანისთვის საბჭოთა კავშირთან და მოსკოვის საპატრიარქოსთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირში მოქმედ ეკლესიებთან დაახლოება. განსაკუთრებით, იმ ეკლესიებთან, რომლებიც რუსეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარეობდნენ და არ ეკუთვნოდნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას. ამ ეკლესიებთან კავშირი მას შესაძლებლობას მისცემდა, ინფორმირებული ყოფილიყო სსრკ-ში არსებული რელიგიური მდგომარეობის შესახებ, რაც თავის მხრივ, დიდ დახმარებას გაუწევდა როგორც კათოლიკეებთან ურთიერთობის აღდგენის, ისე საბჭოთა ხელისუფლებასთან და რუსეთის საპატრიარქოსთან საკუთარი ინტერესების დაცვაში. მეორე მხრივ, ვატიკანთან კავშირი საქართველოს ეკლესიისთვისაც ხელსაყრელი იქნებოდა, ვინაიდან ისეთი გავლენიანი ძალის მხარდაჭერას, როგორსაც „წმინდა საყდარი“ წარმოადგენდა მსოფლიოში, შეეძლო არა

მხოლოდ ქართული ეკლესიის გადარჩენა საბჭოთა რეპრესიებისგან და ლიკვიდაციისგან, არამედ მისი ავტოკეფალური უფლებების საერთაშორისო აღიარების მოპოვებაც. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ნ. ხრუშჩოვის ხელისუფლებამ არ დაუშვა ამ ორ ეკლესიას შორის პირდაპირი და ახლო კონტაქტების გაღრმავება.

მდგომარეობა პოზიტიური კუთხით იცვლება ლ. ბრეჟნევის მმართველობის პერიოდში, როდესაც „ჰელსინკის აქტზე“ ხელმოწერის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა, გარკვეული თავისუფლება მიენიჭებინა (ცხადია, ფასადურად) რელიგიური ორგანიზაციებისთვის. ვატიკანსა და საქართველოს ეკლესიას შორის კონტაქტების განახლებაც სწორედ ჰელსინკის შეთანხმების შემდგომ პერიოდს, კერძოდ, 70-იანი წლების მეორე ნახევარს უკავშირდება.

ამ კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 1977 წელს, როდესაც ვატიკანმა საქართველოში კათოლიკოს=პატრიარქის, დავით V-ის დაკრძალვაზე გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი მონსინიორ ნიკოლაი ვირვოლი (მიტროპოლიტი ნიკოლოზი... 1983:11). საპასუხოდ, 1978 წლის ოქტომბერში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ცხუმ–აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი დაესწრო რომის პაპის იოანე პავლე I-ის დაკრძალვას და ახალი პაპის იოანე პავლე II=ის ინტრონიზაციას(მიტროპოლიტი ნიკოლოზი..., 1983:11). მთავარეპისკოპოსის ვიზიტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა იტალიურ პრესაში, ვინაიდან ეს იყო ქართველი იერარქის პირველი ვიზიტი ვატიკანში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ.

1979 წლის 9-14 მარტს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწვევით, ჩვენს ქვეყანას ესტუმრნენ რომის პაპის, იოანე-პავლე II-ის წარმომადგენლები: კარდინალი იოანე ვილებრანდსი, რომელიც იყო ვატიკანის ქრისტიანული ურთიერთობის დეპარტამენტის პრეზიდენტი და იმავდროულად, უტრეხტის მთავარეპისკოპოსი და ჰოლანდიის პრიმასი. ასევე, მღვდელი იოანე ლონგი და მონსინიორ ნიკოლოზ ვირვოლი. კარდინალმა იოანე ვილებრანდსმა ილია მეორეს გადასცა რომის პაპის იოანე-პავლე II-ის საჩუქარი - ოქროს ჯვარი, მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის წმინდა ნაწილებით და აღნიშნა: „ჩვენი სტუმრობის მთავარი მიზანია რომისა და

საქართველოს ეკლესიების დაახლოება. ორივე ეს ეკლესია ერთ მიზანს ემსახურება - ქრისტიანობის გაძლიერებას... ჩვენი ურთიერთობა თანდათან ღრმად იდგამს ფესვს, საქართველოსა და რომის ეკლესიები ძმური კავშირით უერთდებიან ერთმანეთს. უწმინდესმა ილია მეორემ გაგვახსენა ანდრიასა და პეტრეს ძმობა. წმინდა პეტრემ საფუძველი ჩაუყარა რომის ეკლესიას. წმინდა ანდრიამ - ქართულს, ძმები უნდა ვიყოთ ჩვენც!" (კარდინალ იოანე ვილებრანდსის... 1979:13). 11 მარტს, სიონის ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაში საქართველოს პატრიარქი აფასებდა კარდინალის ვიზიტს: „დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ურთიერთობა განსაკუთრებით გაცხოველდა უკანასკნელ პერიოდში. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიგიძღვით თქვენ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ბატონო კარდინალო. თქვენ ეწვიეთ საქართველოს ეკლესიას ჯერ კიდევ უწმინდესისა და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ მეორის დროს და აღადგინეთ ძველი ტრადიცია. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამას და ვლოცავთ თქვენს შრომას... იხსნება დიდი ასპარეზი თანამშრომლობისა, დიდი იმედით ვუყურებთ უწმინდესი პაპის, იოანე-პავლე მეორის მომავალ მოღვაწეობას და ვიმედოვნებთ, რომ ის ისევე ემსახურება კაცობრიობის პროგრესულ და ჰუმანურ პრინციპებს, როგორც მისი დიდი წინამორბედნი"(კათოლიკოს-პატრიარქ... 1979:10).

ვატიკანისა და საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსთა ვიზიტების გაცვლამ მოამზადა ნიადაგი უმაღლეს იერარქთა შეხვედრისათვის. ეს ისტორიული შეხვედრა შედგა 1980 წლის 6 ივნისს, პაპის ბიბლიოთეკაში, რომლის შესახებ მოგვითხრობს და საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოს საპატრიარქოს და ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტები, აგრეთვე, საქართველოს ეკლესიის ოფიციალური ჟურნალის „ჯვარი ვაზისა" 1980 წლის პირველი ნომერი. შეხვედრა გააშუქა ვატიკანის გაზეთმაც, სათაურით „ერთიანობის აღდგენა ყველა ქრისტიანის ვალია". პაპმა იოანე პავლე მეორემ წარმოთქვა სიტყვა: „დღეს საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი პირველად ეწვია წმინდა საყდარს, რათა მეგობრული ამბორით მიესალმოს მის ეპისკოპოსს. უკანასკნელ წლებში იზრდება და მტკიცდება კარგი დამოკიდებულება ჩვენს ეკლესიებს შორის. თანახმად მოციქულის სიტყვებისა, ჩვენ ვინაწილებთ როგორც ერთმანეთის სიხარულს, ასევე მწუხარებასაც... განსაკუთრებულ სიხარულს იწვევს თქვენი უწმინდესობის ზრუნვა საქართველოს

ეროვნული ტრადიციების მქონე ეკლესიის აღორძინებაზე. ეს განახლება მტკიცედ არის დაფუძნებული მოციქულთა ტრადიციებზე. თქვენ კარგად იცით, რომ ასეთი გარჯა ქრისტიანული ცხოვრების აღდგენაზე, რომის ეკლესიაზე ზრუნვასაც ნიშნავს. ასეთი ზრუნვის შემდეგ, მოვალენი ვართ, განვაახლოთ სრული ურთიერთობა ჩვენს ეკლესიათა შორის.“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის... ვიზიტი რომში, 1980:14-15). საპასუხო სიტყვაში საქართველოს პატრიარქი რომის პაპს მიმართავდა: „ქალაქში, სადაც წმინდა მოციქულის პეტრეს ტახტია, ჩვენ ჩამოვსულვართ, რათა აღვადგინოთ ის უძველესი, ძმური და ორმხმრივი ტრადიციული ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ორ ეკლესიას შორის არსებობდა.

სამწუხაროდ, ისტორიის სირთულემ გამოიწვია ჩვენი წმინდა ეკლესიის გაყოფა... ამ სამწუხარო მოვლენის მიუხედავად, ჩვენს ორ ეკლესიას ყოველთვის ჰქონდა კეთილი, ორმხრივი ურთიერთობა, რომელიც გამოიხატებოდა კულტურულ, მეცნიერულ და სულიერ თანამშრომლობაში. ქართული ეკლესია და ქართველი ხალხი შეადგენდა იმ დიდ ხიდს, რომელიც აერთებდა ევროპისა და აზიის ორ დიდ კულტურას.

ქრისტიანული ეკლესიები დღეს დგანან ბევრი საერთო პრობლემის წინაშე, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს ჩვენს რაც შეიძლება, მჭიდრო დაახლოებას. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის... ვიზიტი რომში, 1980:15-17).

საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცულია საინტერესო დოკუმენტები, კერძოდ, პატრიარქ ილია II -ის ჩანაწერები რომში ვიზიტის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „პაპი ყურადღებით მისმენდა (თარჯიმანი თარგმნიდა), შემდეგ სხვა მაგიდასთან მივიდა, საიდანაც მოიტანა რუკების ატლასი, გადაშალა ევროპის რუკა, სადაც საქართველოც ჩანდა. დახედა და მერე მომმართა: ჩვენი ქვეყნები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს თავისი წარსულით. მოხაზა საქართველო და თქვა: სამხრეთით ძლიერი მუსლიმანური ქვეყნებია. მე დავუმატე: მათგან ბევრი განსაცდელი გვინახავს. პაპს აინტერესებდა ეკლესიისა და ხელისუფლების, კონსტანტინოპოლისა და რუსეთის საპატრიარქოსთან ურთიერთობის საკითხები" (ვარდოსანიძე, 2008).

ვიზიტის ფარგლებში ქართულმა დელეგაციამ დაათვალიერა ვატიკანის ბიბლიოთეკა, რომლის ფონდებშიც დაცული იყო X ს-ის ქართული სახარება და მხედრული შრიფტით დასტამბული დავითნი, აგრეთვე, დელეგაციის

წარმომადგენლები გაეცნენ ხელნაწერების კატალოგს. ბიბლიოთეკაში დაცულ 70 000 ხელნაწერს შორის 15 იყო ქართული, რომელთა მიკროფილმების გადაღება შესთავაზა პატრიარქს ბიბლიოთეკის დირექტორმა. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის... ვიზიტი რომში, 1980:13-14).

საქართველოს პატრიარქმა პაპის წინაშე დააყენა ვატიკანის ბიბლიოთეკაში და „პროპაგანდა ფიდეში“ არსებული ქართული მასალების „ლა ჯორჯიას“ შესწავლის საკითხი, რაზეც პაპი დათანხმდა და გამოთქვა მზადყოფნა რომში ქართველი სპეციალისტების მიღებასთან დაკავშირებით (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის... ვიზიტი რომში, 1980:17).

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული, საქართველოს ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარისა და ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოს ნიკოლოზის ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ ვატიკანში მყოფი ქართული დელეგაცია ეწვია აგრეთვე, პაპის „ორიენტალეს ინსტიტუტს“, სადაც ინსტიტუტის რექტორმა კათოლიკოს-პატრიარქს შესთავაზა ქართველი სტუდენტის წარგზავნა.

მთავარეპისკოპოსი პატრიარქის რომში ვიზიტს შემდეგნაირ შეფასებას აძლევს: „პირადად მე მიმაჩნია, რომ კათოლიკოს-პატრიარქის სტუმრობას რომში დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ხელს შეუწყობს ჩვენს ეკლესიასა და ვატიკანის ეკლესიას შორის ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებასა და განმტკიცებას, ქრისტიანებთან მომავალი დაახლოების საკითხის შემდგომ განვითარებას, რაც თავისთავად იქნება საფუძველი ხალხთა შორის მშვიდობიანი დამოკიდებულებისა და მეგობრობისა. ეს ვიზტი აგრეთვე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ვიზიტის დროს წამოიჭრა მეტად აქტუალური საკითხი: ვატიკანში ქართველი სპეციალისტების წარგზავნისა, ჩვენი ისტორიული მასალების და არქივის შესასწავლად. ეს არის არა მარტო საეკლესიო, არამედ დიდი ეროვნული საკითხი, რომელთა მიღწევა და შესწავლა ნათელს მოჰფენს ჩვენი ერის დიდებულ ისტორიას (საქართველოს ეკლესიის საგარეო... 1980:23).

მართლაც, პატრიარქის ვიზიტი რომში, უდაოდ დიდ მნიშვნელობას ატარებდა. პირველ რიგში, იმ თვალსაზრისით, რომ საფუძველი ჩაეყარა ორ ეკლესიას შორის მჭიდრო თანამშრომლობას, რაც ორმხრივი ინტერესებით იყო განპირობებული და ქმნიდა იმ მოლოდინის საფუძველს, რომ რომის პოლონელი პაპი მხარს დაუჭერდა

საქართველოს ეკლესიას არა მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს ფარგლებში გადარჩენისა თუ თავისუფალი მოღვაწეობის საქმეში, არამედ, იმ ფართომასშტაბურ ბრძოლაშიც, რასაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარების მოპოვება ერქვა. გარდა ამისა, ვიზიტის დროს პაპის მიერ საქართველოს პატრიარქისთვის ვატიკანის არქივებში დაცული (საქართველოს ისტორიის ამსახველი) საბუთების მიკროფილმების გადაცემა და ვატიკანის არქივში ქართველი მეცნიერების დაშვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქართულ-იტალიური სამეცნიერო წრეების დაახლოებას, სამეცნიერო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ქართული მეცნიერების განვითარებას.

ვიზიტიდან ერთი წლის შემდეგ, 1981 წელს ვატიკანმა საქართველოს ეკლესიას გადმოსცა 7 მიკროფირი. საქართველოს ისტორიის შესახებ (სრულიად საქართველოს... ილია II-ის სიტყვა., 1979:249).

იმავე წელს, ვატიკანის ქრისტიანული ერთობის დეპარტამენტის მდივნის მოადგილის პიერ დიუპრეს მიერ საქართველოს პატრიარქისადმი გამოგზავნილი წერილიდან კი ვიგებთ, რომ რომში ჩასულ პროფესორ ზურაბ გამეზარდაშვილს, რომელსაც ჰქონდა პატრიარქის რეკომენდაცია და ვატიკანის არქივებში დაცული მასალების შესწავლისა და მიკროფილმების გადაღების სურვილი, ვატიკანისგან მიეცა თანხმობა (ვატიკანის ქრისტიანული ერთობის... 1982:21).

ვატიკანისა და საქართველოს ეკლესიების თანამშრომლობას, საეკლესიო და სამეცნიერო სფეროში, თავისი რეზონანსი მოჰყვა იტალიურ მასმედიაში. 1985 წლის 2 (15) ნოემბერს საქართველოს პატრიარქს ესტუმრა იტალიის ჟურნალისტთა ორდენის ეროვნული საბჭოს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ჟონს-ის პრეზიდენტის, გაზეთ „ჯორნალე ნუოვოს“ რედაქტორი - გვიდო გვიდი; ჟონს-ის ვიცე-პრეზიდენტი - ჯანი კამპი; პატრიარქმა მათ გააცნო საქართველოს ეკლესიის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. უპასუხა შეკითხვებს ეკუმენურ საკითხებზე.(სტუმრები საზღვარგარეთიდან, 1985:53). საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლისა თუ სხვა წარმომადგენელთა ღიაობა იტალიურ მასმედიასთან, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ვატიკანისა და იტალიის საზოგადოებაში საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის ცნობადობის გაზრდას, რასაც ბუნებრივია, თავისი წვლილი

შეჰქონდა საქართველოსა და ქართული ეკლესიის შესახებ ევროპელი საზოგადოების ინფორმირებაში. ყოველივე აღნიშნული, უაღრესად პოზიტიურ მოლოდინს ქმნიდა საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო აღიარების მიზნის მიღწევის გზაზე, თუმცა, 80-იან წლებში ვატიკანსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის დაძაბვამ კიდევ ერთხელ შეუშალა ხელი ქართული და რომაული ეკლესიების ურთიერთობის გაღრმავებას.

ჯერ კიდევ 1978 წელს, წმინდა საყდრის წინამძღოლად პოლონელი კარდინალის -კაროლ ვოიტილას (იოანე-პავლე II) არჩევა და შემდგომში მის მიერ ღიად გაცხადებული ანტიკომუნისტური კურსი შემაშფოთებელი აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა პაპის აქტიურმა ძალისხმეევამ პოლონეთის კომუნისტური გავლენისგან გათავისუფლებისათვის ბრძოლაში, რაც ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირთან და საბჭოთა რეჟიმთან ღია ომს ნიშნავდა. ნაშრომის პირველ თავში ჩვენ დეტალურად განვიხილეთ პაპ იოანე-პავლე II-ის 1979-1983 წლებში პოლონეთში ვიზიტები, მათი პოლიტიკური მნიშვნელობა და შედეგები. ასევე, განვიხილეთ მისი ურთიერთობა სსრკ-ის მთავარი ოპონენტთან - აშშ-თან და ვფიქრობთ, ნათელია, რა როლი შეასრულა მან საბჭოთა სისტემის რღვევის პროცესში.

არსებული მდგომარეობის ფონზე, სავსებით გასაგებია ის ფაქტი, თუ რატომ არ გვაწვდიან ცნობებს ჩვენ ხელთ არსებული წყაროები ვატიკანსა და საქართველოს ეკლესიას შორის 1986-1990 წლების ურთიერთობის შესახებ. ლოგიკურია, რომ „წმინდა საყდრისა“ და საბჭოთა კავშირის დაძაბული ურთიერთობა გავლენას მოახდენდა საბჭოთა იმპერიაში მოქმედი ნებისმიერი ეკლესიის ვატიკანთან კონტაქტებზეც. 80-იან წლებში მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისა და რევოლუციების ფონზე, ხელისუფლება ცხადია, არ დაუშვებდა ადგილობრივი ეკლესიების (მით უმეტეს, არარუსულის) რომთან მჭიდრო კავშირს. შესაბამისად, საქართველოს ეკლესიასა და ვატიკანს შორის ურთიერთობის განახლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

1992 წელს საქართველოსა და ვატიკანს შორის დამყარდა ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები, რის შემდეგაც ქართულ-რომაული საეკლესიო

ურთიერთობებიც ახალ ეტაპზე გადავიდა. 1999 წელს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა პაპი იოანე პავლე II, 2016 წელს კი ქვეყანას ოფიციალური ვიზიტით ეწვია პაპი ფრანცისკ I.

დასასრულს, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოსა და ვატიკანის ეკლესიების ურთიერთობამ XX ს-ში საკმაოდ რთული გზა განვლო. ქართული სახელმწიფოს საბჭოთა კავშირში იძულებით გაწევრიანებამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა საქართველოს ეკლესიის როგორც მართლმადიდებელ ეკლესიებთან, ისე რომის კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობას, რამაც თავის მხრივ, დიდი გავლენა იქონია საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო მდგომარეობაზე. ვატიკანთან ახლო კონტაქტებს შეეძლო დაეჩქარებინა მისი ავტოკეფალური უფლებების აღიარების პროცესი, ვინაიდან ჩვენი აზრით, „წმინდა საყდრისა“ და აშშ-ის ალიანსი გავლენას მოახდენდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პოზიციაზე და პროცესი იმაზე ადრე დასრულდებოდა, ვიდრე ეს რეალურად მოხდა. თუმცა, სწორედ ეს ალიანსი და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა გახდა ამ ურთიერთობის დამაბრკოლებელი მიზეზი. მიუხედავად სირთულეებისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ XX ს-ის II ნახევარში გადადგმული ნაბიჯები ისტორიული მნიშვნელობის მატარებელია, ვინაიდან შესაძლებელი გახდა საუკუნის დასაწყისში შეწყვეტილი კონტაქტების აღდგენა და საეკლესიო-კულტურული და სამეცნიერო ურთიერთობის ჩამოყალიბება. მართალია, ეს ურთიერთობები მოცემულ პერიოდში ფრაგმენტული და ხანმოკლე აღმოჩნდა, თუმცა, სწორედ მათ მოამზადეს ნიადაგი სამომავლო პერსპექტივებისთვის.

3.3. ეკლესიათა მსოფლიო საბჭო და საქართველოს მართლმადიდებელი ელესია

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული ეკლესიის კავშირს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან, რომელიც უდიდეს როლს ასრულებდა საკვლევი პერიოდის საერთაშორისო რელიგიურ და პოლიტიკურ პროცესებში. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ჩვენი ნაშრომის ერთი პარაგრაფი სწორედ ამ საკითხისთვის დაგვეთმო.

ცნობილია, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, როგორც ეკუმენური მოძრაობის მთავარი ორგანიზაცია, ოფიციალურად 1948 წელს, ამსტერდამში დაარსდა, თუმცა, თავად ეკუმენური მოძრაობა გაცილებით ადრე, XIX ს-ის მეორე ნახევარში ჩაისახა დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის რელიგიურ, უმთავრესად, პროტესტანტულ წრეებში. მოძრაობა საწყის ეტაპზე, ქრისტიანულ ეკლესიათა დაახლოებასა და თანამშრომლობას ისახავდა მიზნად, რომლის მთავარი ორიენტირი მშვიდობისათვის საერთო ბრძოლა უნდა ყოფილიყო. თუმცა, მოგვიანებით, ეკუმენური მოძრაობის შინაარსმა და სტრუქტურამ სახე იცვალა და იგი სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფთა გამაერთიანებელ ძალად იქცა, რის გამოც იგი დღემდე დავისა და განსჯის საგნად რჩება როგორც ეკლესიებსა და რელიგიურ პირებს, ისე, მეცნიერთა შორის.

ეკუმენურმა მოძრაობამ და მისმა წამყვანმა ორგანიზაციამ, როგორც აღვნიშნეთ, უდიდესი როლი შეასრულა ცივი ომის პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში და ე.წ. კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბანაკებს შორის ურთიერთობებში, რის გამოც იგი ჩვენი ყურადღების სფეროში მოექცა. შესაბამისად, წინამდებარე პარაგრაფის მიზანს არ წარმოადგენს ეკუმენური მოძრაობის თეოლოგიური ასპექტების შესწავლა, არამედ ეკლესიათა საბჭოს როლი და გავლენა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობებზე.

1948 წელს ქალაქ ამსტერდამში დაფუძნებულ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ფუნქციას ქრისტიანულ ეკლესიათა შორის მედიატორის როლის შესრულება წარმოადგენდა. მას საფუძვლად დაედო პროტესტანტულ სამყაროში ჩამოყალიბებული ორი მისიონერული მოძრაობის: „რწმენა და წყობა“ და

“პრაქტიკული ქრისტიანობა” გაერთიანება, რომელთა მიზანს ქრისტიანულ ეკლესიებს შორის გამყოფი ბარიერების მოხსნა და მათი დაახლოება წარმოადგენდა, როგორც საეკლესიო-საღვთისმეტყველო სფეროში, ისე მსოფლიო საზოგადოების წინაშე არსებულ სოციალურ–მორალური პრობლემების გადაჭრის საქმეში (The Oxford Handbook… 2021:23-24).

საბჭო, როგორც ეკუმენური მოძრაობის ცენტრალური ორგანო, მიზნად ისახავდა ქრისტიანულ ეკლესიათა ინტეგრაციას პრაქტიკულ და დოგმატურ ასპექტში. თუმცა, საგულისხმოა ის, რომ იგი საფუძველშივე დაუკავშირდა საერთაშორისო პოლიტიკას, კერძოდ, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, დასავლური ბანაკის პოლიტიკურ ტენდენციებს. ამ მოსაზრების საფუძველს გვაძლევს აშშ-ის ხელისუფლების (ჯერ კიდევ ჰარი ტრუმენის მმართველობიდან მოყოლებული) აქტიური თანამშრომლობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან.

ამ კუთხით, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს 1954 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მეორე ასამბლეის გამართვა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, კერძოდ, ილინოსის შტატის ქ. ევანსტონში, რომელსაც უშუალოდ აშშ–ის პრეზიდენტი დუაიტ ეიზანჰაუერიც ესწრებოდა. (The Evanston Report.. 1954)

აღნიშნული ცხადია, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ აშშ–ის ხელისუფლება სრულ მხარდაჭერას უცხადებდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობას. ევანსტონის ასამბლეამ განიხილა კომუნიზმი და მშვიდობის დაცვის პრობლემა. აგრეთვე, შეადგინა სპეციალური მიმართვა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი, სადაც მოუწოდებდა მას ეკუმენურ მოძრაობაში ჩართვისაკენ.

აშკარაა, რომ ორგანიზაცია აშშ-ის ხელისუფლების მხარდაჭერის სანაცვლოდ, მის გავლენასაც განიცდიდა და შესაბამისად, მისი ინტერესების გამტარიც იქნებოდა. მიზანი ნათელია - კომუნიზმისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა, ამჯერად რელიგიური სპექტრის ჩართვით. ჩნდება კითხვა: რა შედეგების მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს თანამშრომლობა თითოეული მხარისთვის? შევეცდებით ამ კითხვას პასუხი გავცეთ მათი ინტერესებიდან გამომდინარე.

აშშ-ისთვის მოცემულ პერიოდში მთავარ მეტოქეს საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა და მის დასამარცხებლად შესაძლებლად მიაჩნდა ნებისმიერი

პლატფორმის გამოყენება. აშშ-ის ხელისუფლება კარგად იაზრებდა იმას, რომ სწორედ რელიგია შეიძლებოდა ყოფილიყო საბჭოთა სისტემის „აქილევსის ქუსლი“. შესაბამისად, რელიგიური ჯგუფების გამოყენება მის წინააღმდეგ ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ გზად მიაჩნდა. ცალკე საკითხი იყო რომელი რელიგიისა თუ მიმდინარეობის წარმომადგენლები შეასრულებდნენ ამ როლს, ისე, რომ წინააღმდეგობაში არ მოსულიყო აშშ-ის პოლიტიკურ ინტერესებთან. ვატიკანი ამისთვის ჯერ ვერ გამოდგებოდა, ვინაიდან მას საკუთარი ინტერესები ჰქონდა და მოცემული პერიოდისთვის არც აშშ-თან გააჩნდა დიპლომატიური ურთიერთობა. გარდა ამისა, აშშ-ის „პროტეჟედ“ ვატიკანის წარმოჩენას შეეძლო აშშ-ის პროტესტანტი მოსახლეობისა და რელიგიური ჯგუფების გაღიზიანება გამოეწვია და სერიოზული პრობლემები შეექმნა ხელისუფლებისთვის. ამ თვალსაზრისით, ვერც ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესია გამოდგებოდა, ვინაიდან პროტესტანტებისთვის ასეთივე მიუღებელი იქნებოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაწინაურება. მით უფრო, იგი ამ პერიოდისთვის არ წარმოადგენდა ისეთ გავლენიან ძალას, რომელსაც შეეძლო გლობალური პროცესების მართვა. ყოველივე აქედან გამომდინარე, ყველაზე მისაღებ კანდიდატს სწორედ პროტესტანტული რელიგიური ორგანიზაციები წარმოადგენდნენ, რომლებიც აშშ-ის მოსახლეობაში რელიგიურ უმრავლესობას შეადგენდნენ და შეეძლოთ არა მხოლოდ მოქმედი ხელისუფლების პოზიციების გამყარება ქვეყნის შიგნით, არამედ აშშ-ის გაძლიერება საერთაშორისო დაპირისპირების პირობებში.

რაც შეეხება თავად პროტესტანტების ინტერესს, ცხადია, აშშ-ის ხელისუფლების მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაზრდიდა მათ გავლენასა და ავტორიტეტს ქრისტიანულ სამყაროში, რაც ვატიკანთან კონკურენციის პირობებში, შესაძლებელს გახდიდა ჰეგემონობის მოპოვებას დასავლურ ქრისტიანულ თემებზე.

საბოლოო ჯამში, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და აშშ-ის მჭიდრო თანამშრომლობას შეეძლო მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა ქრისტიანულ სამყაროში და ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნა, ცხადია, პროტესტანტების დომინანტური როლით.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და აშშ-ის ხელისუფლების კავშირის შესახებ, ვფიქრობთ, თავიდანვე ცნობილი იყო როგორც ვატიკანისთვის, ისე,

კონსტანტინეპოლისა და მოსკოვის საპატრიარქოებისთვის. რის გამოც, ვატიკანი თავიდან თავს იკავებდა ეკუმენურ მოძრაობაში უშუალო მონაწილეობისგან. რაც შეეხება მართლმადიდებლური ეკლესიების დამოკიდებულებას, იგი ორი მიმართულებით გაიყო. ჩამოყალიბდა ორი ფრთა, რომელთაც ეკუმენიზმის შესახებ რადიკალურად განსხვავებული კონცეფციები გააჩნდათ. პირველ ფრთას ბერძნულ–მართლმადიდებლური ეკლესია (მხედველობაში გვაქვს კონსტანტინეპოლისა და ელადის მართლმადიდებელი ეკლესიები) განეკუთვნებოდა, რომელიც ჯერ კიდევ 1920 წელს დადებითად გამოეხმაურა „რწმენა და წყობის“ კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევას. იმავე წელს კონსტანტინეპოლის პატრიარქმა გამოაქვეყნა ენციკლიკა „ყველა ქრისტიანული ეკლესიისადმი“, სადაც მოუწოდა ეკლესიებს მეგობრული ეპისტოლეების გაცვლის, ერთიანი კალენდრის შემოღების, მეგობრული ურთიერთობების გაღრმავების, საერთო ქრისტიანული ასამბლეების მოწვევისა და სხვადასხვა ეკლესიათა პრაქტიკის და წეს–ჩვეულებების ურთიერთპატივისცემისაკენ (ზიზიულასი, 2000:150).კონსტანტინეპოლის ეკლესიის ამგვარ პოზიციას გარკვეული მიზეზები განსაზღვრავდა. კერძოდ, როგორც ნაშრომის მეორე თავში განვიხილეთ, დასავლურ სახელმწიფოებთან კავშირით კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ახერხებდა თურქულ ხელისუფლებასთან ურთიერთობის დაბალანსებას და მისი აგრესიისაგან თავდაცვას. თავის მხრივ, ევროპული სახელმწიფოები მას თურქეთის სახელმწიფოს შიგნით საიმედო საყრდენ ძალად მოიაზრებდნენ. აქედან გამომდინარე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პოზიცია ეკუმენური მოძრაობისა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობისადმი, რომელიც დასავლური სახელისუფლებო წრეების მხარდაჭერით სარგებლობდა, სავსებით ბუნებრივი იყო.

მეორე მართლმაიდებლურ ფრთას, უმეტესად აღმოსავლეთ ევროპის და კავკასიის (ქართული) მართლმადიდებლური ეკლესიები შეადგენდნენ. პროტესტანტულ წიაღში აღმოცენებულ მოძრაობას, ისინი დასაწყისშივე ეჭვის თვალით უყურებდნენ და მის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს მრავალი წლის მანძილზე რადიკალურად ემიჯნებოდნენ. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოლიტიკური ფაქტორიც. კერძოდ, რუსეთში ბოლშევიკური სისტემის დამყარებისა და საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების ანტისაეკლესიო პოლიტიკურმა კურსმა

მნიშვნელოვნად შეზღუდა რუსეთისა და სსრკ-ში მოქმედი სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების საერთაშორისო კონტაქტები. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ვითარებისა და იოსებ სტალინის საგარეო პოლიტიკური კურსის გავლენით, რაც დასავლურ სამყაროსთან საბჭოთა იმპერიის სრულ გამიჯვნასა და გარკვეულ იზოლაციონიზმს გულისხმობდა, რუსეთის ეკლესია უარყოფითად აფასებდა და ემიჯნებოდა დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში მიმდინარე პროცესებს–ეკუმენური მოძრაობის სახით, რომელიც თავის მხრივ, ამერიკულ და ევროპულ წრეებთან იყო კავშირში.

რუსეთის ეკლესიის უარყოფითი პოზიცია ეკუმენური მოძრაობისადმი, ოფიციალური რეზოლუციის სახით 1948 წლის ივლისში გაჟღერდა: მოსკოვში შემდგარმა ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ, რომელსაც რუსეთის გარდა, სერბეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ჩეხეთისა და საქართველოს ეკლესიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დამფუძნებლების მოწვევას ამსტერდამის ასამბლეაზე წევრთა სტატუსით მონაწილეობაზე, საგანგებო რეზოლუციით უპასუხა, სადაც შეფასებული იყო ეკუმენური მოძრაობის დანიშნულება და ხასიათი 40–იანი წლების რელიგიურ და პოლიტიკურ სფეროებში. კრება გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ეკუმენიზმმა XX საუკუნის 30–40–იანი წლებიდან განიცადა ტრანსფორმაცია: დაშორდა პირვანდელ რელიგიურ საფუძვლებს (რაც დოგმატურ–სამოძღვრო საფუძველზე ეკლესიათა გაერთიანებას გულისხმობდა), მთელი ძალისხმევა სოციალურ–პოლიტიკური ცხოვრებისაკენ მიმართა და „ეკუმენური ეკლესიის“ სახით საერთაშორისო გავლენიანი ძალის შექმნა დაისახა მიზნად (რეზოლუცია..., 2000:205). აქვე განვმარტავთ, რომ აღმოსავლურ–მართლმადიდებლური (სლავური და კავკასიური) ეკლესიები ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მომავალი ერთიანი „ეკუმენური ეკლესიის“ იგივე „ზე–ეკლესიის“ მოსამზადებელ ორგანოდ მიიჩნევდნენ, რაც არსებული სახითა და ამოცანებით არ შეესაბამებოდა ქრისტეს ეკლესიის მიზნებს და მართლმადიდებლურ გაგებას. ამის გამო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შექმნას საწყის ეტაპზევე უარყოფითად აფასებდნენ.

რუსეთისგან გაგზავნილი ნოტის საპასუხოდ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ 1950 წელს შეიმუშავა ე.წ. „ტორონტოს დეკლარაცია“, სადაც ფორმულირებული იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს არსი და მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები:

ა) ეკლესიათა მსოფლიო საბჭო არ არის და არასოდეს არ უნდა გახდეს ზე–ეკლესია

ბ) ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს არ შეუძლია და არც უნდა ემყარებოდეს რომელიმე ერთ განსაზღვრულ კონცეფციას ეკლესიის შესახებ.

გ) მსოფლიო საბჭოს წევრ ეკლესიების სხვა ეკლესიათა მიმართება წმინდა კათოლიკე ეკლესიასთან, ურთიერთპატივისცემის საგნად მიაჩნია. ამავე დროს საბჭოს წევრობა არ ნიშნავს, რომ თითოეულმა ეკლესიამ აუცილებლად აღიაროს საბჭოში შემავალი სხვა ეკლესიები, როგორც ეკლესიები–ამ სიტყვის სრული და ჭეშმარიტი მნიშვნელობით (ეკლესია, ეკლესიები... 2000:206-217). (ვფიქრობთ, აღნიშნული მუხლი რუსეთის ეკლესიის პროტესტანტულ სექტებთან დამოკიდებულებით იყო ნაკარნახევი).

ტორონტოს დეკლარაციით ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ხელმძღვანელობამ სცადა გაებათილებინა ყველა ის წინაპირობა, რასაც რუსეთის ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების დამაბრკოლებელ ფაქტორად აცხადებდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, რუსეთის ეკლესიისა და სსრკ-ს სხვა ადგილობრივი ეკლესიების პოზიცია 50–იანი წლების მიწურულსა და 60–იან წლების დამდეგამდე, უცვლელი დარჩა.

XX საუკუნის 50–იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკურმა კურსმა რადიკალური ცვლილებები განიცადა დაიწყო ე.წ. „დესტალინიზაციის“ პროცესი, რომელიც იოსებ სტალინის პიროვნების კრიტიკის ფონზე, მის დროს არსებული სისტემისა და საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური ორიენტირების ძირეულ გადასინჯვას გულისხმობდა. “დესტალინიზაცია“ საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო: თავისი ფუნქცია მან საბჭოთა კავშირის საგარეო დიპლომატიაშიც შეასრულა. 50–იანი წლებიდან საბჭოთა კავშირი იწყებს დასავლურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაახლოება–თანამშრომლობას (Hebly, 1993:108-110)

სახეცვლილი საგარეო დიპლომატიის ერთ–ერთ უმთავრეს ნაწილს რუსეთისა და საბჭოთა იმპერიაში არსებული სხვა ქრისტიანული ეკლესიების საერთაშორისო

ასპარეზზე გასვლა და მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე საეკლესიო მოვლენებში ჩართვა წარმოადგენდა. პარალელურად, მსოფლიო საეკლესიო წრეებში აქტიურად მიმდინარეობს დისკუსია რელიგიური თავისუფლებისა და კომუნიზმის შესახებ. რაც უმთავრესად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ტრიბუნის მეშვეობით ხორციელდება. 50–იანი წლების შუა ხანებიდან ეკლესიათა მსოფლიო საბჭო საჯაროდ გმობს კომუნიზმსა და მის გამოვლინებებს, როგორც ქრისტიანულ ეკლესიასთან ურთიერთობაში, ისე საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების ბალანსირებისა და მსოფლიო მშვიდობის დაცვის საქმეში (Козлов, 2006). ყოველივე აღნიშნული, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებში დასავლური სამყაროს გამოწვევად იქნა აღქმული, რაც საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ქმედით ნაბიჯებს მოითხოვდა.

1954 წლის ევანსტონის ასამბლეის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გაწევრიანების საკითხი განიხილა, ვინაიდან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობის გამოვლენის მიზნით საბჭოთა ხელისუფლებას აღნიშნულ ორგანიზაციაში საყრდენი ბერკეტი ესაჭიროებოდა, რომლის საუკეთესო კანდიდატად რუსეთის ეკლესია იქნა მოაზრებული (Козлов, 2006). ეკლესიათა მსოფლიო საბჭო საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში აღიქმებოდა, როგორც დასავლური პოლიტიკური დაჯგუფებების ინსტრუმენტი, რომელიც რელიგიურ სფეროში ხელოვნურად ქმნიდა ანტისოციალისტურ ატმოსფეროს. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებას მართებდა, სწორედ ეკლესიითა და რელიგიური ორგანიზაციებით დაპირისპირებოდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პოლიტიკურ ტენდენციებს. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში შესვლით რუსეთისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ეკლესიები უნდა ჩაბმულიყვნენ დასავლურ რელიგიურ წრეებთან დისკუსიაში, შეესუსტებინათ დასავლური პროპაგანდა სოციალისტურ ქვეყნებში ეკლესიის დევნის შესახებ და დაეთრგუნათ ანტიკომუნისტური ტენდენციები (Hebly, 1993:114-116). აღნიშნულის დასტურია 1961 წლის 31 მარტს რუსეთის ეკლესიის სინოდის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების შესახებ. 1961 წლის ნოემბერში კი ნიუ–დელიში გამართული ემს–ს მესამე გენერალურ ასამბლეას უერთდებიან რუსეთისა და მასთან ერთად, რუმინეთის, ბულგარეთის და

პოლონეთის ეკლესიები (Козлов, 2006). მცირე ხანში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს უერთდებიან საქართველოსა და სომხეთის ეკლესიები, სრულიად საკავშირო ბაპტისტთა კავშირი და ის რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც სსრკ–ის მინისტრთა საბჭოში იყვნენ რეგისტრირებულნი (ბარდაველიძე, 2006:110).

ეკუმენურ მოძრაობაში სოციალისტური ბანაკის ეკლესიათა ბირთვის ფორმირებამ გარკვეულწილად მოახდინა ძალთა თანაფარდობის დაბალანსება ემს–ში. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანებისთანავე, რუსეთის ეკლესიამ აქტიურად დაიწყო „სოციალისტური იმპერიის“ ავტორიტეტის ამაღლება. უკვე 60–80-იან წლებში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობა მსოფლიოს ბიპოლარიზაციის შემცირებისა და დაპირისპირებულ ბანაკთა შორის ურთიერთობების დარეგულირებაზეა ორიენტირებული. ეკლესიოლოგიურ საკითხთა გვერდით, ემს–ს ცენტრალური კომიტეტი ინტენსიურად განიხილავს განიარაღებისა და ბირთვული საფრთხის განეიტრალების მეთოდებს. იწვევს ასამბლეებსა და სამშვიდობო კონფერენციებს, სადაც მუშავდება რეზოლუციები დასავლურ და აღმოსავლურ ბანაკთა წევრი სახელმწიფოებისა და მათი ხელისუფლების მისამართით (ბრაგანტინი, 2006:).

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პოლიტიკურ საქმიანობაში გამოვყოფთ ერთ მეტად მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საბჭოთა კავშირში მოქმედ ეკლესიებს და მათ შორის, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. კერძოდ, 70 -იანი წლებიდან „პოლიტიკური ნეიტრალიტეტის“ დადასტურების მიზნით, ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ხელს უწყობს სოციალისტური ბანაკის ეკლესიათა დაწინაურებას ეკუმენურ მოძრაობაში, რაც ძირითადად, ორგანიზაციის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მათ დანიშვნას გულისხმობდა. ამ მიზნით კი აქცენტს აკეთებს არა რუსეთის საპატრიარქოზე, არამედ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ ნაციონალურ ეკლესიებზე. ამ კუთხით, ორგანიზაციის ყურადღების ობიექტი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ხდება.

ჩნდება კითხვა: რატომ საბჭოთა კავშირში მოქმედი ადგილობრივი ეკლესიები და არა რუსული ეკლესია? ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი მდგომარეობს შემდეგში:

პროტესტანტული წრეებისთვის კარგად იყო ცნობილი საბჭოთა კავშირში მოქმედი ეკლესიების მდგომარეობა და ის ფაქტიც, რომ რუსეთის

მართლმადიდებელი ეკლესია ყველაზე მეტად განიცდიდა ხელისუფლებისგან ზეწოლასა და კონტროლს, შესაბამისად, იგი, ვერასდროს იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი ძალა, რომლის გამოყენებასაც შეძლებდნენ ორგანიზაციის პირდაპირი თუ ირიბი მმართველი წრეები. გარდა მისა, მოსკოვის საპატრიარქოს, როგორც აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში ჰეგემონობის პრეტენზიის მქონე ინსტიტუტის დაწინაურება წინააღმდეგობაში მოდიოდა როგორც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პროტესტანტული ბირთვის, ისე მათი მოკავშირე - კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ინტერესებთან. აქედან გამომდინარე, რუსეთის ეკლესიის დაწინაურება ვერ იქნებოდა სასურველი შედეგის მომტანი. რაც შეეხება ადგილობრივ ეკლესიებს, ნაშრომის ფარგლებში ჩვენ არაერთგზის შევეხეთ დასავლური სამყაროს ინტერესს საბჭოთა კავშირში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების მიმართ და მათი მხრიდან ამ რელიგიური ჯგუფების მდგომარეობის გამოყენებას სსრკ-ის მაკომპრომეტირებელ მექანიზმად. შესაბამისად, ვთვლით, რომ სავსებით ლოგიკურია, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წარმომადგენელთა მიერ გადაგმული ნაბიჯები სსრკ-ის ადგილობრივი ეკლესიების მისამართით. ეროვნული ეკლესიების გაყვანა საერთაშორისო ასპარეზზე, მათი ჩართვა მსოფლიოს რელიგიურ და სამშვიდობო პროცესებში, გაძლიერებდა მათ პოზიციებს, რაც პირდაპირპროპორციულად იმოქმედებდა როგორც რუსეთის ეკლესიის დასუსტებაზე, ისე მათი სახელმწიფოების წარმატებაზე საბჭოთა სისტემის რღვევის პროცესში.

ვფიქრობთ, ამ მიზნებით აიხსნება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი.

ჩვენთვის საინტერესოა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ერთი დოკუმენტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის ფონდიდან, რომელიც გვამცნობს: „იამაიკის დედაქალაქ კინგსტონიდან მიღებულია მეტად საყურადღებო ცნობა, რომ მისი უწმინდესობა და უნეტარესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 1-13 იანვრის სხდომაზე არჩეულია მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტად (ინფორმაცია სრულიად საქართველოს... პრეზიდენტად... 1979:1). როგორც

დოკუმენტიდან ვიგებთ, 1979 წელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ საქართველოს პატრიარქი აირჩია პრეზიდენტად. აქვე უნდა დავძინოთ ის, რომ საბჭოს პრეზიდიუმი შედგება 8 პრეზიდენტისგან (არაბიძე, 2013: 292) და დოკუმენტიც სწორედ ერთ-ერთი პრეზიდენტის თანამდებობას გულისხმობს.

მნიშვნელოვანია ის, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ამ პერიოდისთვის აერთიანებდა თითქმის 100 ქვეყნის 300-მდე რელიგიურ ცენტრს. საბჭოთა კავშირიდან კი მის შემადგენლობაში იყვნენ რუსეთის, საქართველოს, სომხეთის, ესტონეთისა და ლატვიის ეკლესიები და აგრეთვე, ბაპტისტთა გაერთიანება (სრულიად... მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი... 1979:5).

საქართველოს ეკლესიის ოფიციალური ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ ამ ფაქტს შემდეგნაირად აფასებდა: „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად არჩევა უდიდესი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ქართული ეკლესიის არსებობის მთელ მანძილზე ასეთი აღიარება არ რგებია არცერთ მწყემსმთავარს“ (სრულიად... მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი... 1979:5). აღიარება მართლაც დიდი იყო, თავისი ისტორიული მნიშვნელობითა და მიზნებით და კიდევ უფრო დიდი იყო ის ასპარეზი და შესაძლებლობები, რაც ამიერიდან ეძლეოდა სსრკ-ს ფარგლებში მაქსიმალურად შეზღუდულ ქართულ ეკლესიას, რომელსაც საკუთარ სახელმწიფოში არ გააჩნდა ელემენტარული პირობები სრულფასოვანი საქმიანობისთვის. ვფიქრობთ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში კარგად იყო ცნობილი საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა და მისი მწყემსმთავრის აქტიური ბრძოლა საერთაშორისო აღიარების მოპოვებისთვის, მით უფრო, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ჯერ კიდევ პრეზიდენტად არჩევამდე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის რანგში მყოფი, როგორც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი დეპარტამენტის - „ეკლესია და ცხოვრება“ წევრი, აქტიურად მონაწილეობდა მის მუშაობაში. დეპარტამენტისთვის კარგად იქნებოდა ცნობილი მისი პიროვნება და ვფიქრობთ, ეროვნული პოზიციებიც. აქედან გამომდინარე, შემთხვევითად არ მიგვაჩნია სწორედ საქართველოს ეკლესიის მეთაურის არჩევა ამ გლობალური საეკლესიო ორგანიზაციის პრეზიდიუმში.

საბჭოთა ხელისუფლებისთვის ცხადია, ეს ფაქტი საყურადღებოც იყო და დამაფიქრებელიც, ვინაიდან რთული მისახვედრი არ იყო, რა მიზანსაც

ემსახურებოდა. არც იმის პროგნოზორება იყო რთული, რომ ქართული ეკლესია ამ შესაძლებლობას აუცილებლად გამოიყენებდა საკუთარი უფლებების დაცვისა და საბჭოთა სისტემის მარწუხებისგან დახსნისთვის თუ ვერა, მინიმუმ გადარჩენისთვის მაინც.

მნიშვნელოვანია ის, თუ რა შედეგების მოტანა შეეძლო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წამყვან პოზიციაზე ყოფნას საქართველოს ეკლესიისთვის. ანალიზის შედეგად გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს:

1) ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში და მით უფრო მის პრეზიდიუმში ყოფნა ნიშნავდა მსოფლიოს თითქმის 100 ქვეყნის 300-მდე რელიგიურ ჯგუფთან წვდომასა და კონტაქტებს. აღნიშნული, იმ ეკლესიას, რომელსაც საეკლესიო კონტაქტები ძირითადად, რუსეთისა და სსრკ-ის სხვა ეკლესიებთან ჰქონდა, ისიც ხელისუფლების წარმომადგენელთა ნებართვითა და მეთვალყურეობით, ბუნებრივია, ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გარღვევისა და ჩაკეტილი საზღვრებიდან გასვლის შესაძლებლობას ანიჭებდა. საზღვრებიდან გასვლა კი ავტომატურად ნიშნავდა იზოლაციისგან თავის დაღწევას და ახალი კონტაქტების დამყარებას. ახალი კონტაქტები კი, თავის მხრივ, ახალ პერსპექტივებს და შესაძლებლობებს ქმნიდა.
2) მსოფლიოს 300-მდე რელიგიურ ჯგუფთან თანამშრომლობა ნიშნავდა მათში (და არა მხოლოდ) საქართველოს ეკლესიის ცნობადობის გაზრდას და ხმის მიწვდენას იმ ეტაპზე არსებული მდგომარეობის შესახებ, რაც მასზე არსებული დეზინფორმაციის (მაგ. ავტოკეფალიის საკითხში) დაძლევის იმედს აჩენდა
3) ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნა საქართველოს ეკლესიის მეთაურს აძლევდა იმ ძალაუფლებას, მონაწილეობა მიეღო და გავლენა მოეხდინა საბჭოს ეგიდით სხვადასხვა აქტივობებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვის, ორგანიზებისა და განხორციელების პროცესზე, რაც ბუნებრივია, აისახებოდა როგორც საბჭოს საქმიანობაზე, ისე საქართველოს ეკლესიის სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე.
4) ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნა და მისი აქტიური როლი საბჭოს საქმიანობაში, ხელს შეუწყობდა საქართველოს

ეკლესიის არა მხოლოდ ცნობადობის, არამედ ავტორიტეტის გაზრდას, რასაც შეეძლო დიდი გავლენა მოეხდინა მისი ისტორიული ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარების მოპოვებაზე.

5) ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმში ყოფნა შეასრულებდა ერთგვარი თავდაცვის ბერკეტის როლს საქართველოს ეკლესიისთვის, რომელიც გაამყარებდა მის პოზიციებს საბჭოთა სახელმწიფოში.

ვფიქრობთ, ზემოხსენებული პერსპექტივები გაცნობიერებული ჰქონდათ საქართველოს ეკლესიის სინოდში, რამაც განაპირობა პატრიარქის თანხმობა პრეზიდენტის პოზიციაზე მუშაობაზე.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის ამპლუაში ყოფნის პერიოდში (რომელიც 1983 წლამდე გაგრძელდა) და მის შემდგომაც, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ორგანიზაციის ეგიდით გამართულ სხვადასხვა სახისა და შინაარსის ღონისძიებებსა და ფორუმებში, რომელთა ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას საყოველთაო მშვიდობის დაცვა წარმოადგენდა. ამ მიზნით, ქართულმა ეკლესიამ არაერთხელ მიიღო მონაწილეობა სამშვიდობო ფორუმებსა და კონფერენციებში, უმასპინძლა სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მაგალითებისთვის შეგვიძლია დავასახელოთ 1980 წლის სექტემბერში ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალური მდივნის, დოქტორ გლენ ვილიამსის ვიზიტი თბილისში (საქართველოს ეკლესია... თანამედროვე ეტაპზე, 1983:12); 1982 წლის აპრილში ბირთვული კატასტროფის საწინააღმდეგო, სამშვიდობო კონფერენცია მოსკოვში (რელიგიის მოღვაწენი... 1982: 10-12); 1985 წელს ქრისტიანული სამედიცინო კომისიის კრება ველდჰოვენში (ჰოლანდია) (ქრისტიანული სამედიცინო... 1985:45) და სრულიად ქრისტიანული სამშვიდობო ასამბლეა პრაღაში (სრულიად ქრისტიანული სამშვიდობო... 1985:14). იმავე წლის 5-7 სექტემბერს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის, ემილიო კასტროს ვიზიტი საქართველოში (ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს... 1985:13); 1988 წლის ნოემბერში -ევროპის ეკლესიათა კონფერენციის საღვთისმეტყველო კონსულტაცია ლე-ჟენეუიე სუკოფრანში (შვეიცარია) (წილკნელ-ურბნელი..., 1988:36) და სხვა.

მოლოდინების შესაბამისად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიურმა ჩართულობამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ღონისძიებებში, გააფართოვა

მისი კონტაქტები მსოფლიოს როგორც მართლმადიდებლურ, ისე არამართლმადიდებლურ და არაქრისტიანულ რელიგიურ თემებთან. სხვადასხვა კონტინენტის მაცხოვრებლებისთვის გახდა ცნობილი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელი. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი ყველა ვიზიტსა და შეხვედრას იყენებდა იმისთვის, რომ მასპინძლებისა თუ სტუმრებისთვის გაეცნო ქართული ეკლესიის მდიდარი ისტორიული წარსული და თანამედროვე საქმიანობა. აღნიშნულს მოწმობს საპატრიარქოს ოფიციალურ ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“ 1979-1990 წლებში გამოქვეყნებული ვიზიტების ქრონიკები და დიალოგები საქართველოსა და სხვა ეკლესიების წარმომადგენლებს შორის, განცხადებები, მიმართვები, წერილები და სხვ. პატრიარქი აქტიურად იყენებდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ტრიბუნას საქართველოს ეკლესიის შესახებ არსებული სტერეოტიპის (რომლის მიხედვითაც, ქართული ეკლესია რუსეთის ეკლესიისგან გამოყოფილ, ავტონომიურ ეკლესიად მოიაზრებოდა) მსხვრევისა და ფართო საზოგადოების სწორად ინფორმირებისთვის.

მისმა მცდელობამ და საერთო მიზნების მიღწევის პროცესში თანამშრომლობამ გაზარდა საერთაშორისო საზოგადოების ინტერესი ქართული ეკლესიისადმი. აღდგა და გაღრმავდა კონტაქტები კონსტანტინეპოლის (რასაც ქართული ეკლესია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა), ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის და სხვა მართლმადიდებელ საპატრიარქოებთან, დამყარდა ურთიერთობები ახალგაზრდა ავტონომიურ ეკლესიებთან, კათოლიკურ და პროტესტანტულ რელიგიურ თემებთან და ორგანიზაციებთან და სხვ.

საქართველოს ეკლესიის ამგვარი ფართომასშტაბური საქმიანობა, ბუნებრივია, არც ისე სასიამოვნო იყო საბჭოთა ხელისუფლებისთვის. სწორედ ამიტომ, ქართველი სამღვდელოების ყველა ვიზიტი უცხოეთში და უცხოელ სტუმართა ყველა ჩამოსვლა საქართველოში საგანგებოდ კონტროლდებოდა შესაბამისი უწყებების მიერ. შეხვედრებს ძირითადად ესწრებოდა რელიგიის საქმეთა რწმუნებული, რომლის აპარატი აგროვებდა დეტალურ ინფორმაციას ყველა ვიზიტის შესახებ. ხელისუფლებისთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო 1980 წელს საქართველოს პატრიარქის მიერ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს განცხადებაზე ხელმოწერა, რომელიც გმობდა ავღანეთში ინტერვენციის ფაქტს. (ჯონსი, 1989/2008: 306-307).

ბუნებრივია, ამის შემდეგ საქართველოს ეკლესიის მოღვაწეობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში და მისი კონტაქტები საერთაშორისო რელიგიურ წრეებთან ყველანაირად მიუღებელი იქნებოდა მისთვის. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის სხვა ეკლესიებისგან განსხვავებით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დიდხანს არ მიეცა რეაბილიტაციის საშუალება. ხელისუფლება არ უშვებდა მისთვის რეზიდენციის გადაცემასაც კი, რათა არ ჰქონოდა ვიზიტების აქტიური გაცვლის შესაძლებლობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებულმა დაბრკოლებებმა ვერ შეაფერხა საქართველოს ეკლესიის მიზანმიმართული საქმიანობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ისტორიული უფლებების - ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების აღიარება წარმოადგენდა, რომლის მიღწევაც, რომ არა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობა, ჩაკეტილი საბჭოთა სივრცის პირობებში, ალბათ ნაკლებად წარმოსადგენი იყო. გარდა ამისა, ხსენებულ ორგანიზაციაში დაწინაურება ქართულ ეკლესიას დიდ დახმარებას უწევდა თავად საბჭოთა კავშირში პოზიციების გამაგრებაში.

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც გორბაჩოვის ხელისუფლებამ დაიწყო ე.წ. „რელიგიური პერესტროიკის“ განხორციელება სახელმწიფოში, მართალია იგი სხვა ეკლესიებთან შედარებით, მცირე დოზით შეეხო საქართველოს ეკლესიას, თუმცა, გაწეულმა კომპრომიებმა (საპატრიარქო შენობის გადაცემა, მონასტრების დაბრუნება, სასულიერო აკადემიის გახსნაზე ნებართვა და სხვ.) მას საშუალება მისცა, კიდევ უფრო გაეძლიერებინა დასახული მიზნების მიღწევისთვის ბრძოლა. აღნიშნულს თან დაერთო რევოლუციების ტალღა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში და საბჭოთა სისტემის რღვევის პროცესი, რომელიც 1991 წელს მისი სრული კრახით დასრულდა.

1990 წლისთვის კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქომაც დათმო თავისი პოზიცია და აღიარა საქართველოს ეკლესიის როგორც ავტოკეფალია, ისე მისი მწყემსმთავრის საპატრიარქო ღირსება.

ამგვარად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეკლესიის მოღვაწეობამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, მიუხედავად იმისა, რომ მისი გაწევრიანება 1962 წელს იძულებით ხასიათს ატარებდა, პოზიტიური შედეგები

გამოიღო, ვინაიდან ქართული ეკლესიის წარმომადგენლობამ შეძლო ამ ბერკეტის ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება. კერძოდ, საქართველოს ეკლესია გავიდა ფართო საეკლესიო–დიპლომატიურ ასპარეზზე; გაარღვია საზღვრები და გაანახლა ურთიერთობები მსოფლიოს უძველეს ქრისტიანულ საპატრიარქოებთან; განსაკუთრებით კი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან, რომელთან დაახლოებასაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ავტოკეფალიის აღიარების საკითხში. დამყარდა საეკლესიო და სამეცნიერო ურთიერთობები ვატიკანთან, რასაც შედეგად მოყვა საქართველოს ისტორიის შესახებ წყაროების მოპოვება. ქართული ეკლესია აქტიურად ჩაება ეკლესიათაშორის ურთიერთობებსა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში; გაიზარდა რელიგიური წრეების ინტერესი მისი ისტორიული წარსულისა და საბჭოთა კავშირში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ტრიბუნის მეშვეობით, საქრთველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა შეძლეს ქართული ეკლესიის შესახებ მსოფლიო საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპის რღვევა, რომელიც უძველეს ქართულ ეკლესიას ისტორიულად რუსეთის საპატრიარქოს ორგანულ ნაწილად და 1917 წლიდან მისგან გამოყოფილ ავტონომიურ ეკლესიად მოიაზრებდა. ამ კუთხით, უდიდეს მიღწევას წარმოადგენდა 1990 წელს კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარება, რაც სწორედ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის აქტიური მოღვაწეობის შედეგი იყო (ბოკელავაძე, 2008:126-129). გარდა ზემოთქმულისა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობამ და საერთაშორისო კავშირ–ურთიერთობებმა საქართველოს ეკლესიას აგრეთვე შეუქმნეს იმუნიტეტი საბჭოთა სახელისუფლებო აპარატის წინააღმდეგაც (ბარდაველიძე 2006:130). ყოველივე აღნიშნული კი, ათეისტური სახელმწიფოს ფარგლებში მოღვაწე, მრავალგზის რეპრესირებული და შევიწროვებული ქართული სამოციქულო ეკლესიისათვის, უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენდა.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების შეჯამებისთვის პირველ რიგში, საჭიროდ მიგვაჩნია, მიმართულებების გამოყოფა და მიღებული შედეგების მათ შესაბამისად დაჯგუფება.

1) **საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა**

საბჭოთა კავშირის თითქმის 70 წლიანი არსებობის განმავლობაში სახელმწიფოს ოფიციალურ იდეოლოგიურ ფუნდამენტს ათეიზმი წარმოდგენდა, ხოლო მიზანს - რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისგან, ღირებულებებისგან და ცხოვრების წესისგან დაცლილი საბჭოთა საზოგადოების ჩამოყალიბება. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე არსებული საშინაო თუ საგარეო გამოწვევების პირობებში, სახელისუფლებო კურსმა ერთგვარი ტრანსფორმაცია განიცადა, თუმცა, ტრანსფორმირება ძირითადად გულისხმობდა გარეგნული ფორმის და არა შინაარსის ცვლილებას. იცვლებოდა რელიგიურ ინსტიტუტებთან, სასულიერო პირებთან და მორწმუნეებთან ურთიერთობების სტრატეგიები, მაგრამ თითქმის არასდროს - მიზანი.

რუსულ ისტორიოგრაფიაში წლების განმავლობაში ფართოდ იყო გავრცელებული მოსაზრება, რომ ლ. ბრეჟნევისა და მ. გორბაჩოვის დროს ეკლესიებმა მიიღეს გაცილებით მეტი თავისუფლება, შეწყდა სამღვდელოთა და საერო პირთა დევნა, ეკლესიებს ჰქონდათ საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობის შესაძლებლობა და სხვ. აღნიშნული მოსაზრება საქართველოშიც არსებობს დღემდე, თუმცა, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოვჩნდით.

წყაროების შესწავლამ დაგვანახა, რომ ლ. ბრეჟნევის პოლიტიკის ე.წ. სტაბილური ხასიათი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, ნაკლებად აისახა რელიგიაზე. ხელისუფლებაში მოსვლიდან მალე ის იწყებს ნ. ხრუშჩოვის მიერ შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დაძლევას, მათ შორის, რელიგიასთან ურთიერთობაში, რაც უპირველეს ყოვლისა, ხრუშჩოვის ანტირელიგიური კამპანიის გმობითა და რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაციით იწყება. ლ. ბრეჟნევი ირჩევს ფრთხილ, გარკვეულწილად, კომპრომისულ ტაქტიკას რელიგიურ თემებთან და

ორგანიზაციებთან ურთიერთობაში. ასუსტებს ანტირელიგიურ პროპაგანდას, ამსუბუქებს საკანონმდებლო შეზღუდვებს, ეკლესიებს ანიჭებს გარკვეულ თავისუფლებას ღვთისმსახურებისა და ტრადიციული ფუნქციების აღსრულებაში, თუმცა, ეს ყველაფერი დიდხანს არ გრძელდება. 70-იანი წლების II ნახევრიდან, როდესაც იცვლება პოლიტიკური და რელიგიური კლიმატი მსოფლიოსა და რეგიონში, იწყება მისი კურსის რადიკალიზაციაც. მხედველობაში გვაქვს 1975 წლის ჰელსინკის შეთანხმება და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურება, 1979 წლის სამხედრო ინტერვენცია ავღანეთში და დასავლურ ბანაკთან ურთიერთობის გართულება, 1978 წელს პოლონელი კარდინალის, კაროლ ვოიტილას (პაპი იოანე პავლე II) რომის პაპის ტახტზე აღსაყდრება, მისი ანტიკომუნისტური მოღვაწეობა და ალიანსი აშშ-თან, 1979 წლის ისლამური რევოლუცია ირანში, გაეროს 1981 წლის დეკლარაცია რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ და სხვ. ამ პერიოდიდან ლ. ბრეჟნევი იწყებს ეკლესიაზე კონტროლის გამკაცრებას, ათეისტური პროპაგანდის გაძლიერებას და რელიგიური ინსტიტუტებისა და მორწმუნეების მიმართ პირდაპირ რეპრესიებს. აღნიშნულის პარალელურად კი, სასულიერო პირებს აძლევს საერთაშორისო რელიგიურ და სამშვიდობო პროცესებში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას, ცხადია, იმ მიზნით, რომ მსოფლიო საზოგადოების წინაშე სწორედ მათი მეშვეობით წარმოეჩინა საბჭოთა სახელმწიფოს „დემოკრატიული“ ხასიათი და დაეძლია დასავლური ბანაკის კომპრომატები.

მდგომარეობა უკეთესობისკენ არც ი. ანდროპოვისა და კ. ჩერნენკოს დროს შეცვლილა. პირიქით, ი. ანდროპოვის მმართველობის დროს გაიზარდა სახელმწიფო ორგანოების როლი და უფლებამოსილება რელიგიური გაერთიანებებისა და სასულიერო პირების კონტროლში. კონტროლდებოდა ღვთისმსახურება, სასულიერო სასწავლებლების საქმიანობა, რელიგიურ გაერთიანებებში კადრების შერჩევა და სხვ, უნდა აღინიშნოს ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა მთელი 70-80-იანი წლების განმავლობაში სეგრეგაციულ ხასიათს ატარებდა: ხდებოდა კონფესიათა და მათ წარმომადგენელთა დიფერენცირება, უმეტესად, პოლიტიკური ნიშნით და ღონისძიებებიც მათ შესაბამისად ტარდებოდა. კერძოდ: რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც საბჭოთა კავშირის

მთავარი ეკლესია, ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტს წარმოადგენდა. შესაბამისად, ყველაზე მეტ წნეხსაც და კონტროლსაც სწორედ ის განიცდიდა, ხოლო როდესაც საბჭოთა ხელმძღვანელობას რელიგიურ ორგანიზაციათა მხარდაჭერა სჭირდებოდა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პროცესებში, ყველაზე მეტ კომპრომისსაც მასთან ურთიერთობაში უშვებდა. ამ კომპრომისებით და შეღავათებით ვერ სარგებლობდნენ სსრკ-ში მოქმედი სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები, ვინაიდან ისინი ადგილობრივ, არარუსულ, საბჭოთა კავშირში იძულებით გაწევრიანებული ერების ეკლესიებს წარმოადგენდნენ, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამ ერების განმათავისუფლებელ მოძრაობას და შესაბამისად, ხელისუფლების თვალში არასანდო ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ. რაც შეეხება კათოლიკურ და პროტესტანტულ ჯგუფებს, სსრკ-ში ისინი დასავლეთისგან მართულ, კომუნისტური სისტემისა და სახელმწიფოს მიმართ მტრულად განწყობილ ძალებად მოიაზრებოდნენ და ამის გამო ყოველთვის მკაცრ რეპრესიებს განიცდიდნენ.

როგორც ლ. ბრეჟნევის, ისე ი. ანდროპოვისა და კ. ჩერნენკოს მმართველობის პერიოდში, არარუს მართლმადიდებლებთან ერთად, მიმდინარეობდა კათოლიკეებისა და პროტესტანტების დაპატიმრება, მორწმუნე საერო პირების დისკრიმინაცია და სხვ. კ. ჩერნენკოს ხანმოკლე მმართველობის პერიოდში, რომელიც ყველაზე ნაკლებად შესწავლილ პერიოდს წარმოადგენს და შესაბამისად, ფართო საზოგადოებისთვისაც ნაკლებად ცნობილია მის მიერ გატარებული ღონისძიებები, ჩვენი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მისი რელიგიური პოლიტიკა, ნ. ხრუშჩოვის მმართველობის შემდეგ, ალბათ ყველაზე აგრესიულ ხასიათს ატარებდა, რაც ძირითადად, მონასტრების უკიდურესად შევიწროვებაში და სასულიერო პირების დახვრეტაში გამოიხატა.

ვითარება იცვლება საბჭოთა კავშირის ხელისუფლების სათავეში მ. გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ, უფრო კონკრეტულად კი, მისი მმართველობის მეორე პერიოდიდან, როდესაც სსრკ-ში და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში გაძლიერებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირობებში, ხელისუფლების წინაშე იდგა აშშ-თან და დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობის

სტაბილიზების და შეთანხმების აუცილებლობა. აღნიშნულს თან ერთვოდა ჩერნობილის ტრაგედია და მისი შედეგები; საზოგადოების გაზრდილი ინტერესი რელიგიისადმი და ვატიკანის ღია, პირდაპირი ბრძოლა კომუნისტური რეჟიმის, პოლონეთის დამოუკიდებლობისა და სოციალისტური ბანაკის ტერიტორიაზე კათოლიციზმის აღორძინებისათვის.

მ. გორბაჩოვის ხელისუფლებამ კარგად გაიაზრა არსებული გამოწვევები და სახელმწიფოსა და სისტემის გადარჩენის საქმეში ერთ-ერთ მიმართულებად რელიგიასთან ურთიერთობის ნორმალიზება დაისახა. აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პოზიტიური ცვლილებები ძირითადად მმართველობის მეორე ეტაპიდან იწყება და არა მმართველობის დასაწყისიდან. ჩვენი აქცენტის მიზეზი არის ის, რომ ქართულ სამეცნიერო და არასამეცნიერო სივრცეში ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, მ. გორბაჩოვის მმართველობა წარმოადგენდა პოზიტიური გარდაქმნების ეპოქას, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკურ, ისე რელიგიურ ცხოვრებაში. ჩატარებულმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ პოზიტიური ცვლილებები მისი მმართველობის დასაწყისში არ მომხდარა, პირიქით, რელიგიურ ჯგუფებთან ურთიერთობაში იგი აგრძელებდა წინამორბედ ლიდერთა კურსს და თავადაც ილაშქრებდა რელიგიის წინააღმდეგ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვეყნის საერთო მდგომარეობა კრიზისულ ეტაპს მიუახლოვდა, მ. გორბაჩოვი იწყებს „რელიგიურ გარდაქმნას“. მართალია, „რელიგიური პერესტროიკა“ თავიდან ძირითადად, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შეეხო, რაც მისი რეაბილიტაციით გამოვლინდა, თუმცა, საბოლოო ჯამში, ის გავრცელდა არარუსულ და არამართლმადიდებლურ თემებზეც. ეკლესიებს (როგორც ინსტიტუტებს) დაუბრუნდათ სალოცავები, გაიხსნა დახურული ეკლესია-მონასტრები, მიეცათ მეტი თავისუფლება ღვთისმსახურების ჩატარებისთვის, გაფართოვდა მათი საგამომცელო საქმიანობა და სხვ. ხელისუფლებამ დაიწყო დიალოგი ვატიკანთან, წმინდა საყდარს მიეცა უფლება, დაენიშნა კათოლიკე ეპისკოპოსები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. „რელიგიური პერესტროიკის“ კულმინაციად იქცა სინდისისა და რელიგიის თავისუფლების შესახებ კანონების მიღება, რომელთა საფუძველზე, სახელმწიფომ აღიარა ეკლესიის, როგორც იურიდიული პირის უფლებები. მათ მიეცათ უძრავი ქონების ფლობის, განათლების, განმანათლებლობის და სხვა

უფლებები. რელიგიური პოლიტიკის განხორციელების მთავარ ორგანოს - რელიგიის საქმეთა საბჭოს კი, შეეკვეცა უფლებამოსილება და ფუნქციები, შემდეგ კი მთლიანად გაუქმდა. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, საბჭოთა სახელმწიფოს გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო და ვერც „რელიგიურმა გარდაქმნამ“ მოიტანა ხელისუფლებისთვის სასურველი შედეგი. რელიგიასთან ბრძოლის მრავალწლიანი კამპანია სრული კრახით და სისტემის განადგურებით დასრულდა.

საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა XX ს-ის 70-80-იან წლებში, ბუნებრივია, აისახა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზეც. ქართული ეკლესია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებით გაწევრიანებული ერისა და სახელმწიფოს ეკლესიას, რომელიც ხელისუფლების ნდობით ალბათ ვერასდროს ისარგებლებდა. მართალია, ის მართლმადიდებლური იყო და თავისი მრწამსით, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან უფრო თანხვედრაში მოდიოდა, ვიდრე კათოლიკურ და პროტესტანტულ თემებთან, თუმცა, ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო მისი ეროვნული პოზიციები ჯერ კიდევ XX ს-ის 20-იანი წლებიდან და ბუნებრივია, არ დაუშვებდა მის არც რეაბილიტაციას და მით უფრო, არც გაძლიერებას. ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ვერ გაილაშქრებდა ვერც ადგილობრივი ხელისუფლება. შედეგად, 80-იანი წლების ბოლომდე საქართველოს სამოციქულო ეკლესიას არ მიეცა არა თუ თავისუფალი მოღვაწეობის, არამედ საქმიანობისთვის საჭირო ელემენტარული პირობები. მას არ გააჩნდა საპატრიარქო რეზიდენციისთვის საჭირო შენობა, სასულიერო აკადემია, ქართველი ერის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი დახურული იყო, ნაწილი კი სხვა დანიშნულების დაწესებულებებად (სახელოსნო, აბანო, პურის საცხობი) გადაკეთებული. კონტროლდებოდა სამღვდელოთა საქმიანობა და მორწმუნე საერო პირთა ღვთისმსახურებებზე დასწრება. ადგილი ჰქონდა პროვოკაციებსაც, რაც ვფიქრობთ, მის დასუსტებას და დაშლას ისახავდა მიზნად. მიუხედავად, ხსენებული პირობებისა, საქართველოს ეკლესიამ მაინც შეძლო არა მხოლოდ არსებობის შენარჩუნება, არამედ ათეისტურ სახელმწიფოში მცხოვრები ქართველი საზოგადოების შემობრუნება ღვთისა და სარწმუნოებისკენ, რაც თავისთავად,

საქართველოში თითქმის 70 წლიანი საბჭოთა ათეისტური იდეოლოგიის სრულ კრახს და ღვთისადმი რწმენის გამარჯვებას ნიშნავდა.

2) საქართველოს ეკლესიის ურთიერთობები მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებთან

უფლებებშეზღუდული და საქმიანობაშეზღუდული ქართული ეკლესიის წინაშე გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მრავალი გამოწვევა იდგა, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისი ავტოკეფალიისა და საპატრიარქო სტატუსის საერთაშორისო აღიარება იყო. საბჭოთა კავშირის ფარგლებში მოქმედ ეკლესიას, რომელსაც ავტოკეფალია 1917 წელს, რუსეთის რევოლუციის შემდეგ ჰქონდა აღდგენილი, მსოფლიოს რელიგიური (მათ შორის, მართლმადიდებლური) წრეების ნაწილი ახალგაზრდა, ავტონომიურ ეკლესიად თვლიდა და არ აღიარებდა მის ისტორიულ უფლებებს. ამ მხრივ, ყველაზე დიდ სირთულეებს ქართველი სამღვდელო დასი კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობაში წააწყდა, რომელთან შეთანხმების მიღწევას მრავალი წელი დასჭირდა. სწორედ ამიტომ, საქართველოს საპატრიარქომ, საგარეო ურთიერთობების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მართლმადიდებელ ეკლესიებთან და განსაკუთრებით, კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან ურთიერთობის აღდგენა და გააქტიურება დაისახა.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, საქართველოს ფართო საზოგადოებისთვის და სამეცნიერო სივრცის გარკვეული ნაწილისთვის ნაკლებადაა ცნობილი მოცემულ პერიოდში ქართული ეკლესიის საგარეო ურთიერთობის არსებობის შესახებ, რაც უმთავრესად საბჭოთა წარსულითა და ეკლესიების შეზღუდული საქმიანობის შესახებ ინფორმაციით არის განპირობებული. თუმცა, ჩვენი კვლევის შედეგად წარმოჩნდა, რომ საქართველოს ეკლესიას მოცემულ პერიოდში, მიუხედავად სახელისუფლებო ორგანოებისგან კონტროლისა, საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი ურთიერთობები ჰქონდა როგორც ქრისტიანულ ისე, არაქრისტიანულ სამყაროსთან.

მართლმადიდებლური სამყაროს ისტორიულ წინამძღოლთან (კონსტანტინეპოლის საპატრიარქო) ურთიერთობაში პრობლემებს ქმნიდა მისი

პოზიცია საქართველოს უძველესი ეკლესიის სტატუსისადმი. კერძოდ, კონსტანტინეპოლი არ აღიარებდა მის არც ავტოკეფალიას და არც საპატრიარქო ღირსებას, ნაშრომის ფარგლებში შევეცადეთ გამოგვეკვლია პოზიციის რეალური მიზეზები და გარკვეულ დონეზე შევისწავლეთ თავად კონსტანტინეპოლის ეკლესიის მდგომარეობა, მისი ურთიერთობები მსოფლიოს პოლიტიკურ ძალებთან და მოსკოვის საპატრიარქოსთან და მივედით იმ დასკვნამდე, რომ მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან წინააღმდეგობის მიზეზს მისი რუსეთის საპატრიარქოსთან დაპირისპირება და საკუთარი ინტერესები წარმოადგენდა, რასაც თან ერთვოდა დასავლური სამყაროს პოლიტიკური კონიუნქტურა.

პრობლემის დაძლევისთვის საქართველოს ეკლესია აქტიურად ცდილობდა მსოფლიოს მართლმადიდებელ საპატრიარქოთა მხარდაჭერის მოპოვებას. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება მათთან კონტაქტების დამყარება-აღდგენა, ვიზიტების გაცვლა, თანამშრომლობა სხვადასხვა რელიგიურ და სამშვიდობო პროცესებში და სხვა. უნდა აღინიშნოს ის, რომ ქართულმა ეკლესიამ შეძლო მათი მხარდაჭერის მოპოვება, თუმცა, კონსტანტინეპოლის პოზიციის შეცვლას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. საბოლოოდ, 1990 წელს, როდესაც გადამწყვეტ, კრიტიკულ ფაზაში შევიდა საბჭოთა იმპერიის დაშლის პროცესი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ, ჩვენი მოსაზრებით, დასავლეთის პოლიტიკურ ძალთა მხრიდან წახალისებით, ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც და საპატრიარქო ღირსებაც. ქართულმა ეკლესიამ შეძლო მრავალწლიანი ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინება და ისტორიული გამარჯვების მოპოვება, რომელიც გაცილებით ღრმა მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე იმ ეპოქისთვის წარმოუდგენელი აღიარების მიღწევა. მხედველობაში გვაქვს ის, რომ 1990 წელს საქართველოს ეკლესიამ მოიპოვა მსოფლიო საპატრიარქოსგან სტატუსის აღიარების ის ტომოსები, რომლებსაც მანამდე არ ფლობდა. აღნიშნული კი, წარმოადგენს იმის იურიდიულ გარანტს, რომ მომავალში ვერც ერთი საპატრიარქო ვერ შეძლებს ქართული ეკლესიის ისტორიული სტატუსის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას.

3) საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა ვატიკანთან და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან

საქართველოს ეკლესიის საგარეო ურთიერთობების ძალიან საინტერესო მიმართულებას წარმოადგენდა მისი კონტაქტები და დამოკიდებულება ვატიკანთან. ნაშრომში დეტალურად განვიხილეთ ვატიკანის ურთიერთობები როგორც აშშ-თან, ისე საბჭოთა კავშირთან და ვფიქრობთ, ნათელია ის რისკები, რომლის წინაშეც იდგა ქართული ეკლესიის ხელმძღვანელობა მასთან დაახლოებისას. ცხადია, არ გამოვრიცხავთ თავად საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებსაც მის წიაღში მოქმედი ეკლესიების მეშვეობით ვატიკანის საქმიანობაზე ინფორმაციის მოპოვების კუთხით, თუმცა, სსრკ-ის ეკლესიების „წმინდა საყდართან" დაახლოება და პოზიტიური ურთიერთობა რომ მისთვის არასასურველი იქნებოდა, ვფიქრობთ, უდავოა, ვინაიდან ვატიკანი ცნობილი იყო, როგორც ტოტალიტარიზმთან მებრძოლი, ანტიკომუნისტური ძალა, რომელიც ყველაფერს აკეთებდა სსრკ-ის და სოციალისტურ ბანაკის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების და მორწმუნეების (უმეტესად, კათოლიკეების) დასახმარებლად. საქართველოს ეკლესიისთვის ცნობილი იყო მისი როლი 70-80-იანი წლების ანტიკომუნისტურ პროცესებში (მაგ. პოლონეთში) და ვფიქრობთ, მას ერთ-ერთ პოტენციურ მხარდამჭერად მოიაზრებდა. მით უფრო, გასათვალისწინებელია მისი ავტორიტეტი და ძალა მსოფლიოს ქრისტიანულ სამყაროში და ალიანსი აშშ-თან. კონტაქტების დამყარება მართლაც შედგა. საფუძველი ჩაეყარა თანამშრომლობას სამეცნიერო სფეროშიც, თუმცა, საბჭოთა იმპერიაში დაწყებული რღვევის შეუქცევადი პროცესის პირობებში, ეს კავშირი შესუსტდა. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ რომისა და საქართველოს ეკლესიებმა მოცემულ პერიოდში გადადგმული ნაბიჯებით შეძლეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნიადაგის მომზადება ურთიერთობის სამომავლო განვითარებისთვის.

ვატიკანის გარდა, XX ს-ის 70-80-იან წლებში საქართველოს ეკლესიამ შეძლო აგრეთვე, ქრისტიანული სამყაროს პროტესტანტულ ნაწილთან კონტაქტების დამყარებაც, რაც ყველაზე ნათლად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან თანამშრომლობით გამოიხატა. ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, როგორც ეკუმენური მოძრაობის წამყვანი ორგანო, სხვადასხვა კონფესიისა და დენომინაციის წარმომადგენლებს აერთიანებდა და მრავალი მიმართულებით მუშაობდა. აღნიშნულის გამო, საქართველოს ეკლესიის მონაწილეობა მის მიერ დაგეგმილ და

განხორციელებულ პროცესებში, 90-იან წლებში ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში უარყოფითად შეფასდა და ქართულმა ეკლესიამ 1997 წელს დატოვა კიდეც იგი. თუმცა, ჩვენ მისი საგარეო ურთიერთობების შესწავლისას, საჭიროდ მივიჩნიეთ ამ საკითხის კვლევაც და ვფიქრობთ, სავსებით მართებულად, ვინაიდან ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა არა თავად ეკუმენური მოძრაობის თეოლოგიური ანალიზი, არამედ ის, თუ რა როლი შეასრულა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში საქმიანობამ საქართველოს ეკლესიის 70-80-იანი წლების ისტორიაში და რა შედეგები მოუტანა მას. ამდენად, ჩვენი კვლევის ობიექტი იყო არა მისი თეოლოგიური ასპექტები და მისი შესაბამისობა ქართული ეკლესიის მრწამსთან (მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი არ შეცვლილა), არამედ, პოლიტიკური ასპექტები და კონკრეტული შედეგები.

ნაშრომში განვიხილეთ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პოლიტიკური საქმიანობა და მისი როლი ე.წ. „კაპიტალისტური“ და „სოციალისტური“ ბანაკის ურთიერთობებში, რაც ვფიქრობთ, ნათელს ხდის მისი წევრობის მნიშვნელობას. პროტესტანტულ წიაღში ჩასახული ეკუმენური მოძრაობა და აშშ-ის ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით დაკავშირებული მისი მთავარი ორგანო - ეკლესიათა მსოფლიო საბჭო დროთა განმავლობაში საბჭოთა კავშირზე და მის მიღმა არსებულ კომუნისტურ რეჟიმებზე თავდასხმის რელიგიურ ფლაგმანად იქცა, რასაც თავიდანვე აუღო ალღო საბჭოთა ხელისუფლებამ. რისი შედეგიც იყო საბჭოში სოციალისტური ბანაკის ეკლესიების იძულებით გაწევრიანება, თუმცა, საბჭოთა პოლიტიკის მესვეურებმა ვერ გათვალეს ან გათვალეს, მაგრამ სხვა ფაქტორებმა გადაწონა ის რისკები, რასაც ამ საბჭოში კომუნისტური რეჟიმის უღელქვეშ მყოფი არარუსული, არამართლმადიდებელი ეკლესიების საქმიანობა გამოიწვევდა.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ ყველანაირად შეუწყო ხელი კომუნისტური სამყაროს ეკლესიების დაწინაურებას, მათ შორის, საქართველოს ეკლესიის წინსვლასაც, რაც უპირატესად, 1979 წელს მისი წინამძღოლის საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტად არჩევაში გამოიხატა. საბჭოს საქმიანობისა და მისი ეგიდით გამართული ღონისძიებების მეშვეობით, საქართველოს ეკლესია გავიდა ფართო საერთაშორისო ასპარეზზე, ქართველმა სასულიერო პირებმა მსოფლიო

საზოგადოებას გააცნეს ქართველი ერის, ქართული სახელმწიფოს და მისი ეკლესიის ისტორია, რამაც ბუნებრივია, ხელი შეუწყო მის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას, რომელიც მანამდე ქართულ ეკლესიას და ქართველ ხალხს ჯერ ცარისტული რუსეთის იმპერიისგან რევოლუციის შედეგად გამიჯნულ, შემდეგ კი სსრკ-ის ბუნებრივ და ორგანულ ნაწილად მოაზრებდა. სწორედ ამ კუთხით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი სასულიერო პირების მოღვაწეობას ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობაში. გარდა ამისა, 1979 წლიდან, როდესაც ქართველი მწყემსმთავარი აყვანილ იქნა საბჭოს პრეზიდენტის რანგში, ამით მას მიეცა გაცილებით ფართო ტრიბუნა ქართული ეკლესიისა და საქართველოს ინტერესების დაცვისთვის. ბუნებრივია, ამ შესაძლებლობის უმტკივნეულოდ გამოყენებას ძალიან დიდი სიფრთხილე და შესაბამისი, რაციონალური ნაბიჯების გადადგმა სჭირდებოდა იმისთვის, რომ საბჭოთა ხელისუფლების გაღიზიანება არ გამოეწვია. შესაბამისად, საქართველოს პატრიარქიც და ქართველი სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებიც, უმეტესად, საეკლესიო და სამშვიდობო ღონისძიებებზე ორიენტირდებოდნენ და სწორედ ამ ღონისძიებების ფარგლებში, ყველა ვიზიტსა და შეხვედრას იყენებდნენ საქართველოსა და ქართული ეკლესიის ხმის თითქმის ყველა კონტინენტზე მიღწევისთვის.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში საქმიანობამ საქართველოს და ქართულ ეკლესიას შედეგად მოუტანა:

ა) მათ შესახებ მსოფლიო საზოგადოების სწორად ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება, რაც ყოველთვის ფუნდამენტურ ბაზისს წარმოადგენს ლეგიტიმური უფლებების მოპოვებისთვის ბრძოლაში;

ბ) საქართველოს ეკლესიის დაახლოება და ისტორიული კავშირების აღდგენა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებთან, რამაც თავის მხრივ, დიდი წვლილი შეიტანა ქართული ეკლესიის ქრისტიანულ სამყაროში რეინტეგრაციასა და კუთვნილი ადგილის დამკვიდრებაში;

გ) ურთიერთობის დამყარება ახალგაზრდა ავტონომიურ ქრისტიანულ ეკლესიებთან; აგრეთვე, არამართლმადიდებლურ ინსტიტუტებთან და მათ

წარმომადგენლებთან; რამაც თავის მხრივ, სხვა სფეროებში (მაგ. კულტურულ, სამეცნიერო) თანამშრომლობას ჩაუყარა საფუძველი;

დ) კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან მრავალწლიანი მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება

ვფიქრობთ, მიღწეული შედეგები იმსახურებს გაანალიზებას და სწორად შეფასებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, შეზღუდული და კონტროლირებული საქმიანობის პირობებში, მაინც შეძლო საგარეო ურთიერთობების საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი სპექტრის შექმნა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ურთიერთობებში წარმატების და მათი მეშვეობით, დასახული მიზნების მიღწევა.

ბიბლიოგრაფია:

წყაროები და დოკუმენტური მასალები

1. ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი (1977, 21 ნოემბერი). ჩანაწერი, საქართველოს საპატრიარქოს არქივი. 83, ვარდოსანიძე, ს. (2011) XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბილისი, „ნათლისმცემელი“
2. ალავერდელი ეპისკოპოსი რომანოზი (1970, 20 ივლისი). ალავერდელი ეპისკოპოსის, რომანოზ პეტრიაშვილის წერილი პატრიარქ ეფრემ II-ისადმი, 1970 წ. 20 ივლისი, საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქაღალდე 575, დოკ. 4778. ვარდოსანიძე, ს., (2017). საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წწ.), თბილისი, ქართული უნივერსიტეტი
3. გობოჩაშვილი, ო., (1977). რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულთა საზოგადოების საქართველოს სსრ რესპუბლიკურ თათბირზე გაკეთებული მოხსენება „რელიგიური კულტების საბჭოთა კანონმდებლობის დაცვისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 1880, აღწერა N1, საქმე N308, ფურც.12
4. გრიგოლ მშვიდობაძე (1977, 10 სექტემბერი). წერილი საქართველოს ეკლესიის სინოდის წევრებს, საქართველოს საპატრიარქოს არქივი. 81, ვარდოსანიძე, ს., (2011). XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბილისი, „ნათლისმცემელი“
5. თბილისის კიროვის რაიონის პროკურატურის მოხსენებითი ბარათი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე, საქართველოს საპატრიარქო არქივი. დოკ. N14651, ვარდოსანიძე, ს., (2011). XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბილისი, „ნათლისმცემელი“

6. ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები, ნაწილი I, (2016). შემდგ. მზია კაცაძე, თბილისი, “პალიტრა L”
7. ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები, ნაწილი II, (2016). შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, “პალიტრა L”,
8. ინფორმაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტად არჩევის შესახებ 1979წ., საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 1880, აღწერა N1, საქმე N305, ფურც. 1
9. კონსტანტინეპოლის პატრიარქის დიმიტრიოსი, (1987, 14 ივლისი) წერილი საქართველოს პატრიარქ ილია II-ს, საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი N1880, აღწერა N1, საქმე N590, ფურც. 73-74
10. მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი) (1977). წერილი საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას გენერალურ მდივანს - ლ. ბრეჟნევს, საქართველოს საპატრიარქოს არქივი. 87, ვარდოსანიძე, ს., (2011), XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბილისი, „ნათლისმცემელი“
11. ნოზაძე, შ. (1988). ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკური კომისიის 1988 წლის სამუშაო გეგმა; ინფორმაცია ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკური კომისიის 1987 წლის მუშაობის შესახებ; საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი N1880, აღწერა N1, საქმე N562, ფურც. 6-12
12. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II (1989, 7 აპრილი). წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გივი გუმბარიძეს, ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები, ნაწილი II, (2016). შემდგ. მზია კაცაძე, თბილისი, “პალიტრა L”

13. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II (1984). წერილი საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ედუარდ შევარდნაძეს, 1984 წ. ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები, ნაწილი I (2016). შემდგ. მზია კაცაძე, თბილისი,"პალიტრა L"
14. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II (1980). წერილი ზ. პატარიძეს, ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები, ნაწილი I (1932-1985) (2016), შემდგ. მზია კაცაძე, თბილისი,"პალიტრა L"
15. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ", (1975, 21 ოქტომბერი), იდეოლოგიური მუშაობის საკითხები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტებში (1972-1983 წწ.), (1983), თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
16. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი, 2005
17. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომის ოქმი (1978, 21 ივლისი) - საგარეო საქმეთა განყოფილების დაარსების, საეკლესიო გამომცემლობის განყოფილების დაარსების და სხვათა შესახებ. საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე 315, ფურც. 5.
18. საქართველოს პატრიარქი, ილია II (1990). რუსეთის პატრიარქ პიმენის დაკრძალვაზე წარმოთქმულ;ი სიტყვა, ილია II, ნაწ. II შემდგ. მზია კაცაძე, თბილისი, „პალიტრა L"
19. საქართველოს საპატრიარქო არქივი, საქაღალდე 575. დოკ. 4778. ვარდოსანიძე, ს., (2017). საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წწ.), თბილისი, ქართული უნივერსიტეტი
20. საქართველოს საპატრიარქო არქივი. დოკ. N14651, ვარდოსანიძე, ს., (2011), XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბილისი, „ნათლისმცემელი"

21. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, 6578, ვარდოსანიძე, ს., საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე, (2017), თბილისი, ქართული უნივერსიტეტი
22. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვა, (1979, 12 მარტი) ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები, ნაწილი I, (2016), თბილისი, „პალიტრა L“,
23. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, ილია II (1982, 3 ივლისი). წერილი მის ყოვლადუსამღვდელოესობას, დიმიტრიოს I-ს, კონსტანტინეპოლის - ახალი რომის მთავარეპისკოპოსს, მსოფლიო პატრიარქს და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდს, ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები, ნაწილი I, (2016), შემდგ. მზია კაცაძე, თბილისი, “პალიტრა L”, გვ. 283-287
24. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, ილია II (1987, 2 სექტემბერი). წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ანზორ ნიკოლოზის ძე წიკლაურს, საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი N1880, აღწერა N1, საქმე N590, N63, M282, ფურც. 69
25. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II (1988, 22 აპრილი). წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ანზორ ნიკოლოზის ძე წიკლაურს, საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი N1880, აღწერა N1, საქმე N590, ფურც. 11
26. ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი (1978, 7 აპრილი). მოხსენებითი ბარათი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის (საქართველოს სს რესპუბლიკაში) თ. ონოფრიშვილისადმი, საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 1880, აღწერა N1, საქმე 324, ფურც. 2
27. ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი (1978, 11 მაისი). მოხსენებითი ბარათი საქართველოს სსრ მინისტრთა

საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულს ამხ. თ. დ. ონოფრიშვილისადმი, საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 1880, აღწერა N1, საქმე 324, ფურც. 25-26

28. ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი და საქართველოს ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე - ნიკოლოზი, (1980, 12 ივნისი). მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ვიზიტი იერუსალიმში, საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 1880, აღწერა N1, საქმე 384, ფურც. 21
29. ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, ქართლის ცხოვრება, ტომი I, თბილისი, 1955 https://www.amsi.ge/istoria/qc/gorgasali1.html
30. Communique of the Ecumenical Patriarchate on the Autonomy of the Church of Estonia, 1996, February 24, http://www.orthodoxa.org/GB/estonia/documentsEOC/situEstonie.htm დამოწმებულია 25.02.2025
31. Corley, F. (1996). Religion in the Soviet Union , An Archival Reader, London: Macmilan Press Ltd
32. Divini Redemptoris, (1937, March 19). Encyclical of Pope Pius XI on atheistic communism to the Patriarchs, Primates, Archbishops, Bishops and other ordinaries in peace and communion with the apostolic see https://www.vatican.va/content/pius-xi/en/encyclicals/documents/hf_p-xi_enc_19370319_divini-redemptoris.html დამოწმებულია 25.02.2025

    Eisenhower Dwight D., (1954) Address at the Second Assembly of the World Council of Churches, Evanston, Illinois, Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project https://www.presidency.ucsb.edu/node/232572 დამოწმებულია 25.02.2025
33. Iceland Chronology, (2016) Washington, October 18, 1986, Foreign Relations, 1981–1988, Volume VI, Soviet Union, October 1986–January 1989, editors: James Graham Wilson; Adam M. Howard, Washington, United States Government Publishing Office Washington, 2016, pp. 2-15 https://static.history.state.gov/frus/frus1981-88v06/pdf/frus1981-

88v06.pdf?_gl=1*ilew3u*_ga*NDg1NjM5Njk4LjE3MjU4NjU2NDM.*_ga_GWKX1LXFD1*MTcyOTY3MTA5Mi42LjEuMTcyOTY3MTQzNC4zMi4wLjA დამოწმებულია 25.02.2025

34. In the Orthodox Patriarchate of Georgia: (2016, September 30). evangelising as in the past, free of prejudice and open to God's perennial newness https://press.vatican.va/content/salastampa/en/bollettino/pubblico/2016/09/30/160930c.html
დამოწმებულია 25.02.2025
35. List of Observers, Guests at Current Session of Vatican II, (2015) https://vaticaniiat50.wordpress.com/2015/09/22/list-of-observers-guests-at-current-session-of-vatican-ii/ დამოწმებულია 25.02.2025
36. Memorandum of Conversation, (1986, October 11). "Reagan-Gorbachev meetings in Reykjavik, October, 1986. First meeting,
37. Memorandum of Conversation, (1988, May 29). The President's First One-on-One Metting with General Secretary Gorbachev, 3:26 - 4:37 p.m., St. Catherine Hall, The Kremlin, Moscow https://digitalarchive.wilsoncenter.org/document/memorandum-conversation-presidents-first-one-one-meeting-general-secretary-gorbachev დამოწმებულია 25.02.2025
38. Syria.(2007). United States Department of State, Bureau of Near Eastern Affairs, Archive, https://2001-2009.state.gov/r/pa/ei/bgn/3580.htm დამოწმებულია 25.02.2025
39. The Daily Diary of President Jimmy Carter, (1977, July 15) https://www.jimmycarterlibrary.gov/assets/documents/diary/1977/d071577t.pdf
დამოწმებულია 25.02.2025
40. The Evanston Report. (1956). The Second Assembly of the World Council of Churches, 1954, edited by W. A. Visser 't Hooft, London, SCM Press
41. The Georgian Orthodox Church, (1976). Questioned for Attending Church, Religious Liberty in the Soviet Union, WCC and USSR, a post - Nairobi documentation, edited by Michael Bourdeaux, Hans Hebly, Eugene Voss, Keston college, Produced in England by Rapid Reproductions, 62a Glebe Way, West Wickham, Kent BR4 ORL, England. 1976, pp. 69-70

42. Горбачев М.С., (1987). Перестройка и новое мышление для нашей страны и для всего мира – М.: Политиздат
43. "Грядет день..." (1995) – О положении Русской Православной Церкви при Горбачеве. Кирилл Головин (ноябрь 1986), Русская Православная Церковь в советское время (1917–1991). Материалы и документы по истории отношений между государством и Церковью / Составитель Г. Штриккер. М.: "Пропилеи", 400 с. 245.
44. 1985 г., 28 февраля. — Информационная записка председателя Совета по делам религий при СМ СССР К.М. Харчева в ЦК КПСС. — Религиозная обстановка в стране и вопросы соблюдения законодательства о культах (1980–1984 гг.) (извлечение), К. Харчев, ГАРФ. Ф. Р.-6991. Оп. 5. Д. 3263. Л. 52–58; История государственно-конфессиональных отношений в России (X – начало XXI века) : хрестоматия в 2 ч. / сост. Ю.П. Зуев; под общ. ред. Ю.П. Зуева, В.В. Шмидта. Часть II: XX – начало XXI века. — М.: Изд-во РАГС; ИД «МедиаПром», 2010. — 288 с. file:///C:/Users/user/Desktop/Eto/1__1.pdf დამოწმებულია 25.02.2025
Конституция (Основной Закон) Союза Советских Социалистических Республик (1985) ; Конституции (Основные Законы) Союзных Советских Социалистических Республик. - Москва : Известия Советов народных депутатов СССР, Президентская библиотека имени Бориса Ельцина https://www.prlib.ru/item/420914 დამოწმებულია 25.02.2025
45. Послание Патриарха Московского и всея Руси Пимена Поместному Собору Грузинской Православной Церкви (1972 г.), Архив ОВЦС. Д. 20-А. 1972. С. 2. ; Звонарёв, 2024
46. Сообщение о репрессиях местных властей в отношении монахов и паломников Почаевской лавры Тернопольской области (май 1984), АС. № 5320 (АС Архив самиздата. Мюнхен), Русская Православная Церковь в советское время (1917–1991). (1995). Материалы и документы по истории отношений между государством и Церковью / Составитель Г. Штриккер. М.: "Пропилеи", стр. 278) https://www.orthedu.ru/uchposob/iitora-cerkvi/9287-russkaya-pravoslavnaya-cerkov-v-sovetskoe-vremya-1917-1991-sostavitel-gerd-shtrikker.html დამოწმებულია 25.02.2025

47. Штриккер Г . (1995). Русская Православная Церковь в советское время (1917-1991). Материалы и документы по истории отношений между государством и Церковью, М.: "Пропилеи"
http://www.krotov.info/acts/20/1920/shtric_00.htm дამოწმებულია 25.02.2025

მემუარული ლიტერატურა

48. შევარდნაძე, ე., (2018). ფიქრი წარსულსა და მომავალზე, მემუარები, თბილისი, „ნეოსტუდია“
49. Родзянко епископ Василий, (2015). Моя судьба (воспоминания), сост. Д.В. Гливинского. - М. : Изд. Сретенского ставропигиального мужского монастыря, 2015. – 416 с.
https://azbyka.ru/otechnik/Vasilij_Rodzyanko/moja-sudba-vospominanija/#sel=1156:9,1156:9
дამოწმებულია 25.02.2025

სამეცნიერო ლიტერატურა

50. არაბიძე ი., (2013). ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სტრუქტურა და ეკლესიოლოგიური საფუძველი, *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2013, N2 (13), გვ. 291- 301*, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“,
51. ბარდაველიძე ნ., (2006). ეკუმენიზმის საზღვრები, *„დიალოგი“, თბ., 2006, N3 (4)*
52. ბარდაველიძე ნ., (2023). საუკუნეებით განმტკიცებული თანამშრომლობა: წმიდა საყდარი და საქართველო, *კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები,* თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა

53. ბოკელავაძე, ე., (2022). ლეონიდ ბრეჟნევის საეკლესიო პოლიტიკა (1965-1982), *TSU-ti, N1 გვ. 106-115,* თბილისი, თსუ გამომცემლობა

54. ბოკელავაძე, ე., (2024). მიხეილ გორბაჩოვის რელიგიური პოლიტიკა (1985-1991წწ.), *„ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, გვ. 390-410*

55. ბოკელავაძე ე., (2011). საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები და ქრისტიანული ეკლესია XX საუკუნის II ნახევარში, *ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ.1,* თბილისი, „მერიდიანი“

56. ბოკელავაძე ე., (2009). საქართველოსა და ალექსანდრიის საპატრიარქოები მსოფლიოში მშვიდობის აღდგენისათვის, *„ამირანი“, XXI*, მონრეალი-თბილისი, გვ.143-152

57. ბოკელავაძე, ე., (2008). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილი საერთაშორისო პოლიტიკურ-დიპლომატიურ ასპარეზზე, *“XX საუკუნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები”,* თბილისი

ბუბულაშვილი ე., საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, https://gfsis.org.ge/files/my-world/30/1_article.pdf დამოწმებულია 25.02.2025

58. გაჩეჩილაძე, რ., (2011). ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

59. გურული, ვ. (რედ.) (2003). საქართველოს ისტორია XX საუკუნე, თბილისი : თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა : არტანუჯი

60. დრაგასი, ა., (2019)., „კონსტანტინეპოლისა და მოსკოვის გაყოფა - ტროიცკი და ფოტიადესი მსოფლიო საპატრიარქოს დამატებით-იურისდიქციულ უფლებებზე“, *„Τεολογία“*

61. ვარდოსანიძე, ს., (2008). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, თბილისი, „ნათლისმცემელი“

62. ვარდოსანიძე ს., (2017) საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წწ.), თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი,

ვარდოსანიძე ს., (2008). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II https://allgeo.org/index.php/ka/1668-ii-v დამოწმებულია 25.02.2025

63. ვარდოსანიძე ს., (2011), XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები, თბილისი, „ნათლისმცემელი“
64. ვაშაყმაძე, ზ. (რედ.) (2015). რელიგია და სამართალი, წიგნი II, გაეროს, ევროსაბჭოს, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, გვ. 8-11
65. კაკაბაძე, დ. (1974). „მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“
66. ლორია, ვ., გელაშვილი ბ., ბენდელიანი მ. (2006). ადამიანის უფლებები და რელიგია, თბილისი : თობალისი. (ელექტრონული ვერსია)
67. მაცაბერიძე, მ. 2023. საბჭოთა კავშირი, კომუნისტური ტოტალიტარიზმის აღზევება და დაცემა, თბილისი, „უნივერსალი“
68. მესხი თ., (2018). ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და აღიარებისათვის – XX ს, *„ლოგოსი“, N9, გვ. 77- 82*
69. მიტროპოლიტი იოანე ზიზიულასი, (2000) - მართლმადიდებლების თვითშეგნება – მათი მოძრაობა ეკუმენურ მოძრაობაში, *„ეკლესიის საზღვრები“,* თბილისი
70. პავლიაშვილი, ქ., (2009). საბჭოთა იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში XX საუკუნის 20-60-იან წლებში („სტალინის პროექტი“ და „ფორთოხლის გარიგება“), *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, N2 (6),* თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 365- 366.
71. პაპაშვილი მ., (1995)., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი, „აღმაშენებელი“,
72. ჟვანია ზ., (1994). საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთაისი, „მოწამეთა“
73. როგავა გ., (1996)., საქართველოს ეკლესიის ისტორია, თბილისი

74. სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ., (2011). ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს- XXI ს-ის დასაწყისი), თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
75. სვანიძე მ., (2005). თურქეთის ისტორია 1923-2000 (რესპუბლიკის პერიოდი), ტომი III, თბილისი, „არტანუჯი“
76. სარალიძე, ლ. (2015). საქართველოს ჰელსინკის კავშირის მოღვაწეობის ისტორიიდან, *„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, N1 (16),* თბილისი, უნივერსალი, გვ. 48-70
77. სურგულაძე კ., ბარამიძე ი., დიასამიძე ხ., კოპალეიშვილი ტ., (2022). კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI სს. თბილისი, „უნივერსალი“
78. ტყაბლაძე, ზ., (2006). ეგვიპტის არაბული რესპუბლიკისა და აშშ-ს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობები XX ს-ის 70-90-იან წლებში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბილისი
79. ქართველიშვილი მ., (2022), საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში, თბილისი, “კოლორი“
80. შველიძე დ., (2021), საქართველოს უახლესი ისტორია (1917-2012), თბილისი, „მერიდიანი“
81. ჯაფარიძე გ., (1979). თანამედროვე სირია, თბილისი, "საბჭოთა საქართველო"
82. Anderson, J. (1994/2002). Religion, state and politics in the Soviet Union and successor states, University of St Andrews, Cambridge: Cambridge University Press, Transferred to digital printing 2002 (ელექტრონული ვერსია)
83. Bordeianu, R., (2018). Orthodox Observers at the Second Vatican Council and Intra-Orthodox Dynamics, Duquesne University, PA, USA, *Theological Studies, Vol. 79(1) 86–106, გვ. 90-91*
https://www.duq.edu/documents/academics/colleges-and-schools/liberal-arts/bodeianuorthodoxobservers-2023.pdf

84. Brown, A. (2010). The Gorbachev revolution and the end of the Cold War; The Cambridge History of the Cold War, Edited by Melvyn P. Leffler & Odd Arne Westad, Volume III, Cambridge University Press, Cambridge, pp. 244-266

85. Burch, C. (1984). Religious Policy under Andropov and Chernenko, Religion in Communist Lands, 12:2, 198-201, DOI: 10.1080/09637498408431130

86. Burger, J. (2021). How Pope John Paul II contributed to the fall of Soviet communism https://aleteia.org/2021/12/23/how-pope-john-paul-ii-contributed-to-the-fall-of-soviet-communism/ დამოწმებულია 25.02.2025

87. Childers, B. (2012). The Plurality of Soviet Religious "Policy", The Florida State University https://diginole.lib.fsu.edu/islandora/object/fsu%3A182805 დამოწმებულია 25.02.2025

88. Conquest, R. (1968). Religion in the USSR, New York : Praeger (ელექტრონული ვერსია)

Coppa, F.J. (2003). Pope Pius XII and the Cold War: The Post-war Confrontation between Catholicism and Communism. In: Kirby, D. (eds) Religion and the Cold War. Cold War History Series. Palgrave Macmillan, London. pp. 50-66 https://doi.org/10.1057/9781403919571_4 დამოწმებულია 25.02.2025

Cox B., Philpott D., (2003), Faith-Based Diplomacy: An Ancient Idea Newly Emergent, The Brandywine Review of Faith & International Affairs, 1:2, 31-40, DOI: 10.1080/15435725.2003.9523161, https://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/15435725.2003.9523161 დამოწმებულია 25.02.2025

89. Garas G.C., (2015). Tolerance and Non-Discrimination II Combating Racism, Xenophobia and Discrimination, Also Focusing on Intolerance and Discrimination Against Christians, Warsaw https://www.osce.org/files/f/documents/a/2/187161.pdf დამოწმებულია 25.02.2025

90. Ghadry F., (2005). Syrian Reform: What Lies Beneath. The Middle East Quarterly. https://www.meforum.org/683/syrian-reform-what-lies-beneath დამოწმებულია 25.02.2025

91. Hebly, J.A. (1993).The state, the church, and the oikumene: the Russian Orthodox Church and the World Council of Churches, 1948-1985, Religious Policy in the Soviet Union Edited by Sabrina Petra Ramet, Cambridge University Press

92. History of The 20 th Century Ecumenical Movement, https://static.calvarypandan.sg/images/resources/article/others/ecumenical-movement-history.pdf დამოწმებულია 25.02.2025

93. Jones S.F. (1989/2008), Soviet religious policy and the Georgian Orthodox apostolic Church: From Khrushchev to Gorbachev, Religion in Communist Lands, 17:4, 292-312 https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09637498908431439 დამოწმებულია 25.02.2025

94. Kowalewski, D. (1980). Religious Belief in the Brezhnev Era: Renaissance, Resistance and Realpolitik, Journal for the Scientific Study of Religion, Vol. 19, No. 3, pp. 280-292

McTernan, O. (1990), Religion and Perestroika, An Irish Quarterly Review, Vol. 79, No. 313, Published by Irish Province of the Society of Jesus, pp. 18-26 http://www.jstor.org/stable/30091430 დამოწმებულია 25.02.2025

Phidas, V., The Church of Estonia, http://www.orthodoxa.org/GB/estonia/documentsEOC/estoniaPhidasGB.htm დამოწმებულია 25.02.2025

Perrone, A. (2012). "Pope John Paul II's Role in the Collapse of Poland's Communist Regime: Examining a Religious Leader's Impact on International Relations" , Honors Scholar Theses. 244. https://opencommons.uconn.edu/srhonors_theses/244 დამოწმებულია 25.02.2025

95. Pleshakov, C. (2009). There Is No Freedom Without Bread! 1989 and the Civil War That Brought Down Communism, New York: Farrar, Straus and Giroux, 2009, pp. 103-107

96. Ramet, S. P. (2005). Religious policy in the era of Gorbachev, Religious policy in the Soviet Union, Cambridge, Cambridge University Press, pp. 31-54

97. Roberson, R., (1999). The Eastern Christian Churches: A Brief Survey, Orientalia Christiana;

https://cnewa.org/eastern-christian-churches/orthodox-church/the-autocephalous-churches/the-orthodox-church-of-georgia/ დამოწმებულია 25.02.2025

98. Schmidt D., (2006). The Folly of War: American Foreign Policy, 1898-2005, New York,

99. Shubin D., (2006). A History of Russian Christianity Vol. IV: Tsar Nicholas II to Gorbachev's Edict on the Freedom of Conscience. Algora, Pub.

100. The Case of Georgian Autocephaly (1990). 450 2-10 https://orthodoxsynaxis.org/2018/12/31/the-case-of-georgian-autocephaly/

101. The Oxford Handbook of Ecumenical Studies, (2021) Edited by Geoffrey Wainwright and Paul McPartlan, Oxford University Press

102. Tokareva E., (2016). Vatican and Catholics in Russia in 1920 - 1930: communication problems, *Procedia - Social and Behavioral Sciences 236, pp.379 – 384*

103. Walters, Ph. (1993/2005). A survey of Soviet religious policy, Religious policy in the Soviet Union, Cambridge : Cambridge University Press

104. Weigel G. (1991/2001). Witness to Hope: The Biography of Pope John Paul II, HarperCollins Publishers

105. Zisser E., (1999). "Hafiz al-Asad Discovers Islam", Middle East Quarterly, March, Volume 6, N2 http://www.meforum.org/465/hafiz-al-asad-discovers-islam

106. Бобков, Ф.Д. (1995). КГБ и власть. Москва, "Ветеран МП"

107. Бушуев, С. В., Лойко, В. Е., (2008). Православные монастыри в истории, культуре и современной жизни России http://olden.rsl.ru/ru/s3/s331/s122/s1224636/s12246364637/ დამოწმებულია 25.02.2025

108. Васильева О., (2003). Государственно-церковные отношения советского периода: Периодизация и содержание, Москва http://www.pravoslavie.ru/archiv/sovietstate-church.htm#6 დამოწმებულია 25.02.2025

109. Горшкова А. И., (2001). Государство и русская православная церковь в 1940--1990-х гг.(По материалам «Журнала Московской патриархии»,), А.И. Горшкова // Документ. Архив. История. Современность : сб. науч. тр. – Вып. 1. – Екатеринбург, 2001. – С. 32 – 51.

Григулевич И. (1978). Папство. Век XX , М.
https://www.gumer.info/bogoslov_Buks/History_Church/grigul2/04.php
დამოწმებულია 25.02.2025

110. Дымарский В., (2012). Времена Хрущева. В людях, фактах и мифах, Издательство АСТ,
https://www.litres.ru/vitaliy-dymarskiy/vremena-hruscheva-v-ludyah-faktah-i-mifah/
დამოწმებულია 25.02.2025

111. Захаровский Л. В., Разинков С. Л., (2019). История России советского периода, Екатеринбург, Изд-во Рос. гос. проф.-пед. ун-та
https://elar.rsvpu.ru/bitstream/123456789/29987/1/978-5-8050-0670-9.pdf
დამოწმებულია 25.02.2025

112. Звонарёв С. Л. Прот., (2024). Русская и Грузинская Православные Церкви в годы председательства в Отделе внешних церковных сношений митрополита Никодима (Ротова), «*Ипатьевский вестник», № 3 (27)*

113. Казаков А., (2019). Ватиканская миссия зятя Хрущева В укреплении связей между СССР и Папским престолом участвовали КГБ, ГРУ, ЦРУ и журналисты, газета Независимая
https://www.ng.ru/bogoslovie/2019-07-02/15_467_vatican.html დამოწმებულია 25.02.2025

114. Карев А, Сомов К, (1990). История Христианство, Издано Библейской Миссией, ФРГ
Козлов Прот. Максим., (2006). Русская Православная Церковь и экуменическое движение, http://www.pravoslavie.ru/jurnal/475.htm დამოწმებულია 25.02.2025

115. Кострюков А. А. (2018). Лекции по истории Русской Церкви (1917—2008): Учебное пособие/ А. А. Кострюков. — М.: Изд-во ПСТГУ,— 368 с.
https://azbyka.ru/otechnik/Istorija_Tserkvi/lektsii-po-istorii-russkoj-tserkvi-1917-2008/14
დამოწმებულია 25.02.2025

116. Митыпов В. (2013). Совет по делам религий – проводник государственно-конфессиональной политики СССР, *„Власть“, Том 21, №09. стр. 117-120,*

https://www.jour.fnisc.ru/index.php/vlast/article/view/2257/2105 დამოწმებულია 25.02.2025

117. Сазонов, Д. И. (2015). Брежневские гонения на Церковь (по материалам Центральной России), Исторические науки и археология, Вестник КГУ им. Н.А. Некрасова № 6, 46-50

118. Скурат К.Е. (1994). Антиохи́йская православ́ная це́рковь; История Поместных Православных Церквей

http://www.eparchia.kharkov.ua/uploads/system/ippc/vveden-v-dr-patriarhati.pdf

დამოწმებულია 25.02.2025

Цешковский, В. (2013). "Русская Православная Церковь в эпоху правления Брежнева", http://history-mda.ru/publ/3137_3137.html დამოწმებულია 25.02.2025

119. Хоинацкий А.О., Крижановский Г.Я., (1897). Почаевская Успенская лавра. Историческое-описание, Почаев

120. Чистович, И.А., (1856). История Православной церкви в Финляндии и Эстляндии, принадлежащих к Санктпетербургской епархии

https://azbyka.ru/otechnik/Ilarion_Chistovich/istorija-pravoslavnoj-tserkvi-v-finljandii-i-estljandii-prinadlezhashhih-k-sanktpeterburgskoj-eparhii/ დამოწმებულია 25.02.2025

Чистый М. Б. К 40-летию избрания К.У. Черненко Генеральным Секретарем ЦК КПСС, https://kprf.ru/history/party/227358.html დამოწმებულია 25.02.2025

121. Шевченко, Т.И., (2008). К вопросу о юрисдикции Финляндской Православной Церкви, Вестник ПСТГУ, II: История. История Русской Православной Церкви. Вып. II:1 (26). С. 42–69

122. Шуплецов Д., свящ. (2024). Взаимоотношения Русской Православной Церкви и Александрийской Православной Церкви в период патриаршества Николая VI // Христианское чтение, № 3. С. 361–370.

პერიოდული პრესა

123. ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის, უნეტარეს ნიკოლოზ VI-ის მისასალმებელი სიტყვა, (1984), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 11-12

124. ალექსანდრიის პატრიარქის, ნიკოლოზ VI-ის სიტყვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ისადმი, (1982), ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, N2, გვ. 9

125. ალექსანდრიის პატრიარქის, ნიკოლოზის წერილი კონსტანტინეპოლის პატრიარქ დიმიტრიოსს, 1982, 1 სექტემბერი, (1990), „ჯვარი ვაზისა“, N3, გვ. 30-31

126. ამხანაგ კ. უ ჩერნენკოს სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის 14 თებერვლის პლენუმზე, (1984, 14 თებერვალი), „კომუნისტი“, N39, გვ. 2

127. ბულგარეთის პატრიარქის, მაქსიმეს წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს, (1990), „ჯვარი ვაზისა“, N3, გვ. 33

128. „დამთავრდა უმაღლესი დონის შეხვედრა ჟენევაში“, (1985), „კომუნისტი“, N269, გვ. 1

129. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი, დოქტორი ემილიო კასტრო საქართველოს ეკლესიის სტუმარი, (1985), „ჯვარი ვაზისა“, N2, გვ. 13

130. ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი), მოგზაურობა წმინდა მიწაზე, (1987), „ჯვარი ვაზისა“, N2, გვ. 29-35

131. ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი), საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის, (1990), „ჯვარი ვაზისა“, N3, გვ. 36-41

132. ვატიკანის ქრისტიანული ერთობის დეპარტამენტის მდივნის მოადგილის პიერ დიუპრეს წერილი საქართველოს პატრიარქს, ილია II-ს, (1982), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 21

133. იერუსალიმის პატრიარქის, დიოდოროსის წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს, 1 სექტემბერი, 1982 წელი, (1990), „ჯვარი ვაზისა“, N3, გვ. 31

134. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სიტყვა კარდინალ იოანე ვილებრანდსისადმი, სიტყვები, წარმოთქმული სიონის საპატრიარქო ტაძარში, 11 მარტს, (1979), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 10

135. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სიტყვა წარმოთქმული ეკლესიათა მეთაურების, ეკლესიის მოღვაწეთა და რელიგიურ გაერთიანებათა წარმომადგენლების სხდომაზე ზაგორსკში, (1982, 24 ივნისი). ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, N2, გვ. 9-10

136. კარდინალ იოანე ვილებრანდსის სიტყვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისადმი, სიტყვები, წარმოთქმული სიონის საპატრიარქო ტაძარში, 11 მარტს, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1979, N1, გვ.13

137. კვიპროსის მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსის წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს, 1982 წლის 19 ივლისი, (1990), „ჯვარი ვაზისა“, N3, გვ. 32

138. „კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზით“, (1984, 15 თებერვალი), „კომუნისტი“, N40, გვ. 4

139. მისი უწმინდესობის, მსოფლიო პატრიარქის, დიმიტრიოს I -ის სიტყვა, წარმოთქმული სიონის საპატრიარქო ტაძარში, (1987), „ჯვარი ვაზისა“, N2, გვ. 14-15

140. მიტროპოლიტი ნიკოლოზი (მახარაძე), საქართველოს ეკლესია ეკუმენური მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე, ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1983, N1, გვ. 10-13

141. მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი, (1985), „კომუნისტი“, N60, გვ. 1-3

142. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, პიმენის სიტყვა, (1978), “ჯვარი ვაზისა“, N1, 12

143. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, პიმენის წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს, 29 სექტემბერი, 1982 წ. (1990), „ჯვარი ვაზისა“, N3, გვ. 32-33

144. მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის შეხვედრა, (1985), „კომუნისტი“, N267, გვ. 1

145. მშვიდობა ყოველთა, ინტერვიუ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან, (1988), „კომუნისტი“, N66, გვ. 3

146. მშვიდობა ყოველთა, (1987), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ.. 24-25

147. მჭედლიშვილი ც., „და აჟღერდება ქართული ორღანი“, (1980, 4 დეკემბერი), „ახალგაზრდა კომუნისტი“, N 144, გვ. 3

148. ნიკოპოლის ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი, მისი ღვთაებრივი უნეტარესობის, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის, ბატონ ნიკოლოზის ვიზიტი საქართველოში, (1983), „ჯვარი ვაზისა“, N2, გვ. 25-27

149. პრაღის მიტროპოლიტის, დოროთეოსის წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს, 16 ივლისი, 1982 წელი, (1990), „ჯვარი ვაზისა“, N3, გვ. 34

150. რელიგიის მოღვაწენი ბირთვული კატასტროფისაგან სიცოცხლის წმიდა ნობათის გადასარჩენად, (1982), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 10-12

151. საეკლესიო ცხოვრება, (1988), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 52

152. სამეგობრო გზები, (1978), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 21

153. საქართველოს ეკლესია ეკუმენური მოძრაობის თანამედროვე ეტაპზე, (1983), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 10-13

154. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ვიზიტი იერუსალიმში, (1980), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 11

155. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ვიზიტი რომში, (1980), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 13-17

156. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სიტყვა ალექსანდრიის პატრიარქ ნიკოლოზ VI-ისადმი, (1981), „ჯვარი ვაზისა“, N2, გვ. 12

157. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სიტყვა ზაგორსკის სამშვიდობო სხდომაზე, (1981), „ჯვარი ვაზისა“, N2

158. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სიტყვა იერუსალიმის პატრიარქის, ბენედიქტე I-ისადმი, (1980), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 10

159. საქართველოს ოცსაუკუნოვანი ეკლესია, (1983), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 5-8

160. საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისთვის საპატრიარქო ტიტულის ცნობის და ბოძების საპატრიარქო სინოდური განჩინება, (1990), „ჯვარი ვაზისა“, N3, გვ. 13

161. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი, (1990), „ჯვარი ვაზისა“, N3, გვ. 7-8

162. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 22 ნოემბრის პლენუმზე, (1982), „კომუნისტი“, N270, გვ. 1-2

163. სრულიად პოლონეთისა და ვარშავის მიტროპოლიტის, ვასილის წერილი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, ილია II-ს, 20 აგვისტო, 1984 წელი, (1990), „ჯვარი ვაზისა“, N3, გვ. 34

164. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ვიზიტი კონსტანტინეპოლში, (1979), „ჯვარი ვაზისა“, N2, გვ. 8-14

165. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი, (1979), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ.5

166. სრულიად ქრისტიანული სამშვიდობო ასამბლეა, (1985), „ჯვარი ვაზისა“, N2, გვ.14-15

167. სტუმრები საზღვარგარეთიდან, (1985), „ჯვარი ვაზისა“, N2, გვ. 52-53

168. „სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ“ ავტოკეფალია (1978-1990 წლები), (1990), „ჯვარი ვაზისა“, N3, გვ. 18-24

169. უნეტარესი ეგნატე IV, პატრიარქი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთისა, (1981), „ჯვარი ვაზისა“, N2, გვ. 20-24

170. ქრისტიანული სამედიცინო კომისიიდან, ერიკ რ. რემის წერილი მიტროპოლიტ დავითს, (1985), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 45

171. ღვაწლნი და საქმენი, (1982), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 19

172. წილკნელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი), ეკლესია სეკულარიზებულ საზოგადოებაში, (1988), „ჯვარი ვაზისა“, N1, გვ. 36-37

173. ჰაფეზ ალ ასადი თბილისში ჩამოვიდა, (1977, 22 აპრილი), „კომუნისტი“, N94, გვ. 1

174. Antiochian Patriarch Elias IV, (1979, June 25), Washington Post https://www.washingtonpost.com/archive/local/1979/06/25/antiochian-patriarch-elias-iv/767cd378-27ae-4466-87dc-89e63e07ca3b/?utm_term=.997d886ef955 დამოწმებულია 25.02.2025

195.The Second Vatican Council, (1962, October 13), „The Tablet“, Vol. 216, No. 6386, p. 10
https://reader.exacteditions.com/issues/71513/page/1 დამოწმებულია 25.02.2025
196. „Комсомольская правда“, (1965, 15 август), N191
https://rusneb.ru/catalog/000199_000009_013154941/ დამოწმებულია 25.02.2025
https://gazetina.ru/p/2/1965/08/15 დამოწმებულია 25.02.2025
197. Пребывание в Москве католикоса-патриарха всея Грузии Ефрема II, (1960), Журнал Московской Патриархии, № 8. стр. 3

http://www.jmp.ru/a1943/pdf1960/1960-08.pdf დამოწმებულია 25.02.2025

198.Против религиозного дурмана, (1986), „Правда Востока“. N201, стр.. 1
https://press.natlib.uz/ru/editions/108415 დამოწმებულია 25.02.2025

ელექტრონული რესურსები:

199.საგანელიძე თეიმურაზ., (2004), იერუსალიმის ჯვრის მონასტერი,

https://www.orthodoxy.ge/eklesiebi/jvris_monasteri/jvris_monasteri.htm დამოწმებულია 25.02.2025

200. History of Estonian Orthodox Church; http://www.orthodoxa.org დამოწმებულია 25.02.2025

201. Metropolitan Gerasimos, (2009).Theological School in Halki https://www.sanfran.goarch.org/news/theological-school-in-halki-online-poll დამოწმებულია 25.02.2025

202. Palli Archpriester Mattias –A Brief History of the Orthodox Church of Estonia, http://www.orthodoxa.org დამოწმებულია 25.02.2025

203. Syria's Christians stand by Assad , (2012, February 6) https://www.cbsnews.com/news/syrias-christians-stand-by-assad/ დამოწმებულია 25.02.2025

204. The Holy Teological School of Halki; http://www.ec-patr.org, დამოწმებულია 25.02.2025

205. Константинопольский Патриархат; http://www.sedmica.orthodoxy.ru დამოწმებულია 25.02.2025

206. Московский Данилов монастырь, История монастыря, https://msdm.ru/istoriya_monastyrya დამოწმებულია 25.02.2025

207. Российский центр науки и культуры в Дамаске, http://syr.rs.gov.ru/ru/about დამოწმებულია 25.02.2025

208. Тихомиров Владимир „Почему Хрущёв мстил церкви?“, (2018, 13 сентября 2018)

https://yarcenter.ru/articles/history/pochemu-khrushchyev-mstil-tserkvi/ დამოწმებულია 25.02.2025